ISSN 0132-6023
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

11

1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

305

გამოცემის ოცდამეექვსე წელი

11

ნოემბერი

1982

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი


3. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს **მიმართვა** კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს
6. **საინფორმაციო ცნობა** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ
8. ამხანაგ **ი. ვ. ანდროპოვის** სიტყვა
10. ამხანაგ **კ. უ. ჩერნენკოს** სიტყვა
12. **იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი**
13. **მოწინავე** — უკვდავი თარიღი

## პროზა და პოეზია

14. **ჯემალ ქარჩხაძე** — ქარავანი. გაგრძელება
40. **თამარ ერისთავი** — ლექსები
44. **ომარ თურმანაული** — ლექსები
47. **რევაზ მიშველაძე** — ნოველები
73. **შოთა ლომსაძე** — ლექსები
75. **ვანო ჩხიკვაძე** — მოთხრობები
91. **ანზორ აბულაშვილი** — ლექსები
94. **გიორგი ჭანტურია** — მოთხრობები
99. **შუკო ჯიქია** — ლექსები
101. **გიორგი ხორგუაშვილი** — „ესდექ, სატანავ. სატირული მოთხრობა
117. **ანტონ ჩეხოვი** — თაღლითები. თარგმნა **ზაალ ბოტკოველმა**

## 90 — გალაკტიონ ტაბიძე — 90

120. **მამუკა წიკლაური** — ო, კოსმიურო, ერთადერთო, მძლავრო მუსიკა! **გივი ალხაზიშვილი** — გალაკტიონის ტყვეობაში, **დავით მჭედლური** — „დაწერილი სისხლის წვეთით...“, **ვახტანგ ხარჩილავა** — „მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურს...“, **შადიმან შამანაძე** — გალაკტიონის სავარჯიშოები, **მურმან ჯგუბურია** — რუსთაველი — გალაკტიონი. მილოცვები

## წერილები

130. **ბორის გუბელიძე** — მშრომელთა ინტერნაციონალური ბრძოლის შესანიშნავი ფურცლები
136. **გურამ ბენაშვილი** — პოეტური სხივის გამოსხივებანი
142. **რობერტ პეტრიაშვილი** — მინატრებული სამყაროს ძახილი
147. **ზაზა აბზიანიძე** — სამი უცნაური კაცი

## ხელოვნება

154. **გივი ბარამიძე** — მზიური ფუნჯის დიდოსტატი
160. ცოტა რამ „ცისკრის“ ახალგაზრდა ავტორებზე



მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი
თედო ბექიშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე
გივი გეგეჭკორი
გურამ გვერდწითელი
რისმაგ გორდეზიანი
გიორგი გუგლია
ნოდარ დუმბაძე
მერაბ ელიოზიშვილი
ვაჟა ლორთქიფანიძე
ოტია პაჭკორია
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ჯანსუღ ჩარკვიანი
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
პასუხისმგებელი მდივანი
სოსო ცინცაძე
გივი ძნელაძე
ნუგზარ წერეთელი
თამაზ წივწივაძე
ტარიელ ჭანტურია
რეზო ჭეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

# მიმართვა

## კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა ლენინის დიადი საქმის ერთგული განმგრძობი, მგზნებარე პატრიოტი, გამოჩენილი რევოლუციონერი და მშვიდობისათვის, კომუნიზმისათვის მებრძოლი, თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ლ. ი. ბრეჟნევის მთელი მრავალმხრივი მოღვაწეობა, პირადი ბედი განუყოფელია საბჭოეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპებისაგან. კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, დიდი სამამულო ომი და ომისშემდგომი აღორძინება, ყამირის ათვისება და კოსმოსის კვლევის ორგანიზაცია — ყოველივე ეს მუშათა კლასის სახელოვანი შვილის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბიოგრაფიის ნიშანსვეტებიცაა. ყველგან, სადაც უნდა გაეგზავნა იგი პარტიას, ლეონიდ ილიას ძე თავდადებით, მისთვის ჩვეული ენერგიითა და სიმტკიცით, გაბედულებითა და პრინციპულობით იბრძოდა მისი დიადი იდეალებისათვის.

ამხანაგ ბრეჟნევის სახელს, მის დაუცხრომელ მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე საბჭოთა ადამიანები, ჩვენი მეგობრები მთელ მსოფლიოში სამართლიანად უკავშირებენ პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების თანამიმდევრულ დამკვიდრებას, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფას. იგი ბრძნულად წარმართავდა პარტიის ლენინური შტაბის — მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საქმიანობას, გვიჩვენებდა ერთსულოვანი კოლექტიური მუშაობის უნარიანი ორგანიზაციის მაგალითს. მას ეკუთვნის უთვალსაჩინოესი როლი განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე პარტიის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების კურსის განსაზღვრასა და რეალიზაციაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ. ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარუვალია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დამსახურება საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიის პოლიტიკის — მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების, იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების მტკიცედ უკუგდების, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. დიდია მისი წვლილი მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებაში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებაში.

სანამ ლეონიდ ილიას ძის გული ძგერდა, მისი ფიქრები და საქმეები მთლიანად ექვემდებარებოდა მშრომელი ადამიანების ინტერესებს. მშრომელთა მასებთან იგი მუდამ იყო განუყრელად დაკავშირებული. კომუნისტთა ყველა კონტინენტის ასობით მილიონი ადამიანის შეგნებაში იგი იყო და დარჩება ლენინური იდეურობის, თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმის, რევოლუციური ოპტიმიზმისა და ჰუმანიზმის განსახიერებად.

მძიმეა ჩვენი დანაკლისი, დიდია ჩვენი მწუხარება. ამ გლოვის ჟამს საბჭოთა კავშირის კომუნისტები, ყველა მშრომელი სულ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, მისი ხელმძღვანელი ბირთვის გარშემო, რომელიც ჩამოყალიბდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის კეთილნაყოფიერი გავლენით. ხალხს სჯერა პარტიის, მისი მძლავრი კოლექტიური გონებისა და ნების, მთელი გულით უჭერს მხარს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან: ლენინის დროშა, ოქტომბრის დროშა, რომლითაც მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მოვიპოვეთ, საიმედო ხელშია.

პარტია და ხალხი შეიარაღებული არიან სკკპ XXIII—XXVI ყრილობების მიერ შემუშავებული კომუნისტური აღმშენებლობის დიდებული პროგრამით. ეს პროგრამა განუხრელად ხორციელდება. პარტია კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულების საფუძველზე ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. პარტია კვლავაც ყოველნაირად იზრუნებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის კავშირის განმტკიცებისათვის, საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობის, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა იდეოლოგიური წრთობისათვის.

უცვლელია საბჭოთა ხალხის ნება მშვიდობისადმი. არა ომისათვის მზადება, რომელიც ხალხებს თავის მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა უმიზნო ხარჯვას უქადის, არამედ მშვიდობის განმტკიცება — აი ხვალინდელი დღის შუქურვარსკვლავი. ამ კეთილშობილური იდეით არის გამსჭვალული ოთხმოციანი წლების სამშვიდობო პროგრამა, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა.

ჩვენ ვხედავთ საერთაშორისო ვითარების მთელ სირთულეს, იმპერიალიზმის აგრესიული წრეების ცდებს ძირი გამოუთხარონ მშვიდობიან თანაარსებობას, უბიძგონ ხალხებს მტრობისა და სამხედრო კონფრონტაციის გზისაკენ. მაგრამ ეს ვერ შეარყევს ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებას დავიცვათ მშვიდობა. ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა სამხედრო ავანტიურების მოყვარულებმა საბჭოთა ქვეყანას მოუმზადებელს არ მოუსწრონ, რომ პოტენციურმა აგრესორმა იცოდეს: მას გარდაუვალად ელის გამანადგურებელი საპასუხო დარტყმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირი, რომელიც ეყრდნობა თავის ძლიერებას, იჩენს უდიდეს სიფხიზლესა და თავდაჭერილობას, უცვლელ ერთგულებას თავისი საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარული პრინციპებისა და მიზნებისადმი, შეუპოვრად იბრძოლებს იმისათვის, რომ კაცობრიობას თავიდან ააცილოს ბირთვული ომის საფრთხე, იბრძოლებს დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის.

ამ ბრძოლაში ჩვენთან ერთად არიან მოძმე სოციალისტური ქვეყნები, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლები, ყველა კონტინენტის მშვიდობისმოყვარე ქვეყნები· მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი. მშვიდობის პოლიტიკა გამოხატავს კაცობრიობის ძირეულ საარსებო ინტერესებს, და ამიტომაც მომავალი ასეთ პოლიტიკას ეკუთვნის.

საბჭოთა ხალხს პარტია მიაჩნია თავის ნაცად კოლექტიურ ბელადად, ბრძენ ხელმძღვანელად და ორგანიზატორად. მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის სამსახური პარტიის მთელი საქმიანობის უმაღლესი მიზანი და აზრია. პარტიისა და ხალხის ურყევი ერთიანობა იყო და არის საბჭოთა საზოგადოების უდრეკი ძალის წყარო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თვალისჩინივით უფრთხილდება მშრომელთა ნდობას, დღენიადაგ განამტკიცებს თავის კავშირს მასებთან. ხალხი პრაქტიკულად დარწმუნდა, რომ ჩვენი პარტია მოვლენების ყოველი შემობრუნების დროს, ყოველი განსაცდელის დროს თავისი ისტორიული მისიის სიმაღლეზე რჩება. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხელმძღვანელობით შემუშავებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა კვლავაც თანამიმდევრულად და მიზანდასახულად განხორციელდება.

ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრება და მოღვაწეობა მუდამ იქნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი ერთგული სამსახურის შთამაგონებელი მაგალითი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი გამოიჩენენ მაღალ შეგნებასა და ორგანიზებულობას, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებული შემოქმედებითი შრომით უზრუნველყოფენ კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1982 წლის 12 ნოემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით პლენუმი გახსნა და სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წევრებმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნას პატივი სცეს წუთიერი მწუხარე დუმილით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლი.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, რომელიც ლენინური კომუნისტური პარტიის წევრი იყო 50 წელზე მეტ ხანს, აქედან 18 წელს — მისი ხელმძღვანელის პოსტზე, უდიდესი წვლილი შეიტანა პარტიის რიგების მონოლითურობის, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში. უაღრესად დიდია მისი როლი მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებაში, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელი, რომელთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ცხოვრების დიადი მიღწევები — ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში, ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენა, კოსმოსის კვლევა, ყველა წარმატება საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარება-

ში, სამუდამოდ შევიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩვენი დიადი სამშობლოს ისტორიაში.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ღრმა თანაგრძნობა გამოუცხადეს განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ. მან წამოაყენა წინადადება, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიონ ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხანაგი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

შემდეგ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი. მან გულითადი მადლობა მოახსენა ცენტრალური კომიტეტის პლენუმს დიდი ნდობისათვის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე არჩევისათვის.

ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, კომუნისტურ პარტიას, რომ მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას მოახმარს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახული კომუნისტური მშენებლობის პროგრამის წარმატებით შესრულებას, მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფას სსრ კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მშვიდობის დამკვიდრების ამოცანების გადაწყვეტაში, მთელი ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებაში, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევის დროს ხორციელდებოდა.

ამით პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა

**ამხანაგებო!**

ჩვენმა პარტიამ და ქვეყანამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს, შეწყდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, მგზნებარე კომუნისტის. საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გულის ძგერა.

გარდაიცვალა თანამედროვეობის უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე. ჩვენს რიგებს გამოაკლდა ამხანაგი და მეგობარი, დიდსულოვანი და დიდბუნებოვანი, გამგები და კეთილმოსურნე, გულისხმიერი და ღრმად ჰუმანური ადამიანი. საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება, უკომპრომისო მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვებისადმი, ბრძნული წინდახედულება პასუხსაგებ გადაწყვეტილებათა მიღებაში, პრინციპულობა და გამბედაობა ისტორიის მკვეთრ ცვლილებათა ჟამს, ადამიანებისადმი უცვლელი პატივისცემა, გულისხმიერება და ყურადღება — აი ის შესანიშნავი თვისებები, რომლებისთვისაც აფასებდნენ და უყვარდათ ლეონიდ ილიას ძე პარტიასა და ხალხს.

გთხოვთ წუთიერი დუმილით პატივი სცეთ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ნათელ ხსოვნას, ლეონიდ ილიას ძე ამბობდა, რომ მისი ცხოვრების თითოეული დღე განუყოფელია იმ საქმეებისაგან, რომლებითაც ცხოვრობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ქვეყანა. და ეს მართლაც ასე იყო.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. დიდი სამამულო ომი და ომისშემდგომი აღდგენა, ყამირის ათვისება და კოსმოსის კვლევა — ყველა ეს დიადი ნიშანსვეტი საბჭოთა ხალხის შრომისა და ბრძოლის გზაზე, ამავე დროს კომუნისტ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბიოგრაფიის ნიშანსვეტებია.

ლეონიდ ილიას ძის სახელთან და საქმეებთან განუხრელად არის დაკავშირებული დიადი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ძლიერების ზრდა და ყოველმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აქტიური მონაწილეობა ჩვენს ეპოქაში კაცობრიობის წინაშე მდგომი ისტორიული ამოცანების გადაწყვეტაში, მსოფლიოში ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესის მთელი ძალების სოლიდარობის განმტკიცება, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი მარად ემახსოვრება მადლიერ კაცობრიობას როგორც თანამიმდევრული მგზნებარე და დაუცხრომელი მებრძოლი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, იმ მსოფლიო ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, რომელიც კაცობრიობას შეექმნა.

კარგად ვიცით, რომ მშვიდობას იმპერიალისტებს ვერ გამოსთხოვ. იგი უნდა დავიცვათ მხოლოდ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ურყევ ძლიერებაზე დაყრდნობით. როგორც პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი, როგორც სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ნიადაგ უთმობდა ყურადღებას იმას, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ყოფილიყო.

აქ, ამ დარბაზში, შეიკრიბნენ ისინი, ვინც შედის ჩვენი პარტიის შტაბში, რომელსაც თვრამეტ წელს უცვლელად ედგა სათავეში ლეონიდ ილიას ძე. თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რამდენი ძალ-ღონე შეალია და სულის მგზნებარება ჩააქსოვა მან ერთსულოვანი, კოლექტიური მუშაობის ორგანიზაციას, იმას, რომ ეს შტაბი კვალავდეს უტყუარ ლენინურ კურსს. თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ლეონიდ ილიას ძემ იმ ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური ატმოსფეროს შექმნაში, რომელიც დღეს ახასიათებს ჩვენი პარტიის ცხოვრებასა და საქმიანობას.

ლეონიდ ილიას ძის სახელთან დაკავშირებულია მარქსიზმ-ლენინიზმის დასაცავად ჩვენი პარტიის პრინციპული ბრძოლა, განვითარებული სოციალიზმის თეორიის შემუშავება, კომუნისტური მშენებლობის ყველაზე აქტუალური ამოცანების გადაწყვეტის გზების განსაზღვრა. მის მოღვაწეობას მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში სამართლიანად მისცეს უმაღლესი შეფასება მოძმე პარტიებმა, ჩვენმა საზღვარგარეთელმა კლასობრივმა ძმებმა, სოციალიზმისათვის, კაპიტალის უღლის წინააღმდეგ, დიადი კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის ჩვენმა თანამებრძოლმა ამხანაგებმა.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიცოცხლე შეწყდა მაშინ, როცა მისი აზრები, მეცადინეობა მიმართული იყო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების იმ უდიდესი ამოცანების გადაწყვეტისადმი, რომლებიც განსაზღვრეს სკკპ XXVI ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა. ამ ამოცანების შესრულება, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხელმძღვანელობით შემუშავებული ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო-პოლიტიკური კურსის თანამიმდევრული განხორციელება, ჩვენი უპირველესი მოვალეობაა. და ეს იქნება ჩვენს რიგებს გამოკლებული ხელმძღვანელის ნათელი ხსოვნის საუკეთესო პატივისცემა.

დიდია ჩვენი მწუხარება. მძიმეა ჩვენი დანაკლისი.

ამ ვითარებაში თითოეული ჩვენგანის, თითოეული კომუნისტის ვალია კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშიროს ჩვენი რიგები, კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, თავის პოსტზე, თავის ცხოვრებაში რაც შეიძლება მეტი გააკეთოს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა ხალხი უსაზღვროდ ენდობა თავის კომუნისტურ პარტიას, ენდობა იმიტომ, რომ მისთვის არ ყოფილა და არც არის სხვა ინტერესები, გარდა საბჭოთა ადამიანების საარსებო ინტერესებისა. გაამართლო ეს ნდობა — ნიშნავს იარო წინ კომუნისტური მშენებლობის გზით, ილვწოდე ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებისათვის.

ჩვენ, ამხანაგებო, გვაქვს ისეთი ძალა, რომელიც გვეხმარებოდა და გვეხმარება უმძიმეს მომენტებში, რომელიც საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ ურთულესი ამოცანები. ეს ძალაა ჩვენი პარტიული რიგების ერთიანობა, ეს ძალაა პარტიის კოლექტიური სიბრძნე, მისი კოლექტიური ხელმძღვანელობა, ეს ძალაა პარტიისა და ხალხის ერთიანობა.

ჩვენი პლენუმი დღეს იმისათვის შეიკრიბა, რომ პატივი სცეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნას და უზრუნველყოს იმ საქმის განგრძობა, რომელსაც მან თავისი სიცოცხლე შეალია.

პლენუმმა უნდა გადაწყვიტოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევის საკითხი.

ვთხოვ ამხანაგებს, გამოთქვან აზრი ამ საკითხზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა

**ძვირფასო** ამხანაგებო!

პოლიტბიურომ დამავალა გამოვსულიყავი ცენტრალური კომიტეტის ამ რიგგარეშე პლენუმის მონაწილეთა წინაშე.

ჩვენს ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმს ნამდვილად საგანგებო ხასიათი აქვს. ქვეყანა და პარტია დიდად დამწუხრებული არიან. გარდაიცვალა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

საბჭოთა ხალხმა დაკარგა გამოჩენილი ხელმძღვანელი, რომელიც თითქმის ორი ათწლეულის მანძილზე მეთაურობდა პარტიასა და სახელმწიფოს, მთელ ძალ-ღონესა და უდიდეს ნიჭს ახმარდა საბჭოთა ადამიანების ბედნიერებას, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საქმეს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კაცობრიობამ დაკარგა მშვიდობის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესის იდეალებისათვის დიდი, ჭეშმარიტად დაუცხრომელი მებრძოლი. ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებმა ჩვენმა ძმებმა სოციალისტურ ქვეყნებში, ჩვენმა თანამებრძოლებმა მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში დაკარგეს ლენინის საქმის ნიჭიერი განმგრძობი, ადამიანი, რომლისაგანაც ვსწავლობდით მშრომელთა ინტერესებისადმი უსაზღვრო ერთგულებას.

ენით უთქმელია ჩვენი მწუხარება ამ დანაკლისის გამო, მაგრამ ამ გლოვის ჟამს დიდ ნუგეშს გვცემს ყველასათვის ძვირფასი ლეონიდ ილიას ძის ცხოვრების გაკვეთილები.

ლეონიდ ილიას ძეს სრულად ჰქონდა მომადლებული ნიჭი მთლიანად ეცხოვრა საზოგადოების ინტერესებით, ხალხის ინტერესებით. ასე იყო ყოველთვის, ჭაბუკობის წლებიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ლეონიდ ილიას ძემ კარგად იცოდა, რომ მარტო კეთილი სურვილები ლიტონი სიტყვებია. არ კმარა გამოთქვა სწორი აზრები, საჭიროა განამტკიცო ისინი ზუსტი ორგანიზატორული მუშაობით, გასაგები და მისაწვდომი გახადო მშრომელთა ფართო მასებისათვის. მას უყვარდა ადამიანები. იგი ენდობოდა ადამიანებს.

ლეონიდ ილიას ძე ვაჟკაცური სულის ადამიანი იყო. მან დაამტკიცა ეს არა მარტო დიდ სამამულო ომში, რომელიც განვლო პირველიდან უკანასკნელ დღემდე, ვაჟკაცობას ერთხელაც არ უღალატია მისთვის მთელი ცხოვრების გზაზე. იგი დიდად, მეტად დიდად აფასებდა თითოეულ ამხანაგში გამბედაობას, პრინციპულობას, სიმტკიცეს ყოველგვარი განსაცდელის ჟამს.

ლეონიდ ილიას ძის გვერდით ყოფნა, მისი მოსმენა, მისი მახვილი გონების, გამჭრიახობის, სიცოცხლის ტრფიალის თვალნათლივ შეგრძნება იყო სკოლა ყველა ჩვენგანისათვის, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება მის მხარდამხარ ემუშავა.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ფასდაუდებელ მემკვიდრეობას გვიტოვებს. ჩვენი 18-მილიონიანი პარტია ერთიანი და შეკავშირებულია. საბჭოთა ხალხს უსაზღვროდ სწამს პარტიის სიბრძნისა. ჩვენი ცხოვრების ნორმები გახდა მომთხოვნელობა და პატივისცემა კადრებისადმი, ურღვევი დისციპლინა და გაბედული სასარგებლო ინიციატივების მხარდაჭერა, შეურიგებლობა ბიუროკრატიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი და მუდმივი ზრუნვა მასებთან კავშირის განვითარებისათვის, საბჭოთა საზოგადოების ნამდვილი დემოკრატიზმისათვის.

ვუფრთხილდებოდეთ და ვავითარებდეთ ხელმძღვანელობის ამ სტილს, თვალისჩინივით ვიცავდეთ ყველაფერს, რაც თავისი სიტყვითა და საქმით ლეონიდ ილიას ძემ გვიანდერძა, — ჩვენი ვალია მისი ხსოვნის წინაშე, ჩვენი ვალია პარტიისა და ქვეყნის წინაშე. მტკიცე საწინდარი იმისა, რომ ასე იქნება, არის პარტიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელი ბირთვი, მისი ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო, რომელიც ჩამოყალიბდა ლეონიდ ილიას ძის გადამწყვეტი მონაწილეობით.

პოლიტბიუროს სახელით მინდა გამოვთქვა უღრმესი რწმენა, რომ ჩვენი პლენუმი მთელი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს, რომ პარტია კვლავაც მტკიცედ ივლის ლენინური კურსით, რომელიც თანამედროვე ეტაპზე მკაფიოდ და სრულად არის გამოხატული სკკპ XXIII-XXVI ყრილობების გადაწყვეტილებებით. ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომლის შემუშავებასა და შესრულებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, განხორციელდება მტკიცედ, თანამიმდევრულად და მიზანდასახულად.

ჩვენი ორიენტირები იყო, არის და იქნება ხალხის კეთილდღეობა და ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნება.

ჩვენ გვაქვს ვრცელი, კარგად აწონილ-დაწონილი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა. ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს, ასეთია პარტიის მითითება. ეს კი ნიშნავს, ინდუსტრიული და აგრარული სექტორების ტექნიკურ განახლებას, მართვის სრულყოფას და, რა თქმა უნდა, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მისი ნაყოფიერების ზრდას. ამ ბაზაზე განუხრელად განვითარდება ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკა, გაუმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა. ამავე ბაზაზე განმტკიცდება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

ჩვენ გვაქვს ოთხმოციანი წლების ვრცელი, კონკრეტული სამშვიდობო პროგრამა. იგი შეესაბამება ხალხის მისწრაფებებს. დაძაბულობის შენელება, განიარაღება, კონფლიქტური სიტუაციების დაძლევა, ბირთვული ომის საფრთხის აცილება — აი ამოცანები, რომლებსაც ვისახავთ. ჩვენ გვინდა საიმედო უშიშროება ჩვენთვის და ჩვენი მეგობრებისათვის, მსოფლიოს ყველა ხალხისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო!

ყველა ჩვენგანს, ალბათ, შეგნებული აქვს, რომ მეტად ჭირს იმ დანაკლისის შევსება, რომელსაც ლეონიდ ილიას ძის გარდაცვალების გამო განვიცდით. ახლა ორკეცად, სამკეცად უფრო საჭიროა კოლექტიურად გავუძღვეთ პარტიის საქმეს. ყველა პარტიულ ორგანოში ერთსულოვანი, ერთობლივი მუშაობა უზრუნველყოფს შემდგომ წარმატებებს როგორც კომუნისტურ მშენებლობაში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენს საქმიანობაშიც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა შექმნილი ვითარება და დამავალა პლენუმს შევთავაზო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიოს ამხანაგი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი. საჭიროდ არ მიმაჩნია გიამბოთ მისი ბიოგრაფია. იური ვლადიმერის ძეს კარგად იცნობენ პარტიასა და ქვეყანაში როგორც ლენინური პარტიის საქმისათვის თავდადებულ, ერთგულ კომუნისტს, როგორც ლეონიდ ილიას ძის უახლოეს თანამებრძოლს.

იური ვლადიმერის ძეს აქვს საშინაო და საგარეო პოლიტიკის, იდეოლოგიის დარგში მრავალმხრივი საქმიანობის გამოცდილება. იგი იყო კომკავშირული ხელმძღვანელიც და დიდი პარტიული მუშაკიც, დიპლომატიც. იგი საკმაოდ გაისარჯა სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცებისათვის, ჩვენი სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

ლეონიდ ილიას ძე დიდად აფასებდა მის მარქსისტულ-ლენინურ მრწამს, პარტიულობას, ფართო გონებრივ ჰორიზონტს, მის შესანიშნავ საქმიან და ადამიანურ თვისებებს. პოლიტბიუროს ყველა წევრს მიაჩნია, რომ იური ვლადიმერის ძემ კარგად შეითვისა ხელმძღვანელობის ბრეჟნევისეული სტილი, ხალხის ინტერესებისათვის ბრეჟნევისეული ზრუნვა, კადრებისადმი ბრეჟნევისეული დამოკიდებულება, მტკიცე გადაწყვეტილება მთელი ძალებით წინააღუდგეს აგრესორთა ხრიკებს, დაიცვას და განამტკიცოს მშვიდობა.

იური ვლადიმერის ძისათვის დამახასიათებელია პარტიული თავმდაბლობა, სხვა ამხანაგების აზრის პატივისცემა და კოლექტიური მუშაობისადმი მისწრაფება. პოლიტბიუროს ერთსულოვანი აზრით, ამხანაგი ანდროპოვი ღირსია ცენტრალური კომიტეტის ნდობის, პარტიის ნდობის.

ძვირფასო ამხანაგებო! თავს ვხრით რა ლეონიდ ილიას ძის ნათელი ხსოვნის წინაშე, ჩვენ საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ დაუცხრომლად განვაგრძობთ ჩვენს აღმშენებლობით მუშაობას. ყველაფერი, რის დამთავრებაც ვერ მოასწრო ლეონიდ ილიას ძემ, ყველაფერი, რაც მისი ხელმძღვანელობით დასახა პარტიამ, აღსრულდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი

**იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი** დაიბადა 1914 წლის 15 ივნისს რკინიგზელის ოჯახში სტავროპოლის მხარის სადგურ ნაგუტსკაიაში. აქვს უმაღლესი განათლება. სკკპ წევრია 1939 წლიდან.

თექვსმეტი წლის კომკავშირელი იყო, როცა ი. ვ. ანდროპოვმა მუშად დაიწყო მუშაობა ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის ქალაქ მოზდოკში. შემდეგ მისი შრომითი ბიოგრაფია გაგრძელდა ვოლგის სანაოსნოს გემებზე, სადაც მეზღვაურად მუშაობდა.

1936 წლიდან ი. ვ. ანდროპოვი კომკავშირულ სამუშაოზეა.

იგი არჩეული იყო იაროსლავლის ოლქის ქალაქ რიბინსკის სანაოსნო ტრანსპორტის ტექნიკუმის კომკავშირული ორგანიზაციის განთავისუფლებულ მდივნად. მალე დააწინაურეს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგის თანამდებობაზე ქალაქ რიბინსკის ვოლოდარსკის სახელობის გემთსაშენში. 1938 წელს იაროსლავლის ოლქის კომკავშირელებმა ი. ვ. ანდროპოვი აირჩიეს სრულიად საკავშირო ალკკ იაროსლავლის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1940 წელს ი. ვ. ანდროპოვს ირჩევენ კარელიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ი. ვ. ანდროპოვი კარელიაში პარტიზანული მოძრაობის აქტიური მონაწილეა. 1944 წელს, ფაშისტ დამპყრობთაგან პეტროზავოდსკის განთავისუფლების შემდეგ ი. ვ. ანდროპოვი პარტიულ სამუშაოზეა. მას ირჩევენ პარტიის პეტროზავოდსკის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად, 1947 წელს კი კარელიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად.

1951 წელს ი. ვ. ანდროპოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით გადაჰყავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში და ნიშნავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორად, შემდეგ კი ქვეგანყოფილების გამგედ.

1953 წელს პარტიამ ი. ვ. ანდროპოვი დიპლომატიურ სამუშაოზე გაგზავნა. რამდენიმე წელს იყო იგი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში.

1957 წელს ი. ვ. ანდროპოვი დააწინაურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგედ.

პარტიის XXII და მომდევნო ყრილობებზე ი. ვ. ანდროპოვს ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად.

1962 წელს ი. ვ. ანდროპოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩიეს.

1967 წლის მაისში ი. ვ. ანდროპოვი ინიშნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ. იმავე წლის ივნისში იგი არჩეულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

1982 წლის მაისში ი. ვ. ანდროპოვი აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

1973 წლის აპრილიდან ი. ვ. ანდროპოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრია.

იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი სსრ კავშირის მთელი რიგი მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

ყველა პოსტზე, სადაც კი პარტიის ნებით ილვწოდა ი. ვ. ანდროპოვი, ვლინდებოდა მისი ერთგულება ლენინის, პარტიის დიადი საქმისადმი. იგი მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, კომუნისტური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლას.

სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის ი. ვ. ანდროპოვს — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეს — 1974 წელს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. იგი დაჯილდოებულია ოთხი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციისა და წითელი დროშის ორდენებით, სამი შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# უკვდავი თარიღი

არსებობს კაცობრიობის ისტორიაში ძვირფასი თარიღები! თარიღები ისტორიის პროგრესისაკენ შემობრუნებისა — თარიღები დიდი ადამიანების დაბადებისა... თარიღები, რომელთა გახსენებაც გულს სიამაყითა და სიხარულით ავსებს! უმრავლეს შემთხვევაში ყოველ ერს თავისი გამორჩეული თარიღი აქვს; თავისი ქვეყნის, თავისი ისტორიის ნათელი ფურცლები... სხვანაირად ძვირფასია ჩვენთვის, ქართველებისათვის, წელი დიდგორის ეპოპეისა, რუსთველისათვის — წლები თათარ-მონღოლთა ბატონობის დამსხვრევისა...

მაგრამ არსებობს თარიღი, რომელიც ერთნაირად ძვირფასია რუსისა თუ ქართველისათვის, სომეხისა თუ უკრაინელისათვის. ტაჯიკისა თუ თურქმენისათვის, მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებისათვის!

ეს არის თარიღი მსოფლიო ისტორიის შემობრუნებისა, მანამდე არნახული რევოლუციის გამარჯვებისა! თარიღი, როცა „ავრორას" ქუხილმა მთელ მსოფლიოს ამცნო ქვეყნად ახალი, სოციალისტური წყობილების გამარჯვება, როცა რეალობად იქცა მუშათა და გლეხთა დიდი ხნის ნაოცნებარი, როცა საფუძველი ჩაეყარა ახალ სოციალისტურ წყობილებასა და სახელმწიფოს, როცა სოციალური მონობის უღელი გადაიგდო მშრომელმა ხალხმა და „იქმნა ნათელი"!

1917 წლის ის დაუვიწყარი დღეები, რომელმაც შესძრა მთელი მსოფლიო, უკვდავ და დაუბინდავ შუქურასავით ბრწყინავს მას მერე და, რაც ხანი გადის, სულ უფრო და უფრო ემატება ბრწყინვალება. მისი ალისფერი ნათელი დღითიდღე თანდათან ეფინება მთელი მსოფლიოს მშრომელ ხალხს და როგორც ნანატრი საბოლოო ნავსაყუდელისაკენ, ისე ისწრაფვის მისკენ მთელი კაცობრიობა!

არსებობს თარიღები, რომელთაც ვიხსენებთ ხოლმე და არსებობს თარიღი, რომლის დავიწყებაც შეუძლებელია. რომელიც ჩვენს მკერდში გულთან ერთად ფეთქავს და სიცოცხლესავით უკვდავების მარცვლები აქვს შერეული! თარიღი, რომელიც ყოველთვის თვალწინ გვიდგას. ისე როგორც შემოქმედი ამ დიადი თარიღისა — ვლადიმერ ილიას ძე ლენინი!

ჩვენს ქართულ მწერლობას მარად სასიქადულოდ ექნება ის ფაქტი. რომ ჯერ კიდევ იმ დღეების ცხელ კვალზე დაიწერა გალაკტიონის უკვდავი სტრიქონები: „სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა" ერთ-ერთმა პირველმა ქართულმა გენიამ გაიგონა და ეს სიმღერა საქართველოში ჩამოიტანა! „მუხამ პირველმა იგრძნო ალიონი" და ამ გათენების იმედიანი განწყობილებები უძვირფასეს მემკვიდრეობად დაუტოვა ქართველ ხალხსა და ქართულ მწერლობას.

ჩვენს ახალგაზრდობას ღრმადა აქვს შესისხლხორცებული, ძვალსა და სისხლში აქვს გამჯდარი წმინდათაწმინდა ტრადიცია მამებისა და პაპებისა, ტრადიცია დიდი რევოლუციონერებისა: ჩვენი ცხოვრების წესსა და კანონს ოქტომბრის იმ დღეებმა მისცა დასაბამი და რა უნდა იყოს იმაზე უფრო ძვირფასი და სანეტარო, ვიდრე ამ ტრადიციების მოვლა და მოფრთხილება. მათი დღევანდელობის შესაბამისად გამოყენება და განვითარება!

ეს დიადი მდინარე თანდათან ძალას იკრებს, თანდათან კალაპოტს იფართოვებს და შეუჩერებელია მომავლისაკენ მისი სრბოლა!

წმინდაა ამ მდინარის სათავე!

უკვდავია მისი დაბადების თარიღი!

ჩვენც ამ სიწმინდისა და უკვდავების ნათელი გვადგას!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჯემალ ქარჩხაძე

# ქარავანი

რომანი

## თავი მეშვიდე

საღამოს ასლანი და აბელი თეატრში წავიდნენ. ხანამ დირექტორის კაბინეტს მიაღწევდნენ, ასლანმა გზად შემხვედრი რამდენიმე თანამშრომელი გააცნო.

მისაღებში მაყვალა არ დახვდათ. საღამოობით ალბათ არ ევალებოდა მოსვლა. კაბინეტიდან ხმამაღალი, უკმაყოფილო ლაპარაკი ისმოდა.

— შეგვჭამა არიოსტომ, — ღიმილით თქვა ასლანმა და კარი შეაღო.

დირექტორმა მოიხედა და შეწუხებული, საგონებელში ჩავარდნილი სახე აბელის დანახვაზე უცებ გაუბრწყინდა.

— ა, ბიჭო, აგერ არაა კაცი?! — შესძახა გახარებულმა. მარცხენა ხელი ჯერ შუბლში იტკიცა და მერე აბელისაკენ გამოიშვირა: — ეს როგორ არ გამახსენდა!

კაბინეტში დირექტორის გარდა, კიდევ ორი კაცი იყო. ერთი ასე, ოცდაათი-ოცდათორმეტი წლისა, მოკლედ შეკრეჭილი, გვერდზე გადავარცხნილი შავი თმით, ცისფერი თვალებით, ჯინსის შარვლითა და მხრებზე წამოსხმული ყავისფერი ტყავის ქურთუკით, სავარძელში იჯდა, გადაჯვარედინებული ხელები მკერდზე დაეკრიბა, ფეხი ფეხზე შემოედო და ზედა ფეხის ტერფს რიტმულად აქანავებდა. მეორე სამოცს წელს იქნებოდა მიტანებული, მაღალი იყო, გრძელი, ჭაღარა ფაფარი მხრებზე ეყარა, დოინჯშემოყრილი, ცოტა გაჯგიმული იდგა და ისეთი პოზა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს მსმენელებისთვის რაღაც ურთულესი ამოცანა მიეცა და დარწმუნებით იცოდა, სწორ პასუხს ვერავისგან მიიღებდა.

დირექტორის შეძახილზე ორივემ მოიხედა. იმ მაღალმა, გაჯგიმულმა, აბელი ეჭვით შეათვალიერა, უნდო მუშტარი რომ ბაზარზე ვაშლს შეათვალიერებს. მერე დირექტორს მიუბრუნდა:

— ეს ვინაა?

— ჩვენი ახალი მსახიობია. გაიცანით ერთმანეთი. ეს რეჟისორი არიოსტო

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 9. № 10.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხოფერიაა, — გაჯგიმულზე მიუთითა დირექტორმა აბელს. მერე სავარძელში მჯდომისკენ გაიშვირა ხელი: — ესეც მთავარი რეჟისორი რომან ადეიშვილი.

გაჯგიმულმა წამით მოხედა აბელს.

— გამარჯობა, გენაცვალე, — უთხრა და ისევ დირექტორისაკენ შეტრიალდა.

რომან ადეიშვილი წამოდგა. აბელზე დაბალი იყო, მკვრივი და ჩასკვნილი. მან ხელი ჩამოართვა აბელს და ჰკითხა:

— სექტემბერში რომ უნდა ჩამოსულიყავით, არა?

— დიახ, — მიუგო აბელმა.

— ძალიან კარგი.

არიოსტო ხოფერია მთავარ რეჟისორს მიუბრუნდა და მოუთმენელი კილოთი ჰკითხა:

— მითხარით ახლა, რას მიშვრებით?

— აგერ კაცი. —აბელისკენ გამოიშვირა ხელი რომან ადეიშვილმა. — საგანგებოდ შენთვის ჩამოსულა და მეტი რაღა გინდა!

— მე შექსპირს ვდგამ, — ხაზგასმით, თითქმის მარცვალ-მარცვალ თქვა არიოსტო ხოფერიამ. — „რომეო და ჯულიეტას“ ვდგამ მე. მე ტიბალტის როლს შემთხვევით კაცს ვერ მივცემ.

— რას ქვია შემთხვევითი! — ხმას აუწია დირექტორმა. — თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა ადამიანმა!

— თუ შეიძლება, დაბალ რეგისტრში ილაპარაკე, — დამრიგებლური კილოთი უთხრა არიოსტო ხოფერიამ. — თეატრალურ ინსტიტუტს ყველა ამთავრებს, ვისაც არ ეზარება. ჩემთვის შემთხვევითია. ჯერ ხმა არ გამიგონია მაგისი და ტიბალტის როლს როგორ მივცემ!

— არიოსტო, — უთხრა მთავარმა რეჟისორმა. — როგორც გაგვწვდება ეს ოხერი საბანი, ისე გადავიფაროთ. ხომ ხედავ, მე სანახევროდ სცენის მუშები მყავს დაკავებული.

— შენ ნუცას სკოლას დგამ. მე შექსპირს ვდგამ. „რომეო და ჯულიეტას“ ვდგამ მე.

— მერე მე უფრო ცოდო არა ვარ? შექსპირი, რომც ჩაგივარდეს, ლიტერატურა მაინც იქნება და საწყალი ადგილობრივი დრამატურგის ნაცოდვილარი თუ ჩამივარდა, შენ რომ ნუცას სკოლას ეძახი, მოგჭამა ჭირი, არაფერი აღარ დამრჩება.

— ადგილობრივი დრამატურგის ნაცოდვილარი თუ ჩაგივარდა, პიესაც დაბრალდება. „რომეო და ჯულიეტა“ რომ ჩამივარდეს, რა ვქნა, შექსპირს დავაბრალო? პიესა არ ვარგოდა-მეთქი, ვთქვა?

— კაცო, შენ იმაზე კი ნუ ფიქრობ, თავი როგორ იმართლო, — ჩაერია დირექტორი. — იმაზე იფიქრე, სპექტაკლი როგორ გააკეთო.

— მსახიობი მჭირდება მე.

— წაიყვანე ჩემგან, ვინც გინდა, — უთხრა რომან ადეიშვილმა. — და მე სამაგიეროდ ამ კაცს დავაკავებ.

— მაგ არ არის პასუხი.

— აბა რა გინდა, კაცო?!

— შენი გამონაცვალი პერანგი მინდა, — მშვიდად, ტკბილად უთხრა არიოსტო ხოფერიამ. — აგერ შენი დირექტორის გამონაცვალი პერანგი მინდა. კულტურის განყოფილების გამგის გამონაცვალი პერანგი მინდა.

— კოლექციას თუ აგროვებ, არიოსტო, მილიციის უფროსს გამოუცვლია წუხელ მაქმანებიანი პერანგი, — თქვა ასლანმა.

— შენ, ძმაო, — გაცხარებით მიუბრუნდა მას არიოსტო ხოფერია. — კაის ჭამ, კაის სვამ და კი ხარ მუდამ ლრეჭის ჯუნებაზე. ერთი მე მკითხე! — აქ ისევ დირექტორს მიუტრიალდა: — მქონდა რამე პრეტენზია? ავიღე პიესა, გავანაწილე როლები. მყავდა ტიბალტის როლზე მშვენიერი მსახიობი. რა ჩემი ბრალია, რომ ის კაცი ბანდიტი გამოდგა!

— იმასაც რაღა ახლა მოუნდა ძარცვა-გლეჯა! — შენიშნა ასლანმა. — პრემიერამდე მაინც მოეცადა.

— რა ვქნათ, რას მიპირებთ? — ისევ იკითხა არიოსტო ხოფერიამ.

— დასი მე და შენა გვყავს განაწილებული, — უთხრა მთავარმა რეჟისორ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მა. — ნაწილი შენთანაა, ნაწილი — ჩემთან. ვინც შენთანაა, შენს ხელშია. ვინც ჩემთანაა, იმათგან, რომელიც მოგწონს, დაადე ხელი და წაიყვანე. მე რამეს მოვახერხებ. მეტი რა გიყო!

არიოსტო ხოფერიამ ამაზე ერთხანს ვერაფერი თქვა. დირექტორმა პაუზით ისარგებლა და აბელს ჰკითხა:

— თქვენ რას იტყვით ტიბალტის როლზე?

— ინსტიტუტში მაქვს ნათამაშევი,— მიუგო აბელმა.

— ა! — გაეხარდა დირექტორს.

— რა „ა“! — გაბრაზდა არიოსტო:— უარესი არაა?! როგორიცა აქვს ჩაჭედილი თავში, ისე ითამაშებს. იქნება მე სხვანაირ ინტერპრეტაციას ვაპირებ! - სიტყვა „ინტერპრეტაცია“ ხაზგასმით, თითქმის მარცვალ-მარცვალ თქვა.

აბელმა ტუჩი მოიკვნიტა. დირექტორმა ამოიოხრა. მთავარმა რეჟისორმა თქვა:

— სხვა მე არაფერი შემიძლია. თუ არ გინდა, დაანებე თავი. მოვიწვევთ ვინმეს და დავადგმევინებთ.

არიოსტო ხოფერია წამით შეცბა. მერე ხელი ჩაიქნია.

— მოვიდეს რეპეტიციაზე და ვნახავ. სხვა ხეირი თქვენგან მაინც არაფერი [illegible]ება, — ამ სიტყვებით შეტრიალდა, სწრაფად გავიდა და კარი გაიჯახუნა.

იმავ წამს კაბინეტში გედეონ რევია შემოვიდა. ერთხანს ზღურბლზე შედგა. ღია კარი ხელით ეჭირა და უკან იყურებოდა. მერე მოტრიალდა, კარი მიხურა და ისეთი ღიმილით, რომელიც ძნელი გასარჩევი იყო, დამხდურებს ეხებოდა, არიოსტო ხოფერიას, თუ თვითონ გედეონ რევიას, იკითხა:

— დაკბინეთ . თუ დაგკბინათ?

— კბენამდე არ მისულა საქმე, — თავაულებლად თქვა დირექტორმა და ორივე ხელით ყურის ბიბილოები დაიზილა. — მშვიდობიანად დავშორდით ერთმანეთს.

— მშვიდობა მოგცეთ ღმერთმა. რა გაქვთ, კაცმა რომ თქვას, გასაყოფი!

— თქვენი არ ვიცი და, მე უკვე დამასნეულა, — შუბლი მოისრისა მთავარმა რეჟისორმა.

გედეონ რევიამ მთავარ რეჟისორს შეხედა თავისი გამოუცნობი, უმისამართო ღიმილით. მერე აბელს ჰკითხა:

— სპექტაკლზე აპირებთ დასწრებას?

— დიახ.

— წინასწარ ვიცოდე, — ისევ გაიღიმა. — რომ მონდომებით ვითამაშო და თავი არ შევირცხვინო.

აბელმა ნათქვამი ხუმრობად მიიღო. თუმცა, რაკი გედეონ რევიას ჯერ კარგად არ იცნობდა, არც იმას გამორიცხავდა, რომ ეს საკუთარი სისუსტის ირონიული აღიარება ყოფილიყო. გონებამახვილი ბერიკაცები ხომ თვითონვე ოხუნჯობენ ხოლმე საკუთარ პატივმოყვარეობაზე.

ყოველ შემთხვევაში, სპექტაკლის შემდეგ აბელისათვის ერთი რამ ცხადი შეიქნა: გედეონ რევია იყო ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობი იმათ შორის, ვინც კი ოდესმე ენახა.

მაყურებელი სულგანაბული უსმენდა სპექტაკლს, მთელი არსებით განიცდიდა იმას, რაც სცენაზე ხდებოდა, იცინოდა, როცა მისგან სიცილს მოითხოვდნენ, ოხრავდა, როცა ოხვრას მოითხოვდნენ, ტაშს უკრავდა, როცა ტაშს მოითხოვდნენ და ფეხებზე ეკიდა სქემატურობაც, სიყალბეც, პათეტიკაც, საერთოდ, მთელი ის უბედურება, რაც დრამატურგის, რეჟისორისა და მსახიობის თავს ტრიალებდა. სპექტაკლი რომ დამთავრდა და ავანსცენაზე გამოსული მონაწილეები ღიმილით ხრიდნენ თავს და მადლობას უთვლიდნენ მაყურებლებს, რომლებიც, თავის მხრივ, დიდხანს და აღფრთოვანებით უკრავდნენ ტაშს, აბელს გული შეეკუმშა, ისე შეებრალა მსახიობები, განსაკუთრებით ხანდაზმულები, და ისე შეეზიზღა მაყურებლები, განსაკუთრებით ახალგაზრდები.

ყველაზე მეტად ის სიხარული და კმაყოფილება აღიზიანებდა, რასაც მსახიობი და მაყურებელი ერთმანეთს ანიჭებდა, ერთი — თავისი თამაშით და მეორე — ამ თამაშის შეფასებით. მად-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლობის სათქმელად გამოსული მონაწილეები სულ წინ და წინ მოიწევდნენ, ბოლოს და ბოლოს ავანსცენის კიდეს მიადგნენ და პარტერს მოებჯინენ. თავის მხრივ, პარტერიც წინა რიგებს მიაწყდა, შეჯგუფდა, შემჭიდროვდა და ავანსცენას მიებჯინა. იდგა იქ ორივე მხარე ლამის ერთ არსად ქცეული, შეჰხაროდა ერთმანეთს, სახეში შესციცინებდა ერთმანეთს, ტაშს უკრავდა ერთმანეთს. და ალბათ ყველას გული უჩქროლავდა.

აბელს ძარღვები მოუდუნდა და საკუთარი თავი შეეზიზღა. სცენისა და დარბაზის ექსტაზამდე მისული კმაყოფილება, რომელიც რაღაც გამოუცნობი თვისებით ერთდროულად განწირულებასაც ჰგავდა და უცნაურ შეთქმულებასაც, იმდაგვარად იფილტრებოდა აბელის ახეულში, რომ ულრმეს ფენებში, სადაც, ეტყობა, იდეის გაცხადება ხდება, საკუთარი არარაობის გრძნობად ილექებოდა. აბელს ვერ გაეგო, რა კავშირი ჰქონდა მას ყოველივე ამასთან, მაგრამ რომელიღაც უცხო გრძნობით გრძნობდა, რომ მსახიობთა ყალბი თამაშიცა და დარბაზის წრეგადასული ოლტაცებაც მისი არარაობის უტყუარ საბუთს ძერწავდა და, ვინ იცის, იქნებ შეთქმულებაც ამაში მდგომარეობდა.

დარბაზიდან გამოვიდა, დერეფანში შეჩერდა და მიმოიხედა. ასლანი დერეფნის ბოლოში იყო. იქ, ვრცელი ფოიეს კუთხეში, გამოჩენილი მსახიობებისა და თეატრალური მოღვაწეების სურათებქვეშ, კედელზე მიმაგრებულ ხის მერხზე იჯდა მთავარ რეჟისორთან და ვიღაც ახალგაზრდა ქალთან ერთად და, როგორც ჩანს, აბელს ელოდა. ასლანის დანახვაზე აბელს მისი შვილები მოაგონდა. ნინიკო — პატარა, მშვიდი ანგელოზი, ტყუპები — ორი ჯანმრთელი ბოქვერი, ორივე გონიერი და თავდაჭერილი. გოგიტა — ნაბოლარა, ტიტლიკანა, სასაცილო, რომელიც იმდენად პატარაა, რომ ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა დამოუკიდებელ, ცალკე ადამიანად, ჯერ კიდევ მშობლებში და-ძმებშია გაბნეული და მათში უკეთ პოულობს საკუთარ არსებობას, ვიდრე თავის თავში.

აბელმა ერთი კი ჩაიღიმა, მაგრამ ეს წამიერი რეაქცია იყო. ბავშვების გახსენებამ გული უფრო დაუმძიმა და გუნება უფრო გაუფუჭა, რადგან გახსენებისთანავე წარმოიდგინა, როგორ გაიზრდებიან ისინი და როგორ ჩაებმებიან ამ შემზარავ შეთქმულებაში. ზოგი ერთი მხრიდან, ზოგი მეორე მხრიდან. „ნინიკოს აქვს რაღაც არტისტული“, — გაიფიქრა აბელმა. ნინიკო გამოვა სცენაზე და ყალბი, განწირული პათეტიკით წარმოთქვამს რომელიმე სულელურ მონოლოგს.

აბელს ნია გაახსენდა. ამ გახსენებამ სევდიანი სიამოვნება შემოიტანა სხეულში. მერე მოგონება ისევ გაქრა და აბელი იქით გაეშურა, სადაც ასლან გორდაძე ელოდა.

— გაიცანი, მერი, — უთხრა რომან ადეიშვილმა ახალგაზრდა ქალს, რომელიც მასა და ასლანს შუაში ეჯდათ. — ეს არის აბელი, ჩვენი ახალი მსახიობი.

ახალგაზრდა ქალს გრძელი, სწორი შავი თმა მხრებზე სცემდა, ქუთუთოებზე და თვალის უპეებში მუქი ცისფერი საღებავი ეცხო. მკვეთრად მორკალული, წვრილი წარბები ჰქონდა, მუქი, პრიალა სახის კანი, მოზრდილი, ვნებიანი პირი და თხელი ნესტოები. შავი ჩექმები ეცვა, ძალიან გრძელი ქვედაკაბა და მაღალყელიანი, თეთრი, ფაფუკი ჯემპრი, რომლიდანაც მისი გამხდარი ტანისათვის, ცოტა არ იყოს, შეუფერებლად მაღალი მკერდი ამობურცოდა. მუხლებზე დაუდევრად გადაკეცილი ზამშის პალტო ედო.

ქალმა, ძალიან სასიამოვნოაო, თქვა და ღიმილით გამოუწოდა ხელი აბელს. მერე გულდასმით, საკმაოდ მოურიდებლად აათვალიერ-ჩაათვალიერა და, თვალი არ მოუშორებია, ისე იკითხა:

— და პირდაპირ არიოსტოს მიუგდეთ შესაჭმელად?

---

**ჯემალ ქარჩხაძე**

ქარავანი

[illegible library stamp]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბელს გაეღიმა. დღეს უკვე მესამედ ლაპარაკობდნენ მის შესახებ მისივე თანდასწრებით.

— არისტოს სკოლას რომ გაივლის, სხვებთან უფრო გაუადვილდება მუშაობა, — თქვა მთავარმა რეჟისორმა.

— „სხვები“ შენა ხარ? — კეთილმოსურნე ირონიით ჰკითხა ქალმა.

— თუნდაც მე, — დაუდევრად მიუგო მთავარმა რეჟისორმა, რომელიც მერხს გადასწოლოდა, გაშლილი ხელები აქეთ-იქით ეწყო საზურგეზე და ფეხი ფეხზე ჰქონდა შემოდებული.

— ნუ შემიშინებთ ამ კაცს, თორემ დაჰკრავს ფეხს და ამაღამვე გამექცევა თბილისში, — შენიშნა ასლანმა.

— არა, ასლან, სად უნდა გავიქცე! — უთხრა აბელმა. — ბოლოს და ბოლოს შეუაჭმელად თუ ვარ გაჩენილი, რა მნიშვნელობა აქვს, აქ შემჭამენ თუ თბილისში, — ამ სიტყვებზე ქალს მიუბრუნდა: — ასე არ არის?

ქალმა ხმამაღლა გაიცინა.

მთავარმა რეჟისორმა სულ ოდნავ მოატრიალა თავი, წამით ქალს შეხედა და მერე აბელს მიუბრუნდა:

— მერიც არისტოსთანაა დაკავებული. ჯულიეტას თამაშობს.

აბელს მოეჩვენა, თითქოს ოდესღაც სადღაც ენახა შექსპირის პორტრეტი, რომელსაც სევდიანი და ცოტა შესაბრალისი გამომეტყველება ჰქონდა. ეს ჩვენება რომ გაქრა, მთავარ რეჟისორს შეხედა და გაიღიმა. თავისმა ღიმილმა ჯატომღაც გედეონ რევიას ღიმილი მოაგონა. მერე მერის უთხრა:

— მაშ, არ ამცდება თქვენი მიჯნურის ხელით სიკვდილი.

მერიმ ისევ გაიცინა.

— არ წავიდეთ? — იკითხა ასლანმა.

— წავიდეთ, — მიუგო მერიმ.

ეზოში გამოვიდნენ და მანქანაში ჩასხდნენ. ასლანმა მერი გვერდით მოისვა. აბელი და რომან ადეიშვილი უკან დასხდნენ.

— სპექტაკლი მოგეწონათ? — ჰკითხა რომან ადეიშვილმა აბელს.

— არა, — მიუგო აბელმა. — არ მომეწონა.

რომან ადეიშვილს გაეცინა, ეტყობა აბელის გულახდილობაზე. წყენით არ სწყენია.

— რა ვქნათ! რაც შეგვიძლია, იმას ვაკეთებთ.

ასლანმა დასახლებული კვარტალის სიღრმეში გადაუხვია, ერთ მაღალ სახლთან დაამუხრუჭა და იკითხა:

— ჩადის ვინმე ამ გაჩერებაზე?

რომან ადეიშვილმა კარი გააღო.

— ამოდით. შემოსწრებულის სადღეგრძელო დავლიოთ, — ხელი აბელისკენ გაიშვირა.

— მაგ საქმისთვის მე ხვალინდელი დღე მაქვს შეგულებული, — უპასუხა ასლანმა. მერე აბელს შეხედა, — თუ გინდა, ავიდეთ. ჩემისთანა ღვინო არა აქვს, მაგრამ დალევით დაილევა.

— პირადად მე წინააღმდეგი ვარ. — გაიღიმა აბელმა. — ისე კი მანდილოსანმა გადაწყვიტოს.

— მე მომხრე ვარ, — თქვა მერიმ და მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა: — იმისი, ვინც წინააღმდეგია.

რომან ადეიშვილს თავი აღარ გამოუდვია. ხელი ჩაიქნია და თქვა:

— მაშ, კარგად იყავით.

— რომან! — მიაძახა უკვე მიმავალს ასლანმა.

რომანი მოტრიალდა.

— ხვალ არსად წახვიდე. მე დილით სოფელში ჩავირბენ, ნანოს დედ-მამას ამოვიყვან. მერე მართლა გავმართოთ ლუდხანაში პატარა კონფერენცია.

— ან სახლში ვიქნები, ან თეატრში.

ასლანმა მანქანა დაძრა.

— მაშ, შენ ჩურჩხელებსაც ჩამოიტან სოფლიდან, — უთხრა მერიმ.

— ჩურჩხელები ჩამოუტანლადაც ბევრი მაქვს, მაგრამ შენ რაღაც მოგვიძულე ამ ბოლო დროს. ნანო ყოველდღე გკითხულობს.

— აღარ მოგიძულებთ, — თქვა მერიმ და ხმის კილოზე შეეტყო, რომ გაიღიმა.

მერი ცენტრიდან ცოტა მოშორებით, შემაღლებულ ადგილას ცხოვრობდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანქანა ალაყაფის კართან გაჩერდა. მაღალი ღობიდან აგურით ნაგები სახლის მხოლოდ ზედა სართული ჩანდა. ეტყობოდა, სახლის ირგვლივ კარგა მოზრდილი ეზო უნდა ყოფილიყო.

— დიდი მადლობა, — თქვა მერიმ და მანქანიდან გადავიდა.

— გამოიარე! — მიაძახა ასლანმა.

მერიმ თავი დაუქნია, ჭიშკარი შეაღო და ეზოში გაუჩინარდა.

ნანოს არ ეძინა. აბელს წამით მოეჩვენა, თითქოს სახლი ხომალდი იყო. ხოლო ნანო შორეულ ქვეყნებში მიმავალი მგზავრი, რომელიც გემბანზე იდგა და ნაპირზე დარჩენილებს ეთხოვებოდა. მერე ჩვენება გაქრა და აბელი, ასლანთან ერთად, ზემოთ ავიდა.

— გშიათ? — იკითხა ნანომ.

— რაღა დროს შიმშილია! — იუარა აბელმა.

ასლანმა შეხედა.

— სულ არაფერი გინდა?

ასლანის ხმაში რაღაც უცნაური, საოცრად უბრალო და საოცრად შინაურული კილო ისმოდა. და როცა ამ კილომ სხეულში ტალღასავით დაუარა, აბელმა, სულ რომ არ მოელოდა, ისე თქვა:

— ნახევარ ჭიქა არაყს დავლევ.

— აგაშენა ღმერთმა! — გაეხარდა ასლანს. მერე ბავშვური, გაბადრული ღიმილით ცოლს მიუბრუნდა, მარცხენა ხელის თითი და მარცხენა წარბი ასწია და თქვა: — მოვაქცევთ ჩვენს რჯულზე!

დიდ ოთახში შევიდნენ. ნანომ არაყი და ხაჭაპური გამოიტანა. სხვა რამის გამოტანასაც აპირებდა, მაგრამ აბელმა ხელები გაასავსავა. არც ასლანს შიოდა. მაშინ ნანო თვითონაც მაგიდას მიუჯდა.

— შეეჩვიეთ აქაურობას? — ჰკითხა აბელს.

— რა ვიცი. შევეჩვევი ალბათ.

— შეეჩვევით.

კაცებმა თითო ჭიქა არაყი დალიეს და თითო ლუკმა ხაჭაპური დააყოლეს. მერე აბელი მასპინძლებს გამოეთხოვა და თავის ოთახისკენ წავიდა, მაგრამ ერთხელ კიდევ მოტრიალდა გზიდან.

— ხვალ მაქვს რეპეტიცია?

— არა, ხვალ ორშაბათია. ვისვენებთ ზეგ. ზეგ თერთმეტ საათზე, — აქ ცოტა შეყოვნდა, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი და მარჯვენა წარბი ასწია და დაუმატა: — არიოსტო!

აბელი თავის ოთახში შევიდა, ჭაღი გამორთო, მაგიდის ლამპა ჩართო და სავარძელში ჩაჯდა. ერთბაშად დაღლილობა იგრძნო. დილაადრიან რომ ქალაქში იხეტიალა, მას შემდეგ პირველად ახლა დარჩა მარტო.

ერთხანს ასე იჯდა. დაბალი სავარძლის დამრეც საზურგეზე მთელი ტანით გადაწვა, ფეხები გაშხლართა, ხელები ფართო, რბილ სახელურებზე დააწყო. იჯდა მოშვებული, მოდუნებული, არც არაფერს ფიქრობდა, არც არაფერს გრძნობდა. მისი სხეული ახლა თითქოს ცხრილი იყო, ხოლო სამყარო — ქარი და მდინარე, რომლებიც ამ ცხრილს სრულიად ვერ გრძნობდნენ, თავისუფლად შემოდიოდნენ და დაუბრკოლებლად გადიოდნენ მეორე მხარეს, ისე რომ თავიანთი არსებობის არავითარ კვალს არ ტოვებდნენ. მერე, როცა დასვენებული წამოდგა და ტანთ გახდა დაიწყო, კულისებში ჩასაფრებული შთაბეჭდილებები ერთბაშად ამოძრავდნენ, დაიძრნენ. წამოვიდნენ თავიანთი საფრიდან და არეულად, უწესრიგოდ შემოლაგდნენ გონებაში.

ჯემპრი რომ წაიძრო თავიდან, მხედველობის არეში მაგიდაზე დაწყობილი წიგნები მოჰყვა და სხეულში სითბომ ჩაიარა, თითქოს უცხო ქალაქში, უცხო ხალხში მოხვედრილი, მოწყენილი და გაბეზრებული, მოულოდნელად ძველ მეგობარს გადაეყარა. საცვლების ამარა მივიდა მაგიდასთან, სათითაოდ აიღო რამდენიმე წიგნი, გადაფურცლა, დახედა, თითო-ოროლა სიტყვა წაიკითხა, უკანვე დააწყო, დაწვა და მაგიდის ნათურა გამორთო.

პირველი დღე დამთავრდა. ხვალ მეორე დღე დაიწყება. სევდა კვლავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოძვრა რომელიღაც ხვრელიდან. მალე ყველა პირველი დამთავრდება, შთაბეჭდილებები განელდება და გატკეპნილი გზა გამოჩნდება. ხვალ ლუდხანაში პირველი „კონფერენცია“ გაიმართება. მალე პირველად ნახავს ყველას, ვინც არ უნახავს და ვისთანაც ურთიერთობა უნდა ჰქონდეს. პირველად გაისეირნებს ღამით ქალაქის ცენტრში, პირველად ითამაშებს სპექტაკლში. პირველად ჩავა მდინარის პირას, ტირიფის ჭალაში. პირველად შევა თავის ბინაში, რომელსაც ასლანი ორ თვეში ჰპირდება. ასე გაივლის ყველა პირველი, დაიწყება მეორე. ყველაფერი ჩვეულებრივი გახდება, ეს პატარა ქალაქი, რომელიც დღეს ახალია, ნაცნობი და მოსაბეზრებელი გახდება.

## თავი მერვე

გამყიდველს ხელები მკერდზე ჰქონდა დაკრებილი და მშვიდი ბანით ლაპარაკობდა. და მხოლოდ თვალებიდან აკვესებდა რაღაცას ისეთს, რაც პოლემიკის მძაფრ წყურვილს ჰგავდა.

გედეონმა ერთი ცერად შეხედა და ისევ აბელს მიუბრუნდა:

— ასლანი სადაა? ასე უმეთვალყურეოდ როგორ დაგტოვათ?

აბელმა გაკვირვებით შეხედა. მერე გაიღიმა.

— სამეთვალყურეო რა მჭირს? დავიკარგები?

— გააჩნია, ვისთვის. გამორიცხული არაფერი არ არის. მოათავეთ ვაჭრობა თუ კიდევ ყიდულობთ რამეს?

— არა. მეტს აღარაფერს ვყიდულობ.

— მაშინ გავიდეთ. მზეზე გავთბეთ. თუ არსად გეჩქარებათ, წავისაუბროთ კიდეც ცოტა.

აბელმა კარი გამოაღო, ჯერ მოხუცი გაატარა, მერე თვითონ გავიდა და ზურგს უკან კარი ისევ მიიხურა. მზე უფრო მაღლა წამოსულიყო და მთელ ქუჩას ანათებდა.

— იმ კაცს მგონი კამათი უნდოდა, — თქვა აბელმა.

— თუ შეგიმჩნევიათ... თუმცა როდის უნდა შეგემჩნიათ! დაგიდგებათ დრო და შეამჩნევთ, რომ, როცა მოულოდნელად გამოიდარებს, როცა უდროო დროს გამოანათებს მზე, ადამიანს ყოველთვის ახალგაზრდობა გაგონდება. ეტყობა, სისხლი რომ თბება და ძარღვებში უფრო სწრაფად იწყებს მოძრაობას, იმიტომ. სითბოზე ხომ უფრო სწრაფად უნდა ამოძრავდეს ფიზიკის კანონების მიხედვით? — გედეონმა თითი აბელის იღლიაში ამოჩრილ წიგნს მიაშვირა. — კამათი არ უნდოდა იმ კაცს. ის კაცი დრო და დრო ღმერთს ელაპარაკება.

— როგორ?..

— რა „როგორ“? რა ენაზე ელაპარაკება? ეგ არ ვიცი. ალბათ ქართულად არ ელოდინება, ვითომ, ღმერთს ქართული? შესაძლებელია, „გარეგანი“ ენით არც ელაპარაკება. მთავარია, ერთმანეთს აგებინებენ. კამათი არ უნდოდა. როცა კაცი ღმერთს ელაპარაკება, ის აღარ კამათობს. ის ქადაგებს, რადგან საკამათო უკვე აღარაფერი აქვს.

ამ ამბავმა აბელი ძალიან დააინტერესა. წიგნების გამყიდველი წელან, ცოტა არ იყოს, სასაცილო ეჩვენა, უფრო სწორად, პაროდიულად სერიოზული. ახლა კი, ესოდენ მოულოდნელი ცნობის შემდეგ, მისი სიგამხდრე, მისი სიმაღლე, გრძელი წვერი, მკერდზე დაკრებილი წვრილი მკლავები, მისი მშვიდი ბანი, მთელი მისი გარეგნობა და მთელი მისი პიროვნება ერთბაშად იდუმალების ბუნდოვან გარსში გაეხვია.

— კარგად იცნობთ?

— აქ ყველა კარგად ვიცნობთ ერთმანეთს. მალე თქვენც ყველას კარგად გაიცნობთ და თქვენც ყველა კარგად გაგიცნობთ, — მოხუცმა ცერად გამოხედა აბელს და განაგრძო: — ისე კარგად გაგიცნობენ, რომ საიდუმლოდ ვერაფერს შეინახავთ. თქვენი ცხოვრების არც ერთი წერტილი არ დარჩება უც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობი. ყველაფერი საამკარაოზე გამოვა. და საერთო მსჯელობის საგანი გახდება.

ამასობაში მოედანზე გამოვიდნენ. მოხუცი შეჩერდა და აბელს მკლავში ხელი მოჰკიდა. — თუ ძალიან არ გეჩქარებათ, მზეზე დავსხდეთ, — სკვერისკენ გაიშვირა ხელი.

— სად უნდა მეჩქარებოდეს!

— რა ვიცი. ასლანი არ დაგიწყებთ ძებნას?

აბელმა მოხუცს შეხედა.

— ასლანი სოფელშია. სიდედრი და სიმამრი უნდა ჩამოიყვანოს.

— აა! აი, თურმე რა ყოფილა! თქვენც ისარგებლეთ შემთხვევით და გამოიპარეთ, არა? კარგია. არც ერთი ხელსაყრელი შემთხვევა გამოუყენებელი არ უნდა დატოვოთ...

ამასობაში ქუჩა გადაჭრეს, სკვერში შევიდნენ და მერხზე დასხდნენ.

— თქვენც კარგად გაგიცნობთ? — ჰკითხა აბელმა.

გედეონმა მოხედა.

— მე? — გაკვირვებით ჰკითხა და გაეცინა. — ჩემს გაცნობას რა უნდა! მე ერთი ყბედი ბერიკაცი ვარ, ეს არის და ეს.

— ის კაცი მისტიკოსია? — ჰკითხა აბელმა.

— რომელი?

— წიგნების მაღაზიაში.

— აა! იმ კაცს სამსონი ჰქვია და შეიძლება წვერიც ამიტომ აქვს მოშვებული. მისტიკოსია თუ არა, არ ვიცი. ამის დასადგენად საჭიროა ჯერ ის გავარკვიოთ, თქვენ რას ეძახით მისტიკოსს, მე რას ვეძახი და თვითონ სამსონი რას ეძახის. ხოლო ეს რომ ვერ დაგვიდგენია, ამას ვეძახით არაკომუნიკაბელურობას. საძაგელი სიტყვაა, მაგრამ სწორედ ამ სიტყვის ბრალია, რომ ქრისტიანობა უამრავ მიმდინარეობად და უთვალავ სექტად დაქუცმაცდა.

— აკი ერთმანეთს ყველა კარგად ვიცნობთო? — გაიღიმა აბელმა.

— ეგ თქვენი იქედნური შეკითხვაც არაკომუნიკაბელურობის... — აქ მოხუცმა ღიმილით გადაიქნია თავი. — ენას იღრძობს კაცი... ერთი მაგალითია ერთმანეთს, რა თქმა უნდა, ყველა კარგად ვიცნობთ, მაგრამ ვიცნობთ ჩვენსავე ეზო-გარემოში, იმ ფარგლებში, რომელსაც, სამსონის ტერმინი რომ ვიხმაროთ, გარეგანი მზერა სწვდება. იმიერქვეყანასთან რა საიდუმლო ურთიერთობები აქვს სამსონს, ეს ჩვენ არ ვიცით, რადგან ჩვენი ხუთი გრძნობა ღობის გადაღმა ვერ იყურება. სამაგიეროდ, შიგნით რა ხდება, ჩინებულად ვიცით. შიგნით ჩვენი თვალი და ყური ბატონობს. თვალით ვუთვალთვალებთ, ყურით ვაყურადებთ, საქმემ თუ მოითხოვა, ყნოსვასაც ავამოქმედებთ. არც შეხებას ვერიდებით. ვიკბინებით კიდეც, რათა ერთიმეორის გემოზე ზუსტი წარმოდგენა შევიქმნათ. ვცხოვრობთ ასე გუგულებივით და ვიცნობთ ერთმანეთს. ვიცით, ვინ რითი სუნთქავს და ვის როდის შეეკვრება სუნთქვა. ვის რა ბოღმა აქვს გულში და ვინ რა საშუალებით მალავს თავის ბოღმას, ვინ ვის უთხრის ძირს და რამდენ ხანში მოითავებს ამ საქმეს, ვის ჯერ არ გაუგია ცოლის ღალატი და ვინ უკვე გაიგო, მაგრამ თავი ისე უჭირავს, ვითომ ჯერ არ გაუგია, ვინ ვის ელაქუცება და რა მიზნით, ვის როდის მოხსნიან და ვის როდის დააწინაურებენ, ვინ ვისთან მეგობრობს და რას გამოელის ამ მეგობრობისაგან, ვინ სალად და პრაქტიკულად უყურებს ცხოვრებას და ვინ თავს იკატუნებს, ვითომ ცისფერ ღრუბლებში დაცურავს; ვინ რამდენ წიგნს ყიდულობს წელიწადში და აქედან რამდენს კითხულობს, ვინ არის ჭეშმარიტი თაღლითი და ვის არა აქვს თაღლითობის ნიჭი, რის გამოც იძულებულია დარდი გულში ჩაიკლას და პატიოსან გზას დაადგეს. ვიცით, ვინ როგორ ხვდება სტუმარს და ვინ რას ამბობს მისი წასვლის შემდეგ. ეს ყველაფერი ცხოვრებას გვიადვილებს. როცა იცი, სინამდვილეში რას ფიქრობს შენზე კაცი, რომელიც პირში გეფერება, ურთიერთობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო გეადვილება, არავითარი ეჭვები აღარ გაწუხებს და, საერთოდ, გაცილებით მყუდროდ და კარგად გრძნობ თავს. ჩვენს სამსონს, მაგალითად, ღმერთი იმისთვის სჭირდება, რომ ადამიანებზე ამაღლდეს და ერთგვარად შურიც იძიოს. როცა ასეთი მაღალი და გაძვალტყავებული კაცი ბევრს ფიქრობს თავის გარეგნობაზე, არ შეიძლება პესიმიზმმა არ შეიპყროს, დროდადრო სასოწარკვეთამდე არ მივიდეს და საბოლოოდ მძიმე კომპლექსი არ ჩამოუყალიბდეს. ხოლო, როცა ყველაფერი ეს მოხდება, საჭიროა გამოსავლის პოვნა. ან სრული კომპენსაცია უნდა მოიპოვო რომელიმე სხვა სფეროში, ან თვითმკვლელობამდე მიგიყვანს სევდიანი ფიქრები. თვითმკვლელობა იმთავითვე გამოირიცხა. ამ საქმეს სხვანაირი სულიერი წყობა სჭირდება. დარჩა კომპენსაცია. სად ეპოვა სამსონს კომპენსაცია? რომელ სფეროში? სოკრატე მაგისგან არ გამოვიდოდა, ბარაბაძის ქალი მაგას არ შეიყვარებდა. რაღა დარჩა? დარჩა ღმერთი, ყველაზე იოლი, ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალება. სამსონმაც ღმერთზე მიიტანა იერიში.

— ყველაზე იოლი და ხელმისაწვდომი? — ჰკითხა აბელმა. მას ოდნავ აღიზიანებდა გედეონის ირონიული და და ამავე დროს დაჯერებული კილო. ან, შესაძლებელია, თავისი ორჭოფული მდგომარეობა აღიზიანებდა: ფორმალურად თითქოს თანამოსაუბრე იყო, სინამდვილეში კი საუბარში ჩაბმა ვერ მოეხერხებია და სტატისტის როლს ასრულებდა.

— რა თქმა უნდა, — მიუგო გედეონმა. — ღმერთი ლობის გადაღმაა და იქ სამსონს ვერაფერში ვერ შეეცილები, ვერაფერს ვერ დაუპირისპირებ, ვერავითარ არგუმენტს ვერ მოიხმობ. იქ არგუმენტები არ მოქმედებს.

— ლობის გადაღმა რაღა საბუთია იმისა, რომ იმ კაცის საქციელს მხოლოდ ანგარიშიანობა უდევს საფუძვლად?

— ლობის გადმოღმა... — ნელა, დაფიქრებით, გაგრძელებულად თქვ[illegible]დეონმა და აბელს მოეჩვენა, რომ ასეთი გაგრძელებით თითქოს კლაკნილი ხაზი გაუსვა ქვეშ ამ სიტყვებს — თქვენ მთლად სწორად ვერ გამიგეთ. ან მე ვერ ვთქვი მთლად სწორად. ყოველ შემთხვევაში, აზრადაც არ მქონია ისეთი სურათი დამეხატა, თითქოს სამსონი იჯდა და ანგარიშობდა: სოკრატე ვერ გავხდები და ბარაბაძის ქალს თავს ვერ შევაყვარებ, ამიტომ, მოდი, ღმერთს დავუკავშირდები და მისი მეშვეობით დავიპყრობ ქალაქსო. არა. არც მთლად ასე ერთუჯრედიანი ქალაქია ჩვენი ქალაქი. ცხადია, გარკვეული აზრით, გამოსავალი ხელში უნდა მოგვყვეს და, სამსონს რომ ერთგვარი მიდრეკილება არ ჰქონოდა აქეთკენ, ასე მეზობლურად ვერ მიუკაკუნებდა ღმერთს. მე მხოლოდ ისა ვთქვი, რომ ეს ის შემთხვევაა, რომელზედაც თავად უფალი ბრძანებს: თესლის ნაწილი კლდეზე დაეცემა, სადაც ნიადაგი მწირია, ამიტომ. სწრაფად კი გაღვივდება და ამოიყრის, მაგრამ, მზე რომ დააჭერს, მაშინვე დაჭკნება, რადგან მიწა არ ჰყოფნის და საშუალება არა აქვს ღრმად გაიდგას ფესვები. მაგრამ, მე მგონია, ძალიან დიდი ენერგია შევალიეთ სამსონს. ამდენიც არ დაუმსახურებია. თანაც წასვლის დროა, თორემ, აალანმა თუ გაიგო, რომ მე აქ დაგაბრკოლეთ, ჯარიმას დამალევინებს.

სკვერიდან რომ გამოვიდნენ, სასტუმროს ქვემოდან შემოუარეს, რომელიღაც ვიწრო ქუჩა გადაჭრეს და ბაღს მიადგნენ.

გედეონმა მკლავში ხელი მოჰკიდა და ბაღისკენ წაიყვანა.

ბაღი უკაცრიელი იყო. ისე გადაჭრეს სიგრძივ ვიწრო, მოწითალო ბილიკებით, ძეხორციელი არ შეხვედრიათ, გარდა ერთი სულიერისა.

— ეს ქალაქი ხანგრძლივი სამყოფელია თქვენთვის თუ დროებითი ბუდე, საიდანაც მერე, ფრთები რომ მოგემაგრდებათ, უკეთეს ქალაქში გადაფრინდებით? — აქ მოხუცმა აბელს ცე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რად გამოხედა და დაუმატა: — უნდა მაპატიოთ ზედმეტი ცნობისმოყვარეობა.

— შემეძლო თბილისში დავრჩენილიყავი, — აბელი ერთბაშად მიხვდა, რომ ცდილობდა ამ უცნაურ მოხუცზე კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა, და საკუთარი თავის შერცხვა. მართალია, რასაც ამბობდა, სრული სიმართლე იყო, მაგრამ ასე ეგონა, ეს სიმართლე ახლა მაინც კვეხნასავით გაისმა. ამიტომ შეცბუნდა და მიფუჩეჩება სცადა. — აქ ვარჩიე. რა ვიცი, არ ვაპირებ წასვლას და ვნახოთ.

— ცოლს შეგრთავენ აქ, — უადგილოდ დაასკვნა მოხუცმა. მერე ჰკითხა:

— როლი არ მოუციათ ჯერ?

— კი. „რომეო და ჯულიეტაში" დამაკავა არიოსტო ხოფერიამ.

— ტიბალტის როლზე?

— დიახ.

— მდიდარი მემკვიდრეობა მიგიღიათ. არ გითხრეს, ვის უნდა ეთამაშა ეგ როლი?

— გვარი არ უთქვამთ. ისე კი, როგორც შევიტყვე, ვიღაც ყოფილა დანიშნული და მერე დაუჭერიათ.

— დაიჭირეს. გვარი დიდი არაფერი შვილი აქვს: უკლება. ყოჩაღი ბიჭი კი იყო. წლინახევრის წინ ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში. ერთი ორლულიანი თოფი ჩამოიტანა, რა სისტემისა იყო, არ ვიცი, თოფებში ვერ ვერკვევი, და ერთი ძაღლი ჩამოიყვანა, დიდი ძაღლი, ბომბორა და ლამაზი. პირდაპირ თეატრში მოვიდა. მშვენიერი დახასიათებით, რეკომენდაციებით. სმენა კარგი აღმოაჩნდა, ხმა კარგი აღმოაჩნდა, მოქნილი იყო, პლასტიკური, წარმოსადეგი. ქალაქის ბოლოს, ქვემოთ, მდინარესთან — მოხვდებით ალბათ იქით და ნახავთ იმ ადგილს — ერთ მიტოვებულ, პატარა სახლში დაბინავდა. ბუნებასთან ახლოს მიყვარს ყოფნაო. ჩინებული მსახიობი იყო. ტიბალტის როლს ამზადებდა, როცა დაიჭირეს.

— რაზე დაიჭირეს?

— ძარცვაზე. არ მითქვამს?

— არა.

— ძარცვაზე დაიჭირეს. როცა რეპეტიცია და სპექტაკლი არ ჰქონდა, ან სანადიროდ დადიოდა, ან თავის მშვენიერ ძაღლს ქალაქის ცენტრში ასეირნებდა. არა, ცხადია, რაღაც უცნაურობა თავიდანვე ეტყობოდა, მაგრამ მაშინ ურემი ჯერ კიდევ არ იყო გადაბრუნებული და ვერ ვამჩნევდით. ის კი ძარცვავდა ამ ჩვენს ისედაც გაძარცულსა და გაძვალტყავებულ ქალაქს. გაძარცულები თეატრის დარბაზში აღტაცებული უკრავდნენ ტაშს თავიანთ მძარცველს. მძარცველიც ღიმილით ხრიდა თავს და მადლობას უძღვნიდა გაძარცულებს გულწრფელი ტაშისათვის.

— ახლა სად არის?

— აქ არის. ქალაქში. სასამართლო ჯერ არ ყოფილა.

— ძაღლი?

გედეონი შეჩერდა, მოხედა, თითქოს რაღაცამ დააინტერესაო, და ისევ მიაბრუნა თავი.

— ძაღლი ყველაზე საინტერესო პერსონაჟი გამოდგა ამ ფათერაკიან ამბავში. აივანზე წევს და სახლში არავის უშვებს. ღამღამობით, როგორც მეზობლები ირწმუნებიან — შორეული მეზობლები, თორემ ახლომახლო იქ არავინ ცხოვრობს — ტირის თურმე. რას ჭამს, ან ჭამს თუ არა რამეს, კაცმა არ იცის. ერთი ხანობა მოკვლას უპირებდნენ, მაგრამ შეეცოდათ და გადაიფიქრეს. იქნებ თვითონ ურჩევნია კიდეც სიკვდილი. მის გულში ვინ ჩაიხედავს.

ამასობაში ბაღიდან გამოვიდნენ, მცირე მანძილი გაიარეს, ქვაფენილ ქუჩას აუყვნენ და უეცრად, აბელი რომ სრულებით არ მოელოდა, იმ გზაჯვარედინზე გავიდნენ, რომელზედაც გუშინ რამდენჯერმე მოხვდა ასლანთან ერთად.

— აქ იყრება ჩვენი გზები, — თქვა გედეონმა და შეჩერდა. — აგერ იქ არის თქვენი ქუჩა.

— ვიცი, — მიუგო აბელმა. — აქ ნამყოფი ვარ. დილით ზედა მხრიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წამოვედი. ეს გზა, ბაღის გავლით, არ ვიცოდი. ამის შემდეგ მეცოდინება.

— ყველა გზა უნდა ისწავლოთ შეძლებისდაგვარად.

— თქვენ საით წახვალთ?

— მე უკან დავბრუნდები.

— უკან? — გაუკვირდა აბელს.

— ჰო, თქვენ გამოგაცილეთ აქამდე. მე ქვემოთ ვცხოვრობ, მდინარესთან.

— სადაც უკლება...

მოხუცს გაეღიმა.

— მთლად იქ არა. ეს ხელობა ჩემთვის დაგვიანებულია, — მერე სერიოზულ კილოზე გადავიდა: — მე უფრო აქეთ ვდგავარ, ზემოთ. ერთხელაც იქნება, სტუმრად მეწვევით და გაჩვენებთ ჩემს სასახლეს. აბა, კარგად იყავით. არისტოსთან არ მოგწყინდებათ.

— კარგად ბრძანდებოდეთ...

მოხუცი შეტრიალდა და წავიდა. ნელა მიაბიჯებდა და ქვაფენილზე ყრუ ხმით მიაბაკუნებდა ჯოხს. აბელი ერთ ხანს იდგა და დაფიქრებული მისჩერებოდა. ბოლოს ისიც თავის გზას გაუდგა.

ასლანი უკვე დაბრუნებულიყო. აბელმა რომ ჭიშკარი შეაღო, ის, თავის სიმამრთან ერთად აივანზე იდგა. სიმამრი პატარა, გამხდარი კაცი იყო, ასლანის ნიკაპამდე სწვდებოდა, მაგრამ მაღალი ბოხოხი ეხურა და ამაყი, შეუვალი სახე ჰქონდა. ორივე ხელით აივნის მოაჯირს დაყრდნობოდა, წელში გამართული იდგა, თავი მაღლა აეღო და როგორც მთავარსარდალი ბრძოლის ველს, ისე გაჰყურებდა სივრცეს.

— სადა ხარ, კაცო, ამდენ ხანს, დაგვხოცე შიმშილით! — ღიმილით გადმოსძახა ასლანმა. და თუმცა ხუმრობით ლაპარაკობდა, აბელმა უხერხულობა იგრძნო და ნაბიჯს აუჩქარა.

— იცნობდე, მამა, — უთხრა ასლანმა სიმამრს. — ეს არის ჩვენი ახალი მსახიობი, მე რომ გეუბნებოდი, — მერე აბელს მიუბრუნდა: — ეს ჩემი სიმამრია, ჩემი ნანოს მამა.

— სევერიანე, ჩემო ბატონო, — მკაფიოდ და დიდი ღირსებით თქვა ასლანის სიმამრმა, ხელი გაუწოდა აბელს და, თუმცა მორჩილი ტანის გამო ქვემოდან ზემოთ ახედა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ზემოდან ქვემოთ უყურებდა.

„ნუთუ პაპაჩემიც ასეთი იყო?“ — გაუელვა თავში აბელს, მაგრამ ამ აზრის განვითარება ველარ მოახერხა, რადგან იმავ წამს ასლანმა ხმამაღლა გასძახა ოთახში:

— დედა!

ოთახიდან სიდედრი გამოვიდა და ასლანმა ახლა მას წარუდგინა აბელი. სიდედრი მსუქანი ქალი იყო, ლაქლაქა, ჯანიანი, და ეტყობოდა, ქმარს რომ მოინელებდა, მას შემდეგ კიდევ დიდხანს იცოცხლებდა. მან აკაპიწებული მაჯა გამოუწოდა აბელს, რადგან ხელი სველი ჰქონდა.

მერე სიდედრი ისევ ოთახში შებრუნდა და სიმამრი ისევ მთავარსარდლის პოზაში დადგა.

— სად იყავი? — ჰკითხა ასლანმა აბელს.

— ქალაქში გავიარე. აგერ წიგნი ვიყიდე.

— რა წიგნი იყიდე? — ასლანმა წიგნი გამოართვა, დახედა, წამით გაკვირვებული მზერა ესროლა აბელს, ისევ წიგნს მიუბრუნდა, გადაფურცლა, ჯერ ნელა, მერე უფრო სწრაფად. ბოლოს დაუბრუნა. — რად გინდა?

აბელმა წიგნი გამოართვა.

— მჭირდება.

ასლანმა ქვედა ტუჩი ნიჩაბივით გამოიშვირა და დაფიქრებით გადაიქნია თავი.

— მე მაგის წამკითხველი არა ვარ, ძმაო. მერე, ამდენ ხანს ყიდულობდი?

— გედეონ რევია შემხვდა. ერთხანს ვიმუსაიფეთ.

— იმუსაიფეთ?! — ასლანის ხმაში აბელისათვის სრულიად გაუგებარი გაკვირვება და კიდევ უფრო გაუგებარი აღტაცება გაისმა. — რას მელაპარაკები! — აქ თავი გადაიქნია და დაუმატა: — კაცის მასხრად აგდება, იცოცხლე, მაგის ხელობაა, მუსაიფი კი ვაგლახად რომ ვინმეს გაუბას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ დროს ოთახიდან ასლანის სიდედრის ხმა მოისმა:

— მოდით ახლა, წაიხემსეთ.

ამის გაგონებაზე ასლანი დაფაცურდა.

— არიქა, შევიდეთ, შევიდეთ. წავიხემსოთ ცოტა. ნაშუადღევს, ხომ იცი, ცალკე კონფერენცია გვაქვს დანიშნული, — „კონფერენციაზე“ საჩვენებელი თითი და წარბი მაღლა ასწია. მერე სიმამრს მიუბრუნდა: — შევიდეთ, მამა.

— გეახლები, — მკაფიოდ და ღირსებით მიუგო სიმამრმა და ასევე ღირსებით, აუჩქარებლად დაიძრა სასადილო ოთახისაკენ.

— ამას წახემსება ჰქვია, ასლან? — ხმადაბლა ჰკითხა აბელმა, როცა ოთახში შევიდა და დახუნძლულ მაგიდას გადახედა.

— ოჰ! აბა რა ჰქვია! — მიუგო ასლანმა.

სუფრასთან მხოლოდ უფროსები ისხდნენ. ნინიკო ჯერ არ დაბრუნებულიყო სკოლიდან, პატარებს კი, ეტყობა, მოზრდილებთან ერთად არ სვამდნენ.

„წახემსება“ რომ წახემსებას დამგვანებოდა, ასლანმა თქვა, ღვინომ შეტყუება იცისო, და არაყი მოატანინა ნანოს. აბელმა ერთი ჭიქა დალია და მერე უარი თქვა. ასლანს ძალა არ დაუტანებია. სიმამრმა კი ხაზგასმული სიდინჯით, რომელიც რაღაცით მის ბოხოხს ჰგავდა, შენიშნა, ზედმეტი არაფერი არვარგა, მაგრამ ასეთ წმინდა არაყს ყოველ ჭამაზე ორ-სამ ჭიქას თუ დალევ, შენს სიცოცხლეში წამალი არ დაგჭირდებაო. ეს ისე თქვა, მსმენელებს რომ გაეგოთ, თუ როგორი იყო მისი აზრი ამ საკითხზე, თორემ დაძალებით არც იმას დაუძალებია.

„წახემსებას“ რომ მორჩნენ, ქალებმა სუფრის ალაგებას მიჰყვეს ხელი, კაცები კი აივანზე გავიდნენ. აბელს თავის ოთახში შესვლა და მარტო ყოფნა უნდოდა, მაგრამ სევერიანემ ნარდის თამაში შესთავაზა და უარი ვერ უთხრა. სამაგიეროდ გულში გადაწყვიტა, ორ ხელს ვითამაშებ, მერე მოვუბოდიშებ და ავდგებიო. მაგრამ განზრახვა განზრახვად დარჩა. სევერიანე სრულიად მოულოდნელად აზარტული მოთამაშე გამოდგა. სიდინჯე და გამოზომილი მიხრა-მოხრა წყალს გაატანა, მოწყვეტით ისროდა კამათლებს, ხელს მკერდზე იცემდა და ხმამაღლა და მწყრალად ითხოვდა ღმერთისგან შაშებს. ასეთ დროს კაცის მიტოვება აბელს ეუხერხულა. საბოლოოდ იქამდე ითამაშა, სანამ თვითონ სევერიანეს არ მოსწყინდა. სევერიანემ თავაზიანად მოუბოდიშა, ახლა ვიკმაროთ და სხვა დროს ვითამაშოთ კიდევ, თორემ ნამგზავრი ვარ და, ცოტა თუ არ დავისვენე, საღამოს გამიჭირდებაო.

ნარდი დახურეს და აბელიც თავის ოთახში შევიდა, დე ბროილი აიღო და სავარძელში ჩაჯდა. ჯერ სარჩევს გადახედა გულისყურით, მერე ალალბედზე რამდენიმე ადგილას გადაფურცლა და ჩახედა, ბოლოს ის იყო, პირველ თავზე გადაშალა და, როგორც რიგი და წესია, კითხვას შეუდგა, რომ კარზე მოაკაკუნეს, ასლანი შემოვიდა და გააფრთხილა, უკვე მივრეკ-მოვრეკე, საცა საჭირო იყო, და ერთ საათში ლუდხანაში წავალთო. ამის შემდეგ აბელმა კითხვას გული ვეღარ დაუდო. რაკი დრო განსაზღვრული ჰქონდა, თვალი სულ საათისკენ გაურბოდა. ამიტომ მალე საერთოდ დახურა წიგნი, მაგიდაზე მიაგდო და ბოლთის ცემა დაიწყო.

დანიშნულ დროს ასლანთან ერთად მანქანაში ჩაჯდა და ლუდხანაში წავიდა.

„კონფერენციას“ აბელის ნაცნობებიდან ესწრებოდა თეატრის დირექტორი, რომელმაც ერთი საათის შემდეგ გადაუდებელი საქმე მოიმიზეზა და წავიდა, და მთავარი რეჟისორი რომან ადეიშვილი, რომელიც თამადად აირჩიეს. იგი წყნარად, პათეტიკისა და ორიგინალობის გარეშე თამადობდა, მაგრამ პირწმინდად კი მიჰყვებოდა საქმეს. უცნობებიდან სამი კაცი იყო: ორი თავიდანვე უჯდა სუფრას, მესამე მერე მოვიდა. ერთი ამ სამთაგანი, თეატრის სადადგმო ნაწილის გამგე, კაკო ორჯონიკიძე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლოყებღაქღაჟა, სქელკისერა, დაკუნთული, მკერდგადმოვარდნილი და თავბრტყელა ჯეელი, აბელის გვერდით მოხვდა და სადღეგრძელოებსა და სადღეგრძელოებს შორის გატაცებით უამბობდა თავის თავგადასავალს. წინათ მოჭიდავე ყოფილიყო, თავისუფალი სტილის მოჭიდავე, და ჩინებული პერსპექტივაც ჰქონია. ოთხჯერ მოეპოვებინა ქალაქის ჩემპიონობა და ერთხელ საქართველოს პირველობაზე საპრიზო ადგილი აეღო. მერე ბეჭი ამოეგდო და იძულებული გამხდარა ვარჯიში მიეტოვებინა. გული არ გასტეხია. ზოგი ჭირი მარგებელიაო, ხელოვნება იმთავითვე ნაყვარება და სპორტიდან პირდაპირ თეატრში მისულა.

მეორე უცნობი იყო თეიმურაზ კილაძე, მსახიობი, ტანმორჩილი, მაგრამ კარგი აგებულების ბიჭი, რომელსაც ისეთი ლამაზი სახე ჰქონდა, საპნის ეთიკეტიდან გეგონებოდათ გადმოსული. ღვინოს არ სვამდა, თავიდანვე განაცხადა, ხომ იცით ჩემი ამბავიო, და არც არავინ გამოდავებია, რის გამოც აბელმა ვერ გაიგო, კერძოდ, რა იყო ეს „მისი ამბავი". სამაგიეროდ ჭამდა რაღაც გააფთრებული სიხარბით, ის ლამაზი ლოყები სულ ერთთავად გამობერილი ჰქონდა. ასე ჭამდა ალბათ მისი შორეული წინაპარი, რომელიმე პირველყოფილი თეიმურაზ კილაძე, რომელიც ორი დღის ამაო წანწალის შემდეგ, დაქანცული, დამშეული და გამწარებული ბოლოს და ბოლოს რაიმე საკბილოს მოინადირებდა.

მესამე უცნობი, ეტყობა, დაპატიჟებული არ ყოფილა. სადილი ერთი ნახევარი საათის დაწყებული იქნებოდა, როცა რომან ადეიშვილმა თვალი მოჰკრა მას, გაიცინა და ასლანს უთხრა:

— აგერ, თუ არ მოგვაგნო მშვიდობის მაძიებელმა!

იმავ წუთს „მშვიდობის მაძიებელმა" სწრაფი ნაბიჯით ჩაუარა მათ მაგიდას და, რომ გასცდა, მაშინღა შეჩერდა და მოტრიალდა:

— კაცო, თქვენ რა სულ ქეიფში და დროსტარებაში ხართ?

— მოდი, მოდი, დაჯექი! — უთხრა ასლანმა.

— არა, დასაჯდომად სად მცალია, ერთ ნაცნობს ვეძებ.

— დაჯექი, დაჯექი! — გაუმეორა ასლანმა. — იმ ნაცნობს დღეს ვერ იპოვი.

— რატომ, კაცო? — გაუბედავად თქვა „მშვიდობის მაძიებელმა", მაგრამ მაინც მოვიდა მაგიდასთან და თავისუფალი სკამის უკან გაჩერდა.

— დაჯექი, რომ გეუბნებიან, მართლა არ გაგიშვათ ახლა ნაცნობების საძებნელად, — ამჯერად რომან ადეიშვილმა მოიპატიჟა. — იმის მაგიერ აგერ ეს კაცი გაიცანი, — აბელზე მიუთითა. — ჩვენი ახალი მსახიობია. — მერე აბელს მიმართა: — ვანო როსტიაშვილი, კულტურის სახლის დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი და წამყვანი მსახიობი. თვითონ დგამს, თვითონ თამაშობს და ხელფასსაც თვითონ უწერს თავის თავს.

— ოჰ, კაი, კაცო! — დაირცხვინა ვანო როსტიაშვილმა, აბელს ხელი ჩამოართვა, დაჯდა და აქტიურად ჩაება კონფერენციის მუშაობაში. ჯარიმა დაუსხეს, როგორც შემოსწრებულს, და დალია. კიდევ დაუსხეს და კიდევ დალია: მერე, რაკი შეატყო, მეტს აღარ აჯარიმებდნენ, თვითონ დაიჯარიმა თავი, დაგეწევით ბარემ, სალაპარაკო რომ აღარაფერი იყოსო, წყვილი ჭიქა დალია და, არათუ დაეწია, ცოტათი გაუსწრო კიდეც დანარჩენებს. მალე ყინწი მოსწყდა და შუა ქეიფიდან გაიპარა.

ბოლოს, როდესაც სუფრა კარგად მოათხრეს, თამადამ საყოვლაწმინდო თქვა და აიშალნენ. დანახარჯი ასლანმა გადაიხადა. არავინ შესცილებია და ჩვეულებრივი გაქაჩ-გამოქაჩვა არ დაწყებულა.

რომან ადეიშვილიც შეზარხოშებული იყო, მაგრამ თავი ყოჩაღად ეჭირა. ენა არ ეშლებოდა, ნაბიჯი არ ეშლებოდა, ისევ დალაგებულად ლაპარაკობდა და ისევ შეუცდომლად მღეროდა. ასლანს ნაღვინევისა საერთოდ არაფერი ეტყობოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმღერით გამოვიდნენ და ასლანის მანქანაში ჩასხდნენ.

ასლანმა აბელი გვერდით მოისვა, დანარჩენები უკან ჩასხა და ყველანი სახლებში ჩამოარიგა. მანქანა ისე დაჯერებულად დაჰყავდა, თითქოს წვეთი ღვინო არ ჰქონოდა დალეული.

ბოლოს თვითონაც დაბრუნდნენ შინ. უკვე ყველას ეძინა, ამიტომ ჩუმად, ფეხაკრეფით ავიდნენ ზემოთ. გამოთხოვებისას ასლანმა უთხრა:

— ა, ეს იყო ჩვენი მუდმივი თავშესაყარი. გარეთ რომ მოირყევა ხანდახან მეგობრობა, იქ ხელახლა მტკიცდება, — ამ სიტყვებით შეტრიალდა და თავისი საწოლი ოთახისაკენ მიმავალმა, მარჯვენა ხელის თითი მაღლა ასწია. აბელი მიხვდა, რომ ამ დროს მარჯვენა წარბიც აზიდული ექნებოდა.

აბელი თავის ოთახში შევიდა და შუქი აანთო. წიგნები ობლად ეწყო მაგიდაზე და ფანჯრის რაფაზე. უეცრად კვლავ შემოაწვა სევდა, რომელიც უკვე რამდენჯერმე ეწვია, რაც ამ ქალაქში ჩამოვიდა. დე ბროილი აიღო, გადაშალა და კითხვა დაიწყო. სიტყვები და ასოები ჭინკებივით დახტოდნენ და ერთმანეთში ირეოდნენ, ტვინს კი ირგვლივ ბარიკადები აღემართა და წაკითხულის აზრი ამაოდ ცდილობდა ხვრელის მოძებნას და ბარიკადების მიღმა შეღწევას. წიგნი ისევ დახურა, სხვა წიგნებთან დადო და საკუთარ თავზე გული მოუვიდა. როცა გაძალებენ, მაშინ ნამუსის მოსაწმენდი რაღაც გამართლება მაინცა გაქვს, მაგრამ, როცა არ გაძალებენ, რა ძალა გადგას, რომ სვამ, მით უმეტეს, მთელი დღის განმავლობაში იმას ნატრობ, თავისუფალი დრო გამოძებნო და ახლად შეძენილი წიგნის კითხვას შეუდგე. „არა, — გაიფიქრა აბელმა. —„სადაც მიხვალ, იქაური ქუდი დაიხურე“, სულელური ანდაზაა და უნებისყოფო კაცის მოგონილი იქნება. მე აქ ისე უნდა ვიცხოვრო, როგორიცაა ჩემი ცხოვრების წესი“.

ამ გადაწყვეტილებამ ერთბაშად დაამშვიდა. სიბრაზემ გაუარა, ტანთ გაიხადა, დაწვა და მაშინვე დაეძინა.

## თავი მეცხრე

— ერთი-ორი რეპეტიციას კიდევ გავივლით მაგიდასთან, — თქვა არისტო ხოფერიამ. — თქვენ არ გჭირდებათ, მაგრამ აგერ ახალი კაცი შემოგვემატა, — აბელისკენ გამოიშვირა ხელი. — და მაგას ვცეთ პატივი. ინსტიტუტში კი ჰქონია ნათამაშევი ტიბალტის როლი, მაგრამ ჩვენს ინტერპრეტაციაში რომ გაერკვეს და ანსამბლში ჩაჯდეს, ერთი-ორი სარეპეტიციო წერტილი უნდა შევწიროთ. რა გამოვა, არ ვიცი თქვენც პირველად ხედავთ და მეც. რა ვუყოთ! ერთი ანდაზისა არ იყოს, ისე გავჭიმოთ ფეხები, როგორც საბანი გვაგვწვდება, — აქ საათზე დაიხედა და მერე ტექნიკურ რეჟისორს მიუბრუნდა: — ვინ გვაკლია?

ტექნიკური რეჟისორი, მაღალი, ზორბა, მხარბეჭიანი, მამაკაცური აგებულების ქალი, რომელსაც მკაცრი და უტყვი სახე, მოუხეშავი მიმოხრა და ბოხი ხმა ჰქონდა, სწრაფად წამოდგა და უპატაკა:

— მერი გვაკლია და კოლია.

— კარგი, — თქვა არისტომ და, როცა ტექნიკური რეჟისორი ისევ თავის ადგილას დაჯდა, განაგრძო: — ორმოცდამეცამეტე სპექტაკლს ვდგამ და ჯერ არ მახსოვს, ჩემს გემოზე გამენაწილებინოს როლები. სულ კომპრომისებზე მიხდება წასვლა. ეს პიესა შედარებით კარგად გავანაწილე, იმ ჩემი ცოდვით სავსე უკლებას რომ მაინცდამაინც ახლა არ მონდომოდა ბანკის გატეხა. კიდევ მადლობა ღმერთს, ამ კაცმა სულზე მოგვისწრო. რაც უნდა იყოს, ინსტიტუტი აქვს დამთავრებული. კი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიცი მე, — ირონიულად ჩაიცინა არიოსტომ: — რას ასწავლიან იმ ინსტიტუტში, მაგრამ პროფესიონალი მაინც პროფესიონალია. ეს რომ არ ჩამოსულიყო, იქნება ტიბალტის როლი კაკო ორჯონიკიძისათვის დაგვრჩენოდა მისაცემი.

ამაზე ყველას გაეცინა. არიოსტომ თვითონაც გაიცინა თავშეკავებით და ის იყო, ლაპარაკი უნდა გაეგრძელებინა, რომ კარი გაიღო და მერი შემოვიდა.

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო არიოსტო, ცოტა შემაგვიანდა...

მერის კიდევ უნდა ეთქვა რაღაც, მაგრამ არიოსტომ შეაწყვეტინა:

— მოდი. მოდი, მერი, გენაცვალე, დაჯექი.

— გამარჯობათ, — ყველას მიესალმა მერი, მერე აბელი შენიშნა, გაუღიმა, ძველი ნაცნობივით მოუჭუტა თვალები და გვერდში მოუჯდა. — შეუდექით უკვე მოღვაწეობას? — ჰკითხა ჩურჩულით.

— საცაა შევუდგები, — ჩურჩულითვე უპასუხა აბელმა.

არიოსტო ხოფერია თავის·წელანდელ ხუმრობას მიუბრუნდა:

— რაღაი კაკო ორჯონიკიძეს გადავრჩით, მომავალს იმედის თვალით უნდა შევხედოთ.

ამ დროს კარი გაიღო და მეორე დაგვიანებული, როგორც ჩანს, კოლია, შემოვიდა. ეს იყო ორმოცდაათ წელს მიტანებული კაცი, ავადმყოფურად ყვითელი, გამხდარი, უკან გადავარცხნილი, გადაგლესილი თმით, მაღალი, კეხიანი ცხვირითა და ზღარბის ეკლებივით წამოჯაგრული შავი ულვაშებით.

— შეიძლება? — იკითხა კარებშივე.

— ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ...

— კოლია, გენაცვალე, — წყნარად შეაწყვეტინა არიოსტომ. — წინასწარ გაგვაფრთხილე, როდის გცალია, და იმ დროს დავნიშნავთ რეპეტიციას, — და უცებ დაიქუხა: — რომელი საათია ახლა?!

აბელს არიოსტოს მოულოდნელი გააფთრება გაუკვირდა და ცალი თვალით მერის გახედა. კოლიამ კი მზრები აიჩეჩა, ყვითელ სახეზე წყენა დაეტყო და თქვა:

— რა იყო, მე მაინც არა ვარ პირველ სურათში.

ამაზე არიოსტო სულ გადაირია.

— არ ვიწყებ მე პირველი სურათით!

— ნუ დაიწყებ, — ხმას დაუწია კოლიამ ყოველი შემთხვევისათვის. — რა გაყვირებს მერე...

— რა ნამუსით მელაპარაკებიან შემოქმედებაზე ასეთ ვითარებაში! — ჩავარდნილი, საწყალობელი ხმით თქვა არიოსტომ. მერე ტექნიკურ რეჟისორს მიუბრუნდა და ისევ იქუხა: — დაწერ მოხსენებით ბარათს და მიართმევ დირექტორს!

კოლიამ კიდევ რაღაც წაიბურტყუნა, რამდენადაც აბელმა გაარჩია, წერე და იკითხეო, მერე ერთ-ერთ მსახიობს თვალი ჩაუკრა, ისე რომ არიოსტოს არ შეემჩნია, და მაგიდას მიუჯდა.

არიოსტომ ხელები მკერდზე დაიკრიბა, ფანჯრიდან ქალაქს გახედა და რამდენიმე წამს ასე იყო გაშეშებული. მერე ფანჯარას ისევ მოაშორა თვალი და ხელებიც ჩამოსწია.

— დავიწყოთ, — თქვა ისეთი მშვიდი კილოთი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

— საიდან დავიწყოთ? — ჰკითხა ტექნიკურმა რეჟისორმა.

— თავიდან, — იმავე კილოთი მიუგო არიოსტომ.

— არ ვიწყებ პირველი სურათიდანო... — ნიშნის მოგებით ჩაიბურტყუნა კოლიამ.

— კოლია, — ავის მომასწავლებლად წყნარი ხმით უთხრა არიოსტომ. — რეპეტიციას ჩავშლი იცოდე და ძვირად დაგიჯდება შენ ეს ამბავი!

მოხუცმა ქალმა, რომელიც გვერდით უჯდა, სახელოში წაავლო ხელი კოლიას, დაბლა დაქაჩა და მწყრალი ჩურჩულით უთხრა:

— გაჩუმდი, ბიჭო, და დააჭირე ენას კბილი!

— რას მერჩის აბა, დაბალი ღობე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნახა?! — მწყრალი ჩურჩულითვე მიუგო კოლიამ და გაჩუმდა.

არიოსტომ ერთხანს შეიცადა, რათა დაედგინა, კოლია კიდევ აპირებდა ჭინჭყლობას თუ საბოლოოდ დაწყნარდა, და რაკი დარწმუნდა, საბოლოოდ დაწყნარდაო, ერთხელაც თქვა:

— დავიწყოთ! — აქ აბელს მიუბრუნდა: — შენ, გენაცვალე, ეს როლი რომ ინსტიტუტში ითამაშე, მაგ ამბავი კარგი ნუ გგონია. აქ ინსტიტუტი არაა. აქ თეატრია. ამიტომ, პირველ რიგში, რაც იქ გასწავლეს, ყველაფერი ამოიგდე თავიდან.

— ტექსტიც? — აბელი ცოტა გაღიზიანებული იყო, თუმცა თავადაც არ ესმოდა კარგად, კერძოდ, რა აღიზიანებდა.

მაგრამ არიოსტო ირონიას ვერ მიუხვდა.

— ტექსტი არა, კაცო. ტექსტი შექსპირისაა. რაც რეჟისორმა გირჩია, ის დაივიწყე. რაც შექსპირისაა, იმას ნუ დაივიწყებ, — და მესამედ თქვა:

— დავიწყოთ.

ბოლოს და ბოლოს რეპეტიცია მართლა დაიწყო და, რაკი ერთი დაიწყო, შეუფერხებლად გავიდა ბოლომდე. მაგრამ აბელი გრძნობდა, რომ დღეს იქნებოდა თუ ხვალ, არიოსტო ხოფერიასთან შეტაკებას ვერ ასცდებოდა. საქმე მარტო ის ფამილარული ტონი და აგდებული დამოკიდებულება კი არ იყო, რომელიც არიოსტომ თავიდანვე აირჩია მასთან ურთიერთობაში და მერე რაღაც ჯიუტი, თითქოს მიზანდასახული ერთგულებით მისდევდა. გაღიზიანებით, რა თქმა უნდა, ესეც აღიზიანებდა, მაგრამ თვითონვე ატყობდა, რომ ეს ზერელე, არასერიოზული წვრილმანებით გაღიზიანება იყო და, როგორც კი არიოსტოს შემოტევას რაიმე შეფარულ ირონიას დაუპირისპირებდა, მაშინვე ქრებოდა. მთავარი სხვა იყო. ტიბალტის როლი ძალიან უყვარდა. მართალია, სტუდენტობაში ნათამაშევ ტიბალტს ყველაფერი რიგზე არ ჰქონდა, მაგრამ უმთავრესი, მისი ღრმა რწმენით, კარგად იყო გაკეთებული და მისი დარღვევა აღარ შეიძლებოდა. და სწორედ იმიტომ, რომ უმთავრესი გაკეთებული იყო, უნდოდა კიდევ ერთხელ ეთამაშა ეს როლი, რათა ისიც ბოლომდე გაეკეთებინა, რაზედაც გული ეთანაღრებოდა. მაგრამ ამას სხვა რეჟისორი სჭირდებოდა და არა არიოსტოსთანა გაუგებრად ჭირვეული, ხელმოცარულის განწირული თავდაჯერებით შეპყრობილი კაცი, რომელიც ხელაღებით უარყოფდა ყველაფერს, ისე რომ თავსაც არ იწუხებდა გაეგო, თუ რა იყო ის, რასაც უარყოფდა.

მაგრამ პირველმა რეპეტიციამ მშვიდობიანად ჩაიარა. უფრო მეტიც: რეპეტიცია რომ დამთავრდა, არიოსტომ ბეჭზე ხელი მოუთათუნა აბელს და უთხრა:

— ვიმუშავებთ ჩვენ ერთად და ვაჩვენებთ ზოგიერთ გუდაფშუტა შარახვეტიას, რა არის სპექტაკლი.

აბელი ვერ მიხვდა, რითი მოიგო არიოსტოს გული, რაც შეეხება „გუდაფშუტა შარახვეტიას“, თუ გუმანი არ ღალატობდა, ეს ნატიფი დახასიათება რომან ადეიშვილის მისამართით უნდა ყოფილიყო ნათქვამი.

საერთოდ, იმდღევანდელი რეპეტიცია ცოტა ფორმალური ხასიათისა იყო. ეტყობა, მაგიდასთან მუშაობა მოყირჭებული ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, აბელმა მაინც შეამჩნია, რომ მერი, როგორც ჩანს, უკეთ ითამაშებდა ჯულიეტას, ვიდრე გუშინ მოეჩვენა, როცა პირველად ნახა თეატრის ფოიეში. მისი ჯულიეტა ბავშვი იყო, რომელსაც სქესის სიმძაფრე ჯერ კიდევ არ ჰქონდა ბოლომდე გაცნობიერებული. მისთვის სიყვარული სიყვარულობანას თამაში იყო, ხოლო რომეო — ცისფერი ოცნების პარტნიორი. მოგვიანებით, როდესაც ბუნებამ გაიღვიძა და სხეულში ქალი აწრიალდა, სიყვარულობანას თამაში ერთბაშად სიყვარულად იქცა. ამ მოულოდნელი აღმოჩენის პირას ჯული-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეტა წამით სახტად დარჩა, მერე კი უკან მოუხედავად გადაეშვა თავდავიწყების მორევში. თეიმურაზ კილაძის რომელო ალბათ ყალბი და უსახური გამოვიდოდა. როგორც თვითონ იყო კოპწია გარეგნულად, ასე კოპწია რომელს თამაშობდა, უფრო სწორად, კი არ თამაშობდა, კეკლუცობდა და თავს იწონებდა, როგორც დრამწრეების პრემიერებმა იციან. არიოსტო ხოფერიას არც მისთვის მიუცია რაიმე შენიშვნა. საერთოდ, თითქმის მთელი რეპეტიციის განმავლობაში ჩუმად იჯდა, ეს იყო მხოლოდ, რამდენიმე ეპიზოდის გამეორება მოითხოვა. მერე რეპეტიცია დამთავრებულად გამოაცხადა და წავიდა.

ყველანი აიშალნენ. როდესაც მერიმ გასასვლელს მიაღწია, მას თეიმურაზ კილაძე წამოეწია, მკლავში ხელი მოჰკიდა და რაღაც უთხრა, თან მავედრებელი, ცოტა შესაბრალისი მზერა მიაპყრო. მერიმ ნახევრად დამცინავად, ნახევრად ზიზღით შეხედა, რაღაც უთხრა მოკლედ და მოკვეთით და ოთახიდან გავიდა. თეიმურაზ კილაძის სახეზე მავედრებელი გამომეტყველება წაიშალა და მხოლოდ შესაბრალისი გამომეტყველება დარჩა. მერე თავი ჩაჰკიდა და ისიც გავიდა ნელი, მძიმე ნაბიჯით.

აბელი არ ჩქარობდა. ყველანი გაატარა და მხოლოდ ამის შემდეგ წამოდგა. ოთახში დარჩა მაღალი, ბრგე, მხარბეჭიანი ტექნიკური რეჟისორი. მას წინ სუფთა ფურცელი ედო, ხელში კალმისტარი ეჭირა და დაფიქრებული სახით შესცქეროდა ჭერს. ალბათ მუზას თუ ელოდა ყვითელი კოლიას თემაზე.

აბელმა გასახდელში შეიარა, ქურთუკი ჩაიცვა და თეატრიდან გავიდა. ეზოში მერი იდგა და ვიღაც ახალგაზრდა ქალს ელაპარაკებოდა. მერის ყვითელი ზამშის გრძელი პალტო ეცვა, თავზეც ყვითელი ბერეტი ეხურა, რომლის ქვეშ მხრებზე დაფენილი სწორი, შავი თმა მკაფიო და თვალშისაცემი იყო. აბელს მერი ახლა უფრო ლამაზი ეჩვენა; ყოველ შემთხვევაში ყვითელი, სწორი პალტო, ყვითელი ბერეტი და შავი თმა, რომელიც ნაწილობრივ ლაწვებსაც უფარავდა, ისეთ ეფექტს ქმნიდა, რომ გაიძულებდა ყურადღება მიგექცია. ქალებს რომ ჩაუარა და გასცდა, მერიმ მოაძახა:

— აბელ!

აბელი შეჩერდა და მოხედა.

— დამიცადეთ, მეც მანდეთ მოვდივარ, — იმ ახალგაზრდა ქალს სხაპასხუპით რაღაც უთხრა, სასწრაფოდ დაემშვიდობა, უკვე შენობაში შემავალს მიაძახა, საღამოს დაგირეკავო, ღიმილით წამოეწია აბელს და შინაურულად, როგორც ძველ ნაცნობს, ხელი მკლავში გამოსდო. აბელს წამით თბილი, ნათესაური გრძნობა გაუჩნდა.

— ხომ არ შეგაშინათ არიოსტომ? —ღიმილით ჰკითხა მერიმ. იგი ნელა ლაპარაკობდა თავისი ბავშვური ხმით და გაცილებით უფრო ახალგაზრდა ჩანდა, ვიდრე გუშინ, თეატრის ფოიეში, როდესაც ასლანისა და რომან ადეიშვილის შუა იჯდა.

— შემაშინა, აბა, რა ქნა! — მიუგო აბელმა. — ყოველგვარი საკუთარი აზრი ჩამომართვა, როგორც პატიმარს ქამარს ჩამოართმევენ. თქვენც ასე გექცევათ, თუ მე უბრალოდ იოლად ხელწამოსაკრავი ვგონივარ?

— ჩვენ შეჩვეულები ვართ. თქვენც შეეჩვევით.

აბელმა თავი გაიქნია.

— ვერ შევეჩვევი. თვალდახუჭული არიოსტო ხოფერიას კი არა, მამა ღმერთს ვერ გავყვები.

— ხასიათსაა ვართ შეჩვეული, თორემ თვალდახუჭული არც ჩვენ მივყვებით, — გაიცინა მერიმ. — არის ერთი იოლი გზა, რომლითაც მორჩილებასაც აირიდებთ და კონფლიქტსაც.

— არიქა, მასწავლეთ!

— გასწავლით. გააკეთეთ თქვენებურად, ოღონდ თავი ისე დაიჭირეთ, ვითომ მისებურად აკეთებთ. „ბატონო არიოსტო, თქვენ რომ ამას წინათ ჩინებული იდეა მომაწოდეთ..." „როგორ გამომადგა თქვენი გუშინდელი რჩევა, ბატონო არიოსტო..." „რამდენად ღრ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მა და ეფექტურია, ბატონო არიოსტო, თქვენეული ინტერპრეტაცია...“ არიოსტოც დარწმუნებულია, რომ ყველაფერი მისი კარნახით კეთდება.

აბელმა უსმინა, უსმინა, მერე ერთბაშად მიხვდა, რომ ასე ვერ მოიქცეოდა და გაეცინა.

— ხომ იოლია? — ჰკითხა მერიმ და, პასუხს არ დალოდებია, ისე გადავიდა სხვა თემაზე: — მასპინძლებს როგორ შეეგუეთ?

— რომელ მასპინძლებს? ა! ასლანს? შევეგუე, როგორც შეიძლება შეეგუოს სტუმარი, რომელსაც დაბეჯითებით თხოვენ, შინაურად იგრძნოს თავი.

მერიმ ცერად გამოხედა. სახეზე ცოტა ეშმაკური ღიმილი ეხატა.

— გორდაძეების ძვირი თუ გინდათ თქვათ, ჩემთან ნუ იტყვით. ჩემი ნათესავები არიან.

— მართლა?

— კი. ნანოს მამა დედაჩემის ბიძაშვილია.

— ბატონი სევერიანე?

— ბატონი სევერიანე. — მერიმ მარცხენა ხელი ასწია და ქუჩის გადაღმა მხარეს მეგობრული ჟესტით მიესალმა ვიღაც კარგად ჩაცმულ ახალგაზრდა კაცს.

იმ კაცმა პასუხად შლაპა მოიხადა და მდაბლად დაუკრა თავი. აბელმა თვალი გააყოლა და, როცა კაცმა შლაპა ისევ დაიხურა, მერის ჰკითხა:

— რატომ თქვენ არაფერი გითხრათ არიოსტომ? მე მგონია, თქვენი ჯავრიც იმ საწყალ კოლიაზე იყარა.

მერის წამით გაუგებარმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე. მერე მხრები აიჩეჩა.

— რა ვიცი. არიოსტოს ჰკითხეთ. თავის საქციელს თვითონ უკეთ ახსნის.

ამასობაში გზის გასაყარს მიადგნენ და აბელი შეჩერდა, თუმცა ორივე მათგანის სახლი მარცხნივ იყო.

— შინ არ მიდიხართ? — შეჩერდა მერიც.

— არა. პატარა საქმე მაქვს ქალაქში. მართლა, ხომ არ იცით, სად ცხოვრობდა ძველი ტიბალტი?

— უკლება? — მერის ხმაში სულ ოდნავ შეერია აგდებული კილო. — რად გინდათ?

— არაფრად. ისე, ქალაქის ღირსშესანიშნაობებს ვეცნობი.

მერიმ გაიცინა.

— ქვემოთ ცხოვრობდა, მდინარის პირას.

— ეგ ვიცი. ზუსტად მინდოდა გამეგო.

— წამოდით, აგერ იმ ბექობიდან უნდა ჩანდეს.

აღმართში ავიდნენ. აქედან ფერდობი ციცაბოდ ეშვებოდა და ქვემოთ მართლა ყველაფერი ჩანდა.

. — აგერ, — უთხრა მერიმ. — აქეთ, აქეთ. მდინარის მუხლს ხომ ხედავთ? გამოჰყევით ოდნავ ჩვენკენ. სულ ცალკე რომ სახლი დგას, მდინარესთან ყველაზე ახლოს...

— მონაცრისფეროო?

— ჰო. ეგ არის. — აქ მერიმ აბელს შეხედა და ცოტა ირონიულად, ცოტა თითქოს გამომწვევადაც ჩაიცინა. — ექსკურსიაზე წასვლას არ გირჩევთ, მანდ ისეთი მემკვიდრე დატოვა უკლებამ, რომ ცნობისმოყვარე მნახველებს ახლოს არ იკარებს.

აბელმა ცოტა ხანს უყურა იმ სახლს. მერე ორივენი ჩამოვიდნენ ბექობიდან.

მერი გამოეთხოვა და წავიდა.

აბელმა თვალი გააყოლა. მერე შეტრიალდა და ქვემოთ, დაღმართში მიმავალ ქუჩას დაუყვა. გზად მაღაზიაში შეიარა, ცოტაოდენი ძეხვი და პური იყიდა. ბოლოს ერთ გზაჯვარედინს მიადგა. გზაჯვარედინი პატარა იყო და ოთხსავე მხარეს ვიწრო ჩუჩყიანი ქუჩები მიემართებოდა. მცირე ყოყმანის შემდეგ მარცხნივ გაუხვია, იმ ქუჩას დაადგა, რომელიც, მისი ვარაუდით მედუქნეებისა და ხელოსნების უბანში მიიყვანდა. მთლად დარწმუნებული არ იყო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ სწორი გზით მიდიოდა, მაგრამ ალღომ არ უმტყუნა, მალე მართლა გამოჩნდა ის ნაცნობი ვიწრო, ქვაფენილი ქუჩა.

ძველ უბანში ყველაფერი ძველებურად იყო: იგივე სუნი, რომელიც ათასი სხვა სუნისგან შედგებოდა, ჭუჭყიანი ტროტუარები, რომლებიც თითქოს მორცხვად ცდილობდნენ კედლისკენ მიკუნჭულიყვნენ და, რაც შეიძლება, მცირე ადგილი დაეჭირათ, კარლია დუქნები და სახელოსნოები, ჰაერში გამოკიდებული რიკულებიანი აივნები და ჭრელი ხალხის ჭრელი ყაყანი.

აბელმა მაშინდელივით იგრძნო გაუგებარი და საამო აფორიაქება და ნელი ნაბიჯით დაუყვა ქუჩას. ზოგი ვინმე, ვინც ამას წინათ ნახა, იცნო. მეწაღე იცნო, დალაქი და პატარა, დაკუნთული ბიჭი, რომელიც რიტმული მოძრაობით ამუშავებდა საბერველს.

ქუჩის ბოლოში წამით შეჩერდა. გზა მარჯვნივ მიდიოდა. აბელმა იცოდა, რომ, თუ ამ გზას დაადგებოდა, ცოტა ხნის შემდეგ რამდენიმე ქუჩა შეხვდებოდა, რომლებიც ქვემოთ, მდინარისკენ ეშვებოდნენ, და შეეძლო, რომელიც უნდოდა, ის აერჩია. თავდაპირველად ასეც ჰქონდა განზრახული, მაგრამ ახლა უეცრად გადაიფიქრა და ვიწრო ბილიკს დაადგა. ამ ბილიკით გზა ერთი ორად მოკლდებოდა, თუმცა სავალი გვარიანად ძნელი იყო.

მალე ბილიკი ჩაათავა, ჩაივაკა, დასახლებულ ადგილას გავიდა, კერძო სახლებს შორის პაწაწკინტელა, მოკირწყლული ქუჩებით იარა და ბოლოს გზატკეცილს მიადგა. აქ ქალაქი თავდებოდა. გზატკეცილს გადაღმა, ბალახით დაფარულ მიწის ვიწრო ზოლს იქით, დინჯად, მდორედ მიუყვებოდა განიერი მდინარე თავის კალაპოტს.

აბელმა გზატკეცილი გადაჭრა, მდინარის პირას მივიდა, შემოტრიალდა, ზურგით დადგა მდინარისკენ და ქალაქს დააკვირდა. მთავარი ქალაქი ზემოთ, პლატოზე იყო გაშენებული. გზატკეცილის პირას, ფერდობზე, ეტყობა, ძველი ქალაქის ნაწილი დარჩა, რომელიც, რაც დრო გავიდოდა, კიდევ უფრო დაძველდებოდა, თანდათან მოსწყდებოდა ახალ ქალაქს და გაუკაცურდებოდა. დღესდღეობით, როგორც ჩანდა, მაცხოვრებლები ჯერ კიდევ ებღაუჭებოდნენ მამაპაპეულ სამკვიდრებელს.

აბელმა მალე შეამჩნია განცალკევებით მდგარი, დასახლებისგან გამოყოფილი მონაცრისფრო სახლი და იქით გაეშურა. რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო მკაფიოდ ჩანდა, რომ სახლი ნახევრად დანგრეული იყო. ეზო არ ჰქონდა და არც არავითარი ნიშანი ეტყობოდა, რომ ოდესმე ჰქონოდა. ჩანაფიქრის მიხედვით, სახლი სართულნახევრიანი უნდა ყოფილიყო. ქვემოთ ნახევრად სარდაფი და ზემოთ — საცხოვრებელი სართული. წინ, მდინარის მხარეს, აივანი ჰქონდა. უფრო სწორად, ეს იყო აივნის ჩონჩხი, რომელზედაც მერე სახელდახელოდ დაეყარათ გაურანდავი ფიცრები.

სწორედ ამ აივანზე იწვა ძაღლი.

აბელი გზატკეცილის ნაპირს მიუყვებოდა. სახლს რომ გაუსწორდა, შეჩერდა. ჩალისფერი, ბომბორა ძაღლი აივანზე იწვა, დიდი თავი წინ გამოშვერილ თათებზე ედო და თვალები დაეხუჭა. ისეთი პოზა ჰქონდა, ვერ იტყოდით, ისვენებდა თუ გადარაჯებული იყო.

აბელი გზატკეცილიდან გადმოვიდა და ნელი ნაბიჯით გაემართა სახლისაკენ. მართალია, ღობე არ იყო, მაგრამ, ეჭვი არაა, იქნებოდა რაღაც უხილავი მიჯნა, ფრონტის ხაზი, რომლის იქით ყოველ უცხო კაცს საკუთარი სუნი ძაღლის თვალში ავტომატურად აქცევდა მტრად.

ძაღლი გაუნძრევლად იწვა. აბელს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მან კარგა ხანია იკრა სუნი, მაგრამ ამ სუნს ჯერჯერობით არ ჰქონდა ის სიმძაფრე, რომ მისი მყუდროება დაერღვია. აბელი ნელა, მშვიდად მიიწევდა წინ და ცდილობდა არ ეფიქრა ჯოხზე, ქვაზე ან თავდაცვის სხვა რაიმე საშუალებაზე. ასეთი ფიქრი მის სუნს ვადაზე ადრე გაამძაფრებდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ფრონტის ხაზს უფრო აქეთ გადმოსწევდა.

როდესაც სახლამდე მანძილი ოცოცდახუთ მეტრამდე შემცირდა, ძაღლმა ზანტად გაახილა ცალი თვალი და შემოხედა. თვალი პირდაპირ აბელისკენ იყო მომართული, ამიტომ ძაღლი არ შერხეულა, მხოლოდ ქუთუთო ასწია და ფარანი პირდაპირ სახეში შემოანათა. ეტყობა, სახიფათო ჯერჯერობით ვერაფერი შენიშნა, რადგან თვალი წამსვე ისევ დახუჭა, და აბელმაც მშვიდად განაგრძო გზა. მაგრამ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა, ძაღლმა ხელახლა გაახილა თვალი, ამჯერად უფრო დიდხანს უყურა ცივი ყურადღებით და ბოლოს ხმადაბლა, უხალისოდ, მაგრამ გამაფრთხილებლად დაიღრინა. აბელი შედგა. ძაღლმა ერთხანს კიდევ უყურა ეჭვითა და მოლოდინით, ბოლოს, რაკი დარწმუნდა, მოწინააღმდეგე უფრო ახლოს მისვლას არ აპირებდა, დამშვიდდა და თვალი ისევ დახუჭა. მაშინ აბელი იქვე ქვაზე ჩამოჯდა, ხელები ჯვარედინად დაიკრიბა მკერდზე და ძაღლს მიაჩერდა. რამდენიმე წუთს ასე იყვნენ: ძაღლი გაუნძრევლად იწვა აივანზე, აბელი გაუნძრევლად იჯდა ქვაზე. ბოლოს და ბოლოს უცხო კაცის სუნმა და დაჟინებულმა მზერამ ძაღლი ცოტათი შეაშფოთა. შეინძრა, თავი ოდნავ ასწია, ახლა უკვე ორივე თვალით შემოხედა და, თავისი მზადყოფნა რომ ეგრძნობინებინა, ყურები დაცქვიტა. აბელს ეს გამაფრთხილებელი ზომები აინუნშიაც არ ჩაუგდია. იჯდა მშვიდად და მისჩერებოდა. ამან ძაღლი დააბნია. აბელის გამომწვევი მზერა აფორიაქებდა, მაგრამ მოწინააღმდეგის სუნი — მთავარი გამაღიზიანებელი — ისეთი ძალით არ აწვებოდა თავდასხმის ბერკეტს, რომ აქტიური მოქმედება გამოეწვია. არადა, სხვა რა ეღონა, არ იცოდა. ახლა ისა და მისი უცნაური მოწინააღმდეგე, თუკი მოწინააღმდეგე შეიძლება ეწოდოს მოწინააღმდეგეს, რომელიც ფრონტის ხაზს აქეთ არ გადმოდის, თვალებში მისჩერებოდნენ ერთმანეთს. ძაღლისთვის ეს მძიმე ბრძოლა იყო და დიდხანს ვერ გაუძლო. ზანტად წამოდგა, წინა თათები მაგრად დააჭირა იატაკს, გაიზმორა და აივნის მეორე ბოლოსკენ წავიდა. არხეინი ნაბიჯით მიდიოდა, თავი ისე ეჭირა, თითქოს მოწინააღმდეგეს არაფრად აგდებდა. მაგრამ აბელს მისი მიამიტური ეშმაკობა არ გამოჰპარვია, მშვენივრად ამჩნევდა, რომ ცალი თვალი ერთთავად მისკენ ეჭირა. ძაღლმა ერთი ორჯერ ასე გაიარ-გამოიარა აივანზე. მაშინ აბელმა, თუმცა დარწმუნებული არ იყო, რომ სწორად იქცეოდა, ხმადაბლა დაუწრუპუნა. ძაღლი ერთბაშად, მკვეთრად შემოტრიალდა, დაიძაბა, სხეულზე კუნთები მკაფიოდ დააჩნდა და შემოუღრინა. ეს წელანდელ ღრენას არ ჰგავდა. ამჯერად ძაღლმა გაავთრებული სახე მიიღო, გრძელი, წვეტიანი კბილები გადმოყარა და სრული საბრძოლო მზადყოფნა გამოაცხადა იმის მოლოდინში, რომ მოწინააღმდეგე კვლავ დაუწრუპუნებდა და ამით საბოლოოდ უბიძგებდა თავდასხმისაკენ. მაგრამ აბელს არც უფიქრია სახიფათო ექსპერიმენტის გამეორება. მაშინ ძაღლმა თანდათან უკლო ღრენას. ბოლოს გაჩუმდა და იმედგაცრუებულმა ბოლთის ცემა განაგრძო. აბელმა ძეხვს ქაღალდი შემოაცალა, პური მოიტეხა და სადილობას შეუდგა. ძაღლი გაშტერდა. ეტყობა, ასეთი უნამუსობა არასოდეს ენახა და არც ასეთი მდაბალი და ვერაგი მეტოქე შეხვედროდა აქამდე. ერთხანს მონუსხული და ყურებდაცქვეტილი მისჩერებოდა აბელს, მერე ყურები ნელა დაუშვა. ცოტა ხნის შემდეგ თავი გვერდზე გადასწია და ასე უყურა, მაგრამ ეს ცნობისმოყვარე პოზა ეუხერხულა. მოწინააღმდეგე კი იჯდა თავისთვის და მადიანადილუკმებოდა. მაშინ თავს ძალა დაატანა, შეტრიალდა და ფეხათრევით შევიდა სახლში.

აბელმა იცოდა, რომ ძაღლი უთვალთვალებდა, და რამდენიმე წუთს დაელოდა. რაკი აღარ გამოჩნდა, წამოდგა, ძე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხვი და პური იმ ქვაზე დადო, რომელზედაც იჯდა, და უკან გამობრუნდა. ორიოდე ნაბიჯი რომ გამოიარა, მიიხედა. ძაღლი აივანზე იდგა და უყურებდა. აბელის მოხედვაზე ყურები დაცქვიტა და საბრძოლო პოზა მიიღო. აბელმა გაიცინა, შეტრიალდა და შინ წავიდა.

მეორე დღეს რომ მივიდა, ძეხვი და პური ხელუხლებელი დახვდა. ისევ ისე იდო ქვაზე, როგორც დატოვა. ძაღლს ამჯერად მაინცდამაინც აღარ გაჰკვირვებია მისი დანახვა. არც რაიმე მტრული განზრახვა გამოუმჟღავნებია. თავისთვის იწვა აივანზე, თუმცა ერთთავად მხედველობის არეში კი ჰყავდა. აბელი გუშინდელზე დიდხანს დარჩა. ბოლოს ქვაზე ძეხვის ახალი ულუფა დატოვა და წავიდა.

ამჯერად ძაღლს ცთუნებისთვის ველარ გაეძლო. ყოველ შემთხვევაში, შემდეგ ვიზიტზე აბელს ძეხვი აღარ დახვედრია. ძაღლიც უფრო მშვიდი და, როგორც აბელს მოეჩვენა, ლმობიერი თვალით უყურებდა. მაშინ აბელი ძველ საზღვარს გადასცდა და კიდევ უფრო მიუახლოვდა სახლს. ძაღლი წამოხტა, წინა თათებით აივნის იატაკს მყარად დაეყრდნო და თავი წინ წამოსწია. ღრენით აღარ იღრინებოდა, მაგრამ აბელის ყოველ ნაბიჯს ფხიზლად და შეშფოთებით აკვირდებოდა. აბელი თავადაც ფრთხილობდა, რომ ზედმეტი არ მოსვლოდა. ხუთიოდე მეტრით მიუახლოვდა სახლს და, რა შენიშნა ძაღლის შეშფოთება თანდათან იზრდებოდა, შეჩერდა. ახლა აქ დაუტოვა ძეხვი.

ერთი კვირის შემდეგ ძაღლმა აბელის გამოჩენაზე პირველად შეარხია კუდი. მართალია, გაუბედავად შეარხია და, თითქოს თავისი საქციელის შერცხვაო, სასწრაფოდ გააჩერა, მაგრამ თავი უკვე გასცა. კიდევ რამდენიმე დღეც და, სტუმარ-მასპინძელი, ერთმანეთის გვერდით მეგობრულად მოკალათებულნი, ერთად შეექცეოდნენ იაფფასიან, უგემურ ძეხვს.

ამასობაში აბელმა ძაღლის სახელიც გაიგო. სახელის დადგენა ძნელი არ იყო, თეატრში ალბათ ბევრს ეცოდინებოდა, მაგრამ აბელი ფრთხილობდა, არ უნდოდა ზედმეტი ცნობისმოყვარეობა გამოეწვია, მით უმეტეს, რომ უკლებას ირგვლივ ატეხილი ხმაური და მითქმა-მოთქმა ჯერ კიდევ არ ჩამცხრალიყო. ძაღლის სახელი თეიმურაზ კილაძეს დასტყუა. ერთ დღეს ორჯერ მოაწევინა სიგარეტი (ეს არ იყო მთლად ჩვეულებრივი ამბავი. თეიმურაზ კილაძე სიგარეტს არასოდეს ყიდულობდა, მუდამ სხვას თხოვდა. ხან შოულობდა, ხან ვერა. თუ მისცემდნენ, ამადლიდნენ და მორალს უკითხავდნენ, თუ არ მისცემდნენ, ადრე რომ მისცეს, იმას ამადლიდნენ და მორალს მაინც უკითხავდნენ. ასეთ ვითარებაში აბელის საქციელი სერიოზულ გულუხვობად ჩანდა). ორჯერ მოაწევინა სიგარეტი, ისე რომ თხოვნას არ დალოდებია, ხოლო შესვენების დროს ბუფეტში ჩაიყვანა და სოსისზე დაპატიჟა. როდესაც თეიმურაზი ჰამის ეშხში კარგად შევიდა, აბელმა უკლებაზე ჩამოუგდო სიტყვა. თეიმურაზი ხალისით აჰყვა და, როგორი კმაყოფილი და ნეტარი სახითაც სოსისს ჰამდა, ისეთივე კმაყოფილი და ნეტარი სახით აგინა დედის სული უკლებას. თან „მურდალი ტიპი“ უწოდა, „ბრექი“ და „გაფუჰებული“. „გაფუჰებული“ ცოტა კომიკურად ჟღერდა და თეიმურაზის ხასიათის რაღაც ისეთ ნიშანზე მიუთითებდა, რის გამოც მას ხან თეას ეძახდნენ, ხან თეონას, ხან თეკლას. მაგრამ აბელს ახლა ყურადღება არ მიუქცევია ამისთვის და ფრთხილად შეაპარა, ძაღლიც ჰყოლია, მგონი, სახელიც მითხრეს და დამავიწყდაო.

— ალი, — ზიზღით თქვა თეიმურაზმა.

— ჰო, ალი, ალი! — „გაახსენდა“ აბელს და კიდევ ერთი სიგარეტი შესთავაზა.

ამის შემდეგ აბელი ალისთან ერთად სახლშიც შევიდა და ინტერიერი დაათვალიერა. პირველად რომ უხსენეს „მიტოვებული სახლი“, გაუკვირდა, ან რატომ მიატოვეს და ან, თუკი მიატოვეს, რატომ უკლებამდე არავინ ჩასახლდაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლა დარწმუნდა, რომ ასეთ სახლში მხოლოდ ტიბალტის როლზე დანიშნული მძარცველი თუ გაძლებდა, რომლის საქმიანობა განსაკუთრებულ სპეციფიკასთან იყო დაკავშირებული. სახლის ქვედა ნაწილი, როგორც აბელმა თავის დროზე ივარაუდა, სარდაფს წარმოადგენდა. უფრო სწორად, ალბათ ერთ დროს წარმოადგენდა სარდაფს, ახლა კი ჩამოქცეული, ჩამპალი და ჩაოხრებული ნასარდაფალი იყო. ზემოთ ორი ოთახი იყო. ერთი მათგანის ცალი კედელი, ქალაქის მხარეს, კაცსა თუ სტიქიონს სრულიად დაენგრია. ამ სამკედლიანი ოთახის დანახვაზე აბელს სცენა გაახსენდა და გაეცინა. ჭერი ორივე ოთახში ჩამონგრეული იყო, იატაკი დამპალი, კედლები დახეთქილი. არც ერთ ფანჯარას მინა არ ჰქონდა. ოთხკედლიან ოთახში ერთი ხის ტახტი დახვდა, ძველი, მორყეული, ოლროჩოლრო ზედაპირით, ერთი ხის სკამი და ნახევრად დანგრეული ბუხარი.

აბელი თითქმის ყოველდღე მოდიოდა რეპეტიციის შემდეგ და ოთხ-ხუთ საათამდე რჩებოდა. მეტსაც დარჩებოდა, მაგრამ იცოდა, გორდაძეები სადილად ელოდებოდნენ და მის მისვლამდე არ დასხდებოდნენ. თავიდან აბელი ამ გადაჭარბებულ ყურადღებას ლამის ბორკილებივით გრძნობდა, მაგრამ ბოლო ხანებში, მას შემდეგ, რაც ალის შეეჩვია და დაუმეგობრდა, უკვე ნაკლებად და ნაკლებად აწუხებდა, რადგან გრძნობდა, რომ ის დაუოკებელი განზრახვა, რომელიც თანდათან გამოდიოდა ბუნდოვანების ქაოტური სამყაროდან და თვალსაჩინო და ხელშესახები ხდებოდა, ამ საშიშ სტუმართმოყვარეობასაც ზღვარს დაუდებდა.

და აი, ერთ დღეს, როდესაც განზრახვა კარგად მომწიფდა და ურყევ გადაწყვეტილებად იქცა, ეს გადაწყვეტილება ყოველგვარი განმარტების გარეშე ასლანს გაუმხილა:

— უკლებას ნასახლარზე უნდა დავსახლდე...

ასლანს ხელში პატარა, ბასრი ნაჯახი ეჭირა და ცალ მუხლზე დაჩოქილი ურმის თვალს თლიდა, იმ თვალს, რომლის არსებობამ საერთოდ ქალაქში და, მით უმეტეს, მსახიობის ეზოში თავის დროზე დიდად გააკვირვა აბელი.

ნაშუადღევი იყო, ციოდა. ცას მოთეთრო ღრუბლები აეფარებინა და სათოვლედ ემზადებოდა.

ასლანს მაღლა შემართული ნაჯახი ჰაერშივე გაუშეშდა, სწრაფად, მკვეთრი მოძრაობით მოატრიალა თავი, მაგრამ აბელის მშვიდი, არხეინი სახე რომ დაინახა, გაიცინა, ისევ ბორბალს მიუბრუნდა და საქმე განაგრძო.

ასლანმა აბელის ნათქვამი ხუმრობად მიიღო. ამან აბელს რაღაც გაუგებარი სიამოვნება მოჰგვარა და გადაწყვეტილება თითქოს კიდევ უფრო განუმტკიცა.

— ბარემ ხვალვე გადავალ,—თქვა მან.

ამჯერად ასლანმა ნელა, აუჩქარებლად, თითქოს ერთგვარი გამოზოგილი სიამოვნებითაც, მოატრიალა თავი. სახეზე ისეთი ღიმილი ეფინა, როგორიც უნდა ჰქონდეს კაცს, რომელიც ამხანაგის გასაცუცურაკებლად სალაღობო შეთქმულებაში მონაწილეობს და უკვე მომავალი მხიარული გართობის ეშხშია. მაგრამ ბოლომდე რომ მოატრიალა თავი, ლაღ ღიმილს სითბო გამოეცალა. აბელის მშვიდი მზერის უკან რაღაც შემაშფოთებელი დაინახა, რაღაც ავისმომასწავებელი. ნაჯახი მოწყვეტით მიაგდო ბორბლის გვერდით, წამოიწია, გაიმართა, გაიმართა, გაიმართა, თავისი დიდი, მასიური სახე ზემოდან ჩამოამხო აბელს.

— გაგიჟდი?!

სხეული დაძაბული ჰქონდა, გაშეშებული. გაფართოებული თვალებიდან აბელს ერთდროულად უმზერდა შეურაცხყოფილი მასპინძელი, ძმის ბედით შეწუხებული ძმა, იმედგაცრუებული მომთვინიერებელი, კლიენტის უმადურობით განაწყენებული ქველმოქმედი.

— ხვალ საღამოს გადავალ.

— სად, კაცო?! — ცოტა არ იყოს, ათრთოლებული ხმით დაიწყო ასლანმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ სათქმელი უეცრად გადაიფიქრა, დაძაბული სხეული ისევ მოეშვა, სახეზე ნიშნის მოგების მაგვარი გამომეტყველება გაუჩნდა და ხმაში თითქოს შურისძიების სიტკბო შეეპარა. — ძაღლი რომ არ შეგიშვებს?

— შემიშვებს.

— არ, შეგიშვებს. მოკლავ?

— შემიშვებს.

აქ ასლანმა უეცრად, ბავშვს რომ სათამაშოს წაართმევენ და საშველად დედას უხმობს, ისეთი სახე მიიღო, სახლისკენ შებრუნდა და თავისი მგრგვინავი ხმით დაიძახა:

— ნანო!

ნანო გონიერი ქალი იყო. პირველი შეცხადების შემდეგ ემოციები მოთოკა და აბელის განზრახვას საქმიანი, სერიოზული საბუთები დაუპირისპირა. კერძოდ, რომ სახლი დანგრეული იყო და საცხოვრებლად არ გამოდგებოდა, რომ ირგვლივ ერთი კილომეტრის მანძილზე კაციშვილი არ ცხოვრობდა და რამე რომ გასჭირვებოდა, წყლის მიმწოდებელი არავინ ეყოლებოდა, რომ ამ ზამთარს სიცივისაგან გაიყინებოდა, რომ ჭამა-სმა პრობლემად ექცეოდა და სხვა. ბოლოს, რაკი დაინახეს, აბელის სიჯიუტეს ვერ გატეხდნენ, ისევ ასლანმა იმარჯვა. მან შეუვალი კილოთი მოითხოვა, რაკი შენი თავის მტერი ყოფილხარ, იყავი ბატონო, მაგრამ ერთი კვირა უნდა მაცალოო, ამჯერად აბელზე მეტად თვითონ გაჯიქდა და ამ ნათქვამიდან ფეხი არ მოიცვალა.

— თუ არ გინდა სამუდამოდ დაგკარგო, ერთი კვირა მადროვე, რომ ბიჭები წავიყვანო და ის ნანგრევები ცოტათი მაინც დავამგვანო სახლს.

აბელი იძულებული გახდა დაეთმო. სიმართლე რომ ითქვას, გულწრფელად კი ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ გუნებაში ნასიამოვნები დარჩა. სახლი მართლაც სავალალო მდგომარეობაში იყო და, რაც იქ გადასვლა გადაწყვიტა, თვითონაც არა ერთხელ დაფიქრებულა ამ საკითხზე. გულში რაღაც გეგმებიც შეაკოწიწა. მართალია, ეს ოცნებას უფრო ჰგავდა, ვიდრე გეგმას, მაგრამ, როცა სასტიკი, ცივი და ფარღალალა ფაქტის წინაშე აღმოჩნდებოდა, იძულებული შეიქნებოდა ხელი გამოელო და მინიმუმის მინიმუმი მაინც გაეკეთებინა საიმისოდ, რომ, თუ საცხოვრებლად ვერ მოიმარჯვებდა იქაურობას, გასაძლისი მაინც გაეხადა. ამ საქმეს, ცხადია, ასლანის მითიური „ბიჭები“ გაცილებით უკეთ მოუვლიდნენ, ვიდრე ერთი და, ისიც საქმეში გამოუცდელი აბელი.

„ბიჭებმა“ მართლაც კარგად. გულდაგულ იმუშავეს, თუმცა პირველსავე დღეს კინაღამ მთელი გეგმები წყალში ჩაიყარა. საქმე ისაა, რომ ძაღლი არავის გახსენებია და მხოლოდ მაშინ, როდესაც ასლანი თავის მუშებთან ერთად არხეინად მიადგა სახლს, გამოირკვა, რომ აბელის ფორმალურ ნებართვას ალის ბეჭდის გარეშე არავითარი ძალა არ ჰქონდა. მაშინ ასლანი გატრიალდა და აბელი პირდაპირ რეპეტიციიდან წამოიყვანა. აბელმა ალის დაუყვავა, აუხსნა, რო „ბიჭებს“ კეთილი განზრახვა ამოძრავებდა, და, როგორც იქნა, დაიყოლია. ოღონდ იმ დღეს თვითონაც იქ მოუხდა დარჩენა. სამაგიეროდ ალიმ მუშების სუნი დაიხსომა, მეორე დღეს აღარ ახირებულა და საქმეც სწრაფად დაიძრა. მორღვეული კედელი ამოიყვანეს, ფანჯრებში მინები ჩასვეს, ბუხარი გამართეს, იატაკი გამოცვალეს, ჭერი და კედლები მოასწორეს, წყალი და ელექტროდენი შეიყვანეს. ერთი სიტყვით, იქაურობა მართლა გამოაცოცხლეს. ასლანს უნდოდა პატარა ეზოც შემოეღობა სახლის ირგვლივ, მაგრამ აბელმა არ ქნა.

ერთი კვირის შემდეგ აბელი თავის ამ ახალ საბრძანებელში გადაბარგდა. ასლანმა, მძაფრი პროტესტის მიუხედავად, მზითევში ერთი საწოლი გაატანა, ერთი მაგიდა, პატარა კარადა და სამი სკამი, თან (აბელის თავმოყვარეობა რომ არ გაეღიზიანებია) უთხრა, დროებით წაიღე, როცა შენსას შეიძენ, უკანვე დამიბრუნეო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბელის ნაბიჯს მისი ახალი ნაცნობები ეჭვითა და ამრეზით შეხვდნენ. გედეონ რევიამ გამოუცნობი სახით ჩაიცინა და თავი გადაიქნია. რომან ადეიშვილმა ქვედა ტუჩი წინ გამოიშვირა და თქვა: „ვითომ რაო?“ თეიმურაზ კილაძემ ლამაზი სახე მოპრუწა და აგდებული გამომეტყველება მიიღო. თქმით არაფერი უთქვამს. მხოლოდ მერის არ დაუნახავს ამ ამბავში არაფერი განსაკუთრებული და, მით უმეტეს, შეურაცხმყოფელი. მართლა გადადიხარო? — ჰკითხა და, დასტური რომ მიიღო, დაუმატა, ნეტა მეც გადამიყვანა სადმე და ამ ქალაქს მომაშორაო. მერი ბოლო ხანებში რაღაცნაირი სევდიან-იდუმალი ჩანდა.

აბელი დილით გადავიდა. ორშაბათი დღე იყო და რეპეტიცია არ ჰქონდა. ნასაუზმევს ჩაალაგეს ასლანის მანქანაში მისი ავლადიდება და გზას გაუდგნენ. ასლანისა და აბელის გარდა, მანქანაში ისხდნენ ნანო და რომან ადეიშვილი.

ნანომ ბოლო წამს გადაწყვიტა წასვლა. როდესაც ყველაფერი მზად იყო და კაცები მანქანაში სხდებოდნენ, უცებ გამოაცხადა, დამიცადეთ, გადავიცვამ და მეც წამოვალო. თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ კაცები სანდო ხალხი არ არის და ქვეყნის რამე დაავიწყდებათ ისეთი, რაც ოჯახისთვის აუცილებელია. მან საკუთარი თვალით უნდა ნახოს და შეამოწმოს ყველაფერი. საერთოდ, ნანო აბელზე უკვე უფროსი დის თბილი, მაგრამ კატეგორიული უფლებამოსილებით ლაპარაკობდა და აშკარად ხარობდა, რომ ასეთ ტონს მიაგნო. აბელი გრძნობდა ამას და თავადაც ცდილობდა, უმცროსი ძმის როლი მოერგო და ისეთი არაფერი ჩაედინა, რაც ნანოს მზრუნველი და საქმიანი დის ილუზიას გაუფანტავდა.

ბარგი აიტანეს, ბუხარი ააგიზგიზეს, შამპანური დააქუხეს, იკაურობა მოწყუწეს და ახლად ანთებული კერიის სადღეგრძელო დალიეს. ასლანი ყურადღებით ამოწმებდა „ბიჭების“ ნამუშევარს, ყველაფერს ხელით სინჯავდა და კმაყოფილი იქნევდა თავს. რომან ადეიშვილი გულგრილი სახით წრუპავდა შამპანურს და დროდადრო ეჭვის თვალით გადახედავდა ალის, რომელსაც დიდად ახარებდა საერთო ზეიმი, თუმცა ცოტა გაკვირვებული და დაბნეული კი იყო იმის გამო, რომ რამდენიმე დღეა ამ მარტოობას მიჩვეულ სახლში სულ ხალხი ირეოდა და არავის მტრის სუნი არ ასდიოდა. ნანომ ყველა კუთხე-კუნჭული დაათვალიერა, ბევრი რამ მოიწონა, ბევრი რამ დაიწუნა. ბოლოს ასლანს დაავალა, ერთი ელექტროქურა მოვუტანოთ სახლიდან, თორემ ბუხარი ამ ზამთარში ორივე ოთახს ვერ გაათბობსო. მერე მოითხოვა, ფანჯარაზე ფარდები ჩამოიკიდოს და რაფაზე ქოთნით ყვავილები დაიდგასო. ფარდებზე აბელი დაყაბულდა, ყვავილებზე კი უარი უთხრა, წყლის დასხმა დამავიწყდება და დამიჭკნებაო. ნანო იძულებული გახდა ამ საფუძვლიანი მოსაზრებისათვის ანგარიში გაეწია, სამაგიეროდ სარკის შეძენა დაავალა და, როცა აბელი შეჰპირდა, აუცილებლად ვიყიდიო, უცებ გაახსენდა, რომ ყიდვა საჭირო არ იყო, რადგან მათ სახლში ჰქონდათ რამდენიმე ზედმეტი სარკე, რომლებიც არ იცოდნენ, სად წაეღოთ.

მეორე ბოთლი შამპანური რომ გახსნეს, ასლანმა თქვა:

— გაზაფხულზე სარდაფი უნდა გაიწმინდოს, ოთახები შეილებოს, აბაზანა გაკეთდეს, აივანი დამთავრდეს...

— ტელეფონია საჭირო, — შეაშველა ნანომ.

— ტელეფონი უნდა დაიდგას, — თქვა ასლანმა.

— მერე კი ცოლი უნდა შეირთო, — მოითხოვა უფროსმა დამ. — ოჯახი უნდა შექმნა.

აბელი სიცილით დაჰპირდა, აუცილებლად შევირთავ ცოლს, როგორც კი ტელეფონი მექნებაო, მაგრამ, ნანომ რომ რაღაც მოიდუმალო-ეშმაკური სახით უთხრა, საცოლეს შერჩევა ჩემზე იყოსო, შეკრთა, რადგან ნანოს ხმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ისეთი კილო მოესმა, არ გაუკვირდებოდა, მართლა რომ ჰყოლოდა ვილაც შეგულებული.

ახალმოსახლეობის ზეიმი ბაზრის მოედანზე გაიმართა, რესტორანში, რომელსაც, როგორც უკვე ვიცით, აქაურები ლუდხანას ეძახდნენ.

ამასწინანდელი კონფერენციისაგან განსხვავებით, ეს კონფერენცია ხალხმრავალი იყო, მაგრამ, თუ ვილაპარაკებთ არსებით და არა გარეგნულ განსხვავებაზე, არსებითი განსხვავება ის იყო, რომ ამჯერად საზეიმო სუფრაზე, ყოველ შემთხვევაში, მანამ, სანამ ღვინო თავისას იზამდა, ისეთი განწყობილება სუფევდა, თითქოს ზეიმი, შეპყრობილი და გათოკილი, ძალად დასვეს სუფრასთან და ძალადვე იჭერდნენ, რომ დრო არ ეხელთა და არ გაქცეულიყო. საქმე ისაა, რომ აბელის დასახლებას უკლებას ნასახლარზე თითქმის ყველა უნდოდ და სკეპტიკურად შეხვდა და ახლა, როცა ამაზე ლაპარაკობდნენ (ამაზე კი არ შეეძლოთ არ ელაპარაკათ, რაკი სუფრა აბელის ახალმოსახლეობას ეძღვნებოდა), ცდილობდნენ აბელისთვის თვალებში არ შეეხედათ და, საერთოდ, ისეთი სახე ჰქონდათ, პატიოსან კაცს რომ გარემოება ტყუილის თქმას აიძულებს. ასეთ განწყობილებას თავად თამადამ, რომან ადეიშვილმა დაუდო სათავე. მან პირველი სადღეგრძელო, აბელის ახალი კერიის სადღეგრძელო, ისე წარმოთქვა, ისე ნელა, გაჭიანურებით, ისეთი მძიმე პაუზებით და ფიქრიან-სერიოზული კილოთი ილაპარაკა, თითქოს კი არ ლოცავდა, არამედ ცდილობდა რაღაც დანაშაულის გამო ნამუსი მოეწმინდა დამსწრეთა წინაშე.

აბელი ამან ცოტა გაალიზიანა. საბედნიეროდ, პირველი სადღეგრძელოს შემდეგ მისი ახალი კერია აღარ უხსენებიათ და უხერხულობაც ნელ-ნელა გაიფანტა, ხოლო მერე, ღვინო რომ მოეკიდათ, გახალისდნენ კიდეც და ნადიმიც ნადიმს დაემსგავსა. კაკო ორჯონიკიძე დათვრა, თავისი სახელოვანი წარსული გაიხსენა, გული ამოუჯდა და იტირა. ვანო როსტიაშვილი, რომელიც დაპატიჟებული არ ყოფილა, „ნაცნობის საძებნელად“ მოვიდა, მაგრამ ის ნაცნობი მალე დაავიწყდა, დაჯდა, გამოტყვრა და ისე გაიპარა, არავის შეუმჩნევია. თეიმურაზ კილაძე შეუსვენებლად ჭამდა და კარგადაც გაიტიკნა. დირექტორი, გედეონ რევია და ქალები (მერის გარდა) მალე წავიდნენ. ასლანმა ისინი ყველანი ერთად ჩასხა მანქანაში და სახლებში ჩამოარიგა, ნახევარ საათში უკანვე მობრუნდა და მოითხოვა, უჩემოდ თუ რამე დალიეთ, არ გამომაპაროთ, მეც დამალევინეთო.

შუაღამის ხანს ნადიმი დამთავრდა. მერი, აბელი და რომან ადეიშვილი ასლანმა მანქანაში ჩაისხა. წინ მერი დასვა, უკან — აბელი და რომან ადეიშვილი.

პირველად აბელი მიიყვანა სახლში.

ალი ყურებდაცქვეტილი გამოვარდა, მაგრამ ეტყობა, შორიდანვე იგრძნო ნაცნობი სუნი, კუდი ააქიცინა, ერთი ირგვლივ შემოურბინა, მანქანას, მერე, აბელი რომ უნდა გადმოსულიყო, იმ კართან შეჩერდა, წინა თათები მიწას მაგრად დააჭირა და დაძაბული მოლოდინით აწრიალდა.

მერიმ აიხირა. ცოტა ხნით გადავიდეთ, მეც მინდა ვნახო აბელის სახლი, ვინ იცის, კიდევ როდის მომეცემა ასეთი ხელსაყრელი შემთხვევაო. რომანმა მოწყენით იუარა, რა არის სანახავი, სახლი სახლია, ანდა რა დროს სტუმრობაა ამ ნაშუაღამევსო. ასლანმა სიცილით დაუკრა კვერი რომანს, ჰო, უხერხულია, ალბათ უკვე ყველას სძინავსო.

— გადმოდით, გადმოდით, — შეიპატიჟა აბელმა, თვითონ გადავიდა, ალის თავზე გადაუსვა ხელი და მერის გაუღო კარი. — გადმოდით, ერთი ბოთლი შამპანური კიდევ მაქვს.

— ბევრი გქონია, — ზანტად გაიღიმა რომან ადეიშვილმა. — არ გაგიფუჭდეს.

— ჩვენ არაფერი, — გადმოვიდა მანქანიდან ასლანი და კარი ჯახუნით მიხურა. — მაგრამ მერის დაპატიჟება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ ბოთლ შამპანურზე კაი ვაჭაკაცობაა. თუ არ გაგიგონია, ბარაბაძის სტუმრობაო ნუ გგონია ხუმრობაო?

აბელი წამით თითქოს გამოფხიზლდა. მერე გაკვირვებით მიაჩერდა მერის.

— შენ ბარაბაძე ხარ? — მერი ღიმილით უყურებდა. — ეს შენა ხარ ცნობილი „ბარაბაძის ქალი“?

— ჰო, მე ვარ. რა, ცუდი ვარ თუ?

— მშვენიერი ხარ, — აბელს მოულოდნელობის გაკვირვებამ და დაბნეულობამ გაუარა. — კიდევა უკეთესი ხარ, ვიდრე აქამდე იყავი. — ეს ისე, უაზროდ წამოროშა და მხოლოდ მერე მიხვდა, რომ ამ წუთს მართლა ძალიან ლამაზი ეჩვენა. მერი ის იყო, მანქანიდან გადმოდიოდა. ჯინსის შარვალი აეკეცა და ყავისფერი ჩექმების ყელები გამოეჩინა, ტყავის გრძელი პალტო გახსნილი ჰქონდა და ქვეშ მაღალყელიანი თეთრი ჯემპრი ეცვა, ბერეტი ოდნავ გვერდზე მოქცეოდა და ღიმილით უყურებდა აბელს. სახე ცოტა ჩიტს მიუგავდა და შესაძლებელია იმდენად ლამაზი არ იყო, რამდენადაც მიმზიდველი. საერთოდ, მერის სილამაზეს ჰარმონია აკლდა, და ამ ჰარმონიის ნაკლებობა ზოგჯერ თითქოს ხელს უშლიდა, ზოგჯერ კი პირიქით, უფრო ეფექტურს ხდიდა მის გარეგნობას.

— არ მიკბენს? — ალისკენ გაიშვირა ხელი მერიმ.

— ნუ გეშინია, — დაამშვიდა აბელმა.

ალიმ მერის ჩექმები დაყნოსა და ეტყობა, კმაყოფილი დარჩა.

— ამის გამოჩენაზე ხალხი იმალებოდა. ასე როგორ მოარჯულე?

— არ უნდა შეგეშინდეს. შიშს ისეთი სუნი ასდის, რომ ძაღლს აღიზიანებს.

— მართლა? ხელი რომ გადავუსვა თავზე?

— გადაუსვი.

— მეტისმეტად ნუ გაუშინაურდები, — ურჩია რომან ადეიშვილმა. — რაც არ უნდა იყოს, მაინც ძაღლია.

მერი დაიხარა და თავზე ხელი გადაუსვა. მერე ყველანი მაღლა ავიდნენ და აბელმა შამპანური გახსნა.

— აქ როგორ უნდა გაძლო? — გაუკვირდა მერის.

—ორიგინალობს, — თქვა რომან ადეიშვილმა და, ეს ნათქვამი რომ აბელს ზედმეტად სერიოზულად არ მიეღო, ჰიქა მიუჭახუნა.

აბელი ორიგინალობას ვერ იტანდა. რომან ადეიშვილმა კი, მიუხედავად იმისა, რომ ჰიქა მიუჭახუნა, ეს ბრალდება, ეჭვი არაა, მაინც სერიოზულად წამოუყენა. ალბათ ამის გამო მოხდა, რომ აბელი, როდესაც სტუმრები გააცილა და ზემოთ ამობრუნდა, არ დაწოლილა, თუმცა უკვე ღამის ორი საათი იყო, ცეცხლი აანთო, ელექტროქურა ჩართო (იგი ნანოს დავალებით შუადღისას მოუტანა ასლანმა) და ბოლთის ცემას მოჰყვა. ალი ბუხრის პირას იწვა, ზანტად ადევნებდა თვალს თავის ახალ პატრონს და, როცა ეს უკანასკნელი გვერდით ჩაუვლიდა, ოდნავ შეარხევდა კუდს, რაც უფრო ინსტინქტური მისალმება იყო, ვიდრე საპასუხო რეაქციის რაიმე იმედი, რადგან კარგად ესმოდა, რომ აბელი თავის ფიქრებში იყო დანთქმული და მისთვის არ ეცალა.

აბელი ნელი ნაბიჯით მიმოდიოდა ოთახში, ფიქრობდა და ხანდახან თავის ფიქრებს უარის ნიშნად თავს გაუქნევდა. ბოლოს ბუხრის პირას დაჯდა, ალის თავზე ხელი გადაუსვა და, როცა ამით შეთამამებული ძაღლი კუდის ხალისიანი ქიცინით ახლოს მოხოხდა, უთხრა:

— ხვალიდან ღვინოზე უარს ვიტყვით და საქმიან ცხოვრებას დავიწყებთ. ორიგინალობა კი მცდარი ბრალდებაა. ფიზიკოსი და მსახიობი ისეთი ცნებებია, ერთმანეთის გვერდით რომ მოათავსო, ორივე სასაცილო გამოჩნდება. მაგრამ ეს ტაკიმასხარობაა და არა ორიგინალობა. ასე არაა?

ალიმ თანხმობის ნიშნად ერთგულად გააქიცინა კუდი.

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თამარ ერისთავი

## სიცოცხლე

ო, რატომ, რატომ შემოგვიტყუეს
ამ ლაბირინთში
   ალერსით და ტკბილი სიტყვებით,
რატომ აგვავსეს მოლოდინით
                                        სასწაულისა
და ოცნებით ბედნიერების!!!

რად დაგვავიწყეს ის, რაც იყო
და არ გვამცნეს ის, რაც იქნება,
გარდა იმისა,
რომ ლაბირინთს
მხოლოდ ერთი გასასვლელი აქვს
და საითაც უნდა იარო,
საბოლოოდ მას ვერ ასცდები...

რად გაგვიხადეს არსებობა
საგუმანოდ,
სავარაუდოდ...

ან ვის ენება —
      ასე, ამდენ ხანს
თავგასართობად
ჩვენით თამაში?!

გზა სად იწყება
      საით მიდის,
      ან სად თავდება,
საბოლოო რაა მიზანი...
რამდენ ლაბირინთს გვიმზადებენ,
რომ გავლიოთ ხელის ცეცებით
და ბრმა ანდეთი...
ანდა —
      აქვს კია დასაბამი
            ან დასასრული
ჩვენს ხეტიალს
ამ დიდ სივრცეში?!

## რიბირაბო

გამთენიისას,
გამთენიისას,
როცა ვარსკვლავებს დაჰკრავს სიფითრე
და ცის ნაპირი
      გლიცინიას ფურცელივით გაიცრიცება,
როცა გაკრთება ფერთა სიცივე
და ძილ-ბურანში მკრთალად ციმციმებს
      ციცინათელა,
როცა ჯერ კიდევ
      ძილს და სიფხიზლეს
ერთი კალთის ქვეშ თვალმილულულებს,
      შორეულ ცათა მუსიკა ესმით, —
ქაოსის ზღვიდან, ისე ვით თევზი
ნელა მოჰყვება რძისფერ დინებას
      სხეული ჩვენი,
და რიბირაბო, რიბირაბო სივრცეში მიდის
და რიბირაბო, რიბირაბო ტალღები ირგვლივ
მორბის და მირბის,
მორბის და მირბის,
      და რიბი-რაბო,
      რი-ბი-რა-ბო ფერია ირგვლივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . . . . . .

მერე ნელი-ნელ მკრთალი ფერები
და ელფერები სხვადასხვა ფერთა
მოდიან ერთად,
და ერთმანეთში ირევიან, თითქოს დნებიან,
და შეუცნობელ, ციურ-ვნებიან
ბურანში გვხვევენ.
ნელა მოვყვებით რძისფერ დინებას
რძისფერი ნისლის
და რიბირაბო, რიბირაბო სივრცეში ისმის
ცათა სამრეკლოს შორეულ ზარებს
ვით აწკრიალებს ციური მნათე.

. . . . . . . .

მერე იწყება ფერთა სიცივე,
უკანასკნელად გაიციმციმებს
ციცინათელა,
მინელდება მუსიკა ცათა,
და გამთენიას
ძვალ-რბილში ატანს
გარიჟრაჟის პირველი სხივი.

●

გვიანი ღამით,
როცა ძილი გამოდის მლვიმით,
და ნელნელა ყველა სულიერს,
როგორც ნიჟარამოცილებულ ლოკოკინას,
სინათლით და ხმაურით დამფრთხალს,
კვლავ ნიჟარაში დააბრუნებს ჯადოქარივით, —
გვიანი ღამით
ღმერთის ხელით გამოძერწილ თიხის ჭურჭელში,
ისე, ვით ქარი ლელიანში,
ჩურჩულს იწყებს იდუმალება.

უჩინმაჩინის ფერიები უჩინარ ხელით
მოხსნიან ყველა მიჯნას და ტიხარს,
ყველა დაგმანულ კარებს აღებენ...
ნაპირისკენ მოიჩქარიან სევდის და ფიქრის
შორი ტალღები. და მოშრიალებს
ოცნებათა ცისფერი ფარჩა ბნელი ქაოსით...
ნაპირი არ ჩანს,
არც მიჯნა და ტიხარი არ ჩანს...
უჩინმაჩინის ფერიები
ბამბის ფთილებად გარდაქმნიან
სხეულის და ტვინის სიმძიმეს
და ფიფქებივით ცის წიაღში მიმოაბნევენ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქცევა ხმად და იქცევა ფერად
უსხეულო ვნებად იქცევა
უჩინარ ფრთებზე მოფარფატე
უწონადი არსება კაცის
და ერწყმის ასე განტვირთული
თვის პირველ საწყისს...

გვიანი ღამით,
გვიანი ღამით,
ღმერთის ხელით გამოძერწილ თიხის ჭურჭელში,
ისე, ვით ქარი ლელიანში,
იწყებს ჩურჩულს იდუმალება.

## ერგასი

როგორ გელოდა ჩემი კოშკის მაღალი ლანდი
მისკენ მიმავალ ერთადერთ გზაზე,
მომლოდინე რამდენი თვალით,
რამდენი თვალით...
როგორ გელოდა ჩემი კოშკის მაღალი ლანდი,
რამდენი მზით და რამდენი მთვარით...

რომ მოსულიყავ,
შენი სულის ერთ დაბერვაზე
ათრთოლდებოდა ჩემს ეზოში ყველა ვერხვის ხე,
განგერთხმებოდა ფეხქვეშ ბალახი
და ერთგული ეზოს ძაღლივით
გამოჰყვებოდა შენს ნაკვალევს კოშკის კარამდი.
ჩამოლღვებოდა ცვილად ქცეული
ჩემი კოშკის ქვა და ქვიტკირი,
იძვროდა მიწა,
მოვიდოდა შორი ქაოსი
ქარით და დელგმით,
გადაგვლეკავდა ადიდებულ მდინარესავით
და მერე...
როგორც დილის ბურუსი
ავცილდებოდით მიწის საზღვარს,
ავცილდებოდით
და უუშორეს ვარსკვლავებში დავინთქმებოდით.

. . . . . . . . .

და შენ მოხვედი...
მაგრამ რაღა დროს —
დაგმანულია ყველა კარი, ყველა სარკმელი,
დახუჭულია მოლოდინის ასივე თვალი,
აღარ მოლღვება ჩემი კოშკის ქვა და ქვიტკირი
ისე, როგორც რკინა და რვალი —
ხალიბების ხელით ნაჭედი;
გამიჯნულია უკვე ცის და მიწის საუფლო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოფნისა და არყოფნის ზღვარით,
და ვარსკვლავები,
    როგორც ცივი ლურსმნისთავები
ისე მოჩანან ცის ტანს მიკრული.

. . . . . . . . . . .

მაგრამ ეს რაა,
რად დაფრენენ თავს ჩიტები ხის კენწეროებს
ასე მწარე თავგამეტებით,
რად ცვივიან ციდან ვარსკვლავნი,
რად იძვრის მიწა,
რად მემხობა ჭერი სასახლის...

ნუთუ ისევე დაიწყება
ჩემს ეზოში
ვერხვის ცახცახი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ომარ თურმანაული

### მთები

დილა...
ჯერ კიდევ მომწვანო ბალახს
თეთრი თვირთვილის ცივი ხაზები
ზამთრის მომავალ დიდ ყინვებს აჩვევს.
დილა.
ხმამაღლა ლანძღავს მდინარე
გაყინულ რიყეს,
გათოშილ მთებს,
გადამზრალ ჭალებს.
დაბერყრუებულ მთებს სიმღერად ესმით ეს ლანძღვა
და...ბანს აძლევენ,
სერიოზულ, ბებრულ სიდინჯით.
მღერიან მთები, დღე და ღამე მღერიან მთები...
არ მინდა ახლა რაიმეზე ფიქრი, არ მინდა...
მთა მინდა ვიყო, ბებერი, ყრუ მთა
და ყოველი ხმა ჩემს სმენაში შემოღწეული,
სიმღერის ხმა მეგონოს მინდა
და მე ვმღეროდე,
დღე და ღამე ვმღეროდე მინდა...

### მზის ექო...

ბავშვი ასფალტზე თეთრი ცარცით
თეთრ მზეებს ხატავს...
მათხოვრის ქუდშიც მონეტებზე ბრწყინავს მზეები.
იმ მზეებიდან ამ მზეებამდე, როგორი გზაა?..
ბრწყინავს მზეები ასფალტზე და მათხოვრის ქუდში.
ჩვილი ღუღუნებს და ქუჩაში ღიღინებს ლოთი,
როგორი გზაა იმ ღუღუნს და ამ ღიღინს შორის?
როგორი გზაა, გაავლე თვალი,
პირველ ამბორს და მეძავ ქალის გინებას შორის...
გაავლე თვალი,
გაავლე თვალი,
ამომავალი და ჩამავალი
მზის ექო გასდევს ცხოვრების გზებს,
ექო, მზის ექო,
ჩვენივ გულიდან არეკლილი რომ ისახება
ჯერ თეთრ მზეებად
და ღიმილად
და იმედებად,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველ ლექსად
პირველ ამბორად,
მერე კი მერე...
სექტემბრის მზეს დაუხრია თბილი ტოტები.
ღუღუნებენ ჩვილები და ხელებს იწვდიან.
ვარდისფერ ხელებს იწვდიან მზის თბილი ტოტისკენ...
იღიმებიან ქალიშვილები
და მათი ნაზი ღიმილი ჟონავს
მათივე ჩუმი სურვილების მიმართულებით...
მზე ნელა ჩადის
და რამდენი თვალი უყურებს
ამ მზეს ჩამავალს
ორგვარ ნდომის გამომხატველი:
„მზეო ჩადი“ და
„მზეო ნუ ჩახვალ“ —
მავანისათვის სიყვარულის პირველი ღამე,
მავანისათვის საბოლოო დაისი დგება.

„მზეო ჩადი“...
„მზეო ნუ ჩახვალ“...
მზის სვლას ორგვარი სურვილები აწონასწორებს.
მზე ნელა ჩადის,
სექტემბრის მზე ნელა ჩადის და
ჩემი მზეც ჩაჰყავს...
და მე ვუსმენ უთქმელ გრძნობების გნიასს
ჩემი გულის ფარეხში:
იხორხლებიან ერთმანეთზე გრძნობა უთქვამი
თუ ნათქვამი,
უთქვამ-ნათქვამი,
როგორც ფარები... გინახიათ დამფრთხალი ფარა?..
მზეო ნუ ჩახვალ,
ნუ დამიფრთხობ გრძნობებს ჯერ უთქმელს...
და
— მზეო ჩადი,
მოდი მალე ყვითელო მთვარევ
და ხორციელი სიყვარულის ღამევ პირველო...

მზის სვლას ორგვარი სურვილები აწონასწორებს...

## ნაწყვეტები ნაპოვნი წერილებიდან

... გადავრჩი...
ისევ შევასკდი უარს,
გულით შევასკდი, მაგრამ გადავრჩი.
კვლავ მარტო დავრჩი ჩემი სულის უფსკრულის თავზე
და შიშით ჩავცქერ ჩაუწვდომელ სიღრმეებს მისას.
სადღაც იქ, ფსკერზე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიყვარულის მდინარე მიდის
და სიბნელეში ულამაზეს ფიგურებს ძერწავს.
საით გახეთქავს სიყვარულის მდინარე ნეტავ,
საით გაიკვლევს თავის გზა-სავალს?
ჯერ კი კვლავ ჩუმი სიყვარულით ვუყურებ ყველას:
მომღიმარ წყვილებს,
ოჯახებით გამთბარ სართულებს,
ოდნავ ცერცეტა, ლამაზ ასულებს,
ახოვან ვაჟებს... იმასაც, დღეს რომ...
და ვდგავარ ისევ ჩემი სულის უფსკრულებს ჩავცქერ...
.. კარგად იყავით,
მომიკითხეთ ყველა ერთიან:
ვეფხია, ჯიმი, თებრო, ხათუნა...
მე ყველა მიყვარს,
გადაეცით ყველას რომ მიყვარს
თვითოეული, და წყვილ-წყვილად
და ყველა ერთად...
ჩემს მაგიერად გადაკოცნით ხელ-და სულსპეტაკ გლეხსა
და ყველა მსუქან დახლიდარს.
მე ყველა მიყვარს,
და უთხარით ყველას რომ მიყვარს...
თვით ვაჟის მკლავზე ათრთოლებულ ქალიშვილს ჰკითხეთ
თუ როგორ არის, დამიკოცნეთ, დამინუგეშეთ...
დამინუგეშეთ ჩემს მაგიერ დედები თქვენი,
ცოლები თქვენი
და შვილები
და მეზობლები.
ვინაც თქვენ გიყვართ,
უთხარით მას, რომ ის მეც მიყვარს,
ვინაც თქვენა გძულთ,
უთხარით, რომ მე მაინც მიყვარს,
ვისაც გაიცნობთ ან დასტოვებთ მე ყველა მიყვარს...
კარგად იყავით
მომიკითხეთ ყველა ერთიან...

მე არა მიშავს, მე ღმერთები მივლიან თვითონ;
მეფერებიან, მტანჯავენ და მეფერებიან და
ყველა ღმერთი არის თვითონ სიტყვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

# ნოველები

## ზვანჯი

დიდი მადლობა, ბატონებო, ჩემი დღეგრძელობისთვის. ძალიან კი გამათამამეთ ეს დროული კაცი. განა არ ვიცი, რაც მიწოდეთ, იმის ნახევარიც არ მეკუთვნოდა, მაგრამ მაინც მესიამოვნა. თქვენმა სიტყვებმა წელში გამმართა, თითქოს ძალაც მომემატა. სადღეგრძელო სურვილია, მეტი ხომ არაფერი... სურვილები მაინც რაღამ შეახარბა ზოგიერთს ჩვენი — ქართველები სუფრაზე ერთმანეთს გადაჭარბებულად აქებენო. არა, ბატონო, ეს ქება კი არა, უფრო მოწოდებაა. სადღეგრძელოს ასეთი ქვეტექსტი აქვს: ნეტამც, ასეთი და ასეთი იქნებოდეო. მეც ასე გავიგე. ღმერთმა აგაშენოთ მოწყენილობის თეთრი დღეებიდან ჩემი გამოხმობისთვის. რისი ღირსი ვიყო, ისე გამიმარჯოს. ანგელოზივით სუფთა კაცი ხარო, დღეს აქ ვიღაცამ მითხრა. არა, ჩემო ბიძია, იქნებ ოდესღაც მეც მქონდა სურვილი სუფთად შევრჩენოდი ამ წუთისოფელს, მაგრამ სულ ტყუილია. პირველ პერანგს რომ გაცვითავ, იმის შემდეგაც კი შენი ცოდვა ბეჭებს გიმძიმებს. რაკი კაცი ხარ, ვერსად გაექცევი ამ ცოდვას. იქნებ როგორმე ყველამ ვეცადოთ ნაკლებად დავამძიმოთ სული ჩვენი საამქვეყნო ცდუნებებით ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ გვთავაზობს ცხოვრება. ვცდილობდი-მეთქი მოგახსენეთ, ვცდილობდი და მეტი არაფერი. წუთისოფლის ჯაჯგურიდან წმინდად გამოსვლა მაინც ვერ შევძელ. რა სუფრაზე მოსაყოლი ამბავი ეს არის, მაგრამ მაინც უნდა გიამბოთ. თქვენს მიხაკო გობეჩიას კაცის ცოდვაც კი აძევს კისერზე. არ არის, არა, ჩემო კარგებო, ადამიანი ანგელოზი. რაც უნდა გავალამაზოთ, იგი მაინც ადამიანია და, კაენის ლალატი საფლავამდე მისდევს.

ის დრო იყო, გერმანელები კავკასიონზე რომ მოხოხავდნენ და მარუხ-ვლადიკავკაზში დარხეული ზათქის ხმა სოხუმს წვდებოდა. რაიკომში ვმუშაობდი მაშინ. იმ დღეს, სადილობის ჟამს, სამ საათზე სოხუმი დაბომბეს. ჯერ ისედაც არ გვქონდა მოსვენება პარტიულ მუშაკებს და ამ ზარმა (პირველი დაბომბვა იყო.) დიდ გასაჭირში ჩაგვაგდო. მოდი და აუხსენი ხალხს, რომ გერმანელები ჯერ კიდევ შორს არიან და ჩვენები კავკასიონის დათმობას არ აპირებენ.

დილიდან შუაღამემდე დავწანწალებდით ქალაქად და სოფლად. მოხალისეთა რაზმებს ვადგენდით, თავშესაფრებს ვამაგრებდით და ვაკომპლექტებდით, სურსათის განაწილებას ვამოწმებდით, პანიკით მოცულ მოხუცებთან და ხეიბრებთან სიტყვით გამოვდიოდით და ჩვენი ჯარის უძლეველობაზე ვესაუბ-

რებოდით. მართლა ისე კი არ იყო საქმე, კინოში რომ გინახავთ. მშიშარა და გამცემი ბევრი გვყავდა. [illegible] მეზობელმა, სახდაზღვევის აგენტმა, ცალთვალა ჯგეთიამ აივანზე ფარდაგი გამოკიდა წარწერით: „Добро пожаловать!“ შევუვარდი მაშინვე, რას შვრები, შე პროვაკატორო-მეთქი. ჯოხი მომიქნია, მე გერმანელებს კი არა, ჩვენი დამხმარე ჯარის ნაწილებს, ვესალმებიო. რას ეტყვი. გულში რა აქვს, რას გაუგებ. პლაკატი მაინც ჩამოვახსნევინეთ, მაგრამ დაჭერით არ დაუჭერიათ. შიშნარევი სიფრთხილეა, მეტი არაფერი, არ შეიძლება კაცს ბრალად დასდო — რატომ გეშინიაო.

შუაღამისას დავბრუნდი შინ და ის იყო თვალი მივლულე, ჭიშკართან მანქანის რახრახი შემომესმა. ხმაზე ვიცანი — ერთადერთი დანჯღრეული ვილისი გვყავდა (მაშინ, მგონი, „ჯიპი“ თუ რაღაც ამის მსგავსი ერქვა.) რაიკომში და ერი თუ ბერი იმით დადიოდა. საოლქო კომიტეტში მიხმობდნენ სასწრაფოდ.

მოსაცდელში ოცდაათ კაცამდე მოვგროვდით: რაიკომთა და ალმასკომთა პასუხისმგებელი მუშაკები, სამხედრო კომისარიატის და უშიშროების თანამშრომლები, რწმუნებულები. ვეკითხებით ერთმანეთს, არავინ იცის, რა ხდება, რისთვის წამოგვყარეს ამ შუაღამისას საწოლებიდან. გაკვირვებით არაფერი გვიკვირდა მაშინ. წუთი წუთზეა ყველაფერი მოსალოდნელი, ვის აქვს შენი ფერებისა და ლოლიაობის თავი. საოლქო კომიტეტის მდივნის კაბინეტის კარი ღია იყო. მაგიდას სამნი უსხდნენ. პირველი და მეორე (პარმენ ესვანჯია — შარშან მოკვდა საწყალი.) მდივნების შუაში მაზარამოსხმული სათვალიანი კაცი ვერ ვიცანი. ორს აღარაფერი აკლდა, როცა გვიხმეს. საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი წამოდგა, ჯერ ჩვენი გვარები ამოიკითხა, შემთხვევით ვინმე [illegible] არ გამომრჩაო, შემოგვხედა, მერე ერთხანს სტუმარს შესცქეროდა და სათვალიანმა უსიტყვოდ თავი რომ დაუქნია, დაიწყო: „დასამალი რა არის, მძიმე მდგომარეობაა ფრონტზე, ამხანაგებო. დრო არ ითმენს. იმ ხალხს დაგიძახეთ დღეს აქ, ვისაც [illegible] და გრძელი ლაილაი არ სჭირდება. [illegible] მგონია მე. ტრანსპორტი ვერ მოძრაობს მთებში და რომც მოძრაობდეს, სადა გვყავს (აქ მდივანს გაეცინა და ისევ სათვალიანს შეხედა)... ჩვენს ჯარისკაცებს საკვები და თოფ-წამალი შემოაკლდათ. ოთხფეხა გამწევმა ძალამ უნდა გვიშველოს. ახლავე, დაუხანებლივ, ამ კაბინეტიდანვე გაემგზავრებით სოფლებში, განრიგი უკვე შედგენილი გვაქვს. აბსოლუტური მობილიზება უნდა მოხდეს გამწევი პირუტყვის — ცხენის, ვირისა და ხარის. მხოლოდ (აქ ისევ სტუმარს შეხედა.) თხას და ძროხას დაანებეთ თავი. ამაღამვე უნდა იმუშაოთ მაქსიმალურად. სოფლის აქტივი გაფრთხილებულია, ყველანი კანტორაში დაგხვდებიან. ზუსტი აღწერა და კონტროლი ჩემგან არ გესწავლებათ. ორი თავი არავის აბია დღეს“. სხვა დროს სიტყვას ასე ამთავრებდა: პროვაკატორებს და გამცემებს ადგილზე დახვრეტაო, მაგრამ ახლა, რატომღაც, არ უთქვამს, განრიგი გაგვაცნო და წარმატება გვისურვა. იმ დროს სიტყვებით გამოსვლა და შეკითხვები („რომ ვერ მოვასწროთ“, ან „რა ტრანსპორტით მოგვიწევს წასვლა“) მოდაში არ იყო. როგორც ამბობენ, ძუკუს საქმე, ძუკუს უნდა სცოდნოდა.

წებელდაში წასვლა მომიწია. იმ ჯოჯოხეთურ ღამეზე რა გიამბოთ, თვითონაც მიხვდებით, რა გასაჭირი დაგვადგებოდა. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, დილის ცხრა საათზე კანტორის ეზოში ოთხმოცამდე პირუტყვი ბღაოდა. ჭიხვინებდა და ყროყინებდა, ისე ერთგულად — ვიმუშავეთ, რომ ამ სოფელში თვით მამაზეციერიც კი ვერ აღმოაჩენს ახლა გამწევ ძალას-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ შევმცდარვარ. ბატალიონის რწმუნებულის მოლოდინში მაგიდაზე პირქვედამხობილს ვიღაც მხარზე შემეხო, თავი ავწიე, წვერგაუპარსავი, ხელჯოხიანი წითური კაცი დგას ჩემს წინ. წულა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესტებზე უშნოდ ჩაჩაჩული გალიფე აცვია, ჩინური ოთხჯიბიანი ხალათი ბეჭებზე ჩამოსცრეცია, „ლ-ს" ასატანზე უფრო რბილად გამოთქვამს.

— პატივცემულო გობეჩია, პარტიის წევრი არა ვარ. მაგრამ გარკვეული სიფხიზლე მაქვს მეც. გეთიას ქვრივს, სკოლასთან რომ ცხოვრობს, მარჯვნივ. იყავით თქვენ წუხელის მის ოჯახში ქის გასწვრივ, შუა ყანაში, ცხენი ჰყავს გადამალული. მე ჩემი გითხარით და აწი თქვენ იცით. თუ სადმე რამე იყოს, ერთი პატარა მადლობა მეც მადირსეთ. ვმუშაობთ ჩვენ აქ ადგილზე, ამხანაგები. ბეჭვაია გახლავართ მე, გვანჯი. ინვალიდობის გამო ვერ წამიყვანეს ჯარში. გული კი მწყდება ძალიან. თქვენი კარგად ყოფნა აბა, ამხანაგო გობეჩია...

ჩემს პასუხს არ დაელოდა, თითქოს ეშინოდა, ვინმემ არ შემომისწროსო. ქუდი დაიხურა და ჯოხის კაკუნით გაჩხარკალდა.

ბევრი არ მიფიქრია, საბჭოს თავმჯდომარე გავიძოლე და გეთიას სახლისკენ წავედი. ისლის ქოხის პარმაღზე ყვავივით იჯდა შუბლწაკრული, მაღალი ქალი. ეზოში უბოდიშოდ ჩასულები რომ დაგვინახა, ფერი ეცვალა. თქმით არაფერი უთქვამს. პირდაპირ ჰისკენ წავედით, რომ იცოდეთ, როგორ მინდოდა დამსმენი ბეჭვაიას ნათქვამი ტყუილი ყოფილიყო, ან ქვრივს ცხენის გადამალვა მოესწრო. ოციოდე ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს, მაღალ სიმინდში ულამაზესი შავი ცხენის კანჭები დაჩნდა. გამოვიყვანეთ ცხენი და სიტყვის უთქმელად მიგვყავს ჰიშკრისკენ. ვინ დამლუპა, ვინ მოიკიდა ჩემი ობლების ცოდვა, ვინ გამომჭრა ყელი. ღმერთმა ჩემსავით უსახსროდ და უილაჯოდ მოაქციოს ჩემი დამღუპველიო. ზურგს მიხვრეტდა, ყურებში მიწიოდა გეთიას ქვრივის წყევლა, მაგრამ ვერაფერს ვუშველიდი. დიდი სურვილიც რომ მქონოდა, ცხენს ველარ დავუბრუნებდი. „ფხიზელი" ბეჭვაიას ცნობა ყურად რომ არ მეღო, დამსმენი სხვას აცნობებდა და დოყლაპიობისთვის პანღური არ ამცდებოდა. ახლა რომ მეთქვა საბჭოს თავმჯდომარისთვის, დავუტოვოთ ცოდოა, ეს ერთი ცხენი არ ააშენებს წითელ ჯარს-მეთქი, არც ეს ივარგებდა. არ ვენდობოდით ერთმანეთს. დრო იყო ასეთი.

ერთი სიტყვით, გავუყენეთ ფრონტის გზას გამწევი ძალა და იმ საღამოსვე სოხუმში დავბრუნდი. გეთიას ქვრივის შეძრწუნებული სახე და სასოწარკვეთილი თვალები საოლქო კომიტეტის მდივნის მოსაცდელთან ფეხზე ცხენივით ჩამოძინებულს რამდენჯერმე მომელანდა, მაგრამ მალე ისიც წაიშალა მეხსიერების დაფიდან — უფრო შემზარავ სურათებს დაუთმო, ალბათ, ადგილი.

ერთი თვის მერე კვლავ მომიხდა წებელდაში ასვლა. ამჯერად სამხედრო კომისარიატის საექიმო კომისიას ვახლდი. თუ გახსოვთ, უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება, ხელახლა შემოწმდეს ჯარიდან გათავისუფლებულთა ჯანმრთელობაო. იმ წელს ყველაზე მეტად გვიჭირდა. რაოდენობითაც გვჭარბობდა მტერი.

ვატარებთ კომისიას და გვანჯი ბეჭვაია არ შემოფშლატუნდა? თავის განუყრელი ჯოხით, მუხლში გაქვავებული მარჯვენა ფეხით და კურდღლის თვალებით. შეშინებულივით რომ აცეცებდა აქეთ-იქით. დიაგნოზი? ათი წლის წინათ ცხენიდან გადმოვარდნილა, მენისკი გასწყვეტია. სოფლის ექიმბაშს არასწორად უმკურნალია, დაზიანებული სახსარი ნელ-ნელა მოშლილა, ამას მარილების დაგროვებაც დართვია და გამოსულა ფეხი მწყობრიდან. „თქვენს გახარებას, ნეტავ ეს ფეხი მომირჩებოდეს და, ვინ მამაძაღლი. მთლად მოხალისედ წავალ, სისხლს გამოვწოვ კისრიდან მამალ ფაშისტს. ჯანმრთელობას რა ვუთხარი მე. მაინცდამაინც მე უნდა მომსვლოდა ყველაფერი — ჩაიწუწუნ-ჩაისინანულა, მერე თავი აილო, კურდ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღლის თვალებით დამაშტერდა და დაუმატა: „ისე, კაცმა რომ თქვას, ადგილზეც საჭირო ვართ, ამხანაგებო. ჩემნაირ ხეიბარსაც შეუძლია სარგებლობის მოტანა. სიფხიზლეა ამ ეტაპზე მთავარი“.

ბექვაიას ჯავშნის ქაღალდს ხელი უგემურად მოვაწერე და სიტყვის უთქმელად ფანჯრისკენ შევბრუნდი. მაშინაც არ შემოებრუნებულვარ, კოჭლმა სამედიცინო ექსპერტის მიმართ მოკლე სამადლობელი სიტყვა რომ დაამთავრა და ჯოხის ბაკუნით გავიდა, არ მომწონდა ეს კაცი.

ვიღაცამ „მახორკა“ მომაწოდა. დიდი მწეველი არც მაშინ გახლდით და „მახორკას“ ასეთი თვისება აქვს, თუ შეჩვეული არა ხარ, უსათუოდ დაგახველებს. ისეთი ხველება ამიტყდა, კინაღამ გავიგუდე. „რა გაწევინებთ ამ სისაძაგლეს-მეთქი,“ ვთქვი და ანთებული პაპიროსი ფანჯრიდან მოვისროლე. ერიჰა, აღმართს არ მიუყვება ჩვენი ხეიბარი? ხელჯოხი მხარზე გაუდევს, ზედ ჩექმები გადაუწყვია და მიდის ბილიკზე არხეინად. არც დავფიქრებულვარ, კომისარს ვუხმე: ხომ ხედავ, როგორ გვატყუებენ შენი ექიმები, ახლავე დააბრუნეთ უკან ეგ მელაძუა, დეზერტირი ბექვაია-მეთქი.

დააბრუნეს. მკვდრის ფერი ედო გეთიას ქვრივის ფხიზელ მეზობელს. ნუ დამღუპავო, მკლავზე ჩამომეკიდა, „მადლობა თქვი ტრიბუნალს რომ არ გადაგეცით. ახლა ხმა არ გაიღო, შენი აღარაფერი გვჯერა. წახვალ და შენს მოქალაქეობრივ ვალს მოიხდი-მეთქი“. გამშრალი, ნირწამხდარი გავიდა. აღელვებულს ხელჯოხიც კი დარჩა. სული ცოდვილო, კომისარი საბუთებს რეზოლუციებს რომ ადებდა, გულმა არ მომითმინა და ჩავულაპარაკე — ბექვაია პირდაპირ ფრონტზე გაგზავნეთ-მეთქი.

აღარც მახსოვს, რამდენი თვე გავიდა ამის შემდეგ. ბიუროს დაწყების წინ კომისარიატის წარმომადგენელი ომში დაღუპულთა გვარებს გვიკითხავდა. „ბექვაიას“ რომ მოვკარი ყური, ვიკითხე, ეგ რომელი ბექვაიაა-მეთქი. გვანჯი მანუჩარის ძე ბექვაია, წებელდიდანო, დამიზუსტა კომისარიატის წარმომადგენელმა. გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ არ შევიმჩნიე. სიკვდილს შეჩვეული ვიყავი. სიკვდილი ისე ახლოს იყო იმ წლებში ჩვენთან, რომ ძალიან ახლობელი უნდა დაგვკარგოდა, რომ ცრემლი გადმოგვეგდო. გამშრალი გვქონდა კაცებს ცრემლი.

ბიურო რომ დამთავრდა „ჯიპის“ შოფერი შინ მივიყვანე, ჩემი ბარათით მიღებული ერთი ტომარა პურის ფქვილი და ორი ბათმანი ლობიო მანქანაზე დავუდე და ვთხოვე, წებელდაში, ბექვაიას ქვრივისთვის აეტანა.

იმ დროს შოფრები ათას მამაძაღლობას სჩადიოდნენ, მაგრამ ჩვენი მძღოლი წესიერი ბიჭი იყო, უსათუოდ მიიტანდა.

# სოფლის მადონა

სოფლის ბოლოს, ჯიხას რომ გაცდებით, სანამ ბონდის ხიდთან ჩაუხვევდეთ, ყავრით დახურული ორთვალიანი, ფიცრული ოდა დგას. ამ სახლში მაყვალა ზამბახიძე ცხოვრობს. სოფელს კი სახელად ჰქვია... თუმცა რა საჭიროა გამხელა, ალბათ, ყველა სოფელში ცხოვრობს თითო მაყვალა.

ახალი შეღამებულია. მაყვალამ ყველი ეს-ესაა ამოიყვანა, კატას წაქი დაუსახა, ოთახი მიალაგ-მოალაგა, ხელპირი დაიბანა, ფართო ტუჩებზე სისხლისფერი პომადა წაიცხო, თავი კეფასთან ნაქარგი ხელაბანდით მაგრად წაიკრა, გაზქურაზე ჩაიდანი შემოდგა და ფანჯარასთან დაჯდა.

ზაფხულია. ნიავს სიმინდის ფოჩის სუნთან ერთად, ჭრიჭინობელების გაუთავებელი ნანინა და მდინარის ბუტბუტი შემოაქვს.

მაყვალა მარტოხელა ქალია. თვრამეტი წლისას მშობლები სახადით დაეხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა. თვით, მისდა იღბლად, ქუთაისში იყო წასული და გადარჩა. მაშინ აბრეშუმსაქსოვში მუშაობდა, სკოლის დამთავრების შემდეგ, სტაჟისათვის. მაყვალამ მშობლები დაასაფლავა, სახლს დიდი ბოქლომი დაადო და მეორე თუ მესამე დღესვე კვლავ ქალაქს მიაშურა. ამ სოფელში ღვიძლი ნათესავები არა ჰყავდა. ათი წელი არავინ იცოდა მაყვალას ასავალ-დასავალი. შარშანწინ გამოჩნდა. თან ვიღაც მელოტი, შუახანს გადაცილებული, კოჭლი კაცი ჩამოჰყვა. ქმარია ჩემი, გააცნო სოფელს. ქმარი სამიოდე თვე იდგა მაყვალასას, მერე რაღაც არ მოეწონა, აიკიდა გუდანაბადი და იქეთ გაეშურა, საიდანაც მოვიდა.

მაყვალას ქმრის წასვლის მიზეზი არ გაუმხელია. არც მეზობლებს უკითხავთ. ვის რა ესაქმება, ქმრები სად და რატომ გარბიან.

ერთხანს მეფრინველეობის ფერმაში იმუშავა. ახლა, ეს ორი თვეა, სოფლის „მოძრავი ბიბლიოთეკარია“. ეს თანამდებობა საბჭოს თავმჯდომარემ შემოიღო თავისი ინიციატივით. მაყვალას, როცა მოეგუნებება, ფოსტალიონივით კარდაკარ წიგნები დააქვს და თანაც კვირაში ერთ დღეს კლუბში კინოს ბილეთებს ყიდის. სოფელში ფილმს მხოლოდ შაბათობით უჩვენებენ.

ჭიშკარმა გაიჭრიალა. მასპინძელი არც კი წამომდგარა შესაგებებლად, ფანჯარაშიც არ გაუხედავს, მაგრამ კირილეს ნაბიჯების ხმას ათას ხმაში გამოარჩევს. აჩაბაჩა სიარული იცის ფერმის გამგემ და ფეხს ლონივრად ურტყამს კიბეს. აი, სტუმარი შემოსასვლელშია, ჭილოფის ქუდს დივანზე მოისვრის, სარკეში თმას გაისწორებს და კარს მხრით მიაწვება.

— უი! — მაყვალას შეკრთომამ კირილე ღიმილის გუნებაზე დააყენა. — შენ რა გითხრა, რა იცი მაინც, ასე დაუკაკუნებლად შემოსვლა.

კირილემ ოთახში გაიარ-გამოიარა, ნანდაურს შიშველ მკლავებზე ჩამოუსვა ხელი და კედელს მხრით მიეყრდნო.

— გავალ, აბა, ისევ და „მასპინძელო, მასპინძელოს“ ძახილით შეგიყრი მეზობლებს.

— ჩაახველე მაინც, ბოშო, ეგებ სტუმარი მყავს და...

— სტუმარი?! — რიხი ჩაუდგა ხმაში კირილეს.

— ქალი ვინმე, შე გადარეულო, დღე ერთია და, კვირიკაძის ძლაბი ხუთჯერ მაინც შემოდის.

— ნამეტანს ნუ შეიჩვევ, მაგენს გრძელი ენა აქვთ, საერთოდ, მამიანშვილიანად.

— ენა თვარა ფარსაგი არ დამმართოს. ამ სახლში შენს მეტი არავინ შემოდის.

— მე არ ვკმარვარ?

— რაზე ამბობ?

— ხომ შეგვიყრის სოფელს.

— რა მოხდა მერე. უქმრო ქალი ვარ. ერთი კაცის სიყვარულის უფლება ყველასა აქვს.

— მაყვალა!

— ჰო, კაი, კაი, ნუ ხართ ასე ერთნაირად მხდალი სუყველა. ნუ გეშინია.

კირილემ ხალათი გაიხადა და მაისურისამარა დადგა ფანჯარასთან.

— პირსაბანში წყალი არის?

— კი. დაჯექი რა, მაყურებინე შენთვის ცოტა ხანს, — ამ სიტყვებს მაყვალა საოცარი სინაზით და სევდით ამბობს.

— დღეს მთელი დღეა წამოსული ვარ სახლიდან, — კირილემ მხარზე პირსახოცი გადაიკიდა და მაჯის საათი მოიხსნა.

— სად იყავი?

— რაიონში. არ მკითხო, რაზე იყავით.

— თათბირი იქნებოდა.

— რა ჰქნან მაგენმაც. გვიმატებენ და გვიმატებენ გეგმას. არ მოიგო ერთ ხბოზე მეტი ძროხამ და რა ვქნა, ბატონო.

— დღეს შენი ცოლი ვნახე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— სად? — კირილე შუშაბანდის კარში გაჩერდა. მიხედვით არ მოუხედავს.

— სად? — გააჯავრა მაყვალამ ფერმის გამგე, — სად იქნებოდა, ბადრი გამოჰყავდა სკოლიდან. ლამაზი ცოლი გყავს.

— რა უჭირს.

— როგორ წაგყვა კამეჩს ასეთი ანგელოზივით ქალი?

— იცის ბიჭმა.

კირილემ ხელ-პირი დაიბანა, სასტუმრო ოთახში შევიდა, გაიხადა და გაქათქათებულ ლოგინში შეგორდა.

— მაყვალა!

— რა იყო?

— მოდი, აგერ, მელაპარაკე.

მაყვალა ადგა, ფანჯარა მიხურა, აივნის კარს იფნის ურდული გაუყარა, სარკეში ჩაიხედა, ხორბლისფერი თმა გაიშალა, სინათლე ჩააქრო და ლაპარაკ-ლაპარაკით ჩამოუჯდა კირილეს საწოლზე.

— მაცადე... ჰო... მოგეფერო ცოტა ხანს... სად გავრბივარ... კისერი ნუ მომტეხე... შე დათვო...

ასე. ნახევარი საათის შემდეგ მაყვალას ფანჯრებში ისევ დაჩნდა სინათლე. ფერმის გამგემ ჭიშკარი ფრთხილად გაიხურა და სიბნელეს შეერია.

მასპინძელი ერთხანს იზმორებოდა საწოლში. არ იქნა და ძილი არ მოეკიდა. ცხელოდა. შუაღამისას პერანგისამარა გამოვიდა, კოინდარში ფეხშიშველამ გაიარა. კორკიმელს ზურგით მიეყრდნო და მთვარეს გახედა.

— მაყვალა! — თითქოს ყურისძირში მოესმა.

— უი, ღმერთო მომკალი, — ქალი არც თუ ისე საგანგაშო ნაბიჯით სახლისკენ გაიქცა.

— მე ვარ, მაყვალა, ვარლამი ვარ, არ შეგეშინდეს.

— შენ რა გითხრა. არ გადამიტრიალე გული? — მაყვალა შედგა და აივნის ბოძს მკლავი შემოხვია — კურსებზე მივდივართ?

— ხვალ მივდივარ, — ჩურჩულით ამბობს სტუმარი და აივანზე კატის ნაბიჯით ადის. ეტყობა, კარგად ერკვევა მაყვალას აპარტამენტებში.

ვარლამი რვაწლიანი სკოლის დირექტორია. ისტორიის სპეციალისტი გახლავთ. ამ ოთხიოდე თვის წინ საარჩევნო პუნქტში შეხვდნენ ერთმანეთს. ვარლამი აგიტატორი გახლდათ. საუბარს რომ ატარებდა, მაყვალამ რაღაც ჰკითხა. დირექტორმა დინჯად, სერიოზულად უპასუხა, მაგრამ ერთი გაფიქრება გაიფიქრა — აქ რაღაცაშია საქმე, თორემ არა მგონია, ასეთი ლამაზი ქალი ამგვარი საკითხით იყოს დაინტერესებულიო. საუბარი რომ დამთავრდა, მაყვალამ (როგორც ეს საერთოდ ხდება) ფეხი აითრია, ყოველ შემთხვევაში ისე მაინც, რომ არცთუ მიამიტი დირექტორი ცაცხვთან, ავტობუსის გაჩერებაზე წამოსწეოდა. „ქალბატონო, თუ თქვენ პორტუგალიის საარჩევნო სისტემა სერიოზულად გაინტერესებთ, შემიძლია ლიტერატურა დაგისახელოთ". არ დაიბნა ვარლამი. მაყვალამ გაოცებით შეხედა „მომზადებულ" აგიტატორს და ამით დაიწყო ყველაფერი. იმ საღამოს რვაწლიანი სკოლის დირექტორმა ქმარგაყრილი ამომრჩეველი სახლამდე მიაცილა და ორთვალიან ოდაში გაცილებით მეტ ხანს დარჩა, ვიდრე ახალგაცნობილი მამაკაცისათვის გახლავთ დასაშვები მარტოხელა, მოხდენილი ქალის ბინაში ყოფნა.

ის დღე იყო და ის დღე, კვირაში ორჯერ მაინც აივლის მაყვალა ზამბახიძის სახლის დაბალ კიბეს, სკოლის დირექტორი, მიუხედავად იმისა, რომ სარაიონო საბჭოს არჩევნები კარგა ხანია დიდი წარმატებით დამთავრდა, ხოლო მომავალ არჩევნებამდე, სულ მცირე, ორი წელი მაინც დარჩა.

— რას დაბორიალებ მთვარეულივით ამ შუაღამისას ეზოში? — მართალია, ამ სიტყვებში საალერსო ცოტა რამ გახლავთ, მაგრამ ვარლამმა სიყვარულით გამთბარი ხმით წარმოსთქვა და მაყვალამაც სწორედ ისე გაიგო, როგორც გახლდათ თქმული.

— არ დამეძინა. ცხელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მელოდი? მოიწი ახლოს.

აივნის ტახტზე ჩამომჯდარმა ვარლამმა ქალს ხელი გაუწოდა. ახლოს მოსწია და ხელები მოხვია. მაყვალა ფეხზე იდგა და ისტორიის სპეციალისტს გრუზა ქოჩორს უვარცხნიდა.

— რა კურსები აუტყდათ. რა გაძლებს ორი თვე უშენოდ.

— რატომ, წახვალ, თვალს წყალს დაალევინებ.

— რაღა დროს ჩემი კურსებია. გადამზადება მინდა მეე?

— უყურე, ნამეტანი არ გადაგამზადონ, — მაყვალა იცინის.

— ნუ გეშინია. ჩამოხვალ თბილისში?

— თუ მოგენატრები, კი.

— დეპეშას გამოგიგზავნი შარშანდელივით: „ჩამოდი, თექვსმეტში ავტობუსზე დაგხვდები, ლამარა". გახსოვს?

— რა დამავიწყებს. მთელი დღე გადარეულს ვგავდი. ვინაა-მეთქი ეს ლამარა. შენ არც კი გითქვამს, რომ მიდიოდი. სკოლაში დავრეკე ეჭვით და რომ მითხრეს, თბილისშიაო, ძლივს მივუსწარი ავტობუსს.

— რას იზამ. ხომ იცი, რამხელა ყურები აქვთ ჩვენი ფოსტის გოგონებს. ახლაც ლამარას სახელით გამოგიგზავნო დეპეშა? თუ შევცვალო სახელი?

მაყვალა მუხლზე ჩამოუჯდა დირექტორს და შუბლზე აკოცა.

— როგორც შენ გაგეხარდება. მძიმე ვარ?

ვარლამმა ყურისძირში აკოცა ასატანად მძიმე ქალს და ტახტის ბოლოსკენ ხელი გაიწვდინა.

— ნახე რა გიყიდე.

— ვარლამ! — ქალი წამოხტა და სტუმარს ზურგი შეაქცია.

— დამიწყე ახლა იმდღევანდელივით, — ვარლამი წამოდგა, ქალს მიუახლოვდა, მარცხენა ხელი წელზე შემოხვია, ხოლო მარჯვენათი ყელზე შემოახვია იაპონური აბრეშუმის ცისფერი დარაია.

— რატომ შვრები ამას, ვარლამ? — ქალს ხმაში აშკარა წყენა გაერია.

— რას?

— გამიშვი ხელი, თუ გიყვარდე. საჩუქრის ქალი ვარ მე? არ მინდა. შენს თავს ვფიცავარ. სხვანაირი ხასიათი მაქვს და მომკალი, თუ გინდა ერთი სიკვდილი უნდა გავათავო, ამ დარაიით შენს სახლთან რომ ჩავივლი.

— რატომ, ვითომ? — კაცს ვნებამორეული ხმა ჰქონდა.

— რატომ, რატომ, მერამდენედ აგიხსნა. ჩვენს გარდა არავინ იცისო, მეტყვი ახლა. მე მეცოდინება, რომ ეს დარაია შენი ცოლ-შვილისთვის დაკლებული ფულით მიყიდე.

— ნუ ლაპარაკობ სისულელეს.

— წაიღე, რა, თუ გიყვარვარ, წაიღე ახლა ეს და სხვა ვინმეს აჩუქე.

— იქნებ გამიყიდო სარფიანად აქვე, მეზობლებში? რატომ ვერ გაიგე, ქალო, ამ დარაიას რომ ვყიდულობდი, წარმოუდგენლად მიხაროდა. შენ გხედავდი აი ასე, როგორც ახლა გაქვს კისერზე შემოხვეული და ღვთისშობელს ჰგავხარ. რა სერიოზულად დამიწყებ ხოლმე ჭკუის დარიგებას. ამას საჩუქარს ეძახი? ორკაპიკიან დარაიას? თვითონ მსიამოვნებს შენთვის რაღაცას რომ გავაკეთებ და ძალიან გთხოვ შენი წაფილოსოფოსებით ნუ მომაკლებ ამ სიამოვნებას. სად წახვედი, გესმის ჩემი?

— ნუ ყვირი. — სააბაზანოდან ისმის მაყვალას იდუმალი ჩურჩული, — დაწექი და ახლავე მოვალ.

აივნის სვეტზე ჩამოკიდებულ რადიოში ჰიმნი რომ გაისმა, ვარლამი უკვე ჭიშკარს გაცილებული იყო და წკვარამ ღამეში ჯოხით მიიკვლევდა გზას, რომ ორმოში არ ჩავარდნილიყო, ან უადგილო ადგილას დაგდებულ მორს არ წამოდებოდა.

მაყვალა კარგა ხანს იდგა ჭიშკართან და შინ მიმავლის ფეხის ხმას უსმენდა. „რა ერთგულად, რა ღონიერი, დაჯერებული ნაბიჯებით მიდის შინისკენ. ნეტა ჩემსკენაც თუ ასე ჩქარა და საქმიანად მოდიოდა?".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკლავებზე შუაღამის გრილი სიო იგრძნო, სახლისკენ გამოტრიალდა, აივნის კარს ურდული გაუყარა და ჯერ ისევ თბილ საწოლში თავისი სწორი, ლამაზი ფეხები შეიკეცა.

მამლის პირველ ყივილს აივნის კარზე ფრთხილი კაკუნი მოჰყვა.

მაყვალა ადგა, ხალათი მოიხურა, ფეხაკრეფით გამოვიდა, ყური მიადო კარს და კაკუნი რომ განმეორდა, ჩურჩულით იკითხა:

— რომელი ხარ?

— მე ვარ, მაყვალა, ხუხია ვარ.

— რა გინდა, ხუხია? — მაყვალა კარს ზურგით მიეყრდნო და თავი მაღლა ასწია, — ხომ გითხარი, ნუ მოხვალ-მეთქი.

— გამიღე ერთ წუთას, — ბიჭს გამშრალი ხმა ჰქონდა.

— არ გაგიღებ. წადი ახლა სახლში.

— გასაჩერებლად არ მოვსულვარ, სიტყვა მაქვს სათქმელი.

— დედა დაიფიცე.

— გამიღე. ერთ სიტყვას გეტყვი და წავალ, მაყვალა.

— ასე მითხარი. მშვენივრად მესმის.

— გამიღე თორემ, იცოდე, აქვე მოვიკლავ თავს.

მაყვალამ კარი გაალო თუ არა, ხუხიას ღონიერ მკლავებში მოექცა.

— შენ გენაცვალე... შენი ჭირიმე... შენ შემოგევლოს ჩემი სიცოცხლე... — ლუღლუღებს ხუხია და გაშმაგებით კოცნის მხრებზე, ტუჩებზე, ყელზე, ხელის თითებზე.

— გამიშვი ხელი. ნუ დამაღრჩვე... რამ გადაგრია, ბიჭო, მთვრალი ხარ? უი, ჩემი სიკვდილი...

— რაის მთვრალი. მთელი დღეა ლუკმა არ ჩამსვლია პირში. შუაღამემდე ვმუშაობდი ქვევით, ბროწეულებთან.

— რას აპირებენ იმ ძეძვებში?

— მიწას ვაბრუნებთ, ტუნგო უნდა ჩაყარონ.

— ივარგებს?.. გამიშვი ხელი... იხარებს, ვითომ?

— რა ვიცი.

— გამიშვი ხელი, ერთწუთს, ბიჭო. ჭადს გაგიცხელებ. წაიხემსე ცოტა.

— არ მინდა არაფერი, — ხუხია კოცნის, კოცნის, გაგიგონიათ მაინც სულის შემხუთავი კოცნა, ისე კოცნის მაყვალას ხუხია.

— ლობიო მაქვს, ახალი ლობიო.

— არ მინდა, შენს თავს გეფიცები.

— ხუხია!

— რა იყო?

— გამიშვი ხელი. დაჯექი აგერ ცოტა ხანს და ადამიანურად ვილაპარაკოთ.

ხუხია ხელს უშვებს. ერთგულად შეკრული პერანგის ღილს იხსნის, კუთხეში დოქს წაწვდება და პირზე მიიყუდებს. დიდხანს, შეუსვენებლივ სვამს. წყალი მკერდზე ელვრება.

— თბილი იქნება. ამდილანდელი წყალია.

— კარგია, — ამბობს ხუხია, მაყვალას წელს და ტუჩებს ისევ მოუძებნის და აივნის ბოძიანად იხუტებს გულში.

— სირცხვილი არ იცი, ბიჭო შენ? — მაყვალა კარისკენ იწევს.

— ვინ დაგვინახავს. ახლა მგლის და ტურის მეტი არაფერია გარეთ.

— რა გელაპარაკე გუშინწინ, ეს გითხარი?

— მიყვარხარ. მაყვალა, არ შემიძლია უშენოდ.

— კარგი, ჰო, გავიგე, ბატონო. მერე? მერე რაი.

— შენთან მინდა, სულ შენთან მინდა ყოფნა.

— რანაირად, ბიჭო, რანაირად?

— იმნაირად, რანაირად და, ცოლად უნდა გითხოვო.

— ხუხია, გამიშვი ხელი. დაჯექი ერთი და მომისმინე. თუ კიდევ იტყვი, მიყვარხარო, ხუხია, იცოდე, ხმას არ გაგცემ და სულ გავიპარები ამ სოფლიდან ისე, რომ ჩემი ასავალ-დასავალი კაციშვილმა ვერ გაიგოს.

— რატომ?

— იცი შენ რატომ, ნუ გამამეორებინებ, რაც გითხარი.

ხუხია მანაგაძეა. კანტორასთან მესა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე მოსახლე. ოცდაშვიდი წლისა გახლავთ. ტრაქტორისტია შინ მოხუცებული ბებია ჰყავს, სხვა არავინ. მშობლები ადრე გაიყარნენ. დედა ხონელ ექიმს გაჰყვა, ხუხია სამი წლის იყო მაშინ. მამამისმა, კარპე მანაგაძემ, ამ ამბიდან წლისთავზე ცოლი შეირთო და რაიონის ცენტრში გადასახლდა. ცდა არ დაუკლიათ ცალკე დედას და ცალკე მამას, მაგრამ ხუხია ვერაფრით გამოწიწკნეს ბებიამისს ხელიდან. თავს ურჩევნია გამზრდელი ბებია ტრაქტორისტს, ხოლო ბებიებს კი როგორ უყვართ შვილიშვილი ამის მტკიცებას მე ნუ დამაწყებინებთ. მარჯვე ბიჭია ხუხია. შარშან მასალა მოზიდა, ოდა წამოიწყო და ამ შემოდგომაზე ცოლის შერთვას აპირებდა (და კალა კიდეც მაშვლებს, შემირჩიეთო ვინმე, ხეირიანი).

ეს ამბავი, ღმერთის წინაშე ვერ დავმალავ, ცოტა მაყვალას ბრალიც გახლავთ. თვითონ გაუღიმა ადრე გაზაფხულის ერთ ღრუბლიან დღეს მის ჭიშკართან ჩავლილ ხუხიას ზამბახიძის ტურფა ქალმა და იზაბელას ხეივნის გასხვლა სთხოვა. დაუზარელი ყმაწვილი გახლავთ ხუხია.

— შენთან როცა ვარ, ყველაფერი მესმის. გავალ ამ სახლიდან და ამერევა ჭკუა. ხორცს ვიჭამ ხანდახან, ისე მომინდები. შენ არ გესმის.

— რა არ მესმის, ბიჭო, მე. რომ მესმის, იმიტომ გეუბნები. არ შეიძლება ასე.

— რომ არ შემიძლია უშენოდ? — თვალებში კოცნის.

— შეძლებ... შეძლებ... უნდა შეძლო. შენ ბალანა ხარ ჯერ. ახლა იწყებ ცხოვრებას. ვაჟკაცი არ ხარ? არ შეიძლება ჩვენი სიყვარული. ხვალ თუ ზეგ ცოლი უნდა ითხოვო და ოჯახი მოეკიდო. ხომ მოიკლავს თავს ბებიაშენი. მე რომ მიმიყვანო კარზე? ჩემთვის გაგზარდა? მე ჩემი ცხოვრება მოჭმული მაქვს უკვე. დამთავრებულია ჩემი ბედნიერება, რად გინდივარ ორმოცი წლის ბებერი ქალი. ბავშვი მე არ მეყოლება და არაფერი. გესმის ჩემი ლაპარაკი?

— კი მესმის...

— ჰოდა, ჩემი ბიჭი, თუ ხათრი გაქვს, ოდნავ თუ გიყვარვარ, მეტს ნუღარ მოხვალ ჩემთან.

— შენც ხომ გიყვარვარ?

— ვინ გითხრა. არ დაიჯერო, მაგ ამბავი. სიყვარული შემიძლია ბიჭო, მეე? რაღა დროის ჩემი სიყვარულია...

— რა ვქნა, აბა? — ხუხიას სასოწარკვეთილი ხმა აქვს.

— მოდი ახლა, მოგეფერები, ჩემი ბიჭი, და წაი სახლში. მეტს ნუღარ მოხვალ, ხომ აღარ მოხვალ?

— ვეცდები, — არცთუ დარწმუნებით ამბობს ხუხია, მაყვალას ხელში აიტაცებს და საწოლისკენ მიჰყავს.

— აბა, არ გიყვარვარ?

— არა, ნუ დამაღრჩვე...

— ახლა... ახლა... ახლა?

— არა... არა... არა...

გათენებისას, როცა ხუხია სველ კორიდორს გაირბენს და ჭიშკრის მიხურვაც დაავიწყდება, მაყვალა საწოლზე პირქვე დაემხობა და გულამოსკვნით ტირის.

●

მაყვალას ღამე ასე თენდება.

დილით „მოძრავი ბიბლიოთეკარი“ წიგნებიან ჩანთას აიკიდებს და სოფელს ჩამოივლის.

სათოხარს ჩამორჩენილ, ბოგირთან შეკრებილ კაცებს ამაყად, წელში გამართული, ტანის რხევით ჩაუვლის. „მაყვალა, ნუ მოგვკალი, მაყვალა.“ — დაადევნებს ღლაბუცის მოყვარული. „შენს ცოლს მიხედე, კოკიელა, რო ღაგიბჩენია მაგ პირი,“ ნაზად, ღიმილით ეავრის მაყვალა და უფრო გემრიელად მიაბიჯებს.

თითო შესვლა კირილეს და ვარლამის ოჯახშიც შევა. დიასახლისებს წიგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებს გაუშლის. აივნისკენ თვალს გააპა-რებს, მაგრამ პიჯაკმოხურულ ოჯახის უფროსებს ზედაც არ შეხედავს.

— რა გეჩქარება, მაყვალა, ჩემი მოსვლა ხომ არ გეწყინა, შე ქალო?

მაყვალას ეჩქარება, ათასი საქმე აქვს მოძრავ ბიბლიოთეკარს.

არის ერთი სახლი, სადაც არ მივა დღეს. გერსამიების ღობეზე გადავა, შორიდან მოუვლის, რომ ხუხიას ჰიშ-კართან არ ჩაიაროს.

„რაც დროზე გაუვლის ქარები და დროზე ჩახვდება ჭკუას, მით უკეთესია ხუხიასთვის“, — ასე ფიქრობს მაყვალა.

თავის თავს აჯერებს ბიბლიოთეკარი, რომ სწორად ფიქრობს.

ცრემლად და სიკვდილად რომ უჯდე-ბა ეს ფიქრი?

# პაპა

თხას მსუბუქად ეცვა: რქებს შორის მწვანე ხავერდის ჩაჩი, ზურგზე თასმე-ბით შებმული, მკერდზე ჩამოფენილი ვერცხლისფერი მედალიონი, უკანა ტა-ნი, ყოველი შემთხვევისათვის, ყვითე-ლი ტყავის ქამრით ჰქონდა აკრული და ოთხივე ფეხზე, ჩლიქებთან, წითელფო-ჩიანი ზონრები მამლის დეზებივით უჩანდა.

ქვევით, მსახიობთა სამყოფლოში, ტაბლოზე წარწერა — „გაწვრთნილი თხა“ რომ აინთო, ევგენი ლოლაძემ ერ-თგულ პირუტყვს წვერში მოჰკიდა ხე-ლი, ვიწრო გვირაბით მაღლა აიყვანა და მანეჟის შესასვლელთან, კუთხეში მიდ-გა.

აკრობატებმა — ლუდმილა ხოროტო-ვამ და სერგეი კოსტუჩენკომ თავიანთი ნომერი დაამთავრეს და ორკესტრის გრიალში ჰაეროვანი კოცნებითა და ტა-ნის მსუბუქი რხევით კულისებში გა-ვიდნენ. ახლა თურქმენი მოჯირითეები შეგრიალდებიან მანეჟზე. ევგენიმ თხას კისერზე ხელი მოხვია და მუცელზე მი-იკრა. ვერ იქნა, ვერ მიეჩვია, ნესტოებ-დაბერილი, არაბული ულაყების დანახ-ვაზე თხას უსიამოვნოდ გააჟრჟოლებს ხოლმე. მოჯირითეთა კვალს კლოუნები შეჰყვებიან, ამასობაში სტატისტები მა-ნეჟზე ტაბურეტს, ვიწრო ფიცარნაგსა და ალუმინის რგოლს შეიტანენ და დიქტორი ეგზალტირებული ყვირილით ჩასძახებს მიკროფონს: „საუკუნის სას-წაული! გაწვრთნილი თხა! ცირკის ხე-ლოვანთა მეშვიდე რესპუბლიკური ფეს-ტივალის ლაურეატი ევგენი ლოლაძე!“

კლოუნების — მირგულინისა და ადა-მიას გამოჩენამ ახლაც ოვაცია გამოიწ-ვია. განსაკუთრებით ბავშვებს, მოხუ-ცებს და მილიციელებს უყვართ ისინი. სანამ ცირკში დაიწყებდა სამსახურს, ევგენი კლოუნებზე მაინცდამაინც მა-ღალი წარმოდგენისა როდი გახლდათ. პატარა, მაგრამ ძველთაძველ ქალაქში, სადაც იგი გაიზარდა, „კლოუნი“ სალა-ნძღავ სიტყვად ითვლებოდა. ახლა კი, თუ ვინმესთან ძმაკაცობს ევგენი ლო-ლაძე ამ ხალხმრავალ თეატრში, სწორედ რომ კლოუნებთან. მხიარული ჟანრის მესვეურები (მცირე გამონაკლისის გარ-და) ცხოვრებაში უაღრესად სერიოზუ-ლი და ავკარგიანი ხალხია.

...მირგულინმა ჯიბიდან ორი სუფ-რის კოვზი ამოიღო და ერთმანეთს ისე კოხტად გაუკაკუნა „კალინკა მაიას“ მოტივზე, რომ მაყურებელმა ტაში ააყოლა. ცირკის პირველმა კლოუნმა კი ცეკვა დაიწყო.

დღეს მირგულინმა ევგენი ლოლაძის-გან სამი თუმანი ისესხა. უჭირს მირგუ-ლინს. ახლახანს მრავალშვილიანი ქალი შეირთო და ორი დაოჯახებული გერის რჩენაც მას დააწვა კისერზე.

საქსტვენის ხმა გაისმა. ადამიამ შუბ-ლთან მიიტანა ხელი და კოვზებიან მუ-სიკოსს განუცხადა, რომ იგი კონცერ-ტის ნორმალურ მსვლელობას ხელს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უშლის. მირგულინმა მორჩილად გაუწოდა ორი კოვზი „წესრიგის დამცველს“. ადამია კულისებისკენ გამოტრიალდა თუ არა, მირგულინმა ჯიბიდან ორი სხვა კოვზი დააძრო და ისევ აუყენა რაკარუკი. ადამიამ ის კოვზებიც ჩამოართვა „ხულიგან კლოუნს“ და დაიმედებულმა იმით, რომ „უმსგავსობა ალაგმა“, ენერგიული ნაბიჯით გასწია გასასვლელისკენ. ახლა გულის ჯიბიდან ამოიღო მირგულინმა კოვზები. აღშფოთებული ადამია კოვზების ჩამორთმევას განაგრძობს. მეექვსედ რომ შემობრუნდა მანეჟზე მოთმინებადაკარგული ადამია, მირგულინს „ნერვები მოეშალა“ და ნახერხმოყრილ იატაკზე კოვზების ყრა დაიწყო. ცვივა და ცვივა გაუთავებლად სხვადასხვა ზომისა და ფორმის კოვზი. მაყურებელი ლამის გაიგუდოს სიცილისაგან. ბოლო ორი კოვზი მირგულინმა ჩაჩიდან გამოაძრო და იატაკზე გაჩენილ კოვზების გორას დაუმატა. ევგენის აღარ ახსოვს, მერამდენედ უყურებს ამ ნომერს, მაგრამ ყოველთვის ეცინება. სიცილი მასთან კოვზების მეხუთე კონფისკაციის დროს მოდის და ბოლოს ცრემლსაც კი იწმენდს, როცა წარმოიდგენს, რა ერთგულებით ილაგებს ხოლმე ჯიბე-უბეში მირგულინი კოვზებს, სტატისტ ქალს დიდი წითელი ჩანთით რომ შეაქვს მის საგრიმიოროში.

მირგულინი გარბის, ადამია სტვენით მისდევს. ახლა ორ წრეს დაარტყამენ, მერე პირდაპირ ევგენისაკენ გამოიქცევიან, მირგულინი მხარზე ხელს დაჰკრავს ლოლაძეს, ადამია თხას გადაუსვამს ზურგზე ხელს. კონფერანსიე გამოაცხადებს, ორკესტრი ახალი ძალით აჟღერდება და: „პეპე წავედით!“

ცირკის ხელოვანთა მეშვიდე რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი ევგენი ლოლაძე და მისი გაწვრთნილი თხა თითქმის ერთდროულად შევარდნენ მანეჟზე. ლაურეატმა თხა წინ გაატარა, მისი ასაკის კაცისთვის საკმაოდ მსუბუქად გადახტა მარცხნივ და ხელები გაშალა. ცირკის ყველაზე ნორჩმა მაყურებელმაც კი მშვენივრად იცის, რომ ხელების გაშლას ტაში უნდა მოჰყვეს. წამში ევგენმა მარჯვნივ ისკუპა და კვლავ გაშალა ხელები. შავი, უკან მერცხლის ბოლოსავით გაჭრილი ფრაკი აცვია, ლაქის ჭრაჭუნა, მისი ფეხისათვის ოთხი-ხუთი ნომრით მეტი ფეხსაცმელი, მარცხენა ხელის შუათითზე იაფფასიანი, დიდი, შავი ბეჭედი უკეთია. საშუალო სიმაღლისაც არ არის, მაგრამ გამხდარია და თვალს ატყუებს. დაჭმუჭნილ, ნაყვავილარ სახეზე შორიდანაც კი აჩნია უშურველად მიყრილი პუდრი. შეთხელებული ჭაღარა თმა და მონაცრისფრო ბლანჟე (ულვაში გაპარსული აქვს) ბრიოლინით აუზიმზიმებია და განსაკუთრებით მაშინ, როცა მისასალმებელ ნახტომებს აკეთებს, სულო ცოდვილო, გაწვრთნილ თხას წააგავს.

ორკესტრს მოხდენილად ხელი აუქნია, სევდიანი ბლიუზის ხმაზე („ქარავანი მიდის“) ფრაკის ჯიბიდან შაქრის კვნიტა ამოიღო, ხელგაშლით შემოტრიალდა და თხას პირში ისე ოსტატურად მისცა ქრთამი, რომ ცირკის მაყურებელთაგან ნახევარსაც არ დაუნახავს. გაწვრთნილმა პირუტყვმა (თითქოს შაქარს ელოდაო) წინა ფეხები მანეჟის მოხავერდებულ რკალზე შეაწყო და მაყურებელთა ტაშის გრიალში თავის კანტურითა და წვერის ცანცარით, თხისთვის საკმაოდ უხერხულ პოზაში, ერთი წრე დაარტყა. ევგენიმ თხას მეორე შაქრის ნატეხი დაახვედრა, მოწონების ნიშნად გავაზე ხელი დაჰკრა, მანეჟის შუაგულში შემოიყვანა და თვითონ ბედნიერი სახით მარჯვნივ გამხტარმა, ხელები გაშალა.

ორკესტრი ერთბაშად გაჩუმდა. მარტო მედოლე აგრიალებს თავის ინსტრუმენტს ველურთა როკვის რიტმით. ევგენიმ ტაბურეტი მაღლა ასწია, მაყურებელს დაანახვა, რომ ნამდვილად ტაბურეტი იყო (და არა საკერავი მანქანა), თხას წინ დაუდგა, ხელი დაჰკრა და იდუმალი ჩურჩულით რაღაც უთხრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაბურეტზე შემხტარ თხას, რომელიც საცოდავად მოკეცილიყო და თავს ძლივს იმაგრებდა, ევგენიმ შაქრის კვნიტა მოუსვა დრუნჩზე და სანამ ბიბლიური ცხოველი პირს აცმაცუნებდა, ერთხელ კიდევ გადახტა მარჯვნივ და ბილეთიან თუ უბილეთო მაყურებელს გულწრფელად მიესალმა.

დოლი კვლავ განაგრძობდა ბრაგუნს. ევგენიმ ალუმინის რგოლი აიღო, თხას მიუახლოვდა, დოლმა ხმას დაუწია, მწვრთნელმა მარცხენა ხელი შემართა, მარჯვენათი კი რგოლი ტაბურეტის გასწვრივ გააშეშა და, ისე რომ პირუტყვს და წინა რიგებში მსხდომთაც გაეგონათ, დაიძახა — „პეპე!“ მაგრამ პეპეს რგოლში გახტომა არც უფიქრია, უფრო მეტიც, ტაბურეტიდან ჩამოხტა და კულისებისკენ გაიწია. ევგენი ლამაზი ნახტომებით წინ გადაუდგა გაურჩებულ ცხოველს. მედოლეს ნიშანი მისცა. შაქრის ორი კვნიტით კვლავ შეაბრუნა ტაბურეტზე თხა, კვლავ მიუტანა (ახლა უფრო ახლოს, ლამის წვერებთან) ალუმინის რგოლი და წელანდელზე უფრო ალერსიანად თხოვა: „პეპე!“

პეპემ რგოლში გახტომაზე ამჯერადაც უარი განაცხადა, უბოდიშოდ გადმოხტა სკამიდან და მანეჟიდან მტკიცე გადაწყვეტილებით გაიქცა. ევგენი როდი დაიბნა, დაეწია, ზურგზე ხელი დაჰკრა თხას, შემოტრიალდა, ღიმილის ნიღაბი აიფარა, მარჯვნივ და მარცხნივ სალამი არ დაიშურა გაწბილებული მაყურებლისთვის და ლამის სისხლგამშრალი, ისე რომ მაყურებლისთვის ზურგი არ უჩვენებია, კულისებში დაბრუნდა.

კლოუნებმა უსიტყვოდ გააყოლეს სევდით სავსე თვალები. პროგრამის წამყვანსაც არაფერი უთქვამს. ასეთ დროს სიტყვები ზედმეტია.

ეს ამბავი კვირა დღეს მოხდა პირველ სპექტაკლზე. სამ საათზე კვლავ უნდა წარუდგნენ მაყურებელს. წარმოდგენა რომ დამთავრდა, ევგენიმ რეჟისორ-ინსპექტორს კლავდია ლეთოდიანს თხოვა; თუ შეიძლება სინათლე ჩამირთონ და მედოლე დარჩეს, თხასთან ცოტას წავიმუშავებო.

სანამ ძაღლა ამოიყვანდა, ვეტექიმს მიჰგვარა. აწონეს, სიცხეც გაუზომეს. ჯანმრთელობის მხრივ პეპეს ყველაფერი რიგზე აღმოაჩნდა. რა ასაკის არის თქვენი თხაო, ექიმმა. სანამ ევგენი გონებაში პეპეს წლოვანებას დააზუსტებდა, თხის პირადი საქმე მოიტანეს: „ადრე გიფიქრია პენსიაში გასვლაზე, დაიკო. შვიდი წელი და სამი თვე სწორედ რომ ყვავილობის ასაკია თხისთვისო“, სწორ გავაზე ალერსით დაუსვა ხელი მკურნალმა და შემოქმედებით ცხოვრებაში წარმატებები უსურვა. აქ, იქნებ არც იმის თქმა იყოს ზედმეტი, რომ თხამ მშვენივრად ისადილა. დიდი მჭამელი არასოდეს ყოფილა, აზიზი გახლდათ, მაგრამ იმ დღეს დაკონსერვებულ აკაციის ფოთოლს მადიანად შეექცა და ზედ ერთ ლიტრამდე გამოხდილ წყალში გახსნილი, ერბონარევი ქატოც დააყოლა.

რეპეტიციამ ჩვეულებრივად ჩაიარა. პეპემ შეუფერხებლად გაიარა მანეჟის რკალი. ტაბურეტზე მანამდე შეხტა, სანამ ევგენი ნიშანს მისცემდა და თუმც უხალისოდ, მაგრამ პირველ ცდაზევე გახტა ალუმინის რგოლში. ევგენმა თვით მიაცილა რკინის გისოსებიან საკნამდე ერთგული ცხოველი და რაკი დრო იაედაც ცოტა რჩებოდა, კონცერტის დაწყებამდე არ მოშორებია.

ევგენი ლოლაძე და მისი თხა კულისებში მაშინ გამოჩნდნენ, როცა მირგულინი მეოთხედ იღებდა ჯიბიდან კოვზებს და „ქუჩის მუსიკოსის“ სიჯიუტით გოლცებულ კლოუნ ადამიას ხელში აჩეჩებდა. ასე რომ თურქმენ — ცხენოსანთა ნომერს არ შეესწრო პეპე და, აქედან გამომდინარე, სანერვიულოც არა ჰქონდა რა.

ორკესტრის ნაცნობი რიტმი, დიქტორის ტემპერამენტიანი ყვირილი ლაურეატისა და გაწვრთნილი თხის განუმეორებელი დუეტის თაობაზე და ევგენი და პეპე მანეჟზე არიან.

„სალამი ჭეშმარიტი ხელოვნების ყვე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლა (შეგნებულ თუ შეუგნებელ) თაყვანისმცემელს! წავედით, ჩემო პეპე, ყოჩაღ, ჰა შენ კიდევ შაქარი. აბა, მარდად, შენებურად, შეხტი ტაბურეტზე. ყოჩაღ, ჩემი გოგო, ჰა კიდევ შაქარი. აბა, ჰე! ერთი ნაბიჯიღა გვრჩება. გვაჩქარებს ჩვენი მედოლე. ხომ გიყვარს მისი დოლის ბრაგუნი? ესეც ალუმინის რკალი, მოიცა უფრო ახლოს მოგიტან. დოლი ლამის გაჩუმდეს. ხელს არავინ გიშლის, ერთი, ორი და სამი, პეპე!“

პეპე კარგა ხანს უაზროდ იცქირებოდა ალუმინის რგოლში, ევგენიმ გადახტომის ნიშანი რომ მისცა, ყურიც არ შეიბერტყა, მწვრთნელს ზურგი შეაქცია, სკამიდან მარდად ჩამოხტა და კულისებისკენ გაიქცა.

ექვს საათზე ცირკის ადმინისტრაციასა და მსახიობებს საკონფერენციო დარბაზში უხმეს. ევგენი ფიქრობდა, რომ ეს რიგგარეშე სხდომა გაწვრთნილი თხის ნომრის ორჯერ ჩავარდნის შემთხვევასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მისი ვარაუდი არ გამართლდა. ცირკის მთავარმა რეჟისორმა მოკლე შესავლის შემდეგ სიტყვა კლოუნ ადამიას მისცა. ადამია შორს და მაღლა, ცირკის თანამშრომელთა თავების გასწვრივ, კედლის საათს შესცქეროდა და მჭექარე ხმით ლაპარაკობდა. ცდილობდა ძველი ბერძენი ორატორებისთვის მიებაძა და გაქვავებული იდგა, წარბსაც კი არ ათამაშებდა.

მიტინგი რომ დამთავრდა, ევგენი ლოლაძემ თხას რქებში ღვედი ჩააბა და ცირკის ეზოში სასეირნოდ გაიყვანა.

ნოემბრის ცივი საღამო იყო. ქუჩებში დახვავებულ ჭადრის ფოთლებს უაზროდ და უმისამართოდ დაათრიალებდა. ქვევით, თანხმობის მოედანზე, თავისუფლების მემორიალის ირგვლივ მანქანები ულამაზეს ფეიერვერკად ირწეოდნენ. პირდაპირ, მაღალი სახლის სახურავზე, თვალისმომჭრელად კაშკაშებდა მოწოდება: „დალიეთ ჩვენებური, მსოფლიოში საუკეთესო, გამაგრილებელი წყლები“.

ლაურეატს წვეროსანი პირუტყვი მოკლე საბლით ეჭირა, მაღალ ყელზე ხელს უსვამდა და ეჩურჩულებოდა, „პეპე, გამაგებინე, რაშია საქმე. რა ხდება შენს თავს. ასე ხომ არ შეიძლება, შე ქალო, არ გიჭირს შენ რგოლში გახტომა, რომ გიჭირდეს — სხვა ამბავია. ვიცი, არ გეხალისება, მეც ბევრი რამ არ მეხალისება, მაგრამ ვაკეთებ. მარტო შენდა სიამოვნებად კი არაა ეს ქვეყანა მომართული. ხანდახან უნდა დაჰყვე, მოვალეობაა, სამსახურია. უფიქრდები შენს საქციელს? იქნებ ჩემზე ხარ გაბრაზებული? მე მგონი, არაფერი დამიშავებია. თუ რამეში შევცდი, არ უნდა მაპატიო? მეტი არა ვართ ჩვენ ერთმანეთისთვის? ამდენი ხანია ერთად ვართ. ახლა გაგიცივდა გული ჩემზე? ყველაფრის გარდა, ხომ არსებობს რაღაც კოლეგიალობის გრძნობა. ჩვენს შორის დარჩეს და, არა ხარ ცუდად შენ ამ ცირკში. მილიონობით თხა (და ბევრი მათგანი იქნებ შენზე ნაკლები კი არ იყოს) ახლა მსოფლიოში კლდე-ღრეებში ხტუნავს და მშიერ-მწყურვალი ღრანტეებზე სასწაულებრივად შერჩენილ ნეკერს აკნატუნებს. მორეკავენ საღამოს ფარეხში და ძუძუების დაგლეჯამდე წველიან. არ არის ასე? შენ, საჭმელ-სასმელი თავის დროზე. დაბანასამუნელი თავის დროზე. უბატონოდ ხმას გცემს ვინმე? რა გაგიჭირდა კვირაში ერთხელ ტაბურეტზე შეხტომა, შე კაი ქალო? ხატრის გულისთვის წყალში ჩადგება კაცი. რომ მთხოვო, ლომს შევუყოფ ხახაში თავს და შენ რგოლში გახტომაზე მეუბნები უარს? შეუცვლელი არავინ ვართ ამ ქვეყანაზე. მე შენ გეტყვი, პატრონი გვყავს ზევით და თავს დადებს ვინმე ჩვენი გულისთვის. დაგვითხოვენ ცირკიდან და მართალიც იქნებიან. ვინ შეგვინახავს ტყუილად. აბა, მეტი აღარ მანერვულო, თუ ღმერთი გწამს. ერთ საათში ისევ მანეჟზე ვიქნებით. სირცხვილი არ მაჭამო, იცოდე. ეს საკოცნელი პირი სალანძღავად არ მიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციო. როგორც იცოდი, ყველაფერი, კარგად, ლამაზად, ისე გააკეთე და მე ვიცი შენი პატივისცემა. გესმის ჩემი?“

პეპე მდუმარედ შეჰყურებდა ფიჭვის ხეზე შეყუჟულ ბეღურებს, რომლებიც თავიანთ ბეღურულ ენაზე გაუთავებლად ჟივჟივებდნენ და ქარის გადმოგდებული პაწაწკინტელა პურის ნამცეცისთვის შიგადაშიგ ერთმანეთს თავპირს ალეწავდნენ.

ორკესტრის დირიჟორს შეაგვიანდა და სანახაობა ცოტა მოგვიანებით დაიწყო. ქვევით, სამხეცეში, მიუხედავად დამლაგებელთა გულმოდგინე მცდელობისა, შარდისა და ოფლის სულისშემხუთავი სუნი იდგა და ევგენიმ თხა ადრევე აიყვანა მაღლა. ადგილკომის თავმჯდომარის კაბინეტს მიაყენა და ათვალიერან ლიდერს თხოვა — თუ ძმა ხარ. ცოტა ხანს აქ იქნება; ნუ გეშინია, არაფერს პირს არ ახლებს, არ შეგაწუხებსო.

ცირკის ნაცადი მსახიობი ევგენი ლოლაძე ისე ღელავდა, როგორც მაშინ, ამ ხუთი წლის წინათ, პირველად რომ შედგა ფეხი მანეჟზე. გაიხსენა თავისი გაუხარელი ბავშვობა. დედა — რომელიც არ ახსოვდა, რადგანაც მის მშობიარობას გადაჰყვა და გამზრდელი დეიდა სიყრმიდანვე მშობელი მამის სიძულვილს რომ უნერგავდა. მართალია, მამა დიდი პატივისცემის ღირსი არ იყო (ახალი ცოლ-შვილი ჰყავდა და ევგენის იშვიათად მოიკითხავდა), მაგრამ ყმაწვილს იგი მაინც უყვარდა იმ რიდიანი და ნაზი სიყვარულით, როგორც მოწიფულ ბიჭებს თავიანთი ურჩი, მკაცრი მამები უყვართ ხოლმე. მერე პედაგოგიურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ოთხი კოშმარული წელი და ბურთულ-საკისრების ქარხანაში სტაჟის გულისთვის კურიერად მუშაობა. საინჟინრო-პედაგოგიური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების სტუდენტის დრამატიზმით სავსე ცხოვრება და სახელმწიფო კომისიის ალერსიანი თავმჯდომარე, სიხარულისგან პირგახეულს შრომის მასწავლებლის დიპლომი პირველმა რომ მიულოცა. ნაუცბათევი ქორწინება; სამსახურის ძებნისგან გაწამებული ლოლაძე ტროლეიბუსში შემთხვევით გადააწყდა მის თანაკურსელს, გამხდარ-გალეულ, ბეჯითსა და მუყაით გოგოს — ნინო სალუქვაძეს. გაირკვა, რომ ნინოც ამაოდ ტკეპნიდა სხვადასხვა სოლიდური დაწესებულების კიბეებს სამუშაოს საძებნელად. სულ სამად სამი გაჩერება დასჭირდათ ახალგაზრდებს მოსალაპარაკებლად და ისეთი სერიოზული პრობლემის გადასაწყვეტად, ზოგიერთ ჩემს ნაცნობს მთელი ცხოვრება რომ ვერ გადაუწყვეტია. მეოთხე გაჩერებაზე, ტროლეიბუსიდან ჩასვლისას, ცოლ-ქმრობა გადაწყვეტილი ჰქონდათ. სოფელი, მამაპაპეული ფანჩატური და ბუხრის პირას გატარებული ტკბილი საღამოები ევგენისთვის კინაღამ სავალალოდ რომ დამთავრდა. მეძროხეობის ფერმის ინსტრუქტორ-მექანიზატორად შვიდიოდე თვის დანიშნული იყო ევგენი, მწყემსთა საერთო კრებაზე ფერმის გამგის მაქინაციები რომ ამხილა. ერთი კვირის შემდეგ რაიონმა ლოლაძის კვალიფიკაცია და მუშაობის ხარისხი შეამოწმა. როგორც სოფლის მეურნეობის არასპეციალისტი და „მოლაყბე“, იმ დღესვე გაანთავისუფლეს და საქმე პროკურატურას რომ არ გადასცეს, იმისათვის სულ მადლობა აძახებინეს. და ბოლოს პეპე! ბატის ჰუკებისკენ გაშვერილ წკნელზე რომ გადახტა და იმედგადაწურული ცოლ-ქმარი ისევ ქალაქისკენ რომ შემოაბრუნა.

მოგონებების ოცი წუთი თვალის დახამხამებაში გავიდა. თავისი რთული, ინტელექტუალური საქმით გართული ადგილკომის თავმჯდომარისთვის მადლობაც კი არ უთქვამს, თხა კულისებისკენ გამოარბენინა და პროგრამის წამყვანმა „საუკუნის სასწაული“ რომ გამოაცხადა, ევგენი და მისი კოლეგა, რომ იტყვიან, ტრამპლინზე იდგნენ. მეშვიდე რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატმა კულისებს თვალი მოავლო. დაინტერესებულ პირთა სიმრავლე ცუდად ენიშნა და შუბლზე ცივმა ოფლმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაასხა. კლავდია ლეთოდიანს გვერდით სამხატვრო საბჭოს ის წევრი ედგა, გუშინწინ აკრობატმა ელა ხმელნიცკაიამ საჯაროდ რომ გალანძღა, პატიოსან ქალს მავიწროებს და საყვარლობას მთავაზობსო. სახანძრო ინვენტარის კუთხეში კლოუნ ადამიას შეშფოთებულ სახეს წააწყდა. ადამიამ გაუღიმა და თვალი ჩაუკრა. „ღმერთო მიშველე“, ჩაილაპარაკა ევგენიმ, პეპეს ზურგზე მსუბუქად დაჰკრა ხელი და ორკესტრის გრიალში სცენაზე უბედნიერესი კაცის იერით შეფრინდა.

თხამ მანეჟის რკალი ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად შემოირბინა, ვიწრო ფიცარნაგიდან მოხდენილად შეხტა ტაბურეტზე, მაგრამ შავფრაკიანი მწვრთნელი ალუმინის რგოლით ხელში რომ შემოტრიალდა, პირუტყვი სკამზე აღარ დახვდა. ევგენის ცრემლი მოაწვა ყელში. ორკესტრს ანიშნა, ერთხელ კიდევ დაუკარიო. თხა მანეჟზე შემოაბრუნა, ნერვები, როგორც შეძლო, დაიოკა და ნომრის გამეორება სცადა, მაგრამ ამჯერადაც ამაოდ გაისარჯა. პეპე არათუ არ გადაახტა, ტაბურეტსაც არ გაეკარა, მანეჟს შემოურბინა თუ არა ევგენისთვის ზედაც არ შეუხედავს, კულისებისკენ ოთხით გაექანა.

აღარ ახსოვს, როგორ მივიდა თავის საგრიმიორო ოთახამდე. გაიხადა და მოისროლა ფრაკი, ვაზელინიანი ბამბით სწრაფად შეიწმინდა სახე და დაღვრემილმა გაიარა ცირკის მსახიობებით სავსე ვესტიბიული. კაციშვილს სიტყვა არ უთქვამს. რეჟისორ-ინსპექტორი კლავდია ლეთოდიანი კარებში შეეფეთა, მაგრამ ამ ტაქტიანმა ქალმა გვერდზე გაიხედა, აქაოდა, ვერ შევამჩნიეო.

ორშაბათს, თუ რაიმე საგანგებო შემთხვევა არ მოხდა, საბჭოთა კავშირში ყველა ცირკი ისვენებს.

მსახიობები ქალაქგარეთ მიეშურებიან და თავიანთ საბოსტნე მიწის ნაკვეთებზე ჩირთიფირთობენ, ცირკის მთავარი რეჟისორი და ადგილკომის თავმჯდომარე აქტივის კრებას ესწრებიან, ხოლო გაწვრთნილი ცხოველები, წინა თათებზე თავდაყრდნობილები, თავიანთ მეტ-ნაკლებად აქოთებულ გალიებში თვლემენ.

ევგენი ლოლაძეს საბოსტნე ნაკვეთი არ გააჩნდა და რომც ჰქონოდა, ამ ორშაბათს მაინც არ წავიდოდა, რადგანაც, პეპეს გადამკიდე, ფრიად გაურკვეველ მდგომარეობაში იყო.

არ იცოდა, რას უქადდა ბედი საათივით აწყობილ მის ცხოვრებას.

შინ ვერ მოისვენა. მეუღლისთვის გუშინდელი ამბავი არ გაუმხელია. ნინო შეშფოთდებოდა, ითავცემებდა და საქმეს მაინც ვერ უშველიდა.

რომ ჩაიცვა და კარისკენ გაემართა, ცოლმა მხოლოდ თვალი გააყოლა. არც კი უკითხავს, სად მიდიხარო. ნინომ იცოდა, რომ მისი ქმარი, ზოგიერთივით, სალაზბუცოდ და სამაიმუნოდ, დასვენების დღეს. სახლიდან არ გავიდოდა.

ცირკის დარაჯად იმჟამად ამ ცირკისვე ყოფილი ავტობუსის მძღოლი მუშაობდა. ევგენის როგორ არ იცნობდა, მაგრამ კატეგორიული უარი სტკიცა — ცხოველებთან ვერ დაგიშვებ, გამოსასვლელი დღეა და უფლება არა მაქვსო.

არასოდეს მოხვედრია ყურში ასე უხეშად ლაურეატს „გამოსასვლელი დღე“. რა უბედურებაა, რას ვუშვრებით ჩვენს ენასო. ეს თარგმნილი, ხელოვნური სიტყვა რა ჯანდაბად გვინდა, როცა „უქმი დღე“ ან „დასვენების დღე“ გვაქვს ლექსიკონშიო.

ცირკში მაინც იოლად შეაღწია. ლოლაძემ იცოდა, რომ დარაჯი სვამდა. რაც საჭეს მოშორდა და პენსიაში გავიდა, ფხიზელი არავის უნახავს. შოფრობის გამო ახალგაზრდობაში თუ რამე დაიკლო, ახლა, ამ სიბერეში ინაზღაურებდა. ერთ ლიტრ არაყს რომ უფეშქაშებდი, თხას კი არა, ლომს გაგატანდა გალიიდან (რასაკვირველია, თუ არ დაიშლიდი ცხოველთა მეფესთან ურთიერთობის გარკვევას).

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არაყი რომ მისად დაიგულა, ულვაშცოცხიანმა დარაჯმა მსახიობს გასაღებების შეკვრა გადაუგდო და გულწრფელად თხოვა: თუ ძმა ხარ, გამოსვლის დროს კარი გამოხურე, შარს რასმე არ გადამკიდოო.

სარეპეტიციო დარბაზი დაკავებული დახვდა. მასავით ერთ ბოთლ არაყად შემოსული ქალაქის ბიჭები მინი ფეხბურთს თამაშობდნენ. დარაჯს მანეჟის კარი გააღებინა და თუმცა სინათლე ვერ ჩართეს (ცირკის მეხანძრეს კვირა საღამოს, უსაფრთხოების მიზნით, ელექტროაღმრიცხველის ავტომატური დამცველები შინ მიჰქონდა) მანეჟს სარკმლის ციაგი იმდენად მაინც ჰყოფნიდა, რომ ევგენის და პეპეს ერთმანეთი დაენახათ.

ტაბურეტის, ფიცარნაგისა და ალუმინის რგოლის მოტანაზე დარაჯი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა, მაგრამ ბოლოს (მეტი რა გზა ჰქონდა!) მაინც გაალო სარეკვიზიტო ოთახი და „გაწვრთნილი თხის“ რეკვიზიტს ლევიცკის „გადასასვლელი კიბეც“ გამოაყოლა.

სანამ კარგად არ ჩამობნელდა, ევგენი და მისი თხა მანეჟს არ მოშორებიან. არც მწვრთნელს ჩასვლია მთელი დღის განმავლობაში პირში ლუკმა და არც პეპეს გაუსველებია ყელი.

რეპეტიციამ ბრწყინვალედ ჩაიარა. პეპე უშაქროდაც მშვენივრად დგებოდა ორ ფეხზე, გარს უვლიდა მანეჟს, ფრთხილად, ოსტატურად გადიოდა ფიცარნაგზე, თავს მშვენივრად იკავებდა ტაბურეტზე და შველივით ხტებოდა ალუმინის რგოლში.

ბოლოს თხა დაიღალა, ქელავდა, ენაც კი გადმოაგდო და პირზე დუჟი მოადგა. მაგრამ ევგენი არ ეშვებოდა. უთვალავჯერ გაამეორებინა ნომერი და, როგორც მოგახსენეთ, მხოლოდ მაშინ ჩაიყვანა პეპე ქვევით, როცა ცირკში უკუნი ღამე ჩამოწვა.

დარაჯს ტყაპუჭი წაეხურა და ულეიბო ფიცარნაგზე ღრმად ეძინა. „ნეტავ, შენს ხასიათს“, შენატრა ლაურეატმა უსახმილო ყარაულს, გასაღებთა გროვა თავით დაუდო და კარი გამოიხურა.

დაღლილობისგან ფეხებს ძლივს მიათრევდა, მაგრამ სახეზე ღიმილი ეხატა, ნასიამოვნები მიდიოდა შინ. პეპე წუთითაც არ შეფერხებულა, რგოლში გახტომაზე არც ერთხელ უარი არ უთქვამს და ხვალ რა ღმერთი გაუწყრებოდა.

...თურქმენებმა ზათქითა და ყივილით გადიგრიალეს მანეჟზე. მირგულინმა და ადამიამ კოვზების ნომერი არაჩვეულებრივი აღმავლობით ჩაატარეს. კულისებში გამოსვლისას მირგულინმა (ჩვენს შორის დარჩეს და, შეზარხოშებული გახლდათ.) გამხნევების ჩვეული რიგი დაარღვია; ამჯერად ლაურეატს მხარზე ხელი დაჰკრა, ხოლო პეპეს ნესტოებთან, ზედ ნაცრისფერ დრუნჩზე აკოცა. პროგრამის წამყვანმა საუკუნის სასწაულს ნაზავთო, ორჯერ გაიმეორა და ცირკის მსახიობთა მეშვიდე რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი წვითა და დაგვით გაწვრთნილ თხასთან ერთად მანეჟზე გაჩნდა.

მისალმება და მანეჟის რკალის დალაშქვრა პეპემ ისე მოხდენილად ჩაატარა, რომ ევგენს აფართხალებული გული საგულეს ჩაუდგა, მაგრამ ნაადრევი აღმოჩნდა მისი სიხარული. თხამ ტაბურეტს ერთბაშად შეაქცია ზურგი (ზედ არც შემხტარა.) და თითქოს სადღაც ეჩქარებაო, კულისებისკენ მოკურცხლა.

ორკესტრი ისევ ახმიანდა. მირგულინმა და ადამიამ რქები კინაღამ დაამტვრიეს გაურჩებულ პირუტყვს და გაფითრებულ ლოლაძეს მანეჟზე შეუგდეს, მაგრამ ამჯერადაც უშედეგოდ. პეპემ მანეჟს ბოლომდეც კი არ შემოურბინა, კულისებს რომ გაუსწორდა, ერთი მოხედა მისკენ ხელგაშვერილ მწვრთნელს და გაიქცა.

თხის პროტესტს წყალი აღარ გაუვიდოდა.

მეორე დღეს ევგენი ლოლაძეს ცირკის მთავარ რეჟისორთან უხმეს.

მაგიდას ორნი უსხდნენ. მთავარ რე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟისორის შეწუხებული სახე, მაგრამ ხელმძღვანელი ამხანაგის კატეგორიული კილო ჰქონდა.

— რა მოუვიდა თქვენ თხას? — პირდაპირ საქმეზე გადავიდა ცირკის ხელმძღვანელი.

— რა მოგახსენოთ, — თავი ჩაჰკიდა ლოლაძემ.

— ფიზიოლოგიური ცვლილებები ხომ არ ჩანს?

— ბატონო? — ყურს ხელი მიახმარა თხის მწვრთნელმა.

— მაკედ ხომ არ არის?

— არა, — მტკიცედ უპასუხა ევგენმა. ყველა-ყველა და ამ საკითხში ღრმად იყო დარწმუნებული, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ცირკში ვაცი არ მოიძებნებოდა.

— ავადმყოფობას გამორიცხავთ? — მთავარი რეჟისორი ქაღალდზე ქართულად ხელმოწერაში ვარჯიშობდა.

— ექიმმა გასინჯა. ავად არ არის.

— რჩება ყველაზე უიმედო მიზეზი: მოსწყინდა. რაღაც გამოგვრჩა მხედველობიდან. რაღაცით გავანაწყენეთ. იგი ცირკს აღარასოდეს დაუბრუნდება. გამოცდილია ეგ ამბავი, ევგენი ბატონო.

— ვიცი, — მძიმედ, თავაუწევლად უპასუხა ლოლაძემ.

— ახლა რას იზამთ? ღმერთმა იცის, თქვენი წასვლა არ მინდა ცირკიდან.

— სხვა გზა არა მაქვს. რა უნდა ვაქეთო?

— იქნებ სხვა თხა გაგეწვრთნათ? — მთავარმა რეჟისორმა შესანიშნავად იცოდა, რომ გასაწვრთნელად და ცირკში გამოსაყვანად თხა (კატასთან ერთად) ძნელად აღსაზრდელ ცხოველთა რიცხვს განეკუთვნება.

— არა, ბატონო. ვეღარ შევძლებ.

— თქვენი პირადი საქმე გადავათვალიერე. საპენსიო ასაკიც არა გაქვთ. იქნებ ასისტენტად გადაგიყვანოთ ლომების მომთვინიერებელთან. იქ ერთი ასისტენტი ვერ აუდის საქმეს.

— მადლობელი ვარ, ლომებს ვერ ვიტან.

— ?!

— ალერგიული გახლავართ, ლომის სუნი ცუდად მოქმედებს.

სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე განცხადებას რომ წერდა, ერთი ფიქრი აეკვიატა: „რა ჭკუაზე ვიყავი ამ ხუთი წლის წინათ, ეს კიბე რომ ამოვიარე. რატომ არ შემხვდა ვინმე ხეირიანი, ყური რომ აეხია ჩემთვის. რა მინდოდა ცირკში. კიდევ კარგი, დროზე გავასწარი აქედან. მეტი სისულელე იქნება? რატომ უნდა იყოს ჩემი და ჩემი ცოლ-შვილის ბედი იმაზე დამოკიდებული, ეს უტვინო თხა მოისურვებს თუ არა რგოლში გახტომას? წავალ სადმე და რაც ვარ, ის ვიქნები. რაც შემიძლია, იმას გავაკეთებ, რქებიან ასისტენტს ელაპარაკა შავი ტიფა. კაცი არ გინდობს ხანდახან ღლეს და თხა დაგინდობს? თხის იმედზე დადგა ჩემი მტერი."

●

დეზერტირის ბაზრის ქვემოთ, ხორცის ფარდულთან გოჭებს და ინდაურებს რომ ყიდიან, დაბალი ტანის გამხდარი კაცი თხას ჰყიდდა.

მუშტრები თავს აბეზრებდნენ. ეკითხებოდნენ, სადაური თხააო, რამდენს იწველებაო, რა ხნის არისო, დოლგამცდენი ხომ არ არისო, ავადმყოფობა ხომ არაფერი აქვს გადატანილიო.

ძვირს არ აფასებდა. უნდოდა ჩქარა დაეცალა ხელი, მაგრამ გულით მყიდველი არ ჩანდა. ზოგი ყასიდად შეაძლევდა იმის ნახევარს, რასაც პატრონი აფასებდა. ზოგს უბრალოდ ენა ექავებოდა და, თხა სულაც რომ გეჩუქებინა, წამყვანი არ იყო.

ჯერ მხოლოდ თერთმეტი საათი იყო. საღამომდე თხა უსათუოდ გაიყიდებოდა.

ევგენის უხაროდა რომ ამხელა ბაზარში ცირკის მსახიობთა მეშვიდე რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი ვერავინ იცნო.

თხა? თხას, მით უმეტეს, ვინ იცნობდა.

საერთოდ, თხები ერთმანეთს ძალიან ჰგვანან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ხ ვ ა ნ ი

შიომ შეატყო, რომ სტუმარი დაიღალა, ხშირად ჩერდებოდა, ამოსუნთქვის საშუალება რომ მიეცა მისთვის. ციხემდე ჯერ კარგა მანძილი რჩებოდათ. გაუკვალავი გზით უფრო ჩქარა ავიდოდნენ, მაგრამ შიოს ეშინოდა, სტუმარი ვერ ივლისო და თავიდანვე ბილიკს დაადგა.

— რამდენი წლის ბრძანდებით, ბატონო სანდრო, თუ საიდუმლო არ არის?

— რამდენის ვიქნები? — სტუმარი ლოდს მიეყრდნო, ღრმად ამოისუნთქა, თითქოს ფოტოგრაფს გაეჭიმაო.

შიომ, რაც შეიძლებოდა დააკლო.

— ორმოცის, ჰა და ჰა!

სანდროს გაეცინა, ძელქვას გამხმარი ტოტი შეატეხა და მოისროლა.

— არ გინდა ეგ ამბავი. სიმართლე მითხარი.

— ორმოცდაორი?

— შენ არ მომიკვდე.

— ორმოცდათოხს არავინ მოგცემთ.

— რაში გჭირდება, შე კაცო, ეს? მე რა, გასათხოვარი ქალი ვარ, გულს რომ მიკეთებ? — გაწყრა სტუმარი და ცხვირსახოცი ლაბაბქვეშ ამოისვა. მოკლე ხელები ჰქონდა, საულვაშეს კარგად გამოცილებული ქვედა ყბა და ფელამუშისთვის რომ დანა დაგისვია, ისეთი პირი.

რა შარში ჩავვარდიო, გაიფიქრა შიომ. რაკი სიკეთე არ გინდა, ჯანდაბა შენს თავსო, და სულმოუთქმელად მიახალა:

— ორმოცდათხუთმეტის, ასე, სამოცამდე.

— რამდენის?

— ორმოცდახუთმეტსა და სამოცს შუა.

შიომ ქვაზე ფეხი გაიმაგრა და სტუმარს ხელი გაუწოდა. სანდრო დოინჯშემოყრილი იდგა ბალახზე, ამოგდებული თევზივით სუნთქავდა.

— რა მოხელე კაცი ხარ?

— ფოსტაში ვმუშაობ, — მშვიდად მიუგო შიომ.

სტუმარი ხელის გამოწვდენას არ აპირებდა.

— მერე შენხელა კაცი მეტს ვერ უნდა მიხვდე? სამოცი წლის ბებერს ვგავარ მეე? ორმოცდაექვსი არ შემსრულებია ჯერ, — ხვიარის ფესვს ხელი ჩასჭიდა და შიოსთვის ზედაც არ შეუხედავს, ხვნეშით აიტანა წელი მარგილზე.

— ბოდიში, ბატონო! — შიოს უკვირდა, რა ეწყინა ამ კარგ კაცს ასეთი, მოფერება მსურდა და პირიქით გამომივიდა, უცნაური ჩანს ვიღაცააო.

მასპინძელი უკვე ნანობდა, რომ ამ ახირებულ კაცს მაინცდამაინც ციხისკენ აქნევინა პირი. საბჭოს თავჯდომარემ დაუძახა ამ დილით, სასწრაფო სხდომა მაქვს და სტუმარი გაასეირნე ცოტა ხანს, სოფელი აჩვენეო. შიოს მაშინვე არ მოეწონა სტუმრის გულგრილობა ხვიჩას ციხისადმი: ამ ჩვენს სოფელში, ბატონო, თუ რამეა სანახავი, ეს ციხეა და, თუ ძალიან არ შეწუხდებით, ავისეირნოთ, კეთილი გულით შესთავაზა ფოსტის გამგემ. რა არის სანახავი, შე კაცო, აქედან რასაც ვხედავთ, ეს იქნება ახლოდანაც. დანგრეული კედლის სანახავად ვიფორთხიალოთ ამ კლდეზეო? — იუარა სანდრომ. შიოს ბრალია: იმდენი ეხვეწა, ისე ლამაზად დაუხატა ეს ბებერი ციხე და მისი გალავნიდან დანახული სოფელი, რომ სტუმარმა ხელი ჩაიქნია და გამოჰყვა.

გუშინ მთელი დღე წვიმდა, რაღა დღეს დააჭირა მზემ მაინცდამაინც. აპრილის მზემ განსაკუთრებით მთიან ადგილებში იცის თავის გამოდება. სტუმარს ოფლი წურწურით ჩამოსდის. ხვრიჭაზე ფეხს ვერ იკიდებს, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხს. საშველად გამოწვდილ შიოს ხელს ალმაცერად გახედავს და სხვა მხრიდან შეუყვება აღმართს, აქაოდა, არავის დახმარება არ მჭირდება, ასე დავარდნილი კი არა ვაროო.

— უნდა დაიჭირო და უკანალზე მათრახი ურტყა ყველას! — ფიქრი ხმამაღლა წამოსცდა სანდროს, როცა კატაბარდის ღერო ხელში შეაწყდა და მას-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პინძელს რომ არ ემარჯვა, უკან გადავარდებოდა.

— ვიზე ბრძანებთ, ბატონო?

— ვიზე და ალპინისტებს რომ ეძახიან თავს. უსაქმურები რომ არიან, კლდეებზე რომ დახოხიალობენ.

— რატომ პატივცემულო, სპორტის წინააღმდეგი ხართ? — კითხვა გაუბედა შიომ.

— რა სპორტია, თუ ძმა ხარ, ეს? სპორტი მესმის, ფეხბურთი, ან სხვა რამე ასეთი, რასაც მაყურებელი ჰყავს. იქ შეიძლება თავი გამოიჩინო კაცმა. აქ ვინ გიყურებს, იბლოტიალე ყინულზე რამდენიც გინდა.

— მაყურებელზე ხომ არაა საქმე?

—აბა, რაზეა? სპორტი თავის გამოჩენის ასპარეზია, მეტი რა არის! მე პროფესიულ სპორტზე მოგახსენებ, თორემ დილით მეც ქე ვიქნევ ხელებს გიჟივით. კარგი, ვთქვათ, თავის გამოჩენა გამოვრიცხეთ. აბა, რა სარგებლობა მოაქვს ალპინიზმს, მითხარი ერთი. ბილეთი არ იყიდება და სახელმწიფო ზარალის მეტს რას ნახულობს?

— ასე რომ შევხედოთ, ბატონო, სად წავალთ. ალპინიზმი იცით რა არის? მე არ მივლია, მაგრამ ალპინისტებთან მისაუბრია, იცით რა გრძნობაა თურმე, გაჭირვებით რომ ააღწევ მაღლა და დაპყრობილი მწვერვალიდან რომ გადმოიხედავ?

— რა გრძნობაა, ბიჭო, — სანდროს ხმაში სიბრაზე დაეტყო, მარტო შენ თავზე ხომ არ უნდა ფიქრობდე. ალპინიზმი ეგოისტების სპორტია. შეიძლება შენს სიამოვნებაზე სახელმწიფოს მილიონები ხარჯო? მესმის, იქ, მწვერვალზე, რაიმე მადანი იყოს, ან ცეცხლი რომ ჩამოუტანო პრომეთესავით კაცობრიობას. გადმოხედვის სიამოვნებისათვის მიდიხარ ამხელა რისკზე? ხომ იცი რომ ჰიმალაის წვერზეც კი ნახევარ საათში დაგსვამს შვეულმფრენი. სასაცილო არ არის ახლა, ტექნიკის ამ პირობებში, ალპინიზმის არსებობა?

— შვეულმფრენით ასვლა სხვა არის, ალბათ, ბატონო და შენით რომ ახვალსხვა.

— თვითონ ასვლის პროცესია სასიამოვნო? არ დაიჯერო ეგ ამბავი. თუ გადმოხედვაა, შვეულმფრენიდანაც კარგად გადმოიხედავ. მოსკოვში რომ მივფრინავ, ხელისგულზე მაქვს გეოგრაფიული მაკეტივით მთელი კავკასიონი. ზევიდან დავცქერი შენს იალბუზს და ყაზბეგს. ასვლას რაც შეეხება, არა მგონია, მთასვლელს დიდად სიამოვნებდეს ქარაფზე თოკით რომ ჰკიდია და ფრჩხილებიდან სისხლი სდის.

— აბა, გიჟია სახელმწიფო ალპინიზმს რომ ყოველნაირად ხელს უწყობს?

— დემაგოგიურ კითხვას ნუ იძლევი, თუ ძმა ხარ. სახელმწიფოს, ალბათ, თავისი ანგარიშები აქვს. თუ ვკამათობთ, ვიკამათოთ. კამათი საბუთებითაა. თუ ალპინიზმი სხეულის გაკაჟებას ემსახურება, ვთქვათ, როგორც ცურვა ან სირბილი, ეს შეიძლება აგერ ახლოს ჩვენს პირობებშიც. მოძებნე სადმე პატარა კლდე, დაეკიდე დამზღვევ ქამარს, როგორც ცირკის მსახიობები აკეთებენ, ყოველ შემთხვევისათვის. და ივარჯიშე რამდენიც გინდა. ამისათვის რად გინდა ტიან-შანში ჩასვლა, ვირით რომელიმე პიკის ძირამდე მისვლა. იქ უჟანგბადო კარავში ღამის გათევა და დილით ლაყუჩებდაბერილს და გულამოვარდნილს უარყოფით კედელზე ფორთხვა? თუ ჯანმრთელობაც გამოვრიცხეთ, აბა, რა სარგებლობა მოაქვს თქვენს ალპინიზმს, მითხარი? სანამ შვეულმფრენს და თვითმფრინავს გამოიგონებდნენ, იქნებ რაღაც გამართლება ჰქონდა, სიმაღლეს ებრძოდი. ადამიანის შესაძლებლობებში რწმუნდებოდი, ზევიდან დახედავდი ბუნებას. ახლა, ათ წუთში ყაზბეგის ცენტრიდან მყინვარწვერზე ჯდები და მაინცდამაინც კისერი უნდა მოიტეხო ყინულზე?

— კისრის მოტეხა აუცილებელი ხომ არაა, სანდრო ბატონო? — შიოს უხერხულად გაეღიმა.

---

რევაზ მიშველაძე
ნოველები

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აუცილებელი? აბა ჩამომითვალე გამოჩენილი ალპინისტები, ათიდან სამი თუ დაბრუნდა. სამი თუ გარდაიცვალა ლოგინში ბუნებრივი სიკვდილით, დანარჩენი ტრაგიკულად დაიღუპა, ესაა საქმე? უაზრობაა, შენ არ მომიკვდე, ასეთი თავგანწირვა. უსახელო თავგანწირვაა ეს. გამცემლიძე რომ ტანკს შეუვარდა, ეს გმირობა იყო. ალპინისტს უარყოფით კედელზე კლდიდან სოლი რომ ამოუხტება, ან თოკი გაუწყდება, ეს გმირული სიკვდილია? არ უნდა იყოს, კაცო, სიცოცხლის დაცვა სამოცდაათი პროცენტით მაინც? მე არ ჩამოგითვლი გვარებს... რა ბიჭები დაიღუპნენ, რა ბრმად, ტყუილ-უბრალოდ, მცირე გაუფრთხილებლობით, ანდა უნებლიე შეცდომით.

— ჩვენისთანა უბრალო ხალხისათვის, ეტყობა, ძნელი გასაგებია ალპინისტის დაღუპვა, — შიო გამოსავალს ეძებდა.

— არაფერი ძნელი გასაგები არ არის. წამის მესამედში შეცდა და კლდეში ჩაიჩეხა. შეიძლება არც არაფერში შემცდარა, მაგრამ სოლი, რომელიც ჩააჭედა, ვერ დაიმაგრა კლდის ქანმა, ფხვიერი ქვა აღმოჩნდა და მოირყა რკინა. ამას უნდა გადააყოლო სიცოცხლე ჭკვიანმა კაცმა? ეგოისტობაა-მეთქი, თავში გითხარი. რატომ, იცი? კარგი, შენ შენი სიამოვნებისათვის კლდეზე მიბობღავ და შენივე სიამოვნებისათვის „ტრაგიკულად იღუპები“. ამ ცოლ-შვილს რაღას ერჩი, რა პასუხს აძლევ? ვინ გაგიზრდის შვილებს? არ ფიქრობ, რომ პასუხისმგებლობა გაწევს ოჯახის წინაშე და ასეთი სულელური რისკის უფლება არა გაქვს? არ უნდა დაფიქრდე შენს შვილებზე, კაცო? ან დედ-მამას რაზე აუბედურებ. კარგია, ოცდაათი წლის ვაჟკაცს ყინულებში ჩაჩეხილს ოცი დღის ძებნის შემდეგ თუნუქის კუბოთი რომ მოგაყენებენ სახლში, იქავე იყოს? თუ გიპოვეს მკვდარი, ხანდახან ესეც დიდი ბედნიერებაა.

სტუმარი უცებ გაჩუმდა. პიჯაკი გაიძრო და კატაბარდას გადაამხო. ხავსიანი ქვა მოძებნა, დაჯდა, ფეხები გამართა, ზურგით კედელს მიეყრდნო და თვალები დახუჭა. კარგა ხანს იჯდა ასე. მერე თვალი გაახილა და მორღვეულ გალავანთან დოინჯით მდგარ გამყოლს გახედა.

— ბევრი დაგვრჩა?

შიომ ქუდი მოიხადა და მარაოსავით აიქნია ცხვირწინ.

— მოსული ვართ უკვე. იმ ქვის კიბეს ავივლით და პირველ გოდოლში შევყოფთ თავს.

— რაში?

— გოდოლს ეძახიან.

სანდრომ რაღაც ჩაიბურტყუნა, ხელები უკან წაიღო, ქვას დაეყრდნო და ხვნეშით წამოდგა.

— დაღლით კი არ დავღლილვარ, — ბარძაყებზე მოიკიდა ხელი, — ეს კუნთები მტკივა.

— შეუჩვევლობამ იცის.

სტუმარს არაფერი უთქვამს.

ნახევარ საათში ისინი ხვიჩას ციხის ორმეტრნახევრიან კედელზე გვერდიგვერდ ისხდნენ და ბალახმორეულ ქვებს ჩამოჰყურებდნენ.

გრილი სიო ატოკებდა ციხის კედლებზე ამოსული უდღეური ფიჭვის სუსტ ტოტებს.

ქვებზე ხანდახან მწვანე ხვლიკი გაირბენდა, შეჩერდებოდა, ერთხანს გაქვავებული შესცქეროდა გალავანზე მსხდომთ და მერე ისევ ჩაყვინთავდა თავის ხვლიკურ საქმეში.

— ერთს ვიტყვი ახლა მე, — სანდრომ კენჭი აიღო და ქვაზე შესკუპულ მესკია ჩიტს ესროლა. — ხომ ამდენი უწვალიათ ამ ციხის ამშენებლებს? ჯერ რა დუღაბია, კენჭსაც რომ ვერ მოარყევ, მერე ამ სიმაღლეზე ამხელა ქვების ამოტანა არ გინდოდა? მაგრამ კაცი ხარ და მითხარი, რა დანიშნულებისთვისაა ეს ციხე, აშენებული?

შიომ ჯერ გაკვირვებით გამოხედა, რაკი დარწმუნდა, რომ სტუმარი არ ხუმრობდა, გაბურძგნილ წვერზე ხელი ჩამოისვა და ამოოხვრით თქვა:

— ციხის დანიშნულება, პატივცემულო, რა გასარკვევია, ყველამ იცის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მაინც, მაინც?..

— გარეშე თუ შინაური შემოსეული მტრისაგან თავდასაცავადაა ეს ციხე აშენებული.

— მეოთხე კლასის მოწაფესავით ნუ მელაპარაკები, თუ ძმა ხარ. რას ჰქვია, მტრისაგან თავდასაცავად. მაინც როგორ უნდა დაეცვა სოფელს ამ ციხით თავი?

შიოს გაეცინა.

— სერიოზულად მეკითხებით, პატივცემულო?

— ძალიან სერიოზულად.

— მტერი რომ მოვიდოდა, სოფელი ამ ციხეში გამაგრდებოდა.

— და რომ წავიდოდა, გამოვიდოდა, ხომ, ციხიდან? უფ, რა მშვენივრად ჰქონიათ აწყობილი საქმე?!—სანდროს ხმაში ირონია ისმოდა და ამ კილომ უფრო გაალიზიანა მასპინძელი, ერთი სული ჰქონდა, ეთქვა, რასაც ფიქრობდა ამ გაბერილ საფრთხობელაზე. მაგრამ ბოლმა გულში ჩაიბრუნა და სიჩუმე ამჯობინა.

— თქვენი სახელი დამავიწყდა.

— შიო.

— შიო, მე შენ სულელი ხომ არ გგონივარ, თუ ძმა ხარ?

— რა შუაშია, პატივცემულო, ეგ ლაპარაკი.

— აბა, შე კაცო, გგონია, რაც მომადგება ენაზე, იმას ვამბობ? არ დაიჯერო ეგ ამბავი. რაც გკითხე ამ საგანზე, შენ კი არა, ვერც ერთმა ისტორიკოსმა ვერ მიპასუხა. ენციკლოპედიებიც ვქექე, მაგრამ ამნაირი ციხეების დანიშნულებაში ვერავინ გამარკვია. შენ რომ ამბობ, მაგას რა ცოდნა უნდა, ყველამ იცისო, ასე არაა საქმე.

— ხომ გითხარით, მტერი რომ მოვიდოდა ხალხი ციხეში გამაგრდებოდა-მეთქი, — შიომ განზე გაიხედა.

— კარგი, აბა, გავუსინჯოთ კბილი შენს ნათქვამს. ა, ციხეზე ვართ ახლა მე და შენ. ეს ციხე მთის წვერზეა და რა ძნელი ამოსასვლელია დღესაც დავრწმუნდით, ხომ? კარგი, ჩემო ბატონო, ეს ციხე მუდმივ საცხოვრებლად არ გამოდგებოდა, ხომ მართალია? აქ არც წყალია და არც ადამიანთა ცხოვრების კვალი ჩანს, როგორც, მაგალითად, გეგუთს და ბაგრატის ტაძარს ეტყობა.

— მუდმივ საცხოვრებლად არ იყენებდნენ, თავშესაფარი იყო.

— ხალხი, რასაკვირველია ქვევით, ჭალაში, ანდა იმ ფერდობზე ცხოვრობდა, ხომ?

— კი, ბატონო.

— მოვიდა, მტერი. ჯერ ერთი, სოფელს მტერი ბუკითა და ნაღარით არ დაესხმოდა, ჩუმად მოიპარებოდნენ, არა?

— ვთქვათ.

— როგორ მოასწრებდა ქვევით მცხოვრები კაცი ამ ციხეში თავის შეფარებას ისე ჩქარა? მარტო თვითონ ხომ არ იყო, წვრილშვილი, სიდედრ-სიმამრი და მოხუცი მშობლებიც ხომ ჰყავდა, ქალ-ბავშვი და მოხუცი როგორღა ამოყუნცულდებოდა ამ სიმაღლეზე?

— სოფელს დარაჯები ჰყავდა, ცეცხლს დაანთებდნენ და მტრის მოახლოვებას შორიდანვე ამცნობდნენ ხალხს.

— კეთილი და პატიოსანი. ვთქვათ, დარაჯებმა დროზე „ამცნეს“, მტერი მოდისო და დაიძრა სოფელი ციხისკენ, გამაგრდნენ ამ ციხეში და თავი ქუდში აქვთ. ასე არ არის?

— დიახ, —შიომ იფიქრა, ახლა მაინც მიხვდა ციხის დანიშნულებასო და გაიღიმა.

— ჩემო შიო, მტერს რომ ეძახი შენ, იცი რა უნდა? შენს სანახავად კი არ იყო ჩამოსული მტერი მონღოლეთიდან და არაბეთიდან. იმას უნდოდა შენი ავლადიდება, სარჩენ-საყოლი, საკვები, ჩასაცმელ-დასახურავი, საქონელი, უძრავ-მოძრავი ქონება. ამას რომ გაინაღდებდა, სალოცავს შეგიბილწავდა—ეს იყო მტერი. შენ რომ ამბობ, ციხეში გამაგრდებოდა სოფელიო. აგერაა ეს ციხე. ჯერ ერთი, დააკვირდი ტერიტორიას — ამ ციხეში დიდი-დიდი, ას კაცამდე თუ დაეტევა წვალებით. ასი მარტო მეცახოვნე იქნებოდა, შე კაცო, ციხეს დამც-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ველი ხომ სჭირდებოდა? დანარჩენი? სად დაატევდი ქალ-რძალს, სად დამალავდი ბავშვებს? რაღაც არ ეწყობა შენს ნათქვამს ეს ციხე.

— ვინც შეასწრებდა, შეასწრებდა...
— კეფა მოიფხანა შიომ.

— შესწრებაზე იყო, შე კაცო? არაფრით არ შეიძლება ეგ ამბავი. ერთი მეხუთედი დაიმალებოდა და ცეცხლის კოხში დატოვებდა დანარჩენს? ასე არ წირავდა ქართველი კაცი. არც ეგ არის მართალი.

— აბა უსარგებლო ყოფილა ეს ციხე, თქვენი აზრით, — შიოს ხმაში სასოწარკვეთა გაერია.

— ნუ ჩქარობ, ვიმსჯელოთ და ვიკამათოთ, აგერ არ ვართ? იქნებ რაღაც აზრს დავადგეთ. მე ამ ციხის აშენება უაზრობა მგონია. შენ გეცინება ჩემს დასკვნაზე. მაშინ რაღაც უფრო ჭკვიანური ხომ უნდა მითხრა? ხომ საბუთებითაა კამათი. საბუთებით არ არის?

— დიახ.

— მტერმა თუ სახლი გაგიძარცვა, საქონელი გაირეკა და სალოცავი შეგიგინა, რაღად გინდა ამ ციხეში რომ გამაგრდი და ზევიდან დასცქერი შენს გადამწვარ სახლ-კარს? ამას მოითმენდა ქართველი?

შიომ ჯაყვა ამოიღო, ქაცვს წკირი წაატეხა და წვერის წამახვას შეუდგა.

— შიო, — არ ისვენებდა სტუმარი, — ვთქვათ, ასე ფიქრობდა ამ ციხეში გამაგრებული კაცი: ოღონდ ცოცხალი გადავრჩე ჩემი ჯალაბიანად და წელს ისევ წამოვიდგამ, სახლსაც შევჭედავ (რაც ასე ადვილი როდი იყო) და ქათამსაც დავსვამ საბუდარზეო. როგორ ფიქრობ, რამდენ ხანს გაძლებდა ამ ციხეში სოფელი? ერთ კვირას, ორ კვირას, მეტს ხომ არა? წარმოიდგინე ერთი; ვთქვათ, საჭმელი მოიმარაგე. წყალი? წყალს რამდენს აიტან? ყველა ციხეს ხომ არ ჰქონდა მიწისქვეშა ხვრელი წყალზე ჩასასვლელად? კიდეც რომ ჰქონოდა, რამდენი წყალი უნდა ამოეტანა? წარმოიდგინე ხალხით სავსე ამ ციხის ეზო უკანალიზაციოდ. ხომ აქოთდებოდა აქაურობა? ესე იგი, ორ კვირაზე მეტს აქ ვერავინ გამაგრდებოდა, ხომ მართალია?

— ასეა, — შიომ განზე გაიხედა.

— ჰოდა, შე კაი კაცო, მე რომ მტერი ვარ, რაზე შეგაკლავ ამ კედლებზე თავს? დავჯდები ციხის კართან და დაგელოდები. ორი კვირის შემდეგ შენ თვითონ გამოხვალ, მოშივებული, შერცხვენილი და ილაჯგაწყვეტილი. გამოხვალ და, შენი ხელით ჩამაბარებ ციხის კლიტეს. არ გამოხვალ და, ამოწყდები მშიერი.

— აკი წყდებოდნენ.

— უაზრობაა-მეთქი ამ ციხეში გამაგრება. მტერს მისამართს აძლევ — აქ ვარ „გამაგრებულიო“. ამას აჯობებს, სტაცო ხელი, რასაც მოასწრებ და შენი ნაგრამიანად ტყეს მისცე თავი. იქ უფრო ვერ გიპოვის მტერი. მერე, შეიძლება, ვთქვათ, რომ მოიბალახებს მომხვდური, შეეშინდეს და ამ ციხეში თვითონ გამაგრდეს. მაშინ შეგიძლია ტყიდან გამოხვიდე. და შენვე შემოარტყა ალყა ციხეში მომწყვდეულ დუშმანს.

— გამოდის, ამ ციხეს მტრისთვის აშენებდნენ, — შიომ კვლავ გაიღიმა.

— ნუ იცინი, შიო. აბა ჭკვიანი კაცი ამ ციხეს სხვა დანიშნულებას ვერ უპოვის. შენ რომ კინოებში გინახავს და წიგნებში წაგიკითხავს, ციხის კედლებზე რომ მეომრები მიბობღავენ და ზევიდან მეციხოვნეები ქვებს აყრიან, ან ცხელ წყალს ასხამენ, ეს სულ ტყუილია. ფანტაზიის ნაყოფია და მეტი არაფერი. რატომ, კაცო? რა აუცილებელია დღეს ავიღო ეს ციხე, როცა, გითხარი მისი არ იყოს, ერთ კვირაში შენ თვითონ გამოხვალ გარეთ.

შიო წამოდგა, არაფერი უთქვამს. ბებრის ლოჯივით შერჩენილ ციხის ქონგურს მიადგა და სოფელს გადახედა.

სანდრო მიუახლოვდა და ლამის ყურში ჩასძახა:

— იცით რა აზრი მომივიდა? ამ ციხეს ტყუილუბრალოდ რომ არ აშენებდნენ, ეს ფაქტია. შეიძლება მაშინაც ის დანიშნულება ჰქონდა, რაც დღეს აქვს; დამნაშავეებს ამწყვდევდნენ შიგ.

— ბატონო სანდრო, ჩემი ვარაუდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასეთი გახლავთ: მტრის მოახლოებას რომ შეიტყობდნენ, იარაღს აისხამდნენ ვაჟკაცები. ქალ-ბავშვებს და მოხუცებს თავს მოუყრიდნენ და რამდენიმე კაცის თანხლებით ამ ციხისკენ წამოიყვანდნენ. აქ შეაფარებდნენ სუსტებს, თვითონ კი ქვევით ხვდებოდნენ მტერს. არ უშვებდნენ ციხემდე, იქნებ ასე იყო, ა? ასეც ხომ შეიძლებოდა.

— რა ვიცი, — სტუმარმა სუროს ფოთოლი გალეჭა და გადააფურთხა. არც ეგ ჰგავს მართალს. ჯერ ერთი, აქ რომ მოხუცი და ქალი ამოირბენს, ის არც მოხუცია და არც სუსტი არსება. თუ ამდენი შეუძლია, ქვევით იქონიოს ხმალი. და მეორეც — რაღა მაინცდამაინც ამ სიმაღლეზე აშენებდნენ ციხეს (თუ მაგ მიზნით იყო) ის დალოცვილები? ქალების და მოხუცების თავშესაფარი ციხე სწორედ რომ ქვემოთ უნდა ყოფილიყო, სოფლის ცენტრში. უფრო დაიცავდნენ და ხალხის მოგროვებაც არ გაჭირდებოდა. წყალსაც უფრო ადვილად მიაწვდიდნენ და საკვებსაც. ასე არ არის?

ერთხანს ორივენი სდუმდნენ. უეცრად შიოს სახე გაუნათდა, ხელი წინ გაიშვირა და სტუმარს უხმო:

— შეხედეთ, ბატონო სანდრო. რა ზღაპრული სანახაობაა! არ გსიამოვნებთ ამ ჭალის, ამ მდინარის, ამ სურათის ნახვა?! ხომ გსიამოვნებთ. იქნებ ჩვენმა წინაპრებმა ეს ციხე, უბრალოდ, სილამაზისთვის, გადმოსახედად ააშენეს? ისინი ხომ ბუნებით პოეტები იყვნენ. სილამაზის გრძნობა ყოველთვის ყვიროდა ქართველი კაცის ხასიათში, რას იტყვით ამაზე?

სანდრომ ჯერ ქვევით ჩაიხედა, მერე ამრეზით შეხედა შიოს და ყრუდ ამოილაპარაკა:

— სერიოზული კაცი მგონიხარ. სალადავოთ მცალია, თუ ძმა ხარ, მეე?

●

უხმოდ, დამდურებულებივით ეშვებოდნენ.

მასპინძელი წინ მიდიოდა ზურგზე ხელებშემოწყობილი, სტუმარი ხვიარის ფესვებს ეჭიდებოდა და ყოველ ნაბიჯზე ისე ხვნეშოდა, გეგონებოდათ, მძიმე ტვირთი უწვავსო ბეჭებს.

კოლმეურნეობის კანტორასთან რომ მივიდნენ, შიომ შეაჩერა სტუმარი:

— ბატონო სანდრო, თქვენ მე არ მომეწონეთ. ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ, ეს ორი საათი იქნებ წაშალოთ თქვენი მეხსიერებიდან. თუ ღმერთმა კიდევ შეგვახვედრა ერთმანეთს, გამარჯობა არ მითხრათ, არც მე მოგესალმებით. არ მინდა თქვენნაირი კაცის ამხანაგობა. ხომ შეიძლება არ მინდოდეს?

— როგორც გაგეხარდებათ... — თითქოს ამ სიტყვებს ელოდაო, სულმოუთქმელად შეაგება სტუმარმა. პიჯაკი რომელიც აქამდე იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი, მხარზე გადაიგდო და ჭიშკარს ფეხი ჰკრა.

# ცრემლი სად არის

უღელტეხილა რომ გასცდები, ვეფხვის ნაწოლს რომ ეძახიან, იმ მინდვრამდე სანამ მიხვიდოდე, შუაზე გახლეჩილი კლდე არ არის? ზედ გზაზე გადმოვარდნილი კლდის ძირას, ჩემოდანზე ყაბალახიანი ბერიკაცი იჯდა, ეტყობოდა, ჩემი ყურადღების იმედი არ ჰქონდა, ხელიც არ აუწევია.

აქ ახლომახლო სოფელი არსადაა, მუხურიდან რომ იყოს, რაღა აქ ამოვიდოდა, ავტობუსის გაჩერება იქვე, კოლმეურნეობის კანტორის წინაა. ჩავხტი და ბარგის ამოტანაში დავეხმარე. ტყვიასავით მძიმე ჩემოდანი, თავწაქსოვილი კალანჩხა, საგულდაგულოდ გამოკრული ფუთა... ერთი სიტყვით, ოთხი ხელი ტვირთი წამოუღია. ან რანაირად მოათ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რია აქამდე? ჩემს გვერდით, ტრიალაზე დავსვი. უკან არც მოუხედავს, მადლობაც კი არ უთქვამს. სავარძელში მოკალათდა თუ არა, გზას მიაცივდა, ოთხმოცს არაფერს დააკლებს, თეთრი წვერ-ულვაში აბურდვია. მარჯვენა ხელი წვერში აქვს შეყოფილი და მარცხენა, დამჭკნარი და დაძარღვული, მუხლზე უდევს.

— თბილისში, ბატონო?

— ა? მე მითხარით? — დაქაჩული უპეებიდან რულჩამდგარი თვალებით ამომხედა.

— თბილისში მიბრძანდებით-მეთქი?

— უფრო იქით, მოსკოვში, თუ მივუსწარი თვითმფრინავს.

— რომელზე მიფრინავს?

— ხუთზე.

ახლა პირველია ნახევარია, ოთხზეც რომ ვიქნეთ თბილისში, მაინც ვერ ასწრებს. აეროპორტამდე ნახევარ საათს მაინც დაკარგავს. ტაქსს შენ გემოზე ხომ ვერ იშოვი. თანაც ამ ბარგის ახორხოლ-ჩამოხორხლება არ გინდა?

— კაი გაბედვაა ამ სიცივეში მოსკოვში გასეირნება.

— ა? მე მითხარი? — იაევ სწრაფად დაუბრუნდება გზას, თითქოს ეს ამხელა „იკარუსი“ მე კი არა, ამ მოხუცს მოჰყავდეს.

— მოსკოვში სასეირნოდ არაა-მეთქი კარგი დრო, ეცივება!

— ისე ისეირნა, შვილო, შენმა დამაწყევარმა, მე რომ სასეირნოდ მაქვს საქმე.

— ხომ მშვიდობაა, ბატონო?

— მშვიდობა რომ იყოს, რა მინდა ახლა მე, ამ ხნის კაცს, მოსკოვში. რაღა დროს ჩემი მოსკოვია. ჩემი მოსკოვი აწი ოთხი ფიცარია, შვილო, მაგრამ არ მოგაავენებს თურმე, რაც გაწერია, სანამ არ შეგიარულებს, არ მოგეშვება წუთისოფელია. ღმერთია, თუ რაღაც ჯანდაბა. რასაც უკავია ეს ქვეყანა. არ უნდა თქვა კაცმა არასოდეს, თურმე, გაღმა ვარ აწი გასული და არაფერი მიჭირსო. არც ია უნდა თქვა, ჩემი გავაკეთე და დავისვენებ აწიო. როდის რა გიწევს და სად გიყელებს უკუღმართი ბედი არ იცი თურმე. პატარა გაახარებს კაცს და ზოგი ისე ატროკდება ამ სიხარულით, რომ ვარსკვლავებს შეეპოტინება. ხვალ რა ელის და რას უმზადებს წუთიაოფელი ამაზე არ ფიქრობს. ჩვენ ტანჯვისთვის გაგვაჩინა ღმერთმა და ეს უნდა იცოდეს თურმე ყველა კაცმა. ბედნიერი ვარო, არასოდეს უნდა დაიჯეროო, თორემ მერე გაგიჭირდება უბედურების გადატანა. უბედურება კი, ჩემო ბიძია, შენს ერდოზე ზის, სულში გყავს, შენს მხრებზე უწყვია ხელები. გენიოსია რუსთაველი აბა რა არის: „საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უხდების, ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდებისო“. ეს უნდა გეწეროს გულისფიცარზე, თუ გინდა ცოტათი მაინც შეიმსუბუქო წუთისოფლის წელში გამწყვეტი ტვირთი. რა უბედურია თურმე თავდაჯერებული კაცი, რა სასაცილოა გამძლარის და კმაყოფილის ყურთბალიშზე თვლემა. ერთხელ გავიფიქრე, აწი რაღა მიჭირს, სამოცდაათს გადავშორდი და ლომივით შვილი მადგას თავზე-მეთქი და მაშინაც არ მაპატია. არ შემიცოდა, სანამდე მე — სიკვდილი ვარსებობ, გული საგულეს რანაირად ჩაიდევიო, რანაირად წაუყუჩდი წუთისოფელს და რა იმედით წაუმღერეო.

რამე დანაშაული რომ მიმიძღოდეს, სამაგიეროდ გადამიხადა-მეთქი და, თავს ცოტათი მაინც დავიმშვიდებდი. ამ ხნის მოვიყარე და ცოდვა არ მიმიძღვის, იმ ერთ შვილს ვფიცავ. არც ღმერთისა და არც კაცის წინაშე. რაღა ჩემი სიბერე უნდა გამწარებულიყო. ჰელელა და ქარაფშუტა არ ვყოფილვარ, სხვისი არაფერი შემხარბებია, გაჭირვებულს მივხმარებივარ, წყალწაღებულისთვის მიშველია; რა ვიცი, მეტი რა უნდა მექნა, რა შემეძლო...

ამ თვეში მეორეჯერ მივდივარ მოსკოვში. ხუთი თვეა, ორმოცი წლის ბიჭი საავადმყოფოში მიწევა და სიკვდილის ფერი ადევს სახეზე. ხუთი თვეა, ჩემს, პირს ღიმილი არ გაჰკარებია. ცოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარდისგან ლოგინად ჩავარდა, რძალი მესამე ბავშვზეა ფეხმძიმედ, ის უბედურ დღეზე გაჩენილი, და, მოსკოვში კი არა, მეზობლებთან გადასვლაც უჭირს. რა წყალში ჩავვარდე, არ ვიცი. ეს ერთი მყავს, გავზარდე წესიერად, ვასწავლე, დავაქორწინე. შვილიშვილები დამესია, რძალიც კარგი შემხვდა, ჩვენებურ კაცს მეტი რა უნდა, ბედნიერი მეგონა ჩემი თავი, აწი აღარაფერი მიჭირს-მეთქი. ესეც შენი ბედნიერება! ჯანით სავსე ბიჭი იყო. ყურძნით პირთამდე სავსე გოდრებს მარტოკა ატრიალებდა. ერთ კვირაში კომშისფერი გახდა. ვეუბნებით, რა მოგივიდა, რა ვიცი, მე ვერაფერს ვგრძნობო. ჰაი ექიმი, ჰაი საავადმყოფო. ამბულატორიის ექიმმა, ალბათ მიწაზე იწვა და რამე აჰყვებოდაო, რაიონისამ, ღვიძლის მიზეზიაო, აყლაპეს და აყლაპეს წამლები. წესიერად არავინ გამოიკვლია. არ იციან, შვილო, არაფერიც არ იციან... ჯერ ექიმი ვერ ვნახე, რომ ეთქვას, ამ ავადმყოფობისა მე არა ვიცი რა, ამასთან და ამასთან მიდიო. ვისთანაც მივედით, ჩემი შვილი ყველას ავადმყოფი გამოდგა. ზოგმა ესაო, ზოგმა ისაო, ყველამ თავისი მეტრით ზომა და თავისი წამლით უმასპინძლა. არადა, ეს ჩემი სიმწრით და სიღარიბით, ვაინაჩრობით გაზრდილი შვილი, შე კაი კაცო, კურდღელი ხომ არ არის, საცდელ-სასინჯად გამოგადგეს? სამ თვეს თბილისში გვეწვა, როგორც იქნა, დაადგინეს, სისხლი აქვს გაფუჭებული და მოსკოვში წაიყვანეთო. მოსკოვში კიდევ, აქამდე სად იყავით, სანამ სისხლი თითქმის გაწყალდებოდა, რატომ არ უშველეთო. ჩვენ, აბა, რა ვიცოდით. ახლა ვითომ სწორად მკურნალობენ? თავს ვიმშვიდებთ, თორემ ჯერ უკეთესობა არაფერია ჩვენკენ. მტერს ნუ გამოაცდევინოს ღმერთმა, რაც მე მჭირს. გული ხომ ვაგლეჯილი მაქვს. იქეთ წავალ, აქეთების ჯავრი მკლავს. აქეთ ვარ და, ასე მგონია, მე რომ თავზე ვადგევარ, რაღაცას ვშველი-მეთქი და შინ ვერ ვჩერდები. ქვეყანას თავი მოვაბეზრე. არ მეგონა, თუ ამდენს გავუძლებდი. რკინა ვყოფილვარ, როგორი ასატანია საავადმყოფოს კართან ყურყუტი, მარტო მან იცის, ვისაც გამოუცდია.

ჩემს ცხოვრებაში არავისი არაფერი შემხარბებია-მეთქი, გითხარი და, ეტყობა, ნერვებმა მისუსტა ამ ბოლო დროს. დღევანდელი ამბავი უნდა გითხრა. ამ დილით ვენახბოლოზე რომ ამოვიარე, თხრილს გაღმა, ზვარში ბალახზე ოთხი კაცი იწვა, იქვე საბარგო მანქანა იდგა. ეტყობა, ყურძენს ეზიდებოდნენ, მერე სადმე შეზარხოშდნენ ალბათ, მარცხი არ შეგვემთხვასო გადაწყვიტეს, მანქანა დააყენეს და ბალახზე წაიძინეს. ახლა ღამე ცოტა ცივა კიდეც. რთვილსაც წამოჰკრავს აქა-იქ. შევშინდი, ვანჯღრიე ხან ერთი, ხან მეორე. თქვენც არ მომიკვდეთ, გვერდიც არ იცვალეს. ერთს გავაღვიძებ და სანამ მეორეს ვანჯღრევ, იმ ერთს უკვე სძინავს. დავანებე თავი და ჩემს გზას დავადექი. შემეხარბა იმათი ძილიცა და არხეინობაც, სიმთვრალეცა და ჯანიც. ღმერთმა ფრჩხილიც ნუ წამოატკივოთ და ჩემსას რა დოზიაა აჰყვა ისეთი მიწიდან, სისხლი რომ უშრობს და სიბერეს მიმწარებს. ახლა რა ვიცი, ვითომ ცოტა უკეთესობააო, შეიძლება მთლად განწირული არა ვარ.

გაგიკვირდა, ალბათ, ნაჩეხართან რომ დამინახე. გეტყვი ახლავე და გამამტყუნე, თუ კაცი ხარ. პირველ ავტობუსს გამოვყევი სისხამზე. ცოტა ადრე ჩავალ თბილისში-მეთქი. ადრე წასვლა სჯობია მგზავრისთვის, რა იცი, რა შეგემთხვევა. ახლა ბილეთს ავტობუსში არ ყიდიან, მოგეხსენება, გუშინ ავიღე სალაროში, მაგრამ რა ვიცოდი, ამ ფუთას და კალოჩხას თუ მატანდნენ? დამიწყო ლანძღვა შოფერმა — ასე, შენი ხნის ბიჭი იყო — ნახევარი ტვირთი უფასოდ მიგაქვსო. გადამახდევინე, შე კაცო, აგერ არა ვარ-მეთქი? უფლება არა მაქვსო. რა ვქნა აბა-მეთქი. რაც გინდათ, ის ჰქენითო. გავაჩერებინე ავტობუსი და ჩამოვხტი ძირს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არა, არა შვილო. ასე არ შეიძლება. ჩვენ თუ არ ვივარგეთ ერთმანეთისთვის, უფრო გამწარდება ეს წუთისოფელი. რაღაცა შეღავათი უნდა გამოვძებნოთ. ტკბილ სიტყვას მაინც რა უდგას წინ. ხომ გაგიგონია, თათარმა უთხრა თათარსაო, შენც ალა დამიძახე, მეც ალას დაგიძახებ და ორივე ალა ვიქნებითო. ისეთი დრო მოდის, ისე მოგვერია ეს მანქანები და ისე ვშორდებით ერთმანეთს, რომ თუ რამე გადაგვარჩენს, მეტი სიყვარული და კაცის თაყვანისცემა გადაგვარჩენს. მომაკვდავ შვილთან რაღაც მიმაქვს, ყველაფერს ხომ ვერ აგიხსნი და მოგიყვები, ჩემი ხნის კაცი რომ გზაზეა ალოლებული, ამხელა ჩემოდანს რომ მიათრევს და სახე ჩამოსტირის, ამან რაღაც არ უნდა გითხრას? შენით ვერ უნდა მიხვდე ცოტას მაინც?

ერთბაშად გაჩუმდა და გზას დააჩერდა.

ხმას არ ვიღებ.

რა უნდა ვუთხრა?

თავად უკეთ იცის ყველაფერი.

ჩემგან ახლა გულის გაკეთებაც ფუჭ საქმედ მიჩანს.

რამდენი ამნაირი კაცი მიისაწყლება, ღმერთო, ახლა, ამ წუთში, თავის ბედუკუღმართ გზაზე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შოთა ლომსაძე

„ჯავახური ქრონიკები“ შოთა ლომსაძის ბოლო პოეტური კრებულია. მას მერე ცნობილ ისტორიკოსს ლექსების წიგნი აღარ გამოუქვეყნებია. წიგნს ვინ ჩივის, ლექსიც აღარსად დაუსტამბავს. და მაინც, შთაბეჭდილება, რომ პოეზიაში ჩვენ დავწინაურდით, ჩვენ გავუსწარით შოთა ლომსაძეს, ილუზორულია: ამ წლებში — დუმილის წლებში — შოთამ გამოაქვეყნა ბრწყინვალე წიგნები — მეცნიერული ნაშრომები — რომელთა შექმნასაც მხოლოდ მეცნიერი არ ეყოფოდა — ეს წიგნები: „სამცხე-ჯავახეთი“ და „ახალციხური ქრონიკები“ ჭეშმარიტი პოეტის კალმითაა დაწერილი.

ესაა ჩვენი მრავალტანჯული სამცხე-ჯავახეთის წარსულის ვრცელი პანორამა, დანახული პოეტის თვალით და აღწერილი მეცნიერის ობიექტური გონებით.

ასე რომ, დრო, რასაც ჩვენ ზემოთ „დუმილის წლები“ ვუწოდეთ, ფაქტიურად პოეტის მეორე ცხოვრება იყო — ცოტა უფრო რთული და ძნელი, ვინემ მხოლოდ მგალობელი კაცის, მხოლოდ რითმასა და მეტაფორაზე დაფიქრებული მელექსის ყოფაა.

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ 1981 წელს გამოქვეყნებულ ლექსებს ახლა „ცისკრის“ წინამდებარე პუბლიკაცია მოსდევს. ჩვენი თხოვნა ერთია: ცნობილი მეცნიერის ეს ლექსებიც მკითხველმა განიხილოს მის უკვე აღიარებულ და სახელმოხვეჭილ წიგნებთან კავშირში — ესაა ერთი სამყარო, შექმნილი ადამიანის მიერ, თავის თავში პოეტისა და მეცნიერის ჰარმონიის მიღწევას რომ ლამობს.

ტ. ჭანტურია

## დილისკარი*

დილისკარი, დილისკარი,
ისტორიის კივის ქარი.
მიველ, ვნახე, ვეღარ ვიცან,
გულზე ვეღარ მივიკარი.

არვინ აღარ მეთავისა,
ერუანტელად მივლის ჟავრი.
ახლა ვფიქრობ ვკითხო ვისა,
ვინ ჩამოხსნა ძლევის ჯვარი.

●

მე ამ მურჯიკნის
და ამ ცხეკნელის,
ყველა კუნჭულის,
ყველა ქვესკნელის,
როცა შეუხსნელს ვხედავ იარებს,
ვწუხვარ და ვლელავ...

და არცკი მესმის,
რომ ნერვი ყველა
კრთომის და შეშლის,
ელექტროდენად
გადმოდის ჩემში
და გრძნეულივით შემაჟრიალებს.

●

ჯავახეთის მინდორ-კბოდეს,
საქართველოვ, უნდა გრძნობდე
უფრო მეტად, ვიდრე გრძნობდი,
თორემ ჩვენ ამ საყდარ-ციხეს
ხვალ გრიგალი გადაგვირხევს,
შავთა დღეთა მონაბოძი.

---

* დილისკარი — სოფელი მესხეთში.

** მურჯიკანი და ცხეკნელა — ნასოფლარები მესხეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზოგიერთ პოეტს

თუა ქვეყნისათვის თემული.
იყოს სიმღერა სრული.
ვით წინაპრებმა შესძლეს.
ო. როგორ მტკივა გული,
როცა ვკითხულობ მე თქვენს
უმტკივნეულო ლექსებს.

## ლობიერნი*

ადრე ამ ჩვენს ლობიერთა,
როგორც ეს თქვა ზოგიერთმა,
წიაყოლეს ციხე ციხეს,
მიაშენეს ლობე ლობეს,
და გული რომ დაიმშვიდეს.
თურმე ისე ილაღობეს.
დაივიწყეს ძმობა ძველი
და დარიეა ერთურთს ხელი.
მერე იმავ ციხით, ლობით,
იმ ძიძგილში ვერ ცნეს რადგან,
დემონის ხმით მონახმობი
მტერი თავზე წამოადგა,
და სახელი ლობიერთა
მიიბარა მამა ღმერთმა.

## თოლერთა

დავიარე თოლერთა.
ნანგრევები თორელთა.
საით გადაკრეფილა,
მოდგმა დაუდგრომელთა...
ველარავინ ვერ ვიცან,
შემოვძახე რომელთა.
უპასუხოდ დავდივარ,
უსასრულო მორევთა,
გადაგვიდგა გზად ვინა.
ვერ გავიგე სწორეთა.
ეს რა ცრემლი დაგვდინდა.
ეს რა დარდი მოგვერთვა.

●

ღიღილო, ვით აწყვეტილი ღილი.
ნაფუზრებში მოკრეფილი ღიმი.
ქოფანაში დალეული წყალი.
ფეშტამალში გახვეული ფამფარა.
ყანის თავში გასატანი ჭელი.
უგრეხელში მოსაქნევი ცელი.
ბულულებში შემალული მწყერი.
ყველაფერი სიზმარივით გამქრალა.

## უხილავი საბა

საბა მრავალფერ და მრავალ სახე.
ბრძენი, მაღალი, მიუწვდომელი.
უუწმინდესი სული გრძნეული,
ღვთიური ნექტრის მადლით
მორწყული.
ქართველთ კელაპტრად
ამაღლებული.
რჩეულთა შორის გამორჩენილი,
ჩენილთა შორის გამორჩეული.
მაძიებელი, სათნო, დიადი,
სხვათა მფარავი, თავად ვნებული;
ფიერი. ნათელი. დარდი.
წყვდიადი,
სამშობლოს ბედით დაღამებული...
კაცი ხილული და უხილავი,
განვიცადეთ და ვერა ვიხილნეთ...

---

* ლობიერნი — ძველი ფეოდალური საგვარეულო მესხეთში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანო ჩხიკვაძე

# მოთხრობები

## ბაბო

მოვიდა თებერვალიც. გასუდრულ სიმყუდროვეს ჯერ ნიავი წამოეპარა, მერე ქარი მოუხტა და დაერია გაფიჩხულ ტოტებს.

— ცივა! — ჩხავის ხმაწართმეული ყვანჩალა და ხეების თავზე აბორიალებული, დამწვარი გაზეთის შავი ფერფლივით ტრიალებს.

სუსხმა სახლებში შერეკა დიდ-პატარა.

„თებერვალი ბერავდაო,
მარტი კაბას კერავდაო...“

„ბერავდამ“ — საბერველი გამახსენა, ნაკვერჩხალს რომ უქშუტუნებდა. საბერველმა — ლეკი მკალავები, მათი ბარგაკიდებული, ტანდაბალი ცხენები, კუდებზე თოვლი რომ მიჰყინვოდათ და მარგილზე ალვირით მიბმულები ტოკავდნენ...

დატრიალებული ნამქერი ეზოს ხან ერთ კუთხეს მიაწყდება, ხან მეორეს. ძაღლი უგემურად იყეფება და სტუმრებს თვალს არ აშორებს.

არ ვიცი, რა ენაზე ელაპარაკება ბებიაჩემი მთიდან მოსულ შავ კაცებს, ხელებს რომ იქნევენ და შუბლზე ჩამოწეულ ბოხოხებქვემოდან ღამეჩამდგარი თვალებით იყურებიან. გაბოც ჩემთან ერთად მოკუნჭულა სარკმელთან და ყბაჩამოვარდნილი მისჩერებია მოსაუბრეებს.

— ქურდები არიან ეგენი!

— ქურდები კი არა, — მკალავები!

ეგრე გეგონოს, — წამკრა ხელი — არც ოქრო-ვერცხლს, არც საქონელს ხელს არ ახლებენ — ბავშვებს იპარავენ.

— გეშინია?

— მე ხომ ბავშვი არა ვარ... თავმჯდომარემ მითხრა, უკვე საცოლე ბიჭი ხარო, — საულვაშე ღინღლზე თითები გადაისვა.

— საცოლე კი არა და... შენ ვინ გამოგყვება.

— ჰაა, ჰაა!.. — თვალები დამიბრიალა მუქარით. — გუშინ, იცი, ვინ გავიცანი? — დამიტკბა ისევ.

— ვინა?

— ესენი მოსდევდნენ ხურჯინით და მე გადავარჩინე, — მანიშნა ლეკებზე — ახლა აქ რომ დამინახონ?.. გოგო კი საიმედოდ დავმალე ჩალებში.

— დაიწყე, შენი ტყუილები?

— რა დაგიფიცო!

— ჰო, კარგი, კარგი, მერე?

— მართლა გუშინ კი არ გავიცანი, ზაფხულს აქეთია, ყოველ საღამოს მოდის, მოაკაკუნებს ბოსლის კარებზე, გავაღებ და დგას ხელში ალალანებული გვირილებით.

— მერე ეხლა რომ ზამთარია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბო მოიღუშა, ჩაფიქრდა უცებ წარბი გახსნა.

— ეგ მეც ძალიან მიკვირდა, მინდორში ყვავილს რა უნდა, ტუსავს იქაურობას-მეთქი... მერე კარგად დავაცქერდი და თურმე ხელისგულებზე არ ამოსდის?

— არ გამაგიჟო! — დავცინე.

— თავიდან მეც ცოტას გაწყდა, არ შევიშალე, მაგრამ, ხომ იცი, ყვავილს სითბო უყვარს, იმ გოგოს კიდევ ისეთი ცხელი ხელები აქვს, რომ ყვავილი კი არა, რატომ მარწყვიც არ ამოსდის, ეგ უფრო მიკვირს... ჰოდა, გუშინაც მოლოდინში ვარ და, გავიხედოთ, — მორბის ტირილით. ესენი კიდევ მოსდევენ და პირიდან სულ ცეცხლებს ყრიან... იცოცხლე, გავუვარდი, შემოვისვი გოგო წიქარაზე და, ჰაიდა!.. ნეტა შენი თვალით გენახა, მოგვდევენ და, რას მოგვდევენ!.. ნიკიწყაროზე ყოფილხარ?

— არა.

— გოგოს მშობლებს იქა აქვთ კოშკი. შევცვივდით და შემოგვყვნენ... გადაჰკრა ამათ, ორივეს, გოგოს მამამ მათრახი, ეგენი ძაღლებად, ცხენები კიდევ კატებად აქცია... დაერივნენ ძაღლები და კატები ერთმანეთს და ძლივს დავაშველეთ...

დიდი პურ-მარილი გამიმართეს. დარჩიო, მეხვეწნენ. მაგრამ რომ ვერ დამითანხმეს, აჰკიდეს ჯორ-აქლემს ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და გამომიშვეს...

— აკი გოგო ჩალებში დავმალეო?

— მოგატყუე, ჩალებში ხომ ყვავილების სუნზე მიაგნებდნენ... ამათ მწევარზე უკეთესი ყნოსვა აქვთ, — მუშტი დაუქნია ლეკებს. — წამოსვლისას გოგომ მითხრა, კიდევ გესტუმრები და უფრო ლამაზ ყვავილებს მოგიტანო.

— ოქრო-ვერცხლს რა უყავი?

— ხომ იცი, როგორი საწყალი გული მაქვს, გზადაგზა ქვრივ-ობლები შემხვდნენ და სულ იმათ დავურიგე...

ლეკებმა და ბებიაჩემმა მოათავეს „ლაპარაკი". სამივე სათონეში შევიდა. ჯერ გოდრით, მერე ტომრით გამოიტანეს ნახშირი და ჰიშკართან დადგეს. ბებიაჩემმა სტუმრები სახლისკენ მოიპატიჟა. ლეკებმა ერთხანს იყოყმანეს და ბოლოს ხელების ფშვნეტით გამოჰყვნენ.

— ვაიმე, გაბო, დადგა შენი აღსასრულის დღე.

— გუშინ ძაღლები იყვნენ, რაღას ვეხსომები, — საჩხრეკი აიღო და ღუმელს მიუჯდა...

ლეკებმა თეთრი კბილებით შემოგვცინეს. ბოხოხები მოიხადეს, დაფერთხეს და სამფეხებზე ჩამოსხდნენ.

ბებიაჩემმა ჯერ განჯინაში შერგო თავი და არყის ბოთლი გამოიღო, მერე კარადიდან ყველი და პური გამომაწოდა. თვითონ იქვე, მწნილის ბრკემოგდებულ ქილას საფენი გადახადა, წითელი ჭარხლის წვენით ავარდისფერებული კომბოსტო ამოიღო და ალუმინის ჯამში ჩაკეპა...

სტუმრები გემრიელად შეექცნენ. მალე მომხიარულდნენ კიდეც და გააბეს ჩვენთვის გაუგებარ ენაზე ყლურტული.

— ქურდებია ესენი!

— გაბო, ჭკუით იყავი! — მკაცრად უთხრა ბებიაჩემმა.

— ამას რომ მოიტაცებენ, მერე ხომ დაიჯერებ! — ანიშნა ჩემზე.

— მოიტაცებენ და მოიტაცონ, მაინც ყოველდღე მაბრაზებს.

— მე არ დავანებებ, არა, არ დავანებებ! — დამუშტული მარჯვენა ნერვიულად შეათამაშა.

— სტუმრები რაღაცას მიხვდნენ. მორიდებით შეიშმუშნენ და ჯერ გაბოს და მერე ბებიაჩემს მიაჩერდნენ.

გაბო უცებ წამოხტა, კარი გაიჯახუნა და ეზოდან გავარდა.

— მიირთვით, მიირთვით, — თან გაბოზე ანიშნა — ავადმყოფიაო.

ლეკებმა შვებით ამოისუნთქეს. სტუმრებს შორის უფროსმა ჭიქა ასწია და გამიღიმა.

— გაიზარდე... შენ კარგი ბიჭი... კარგი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეორემ თქვა, მოებში მეც პატარები დავტოვეო.

რა ხნისანი არიანო, — ჩაეძია ბებია-ჩემი.

ლეკმა ფეხზე დამაყენა. ხელი ჯერ თავზემოთ გამიჩერა. მერე წელთან მომიტანა და ბოლოს თავი გადააგდო და ტუჩებით წრუწუნი დაიწყო. ვითომ, ერთი ამაზე დიდია, მეორე პატარა და მესამე ძუძუს წოვსო.

— გაგიზარდოს, გაგიზარდოს, — დალოცა ბებიაჩემმა, — შენ? შენ რამდენი გყავს?! — მიაჩერდა მეორეს.

—მე?.. მე... — ხუთი თითი გამოგვიშალა.

— ხუთი შვილი გყოლია.

— ჰო, ხუთი... ხუთი, — გაუხარდა რომ მიგვახვედრა. — ერთი? — ჰკითხა ახლა ჩემზე.

— ჯერჯერობით, ერთი! — სიყვარულით შემომხედა ბებიაჩემმა.

— ბევრი... ბევრი უნდა... — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია ლეკმა.

ამ დროს გაბოც შემოვარდა. იღლიაში ამოჩრილი, დაფურცლული წიგნი გაუინული თითების კანკალით გადაშალა.

— აქ წერია ამათი ქურდობის ამბავი... აი, ხატია კიდეც, ამ ორმა მათხოვარმა ლეკმა ეს პატარა გოგო მოიტაცა...

— ეგ ამბავი ძველად მოხდა, გაბო! — ჩახედა წიგნს ბებიაჩემმა.

— ლეკი ლეკია, რას ჰქვია. ძველად და ახლა... ჩამოვლენ, დაავლებენ ხელს და...

— დაწყნარდი, გაბო!

მაგრამ გაბოს რაღა გააჩერებდა. ლაპარაკობდა ხელების ქნევით, ყვებოდა მოთხრობის შინაარსს და თან ისე ჯიქურად მისჩერებოდა სტუმრებს, რომ თითო-ოროლა ქართულის წყალობით, ისინიც მიხვდნენ გაბოს გულისწყრომის მიზეზს და სკამებზე მოუსვენრად აწრიალდნენ. აგზნებულ ბიჭს თავს უკანტურებდნენ, მართალი ხარ, მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთო. ისეთი საცოდავი და საბრალოები გახდნენ, ისე შემომყურებდნენ, რომ გული დამეწვა. გაბოს წიგნი გამოვგლიჯე და კარისკენ გადავუგდე.

— წადი, შე გადარეულო!

შეცბა. ჩემს შეყვირებას არ მოელოდა. თითები აკანკალებულ ნიკაპთან მიიტანა და თვალები ცრემლით აევსო. მერე ყდამომძვრალი წიგნი აიღო, ისევ იღლიაში ამოიჩარა, კარი გამოაღო და დატუქსული ძაღლივით გაიძურწა.

ლეკები ენა ჩავარდნილებივით ისხდნენ. თავს დანანებით აქეთ-იქეთ იქნევდნენ — არ ვიცი, გაბოს სიბრალულით თუ თავიანთი წინაპრების ულირსი საქციელის გამო.

●

მას შემდეგ ბევრი თებერვალი გავიდა. აღარც ის ლეკები მინახავს და არც სოფლის ჭკუანაკლული მენახირე გაბოა ამქვეყნად. ოღონდ ყვავილებიან გოგოს რომ დავინახავ, აჩქარებით მიმავალს, — სულ მგონია, გაბოსთან მიაქვს, თანაც ის ყვავილები მინდორში კი არ დაუკრეფია — ხელისგულებზე ამოსდის.

# ნათესავი

რამდენჯერმე შემოთვალა, ჩამოდიო, რახან ამ კვირას ვერ შესძელი, იმ შაბათს მაინც უნდა მოახერხოო. ჩვენი ნახვა თუ არ გინდა, მე მაინც გამიწიე ანგარიში, — გადაუდებელი საქმე მაქვს, თანაც გაზაფხულზე ფერმიდან ბურვაკი გამოვიყვანე, — ეგეთი გახდა, რომა, ტანს ძლივსღა დაათრევს. გადასუქდება და მერე ამისი მჭამელი ვიღაა, აბა, შენ იცი, არ დამაღალატოო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ეზოში შევედი. ღორი უკვე დაეკლათ და ვარცლში გვერდულად გაეშოტათ. სოსიკაანთ გოგია ზედადგარზე შემოდგმული ქვაბიდან ქაფქაფა წყალს იღებდა, ღორს სისხლში და წუმპეში ამოთხვრილ ფერდზე ასხამდა. სხვები ცარიელ ტომრებს აფარებდნენ, საგულდაგულოდ ფუთნიდნენ...

— ჩამოხვედი? — მომეგება გახარებული ნათესავი. სისხლშემხმარი მარჯვენა ზურგს უკან ამოიფარა და ცაცია გამომიწოდა. სარდაფიდან ცოლი ამოვარდა თავშალის სწორებით — შენ შემოგევლე, შენა. ეგრე უნდა, ქვა რო მოგვაგორეო?...

— მარო, სამართებელი ამოიტანე! — თავაუღებლად გამოსძახა გოგიამ და ჯაგრის ბლუჯა თოვლზე დაყარა.

— ახლავე... ე, ღორის დაკვლა რაღა ჩემი საქმეა, მთელი დილაა ჩიკორივით მატრიალებენ. — გაიქცა ისევ თავსაფრის სწორებით.

— ვინც მოვიდა — გაუმარჯოს! — წამოიწიეს ვარცლს შემოხვეულებმა და წვერმოუპარსავი სახეები ღიმილმა დაუნაოჭათ.

— როგორა ხარ, ძმიშვილო, — მაროს მოტანილი სამართებელი გახსნა გოგიამ — შაქრი, ერთი ამ ჩლიქზე დაასხი... გაგიტკბა თბილისი... ეგრეა, შვილოსა, ალბათ, აღარც გახსოვს გულზე მიხუტებული მაწვნის ქილით რო დაბაჯბაჯებდი... მაინც რა მსუქანი იყავი, ჰა, მეზურნესავით გქონდა ლოყები დაბერილი.. ახლა რა დაგმართია, რა გამხდარი და უფერული ხარ, არაფერს გაჭმევენ?.. დაასხი, დაასხი, შაქრი...

— რა ფერი უნდა ჰქონდეს, რა... ამწინეებზე დეზერტირების ბაზარში ვიყავი, რაღაც-რაღაცეები მქონდა გასაყიდი, — თქვა მესამემ, ღორის თავს რომ დასტრიალებდა — ეგეთი ბული და უჰაერობა იყო, ეგეთი რომა, ლამის გული შემიწუხდა. ვიფიქრე, დავყრი ყველაფერს და გავიქცევი — მეთქი...

— შენც სადმე რამის დამყრელი ხარ, აი... — გაეღრიჯა შაქრია.

გოგიამ სამართებელი ვარცლის თავზე ჩამოსდო.

— აბა, ამოვაბრუნოთ...

ჯაგრიანი წყალი თოვლზე გადაიქცა და შავ-შავ ლაქებად დააჩნდა.

— სახლში შედი, გათბი. ჩვენ მალე მოვრჩებით, — მირჩია მასპინძელმა.

— აქ მირჩევნია, ბაღში გავივლი...

დათოვლილ ბილიკს დავადექი. ვილაცას უკვე გაევლო დიდი ზომის ბრაგუნა ჩექმებით. კვალი საქათმესთან დაწყობილ შეშებთან წყდებოდა.

საქათმეში ხარიხაზე კისერჩამძვრალი ქათმები ყვინთავდნენ. საქათმის კუთხეში გვერდებშეჭეჭყილი ალუმინის ჯამით ამღვრეული წყალი იდგა. მიწაზე სიმინდის მარცვლები, დამპალი ვაშლები და მსხლები ეყარა. შორიახლო ჭრელი კატა დასუნსულებდა. ჩემს დანახვაზე აჩქარდა, მესერთან წინასწარ მონიშნულ ხვრელს მიადგა, ერთიც მომხედა, დაიკნავლა და ხვრელში თავი ჩაყო. სანახევროდ კიდეც გაიტანა თითქმის ტანი, მაგრამ უცებ ღობეს გუნდა მოხვდა. კატა ისევ უკან გამოვარდა, გაგულისებული ფხუკუნით სადღაც მოუსვა...

ბაღის ბოლოში ალუბალი დგას, კანდამსკდარი, ჩემი ბავშვობის ალუბალი. ესხა თუ არ ესხა — საათობით ვიჯექი ხოლმე ტოტებს ჩაფრენილი და მთელ ეზოს გადმოვყურებდი. დაბარდნილ ხეს იმეთი იმედით ავხედე, — თითქოს ჩემი თავი იქ უნდა დამხვედროდა. გათოშილი და მომლოდინე — როდის მივიდოდი და ჩამოვიყვანდი... ხეს ზურგით მივეყრდენი. ალუბალი ოდნავ შეირხა და თოვლი ჩამოცვივდა. მერე უფრო მაგრად გავარხიე. წამით აღარაფერი გამოჩნდა. მკერდი მტკივნეულმა შეგრძნებამ გაბოჭა, თვალწინ ძალიან ძველი და ლამაზი მოგონება გაკრთა. მაგრამ, ვიდრე რაიმეს გავიაზრებდი, თოვლის კარავი თავზე ჩამომემხო, თვალისმომჭრელი სითეთრე ალუბლის გარშემო პარაშუტივით დაიკეცა.

დიდხანს ვიდექი ტოტებშემსუბუქე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ხის ქვეშ, მაგრამ იმ გაელვებას გონი ვ[illegible] ჩავჭიდე. თითქოს სარკმელ-[illegible] [illegible]ყუჟული ბავშვის თვალწინ, ფანჯრებგანათებულმა ექსპრესმა ჩაიქრ[illegible] და ახლა იმ ბავშვივით ვცდილ[illegible] [illegible]ლი თვალის მიდევნებას, ხელმეორედ დანახვას, მაგრამ ამაოდ...

მალე დამიძახეს კიდეც. ხეს მოვცილდი. ბილიკზე ნათესავის ცხვირდაწითლებული ბავშვები მორბოდნენ.

შემომეხვივნენ, ღიდებივით მომიკითხეს, მგონი ისიც კი მითხრეს, აღარ გვკადრულობო. ჰო, დიდმა თქვა, მეშვიდე კლასელმა თამაზმა.

პალტოს ჯიბიდან შოკოლადის სამი ფილა ამოვიღე. ერთმანეთს გადახედეს — ყველასი თანაბარი სიდიდისა არის თუ არაო და იქვე გახსნეს. ვერცხლისფერი ქაღალდები უმცროსს მისცეს — აგროვებსო.

— მოიცათ, მოიცათ! — შევაჩერე, — თქვენ ხომ სკოლიდან მოხვედით?

— ჰო!

— აბა, ჯერ ისადილეთ და მერე შოკოლადი დააყოლეთ.

— რათა? — მკითხა შუათანამ და ნერწყვი გადაყლაპა.

— მადა აღარ გექნებათ.

— რაო? — გაეცინა თამაზს, — იყოს რამე, თორემ მადას არ ვემდურით.

— მაშ რა გაეწყობა, მიირთვით... ამ ალუბალზე თუ ადიხართ ხოლმე.

— როცა ასხია, ავდივართ, — ტუჩებს ილოკავს თამაზი.

— როცა არ ასხია?

— მაშინ რაზე უნდა ავიდეთ, რა, გიჟები ხომ არა ვართ, ვისხდეთ და ფოთლები ვთვალოთ? — უმცროსებს მოეწონათ უფროსის პასუხი და გულიანად აკუჭკუჭდნენ. — ეგ რომ მოილევა, მერე ზაფხულის ვაშლი მწიფს, მერე ჭანჭური, დამასხი... ცარიელ ხეზე ჩიტებიც არ სხდებიან...

— მე რომ პატარა ვიყავი, ეს ალუბალი ზამთარ-ზაფხულ სულ მწიფდა.

— ეგ რანაირად? — უნდობლად შემომხედეს ბავშვებმა.

— რანაირად, არ ვიცი, მაგრამ ეგრე კი იყო...

[illegible]ოდი, კაცო, გაცივდა მწვადი, — მიძახის გოგია, — ტუხა, ტუხა! — ტუხა ამათ მამას, ჩემს ნათესავს ჰქვია. — სად დაიკარგე!..

— წინ მე მივდივარ, უკან ჩემი ნათქვამით გაოცებული ბავშვები მომდევენ...

სარდაფიდან ტუხა ამოდის. ერთ ხელში მკვახე პამიდვრისა და ნივრის მწნილით სავსე ჯამი უჭირავს, მეორეში — ფველებური ლიტრიანი ბოთლი. იღლიაში შოთები აქვს ამოჩრილი.

— მარო, ჭიქები! — ჩასძახა სარდაფს უკან მიუხედავად...

ეგრე, ზეზეურად სამ-სამი დავლიეთ. ბავშვებიც „მოგვეხმარნენ“ და პატარა მაგიდა უცებ დაცარიელდა. შაქრიამ პურის ყუით თეფშის ძირი მოასუფთავა და საყაურმე ხორცის დაკეპა განაგრძო. სხვები ალესილი დანებით ღორს დასტრიალებენ. ჭრიან, იქვე ამარილებენ და ქვაბში აწყობენ. ტუხამ ბარკალი ცოლს მიაწოდა.

— ეს ცალკე შეახვიე, — თავის გადმოქნევით ჩემზე ანიშნა, უნდა გავატანოთ...

— არაყმა შემათრო. ხასიათზე მომიყვანა. რაღაც მიხარია და სულელურ, არაფრისმთქმელ ღიმილს ვერ ვიცილებ.

— ტუხა, გახსოვს, ბოგირზე რომ გაგყავდი და წყალში ჩაგივარდი.

— როგორ არ მახსოვს... — ტაშტში ჩაგდებული მუცლის ქონი მედუზასავით ათიმთიმდა. — კაი ბლომად წყალი კი ყლაპე... ბაღიდან მომყავდა. — მიუბრუნდა დანარჩენებს: — წვიმამ მოგვისწრო. ამან გაიხადა სანდლები, ერთმანეთს გადააბა, მხარზე გადაიკიდა და მომდევს ეგრე. ის ძველი ბოგირი ხო გახსოვთ, შუამდე როგორც კი მივედით, შემობრუნდა, უკან სიარულით უნდა გავიდეო. ჩავარდები-მეთქი. არაო. [illegible] გვერდზე გადაიხარა, აუსხლტა ფეხი, და თავის

ვანო ჩხიკვაძე
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდლებიანად წყალში მოადინა ზღართანი. კარგა ღრმა იყო... ვხედავ, ბავშვი აღარა ჩანს. გამისკდა გული, მოვისროლე ხელში რაც მეჭირა და გადავყე[illegible]ნა... ევეთები ამოვედით, რომა... სულ კბილი კბილს გვაცემინებდა...

— სანდლები წყალმა წაიღო...

— იმათი ჯავრი ვილას ჰქონდა... ჩაიტანე, ბიჭო და ეხლა დედაშენმა მიხედოს, გინდა გადაადნოს და გინდა გადაყაროს. — ანიშნა თამაზს ტაშტზე.

— ამას ცეცხლზე შემოდგმის მეტი აღარაფერი უნდა. — წინსაფარზე ხელებს იწმენდს შაქრია.

მე და ტუხამ ქვაბს აქეთ-იქიდან ჩავავლეთ ხელი და წავიღეთ.

ღუმელს შემოხვეულმა ბავშვებმა გზა მოგვცეს.

— ტუხა, სანდრო ავად ხომ არ არის!

— ვინ სანდრო, ბიძაჩემი?

— ჰო.

— ავად კი არადა... ადი, ბიჭო, შეშა ჩამოიტანე.

— გიკვირს, აქ რო არ არის?.. მაგის ამბავს მერე გეტყვი... ცეცხლი არ გამიქროთ. — დაუბარა ბავშვებს და გავიდა...

თოვა დაიწყო. მარომ დაფქვილული ხელებით ხაჭაპური ოთხად გაყო და მე და ბავშვებს მოგვაწოდა.

— რა მოხდა, იჩხუბეს?

— იჩხუბეს!.. გასინჯე, გასინჯე, ვიდრე გაცივდება.

— რა აქვთ გასაყოფი ერთმანეთზე ახლობელი ვინა ჰყავთ.

— ახლობელიო?.. — ტაფაზე ხაჭაპური დააბრტყელა ქალმა, — თუ ახლობელია, აქ იქნებოდა... რა გვიყო, რო იცოდე, სოფლის სასაცილოდ გაგვხადა, ასეირა მტერ-მოყვარე... თუმცა, მე რა უნდა გითხრა, ტუხა უკეთესად გეტყვის... მიდი, შვილო, თრომზე ასტამია და გამომიტანე...

უსიამოვნო საუბარი აღარ გავაგრძელე. თუმცა [illegible]გრძენი, რომ თუ ჩავეკითხებოდი, ლაპარაკის იშტაზე მოსული მარო სათქმელს ბოლომდე ჩამოფქვავდა...

მაშინაც თოვდა, როცა მეზობლები წავიდ-წამოვიდნენ. გაქონილი თეფშები, დაცლილი თუ დაუცლელი ჭიქები, ძვლებისა და პურის ნახორხალი ალაგდა. ბავშვები გვერდი-გვერდ მიდგმულ საწოლებში ჩაწვნენ და ცოტა ხანში თვლემამორეულები მიყუჩდნენ...

სარდაფში ჩავედით. ტუხამ ზღურბლიდანვე ხელი კედელს მოუფათურა — გატკაცუნდა ჩამრთველი. მტვერიანი ნათურის შუქზე გამოჩნდა სხვადასხვა ზომის ქილებით, ბოთლებით დაზნექილი თაროები და კედელს გაყოლებული ხილით სავსე ტახტი.

— ბლომად მოგსვლია.

— ეე, სიცივეს ყვავილში არ მოეფშვნიტა — მოსავალი მერე გენახა. ისე იყო ტოტები კვირტით გაჭექილი, რო... რვა-ცხრა ტონა თავისუფლად ჩამოვიდოდა.

— არც ეს არის ცოტა.

— ჩვენ გვეყოფა... აი, ესა, — მომიყვანა ტახტის თავთან სუ დარჩეული „ბროწკია", იქით კიდევ — კეხურა. ნახე, როგორ ბდღვრიალებს, კაცს თვალს მოსჭრის. სარუსეთოა. ამნაირი ხილი ბარე ორს არ ექნება... აიღე, აბა გაკბიჩე?

გამეცინა.

— საიდან ავიღ[illegible], სარუსეთოდან?

— საიდანაც გინდა... იქით კიდევა — „ცარცკია". მაინცდამაინც დიდხანს ვერ ძლებს. თანაც შრება და წონაში აკლდება... გაზაფხულამდე უნდა მოვიცილო მაგის დარდი...

— სანდროზე რაღაცას მეუბნებოდი...

— რაღაცას კი არა, მაგაზე დაგიბარე.

— რა მოხდა?

— ჯერ ესა ნახე... — ბუკლეს კეპიანი, გახუნებული ქუდი მოიხადა. ჩემი ხელი საფეთქელთან მიიტანა. — ხედავ? ეგ ნიშანი ბიძაჩემმა დამადო, — ქუდი ისევ დაიხურა, სკამი სახელოთი გადაწმინდა და ახლოს მომიდგა. — დაჯექი, დაჯექი... შენ კიდევ მეკითხები, აქ რატო არ არისო... ვიდრე ცოცხალი ვარ, არა, ამ არემარეზე ფეხს ვერ დაადგამს, —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მკერდი ჩაიმჯილა,—მორჩა და გათავდა!..

— ტუხა, არ...

— მოიცა, მოიცა, ჯერ მათქმევინე და, თუ გამამტყუნებ, ა, ძმაო, — ორივე ხელი ასწია. — მე მტყუანი და ის მართალი, — გულისჯიბე მოიქექა, ტარებისაგან შელანძღული, ოთხად გადაკეცილი ფურცელი ამოიღო, მაგრამ არ გაუხსნია, მუხლზე დაიდო და ხელი დააფარა. — აქა წერია მაგის კაიკაცობის ამბავი. მაგრამ ჯერ მომისმინე... ნაფუძარი ხო იცი, მდინარისკენ მაგის ნაკვეთია — აქეთ ჩემი. ორივეს ზემოდან ჰქონდა შესასვლელი.

ამ რამდენიმე წლის წინა, ვიდრე მამაჩემი მოკვდებოდა, მდინარე ადიდდა, შენ რო ჩავარდი, ის ბოგირიც მაშინ წაიღო, ძირი გამოუთხარა თუ რა ჯანდაბა იყო, მაგის ბაღთან მისასვლელი საურმე გზაც ჩამოაქცია და კარებიც თან მიაყოლა... მამაჩემს უთხრა, ამანა, სანდრომ, — ცერი ზურგს უკან გაიქნია, თითქოს სანდრო იქვე იდგა. — ეგებ შენი ბაღის ბოლო დამითმო, ერთი კაკლის მეტი მაინც არაფერი გიდგია, შესასვლელს იქიდან გავაკეთებო. ხო გახსოვს, რა საცოდავი იყო მამაჩემი, ადგა და მისცა... იმ სულგანათლებულმა შვილებს არც კი გვკითხა, კაცო, ადგა და მისცა... ახლა, ჩემო ძმაო, როგორც ხედავ, კარგა დიდი სახლი დავდგი, ზალაში ცხენიანი კაცი გაჭენდება, მაგრამა ამ სამ ბიჭსა ეყოფა? — არ ეყოფა!.. ნააფუძარში დავაპირე აშენება, მაგრამ ზემოთა, იაეთი ვაშლები დგას, თითოსა, რო არ შემრცხვეს, ხუთასი კილო მაინც ჩამოდის. იმათ ვერ მოვჭრი... დარჩა ისევ მამაჩემის მიცემული ადგილი — ერთი კაკალი გინდ ყოფილა და გინდ არა... ყველაფერი მზადა მაქვს: ცემენტი, ქვა, ფიცარი... ეს ბიძაჩემი კიდევ ჩემს კუთვნილს არ მიბრუნებს... ჯერ ტკბილად ვუთხარი, მერე ფულს მოგცემ-მეთქი... გაგიგონია, ააგდო ქვა და თავი შეუშვირა — ბაღში საიდან ვიაროო... რა ჩემი საქმეა. საიდან უნდა, იაროს—ჩემსასა ვთხოვ, თავისას ხომ არა.

— მართლაცდა, საიდან უნდა იაროს!

— ეგ მე არ ვიცი და არც მაინტერესებს. ჩემი თავი გამჭირვებია, ამ ბიჭებს უსახლკაროდ ვერ დავტოვებ... ცოლებს რო მოიყვანენ და ერთმანეთში უსიამოვნება ჩაუვარდებათ, არ მეტყვიან, მამაჩემო, რა თავს ქვას ახლიდი, ცალ-ცალკე სახლი ვერ დაგვიდგიო?.. ჰოდა. შევჯახდით, ამომივიდა ყელში, კაცო, მივიტანე ქვიშა და დავყარე, მე მშენებლობას დავიწყებ, შენ რაც გინდა ჰქენი-მეთქი... მომდგა და ჯერ ხო სახალხოდ მაგინა და მლანძღა, მერე, რო არ შევეპუე, მარგილი მოაძრო ღობესა, დამიქნია და... თავი ხომ გაჩვენე წელანა.. ძლივს მომაბრუნეს, რა ვიცი, რამდენი ხანი გულწასული ვეგდე... მე ტყუილს არაფერს ვამბობ, — მოწმეები მყავს...

— სირცხვილია, სირცხვილია, — ჩავილაპარაკე და ჩამოვარდნილი ვაშლი ტახტის კიდეზე ჩამოვდე.

— ნამდვილად სირცხვილია, მაგრამ, ესმის მაგდენი? სხვა გზა აღარა მაქვს, უნდა ვუჩივლო, — ქაღალდი გამომიწოდა. — აბა, წაიკითხე...

იგივე ეწერა, რაც მომიყვა, მოწმეების ხელმოწერით დადასტურებული. კითხვა რომ დავამთავრე, ერთბაშად გამოვფხიზლდი, ალმურმა ამკრა თავში, ყრუ ტკივილმა დამიარა — ჩამოიხლიჩა ალუბლის ტოტი და თვალწინ უღონოდ აქანავდა.

— მე რისთვის დამიბარე?

— უნდა დამეხმარო. ამ საქმეს მოლაპარაკებით აღარა ეშველება რა... მილიციაში უნდა მიმყვე... გაიგონ, გაარკვიონ, ვინ არის მტყუანი და მართალი. არაფერს მოვერიდები, მაგას კი თავისას არ გავატანინებ...

— ვერ დაგეხმარები, — დანაკუწებული ფურცელი ფეხებთან მოლავდა.

შორიახლო მარო საქმიანობდა. უფრო სწორედ საუბარს ყურს უგდებდა. ჩემს ნათქვამზე გაისუსა — ასე კიდობანში ჩამძვრალმა თაგვმა იცის — ფეხის ხმაზე ფხაკუნს შესწყვეტს, გაინაბება...

---

ვანო ჩხიკვაძე
მოთხრობები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თრი წყვილი მზერა დააფრინდა დახეულ, ნაფერებ და ნალოლიავებ ფურცელს, უსიამოვნო სიტყვების გროვას — რომელიც სიცხეში, ნახირის გავლის შემდეგ, გზაზე გათხლეშილი ნეხვივით ყარდა...

●

მეორე დილით ავტობუსის გაჩერებასთან ვიდექით.

— მოგეცადა, ახლა რა არი ვითომა. ამ დილაუთენია რომ...

ავტობუსი ჩამოდგა.

— სირცხვილია, ტუხა, სირცხვილი...

— ვისი, კაცო, ჩემი? — ავტობუსის კარში ჩამდგარს გულწრფელად გაოცებული მზერა შემომაცეცა...

ავტობუსი დაიძრა. ტუხა ხელებში შერჩენილ ხილითა და ხორცით სავსე ბადურებს დაჰყურებდა.

# ძველი კალენდრის ფურცელი

ფერნაცვალი ტყე. ფოთოლზე იკლაკნება და იწელება წვეთი. ცულის დარტყმაზე ხე ცივი ცრემლებით ტირის და ბოლოს ლაწ!.. გადაბორძიკდა, პირქვე ჩაემხო და ყვითლად ამოანათა გადანაჭერმა.

კამეჩებმა ცოხნა შესწყვიტეს, გაირინდნენ. ტყის ზემოთ გაფოფრილ ნისლს მიაჩერდნენ...

ლექსომ სველი შუბლი სახელოს შეაწმინდა. კუნძზე ჩამოისვენა და ჯიბიდან „პრიმის" ღერო ამოაძვრინა. მიმოიხედა, პაპიროსი თითებში მოსრისა, ასანთი გაკრა და ხელები და სახე თამბაქოს კვამლში გაეხვია.

ბოლში გაცრეცილმა ტკბილად გამიღიმა.

— შეგცივდა?

— ნწ! — თავი გადავაქნიე. არადა, მაჯებამოძენძილ ნაქსოვში და იმის შიგნით, ბამბაზიის ხალათი რომ მაცვია, უკვე გაატანა. ნამდვილი წვიმა მაინც ერქვას, წვრილად, უსიამოვნოდ ცრის. ლექსო ისევ სულმოუთქმელად, ხარბად ქაჩავს და მიღიმის. სულ მგონია, უფროსები სიცივეში იმიტომ ეწევიან, რომ ცხვირი გაითბონ. რა სჯობია. ყინვა როცა ჰახჰახებს და გალურჯებული ცხვირი აღარ იცი, სად დამალო — გააფუილე და იარე...

ლექსო ფიქრს მიმიხვდა:

— ხომ არ მოსწევ?

— არაა! — გავაგრძელე სიტყვა და უკან დავიხიე, — ბავშვისათვის არ შეიძლება... როცა დიდი გავიზრდები... — აზრი აღარ დავამთავრე.

— მაშინ მოსწევ?

— ჰო! — ბეჯითად დავუქნიე თავი.

— ნურც მაშინ... არ გინდა... შხამია ეს პატრონმკვდარი, — ნამწვი მიწას დაასრისა.

— აბა, შენ რომ ეწევი?

— მე შემაჩვიეს. ჭკუა არ მქონდა და შემაჩვიეს, — მოჭრილ ხეს გადაალაჯა, ცულის ტარი ჩაბღუჯა და გაფარჩხულ ტოტებს ლონივრად დაუქნია. — თუ პატრონი არ გამოუჩნდა, ადამიანი ყველანაირ სისაძაგლეს ეჩვევა: ხელმრუდობას, ტყუილს, ლოთობას...

— კაცის მოკვლას?

— კაცის კვლასაც... ტოტები მომაცილე, ფეხებში მედება... ნელა გაიტანე, არაფერი დაიშავო...

— შენ პაპიროსის გარდა, ხეების მოკვლასაც შეგაჩვიეს, არა?

— ხეების მოკვლას? — გამომხედა გაკვირვებით.

— ჰო, „ფაქტი ჯიუტია!"

— რაო, რა თქვი, რას გაილექსე? — ცულს დაყრდნობილი გულიანადახარხარდა. — ვინ გითხრა, სად გაიგე ეგ სიტყვები.

— სადა და... კალოებზე ვთამაშობდით... ჭუტა გიგულა ხომ იცი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ვიცი, რა თქმა უნდა.

— ჰოდა, თურმე გიგულას ბზე მოუპარია, ჯორისთვის აუკიდია და მოაძუგძუგებს... უცებ ყიამყრალა არ გამოძვრა საიდანღაც?

— უფროსი და უმცროსი არ იცი?

— ჰო, ბრიგადირი გადაუდგა, რად მოიპარეო.

— არ მომიპარიაო.

— არა, მოიპარეო!

— არაო!

— „ფაქტი ჯიუტია, ამხანაგოო!“ — გამოვაჯავრე ბრიგადირს. — ლექსო, რა არის ფაქტი?

— ფაქტი — ბზეა.

— ჰოო, ფაქტი — ბზეა, ჯიუტი — ჯორი და ამხანაგი — გიგულა, არა?

— ო, რა ხარ, რა ხარ, ვინც არ გიცნობს! — ხელმეორედ ახარხარდა ლექსო. — მერე?

— მერე ფაქტი, ჯიუტი და ამხანაგი ყიამყრალამ ისევ უკან გააძუნძულა...

— რამდენჯერ უნდა გითხრა! — შეიკრა შუბლი.

— ნეტა აქ ვინ გვისმენს!

— ჰკუით, ბიჭო, სხვაგანაც წამოგცდება.

— შევეჩვევი?

— მაშ!

— შევეჩვევი და შევეჩვიო! — კისერი წავიგრძელე და ხმამაღლა დავიძახე — ყიამყრალა!..

ლექსო ნაფოტს დასწვდა. ვიშვირე ფეხი და ბუჩქებში გავუჩინარდი.

— სად წამიხვალ, სადა! — ცულის კაკუნში დამეწია ხმა...

სირბილში წყაროსთან არ მოვსულვარ? სიცილით გულნაჯერები ჩამოვჯექი... დახე, ძახველი! ხელის აწვდენაც არ უნდა, მარტო პირი გაუღე. წითლად ღუიან კუნწულები. წვიმით პირდაბანილები ისე იცინიან, რო ხმაც კი მესმის. ტოტი მოვწიე და ტუჩებზე მომელამუნა გრილი ნაყოფი. ცივმა, მომჟავომომწარო წვენმა თვალი მომახუჭინა... რამდენიმე კუნწულას გამოვუყვანე წირვა და მერე წყაროს დავეწაფე. ოჰოჰო, რა ცივია და გემრიელი — ბებერს გააჯიელებს. მათიკომ რომ შინდზე წამომიყვანა, მას შემდეგ აქ არ ვყოფილვარ.

აქედან კარგად მოჩანს ლომისის დახრამული ფერდა, სალოცავის ნანგრევები: „შენ შეგვეწიე, ლომისის მადლო“, — გავიმეორე ბებიაჩემის ნათქვამი.

წლევანდელმა ლომისობამ დიდი სეირით კი ჩაიარა... ეს გიგო ხომ, როცა დალევს, მტკნარი ვიჟია...

დიდძალი ხალხი მოვიდა. სანთელი დაინთო, სალოცავი ილოცეს და ჩრდილებში სუფრებიც გაშალეს. სოფელში ძაღლებიც კი არ დარჩენილან, შორიახლო დასუნსულებდნენ და გადაგდებულ ძვალზე ჰქონდათ ერთი ზედახორა.

როცა ჩემი მისართმევი მივირთვი, სუფრაზე რაღა გამაჩერებდა — ავკრიფე საჭმლის ნარჩენები და ჩვენს ცუგას გადავუყარე. წაესივნენ დანარჩენები, მაგრამ ყველა მოიცილა.

— ბიჭო, ვაჟკაცი იქნები თუ მაგ ძაღლს დაახრჩობ! — მოხუცი კიკუნა ბარბაცით წამომადგა და ულვაშები გადაისწორა.

— ვითომ რად უნდა დავახრჩო?

— განა მართლა დაიხრჩობა, პური მიეცი, შვილო, დიდი პური, ყელზე დაადგება და ვიცინოთ, — ჩამომიჯდა გვერდით.

ცნობისწადილმა გამაბრიყვა. კალათს საფენი გადავხადე, მთელი პური დავიღლიავე... გადავუგდე და ვუყურებ, ყელზე როდის დაადგება, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ისე გადასანსლა, ერთიც არ წამოუხველებია... კიდე, კიდეო, — მიჯიკავებს მოხუცი და სიცილს ძლივს იკავებს...

მესამე თუ მეოთხე პურზე უფროსებმა თვალი შემასწრეს, რაა შვრები, ბიჭო, რამ გადაგრიაო. — იმან-მეთქი, — ვანიშნე კიკუნაზე, გულიანად რომ კუჭკუჭებდა და მოფამფალებულ, აქა-იქა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კბილებში ჩიბუხის ტარი უყანყალებდა.

— ეჰ, კიკუნა, კიკუნა, გახიე და გაფხრიწე, ამ ბავშვზე მეტი ჭკუა არც არასდროს გქონია! — გადმობლვირა ბებიაჩემმა.

— ჭკუაო? ჭკუას რომ ფასი ჰქონდეს, მაღაზიაში გაიყიდებოდა და ჩვენი ნოქარი ამდენ ჩიტირეკიას სულ დააბრძენებდა.

— შენი სარგო მაინც არ მოვიდოდა, — არ დაუთმო ბებიაჩემმა. — მოდი, მოიწი, კაცებში ჩაჯექი და კაცად გამოჩნდი...

ნაშუადღევს აირია ხალხი. გაქრა არაყმა. სტუმარი ქალებისაკენ დაებრიცათ კაცება თვალები. აბორიალდნენ, ატორტმანდნენ, შეიქმნა დიდი გადაწვევ-გადმოწვევა.

მკერდმოლიავებული ლიზიკო სიკოს ბიჭმა ჩაითამაშა.

— როგორ იკვანწება ეს მიწაგასახეთქი!

— ეგრე გაიხარე, კარგი შენ არ იყო!

— ლამაზი კია და... — ატუტუნდნენ ქალები.

— მაგდენი რამე-რუმე რომ წავისვა, მეც ლამაზი გამოვჩნდები, — ჩაილაპარაკა აბალაკიაანთ ბებერმა სონამ. წასწვდა ჩემს გვერდით მდგომ მათიკოს და წრეში შეაგდო.

— გაშალე ხელები გოგო, დაენახვე, ხომ ხედავ, როგორი თვალებით გიყურებს, — მათიკო უკანვე გამოვარდა. — უნდილო, უნდილო... დღეს-ხვალ ნიშანს მოგიტანს, რას გაურბიხარ, დაელაპარაკე, ან ავი უთხარ, ან კარგი, — მოგვცილდა უკმაყოფილოდ.

— რა უნდა, ვის დაენახვეო?

— ყველაფერი შენ უნდა გაიგო?

— თორემ არ ვიცი.

— ვითომ რა იცი?

— რა და, სონა რო ქალაქელ ბიჭთან გმაჭანკლობს.

— უყურე ერთი ამას?

— მიყურე და მიყურე! — გავუსხლტი ყურის ასაწევად წამოღებულ მათიკოს ხელს.

ამასობაში შეიკრა წრე და ატყდა ერთი ჩარბუზანა, მოკლედ, დიდ-პატარა ცეკვავს.

ლიზიკო? ლიზიკო სადღაა?

ლიზიკომ ეკლესიის უკან ჩაირბინა და ტყეში მიიმალა. გავყე უკან და ამედევნა ძაღლიც. შევედი ტყეში და, რას ვხედავ, ეს სიკოს ბიჭიც იქ არ არის? ჟამსხდარან ხის ძირში და საუბრობენ. რაზე, არ მესმის, მაგრამ მე და ჩემი ცუგა კი დიდი ინტერესით ვუთვალთვალებთ. უცებ ელდანაცემივით ლამის ჩავიკეცე — სიკოს ბიჭმა ისე მოხვია ხელები, რომ ძვლების ჭახჭახი მესმის. „ნამდვილად ჩხუბობენ, უნდა ხალხს გავაგებინო“, — დავასკვენი გულში, მაგრამ ვინ გაცალა — ცუგა ერთი ნახტომით მათთან გაჩნდა. ისეთი ვაი-უშველებელი ატეხა, — რომელი საით გავარდა, თვალი ვერ შევასწარი. „საწყალი ლიზიკო, ძაან კი გადავარჩინეთ,“ — გავიფიქრე კმაყოფილმა და გამოვბრუნდი...

ია იყო ბებიაჩემს მივუცუცქდი და სათქმელად პირი გავაღე, რომ ფერდობზე სიგნალისა და დოლ-გარმონის ჭყვიტინით ვილისი ამოვარდა. ხეების ძირში გაჩერდა და თავმჯდომარის მთვრალი შოფერი გადმოვიდა.

— ნახეთ, ნახეთ ვინ მოგიყვანეთ! — პირველმა თვითონ გაშალა მკლავები.

— ხედავ, კაცო, ლეკოს ბიჭები არ ამოუყვანია? — ახმაურდა ხალხი — მაგრები არიან, მაგრები, მთელ ჩვენს მხარეში ასეთ დამკვრელებს ვერ ნახავ.

„მაგრებს“ ეტყობოდათ, რომ ფეხზე ძლივს იდგნენ. ერთი ბანტიან გარმონს წელავდა, დაბალ ფეხებზე ჩამოფარებული ლიპი უყანყალებდა და ინდაურივით ჩამოგრძელებული ღაბაბი პირდაპირ გარმონზე ედო. მეორეს ლოყები დასკდომაზე ჰქონდა, წითლად თვალებგადმობრუნებული, კლარნეტს ძუძუთა გოჭივით წუწნიდა. მესამე დოლს ისეთი გამეტებით უშენდა წინდის ჩხირებივით თითებს, მეგონა, სადაცაა ჩინჩხვარივით გადაემტვრევა-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ძალით გახურდა ცეკვა.

— თქვენი ჭირიმეთ, თქვენი! — რამდენჯერმე ჩაბუქნა გიგომ, მერე ჯიბეზე გაიკრა ხელი და მედოლეს გაოფლილ შუბლზე მიაწება ხუთთუმნიანი. ცოტა მაგრად კი მოუვიდა, მედოლემ თავი ვერ შეიკავა, ვიღაცას გადააწყდა — ცოტას გაწყდა, სახორცე ქვაბში არ სტუცა თავი.

— ეს ვინ მოგიყვანია. დაბდურები, მუხლებში ძალაგამოლეულები, — აჭიხვინდა გიგო.

— შენ დაგმარხე, შენა... — მუხლისთავები გამოითქვიფა გიგოს ცოლმა, როცა მედოლემ ფული ჯიბეში ჩაიკუნჭა.

— დაგვსხით, ხალხო, ფეხზე ხომ არ უნდა ჩამოგვადნოთ, — გაილრიჭა მეგარმონე.

— აბა, აბა, მამა გიცხონდა, სინათლე გაგდის ტანში... დაუკარით, გამაძღეთ რა, ცეკვითა! — ყვიროდა გიგო.

— დააცა, შვილო, ლუკმა მაინც გაღეჭონ, — ულონოდ ჩაებლაუჭა დედა, გამხდარი, მოკაკული ქალი.

— სიკვდილით გაძეხი, სიკვდილითა! -ქოქოლა მიაყარა ცოლმა. — ხუთი თუმანი რა, გზაზე იპოვა? — შესჩივლა ვიღაცას.

ისევ დაუკრეს. აძუნძულდა გიგო და ისევ შეაგდო სონამ დარცხვენილი მათიკო წრეში — დატრიალდი, დაენახვეო, მაგრამ მათიკომ ისევ იუარა.

— გეყოფათ! — ხელი აუწია დამკვრელებს თავჯდომარის შოფერმა.

— დაუკარით! — გაჯიუტდა გიგო.

— არ დაუკრავენ!

— მაშ, არა!

— არა!

შეფიქრიანებული დამკვრელები ენაჩავარდნილები იდგნენ.

— დაუკარით, რა, ხო იცით, ამის ხასიათი... ტაში... ტაში!.. — ჩაერია სონა.

— არა-მეთქი, ვთქვი და გავათავე!

გიგომ შემოხვეული ხალხი მისწი-მოსწია, რაღაცას დასწვდა უცებ და ვიდრე ვინმე რამეს მოიფიქრებდა, შამფურის წვერი დოლის მეორე მხარეს გაახედა. იქვე გაისმა ლაწანი და გიგოს გახუნებული „კიკირტოიანი" ქუდი სადღაც გაფრიალდა...

მანამ დარეტიანებული გიგო აზრზე მოვიდოდა, დაქოქა ვილისი თავმჯდომარის შოფერმა, თავქვეზე გაქცეულ დამკვრელებს დაედევნა და შამფურგაყრილი დოლიანად საჩქაროდ ჩასხა.

— ოჰ, თქვენი დედა, თქვენი! გიჟები იყავით და გიჟებად დარჩებით, — მოიძახა მანქანიდან და ფანჯრიდან თავგამოყოფილმა მეგარმონემ კოტიტა მუშტი დაგვიქნია.

შემოიხია გიგომ ყველაფერი, იგინა, იბრაგუნა მკერდზე მუშტები, მაგრამ ლოყაზე წითლად აბდღვრიალებულ შოფრის ნათითურებს რაღას უშველიდა...

ლიზიკოს ამბავი ვილას ახსოვდა. ღამე, დაწოლის წინლა ვუთხარი ბებიაჩემს, სიკოს ბიჭი ლიზიკოს ახრჩობდაო.

— როგორ თუ ახრჩობდა? — გაკვირდა მოხუცი.

— ასე და ასე... მე და ცუგა რომ არ მივხმარებოდით, დიდი ცოდვა დატრიალდებოდა-მეთქი.

— მაგრად გადაგირჩენიათ... ნეტა რას ერჩოდა ის სასიკვდილე, — ჩაეღიმა ბებიაჩემს. — ისე, აჯობებს, რაც ნაკლებს იძრომიალებ! — დამიტატანა ბოლოს.

მოდი და ნუ გაგიჟდები... შინაურებში დიდი მხიარულება გამოიწვია ჩემმა ნაამბობმა. ოღონდ გამაფრთხილეს, ნურსად იტყვი, თორემ საწყალ სიკოს ბიჭს ნამდვილად დაიჭერენო... რა მენაღვლება, მე კი გავჩუმდები, მაგრამ სხვა დროს მაინც რომ დაახრჩოს?..

— საითა ხარ, ბიჭო! — მესმის ლექსოს ხმა.

— აქ, ვარ, წყაროსთან.

— ნალოს ჩავუბამ და მალე წავალთ.

— კარგი!

ხელმეორედ მოვწიე ძახველის ტოტი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომისაზე აქეთ-იქით წახრილი ბებერი ხეები დგას. ბებიაჩემმა მითხრა, მე რომ პაპაშენმა მომიყვანა, მაშინაც ასეთები იყვნენ, ეტყობა, ძალიან ხნიერები არიან. მათი მოჭრა არ შეიძლება, ლომისის კუთვნილებაა, ვენაცვალე იმის მადლსა. აი, კოჭლმა ნიკალამ სამი ხე მოჭრა და სამი შვილი მოუკვდაო... კიდევ კარგი, მამაჩემმაც არ მოჭრა, თორემ ახლა აქ ხომ არ ვიჯდებოდი... ფუჰ, როგორ მეზარება სიკვდილი... ამ მთებს გადაღმა უკვდავების წყაროაო, გვითხრა ბავშვებს შუშუტა ვასომ. — ვნახე, წამოვიღე კიდეც, მაგრამ ხევზე რომ გადმოვდიოდი, გამივარდა ბოთლი და რიყეზე დამემსხვრაო...

რა ვიცი, დაეჯერება? გიჟიაო ჩვენები ამბობენ.

ისე, მეტი ნატვრა არა მაქვს, ან წყარო მაპოვნინა ან ნატვრისთვალი. ბებიაჩემი მეუბნება, ასე დაუწესებია გამჩენს, მოხუცი უნდა მოკვდეს, შვილებმა და შვილიშვილებმა კი დიდხანს იცოცხლონო... მაშ მერე რაღა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე. ჩემს დაბადებამდე ვინც შინაურები დამხოცია, ეგეც ვერ მომინელებია და... არა, არც მე მოვკვდები და არც ბებიაჩემი, აი, ნახავთ!..

●

ტყიდან გამოვედით. წვიმამ უმატა და ჩვენც ფეხს ავუჩქარეთ. შეთხელდა ჯაგნარიც. აქა-იქ კვრინჩხის ჩაშავებული მარცვლები შევნიშნე, მაგრამ ისე მცივა, ჯიბიდან ხელის ამოღება მეზარება. სასაფლაოზე გამოვაღწიეთ და სოფელიც გამოჩნდა. გაწეწილი კვამლი მაღლა-მაღლა მიიწევს. როგორც გაზაფხულზე, ისე ველარ ანათებენ სველი. ფერდაკარგული კრამიტები. სახლებიც უფრო დაბრეცილები და უშნოები ჩანს, მაგრამ, რაც მთავარია, შიგნით თბილა. . სასაფლაოს მერე მინდორი უნდა გავიაროთ, მერე საურმე, ორღობე... აუჰ, როდის მივალთ!

—დაიღალე?

— ჰო!

— მოდი, ზურგზე მოგიკიდებ.

— შენ კი არ დაიღალე?

— მე რა დამღლის... მოდი, კაცო, ნუ გრცხვენია, აქ ვინ დაგვინახავს.

ის იყო დაიხარა და ზურგი მომიშვირა რომ...

— აბა, გაიხედე!

თვალი ჩემს გაშვერილ თითს გააყოლა — ახლად აკოკოლავებულ საფლავთან ვიღაც დაცუცქულიყო და შორიდან დიდ, შავ ფრინველს ჰგავდა.

— კოლას ცოლია, რამ ამოიყვანა ამ სიცივეში... შემაჯექი, ჰა... ზურგით არის, ვერ დაგვინახავს.

— რომ შემობრუნდეს?

— ამ სიშორეს რას მიხვდება, ბავშვი მყავს აკიდებული თუ ტომარა.

თავპატიჟი აღარ დამიწყია, მომიგდო ბეჭებზე და წამოვეწიეთ წინწასულ კამეჩებს.

— მაშ მე ტომარა ვარ? — ვკითხე, როცა ქალს „უხიფათოდ“ გავცდით.

— ტომარა, ფეხები განზე გასწი, არ მომთხვარო.

— ტომარამ რომ ლაპარაკი არ იცის?

— სცოდნია და ეგ არის, იმხელა ენა გაქვს ფეხებში მეხლართება... ახლა რომ ვინმე შემხვდეს და მკითხოს, რა მოსვლია მაგ ბავშვს, როგორ დავარდნილაო, ვეტყვი, რა ბავშვი, რის ბავშვი, ბავშვს სადა ხედავ, ფქვილი მომაქვს, წისქვილიდან მოვდივარ-მეთქი.

— შეშაც წისქვილიდან მომაქვსო?

— ჰო, წისქვილიდანო,

— მერე არ იცი, რას იტყვიან?

— რასა?

— გამოიხედეთ, ხალხო, ლექსო გაგიჟებულა, ახლა ორი გიჟი გვეყოლება სოფელშიო.

— მეორე ვიღაა?

— მეორე შენა ხარ და, პირველი — შუშუტა ვასო.

— მოდი, პირველი მე ვიქნები.

— არა!

— რატომ?

— ის უფრო დიდი ხნის გიჟია და იმიტომ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ოჰ, ერთი შენი თავი მომცა საცემად... ხი, ჰო, რამ დაგაბრმავა, გზას ველარ ხედავ! — ნიკორა კამეჩი განზე იწევს, ფეხი გზისპირა რუში უვარდება, წვალობს. მეორესაც თავისკენ მიითრევს.

— ჩამომსვი, ჩამომსვი, უკვე დავისვენე... ლექსო, კოლას ცოლი ისევ იქა ზის.

— გაითოშება, ეგ საცოდავი, — თავი გადააქნია ნაღვლიანად.

— წავიდეს სახლში...

— სახლში რა ქმარ-შვილი მაგას დახვდება. ბიჭები ომში დაეკარგა, ეგ კოლაღა ჰყავდა, ეგეც გადაბრუნდა და მოკვდა...

გზისპირზე, გამხმარ ნარზე, მობუზული, თვალებადქცეული ბეღურა კანკალებდა. ხელი ავუქნიე. შორს არ წასულა, იქვე ჩაფრინდა ჭყიპინით, მალე სხვებიც მოფრინდნენ, გარშემო შემოურიგდნენ, თითქოს ეკითხებოდნენ, რა მოხდა, რა გაგჭირვებიაო. გამეხარდა, რომ ბეღურა სასაფლაოზე მოკუნტული ქალივით მარტო არ იყო...

●

ორღობეში შევედით თუ არა, მეტყევე იასონა დაბარებულივით შემოგვხვდა, ეგრევე, ცხენდაცხენ მოგვადგა.

— გამარჯობათ, სახლიკაცებო!

— გაგიმარჯოს, ძია იასონ!

მეტყევე გადმოიხარა, ხეები შეათვალიერა და შუბლი შეიკრა.

— მომეცი ცული და გამოხსენი კამეჩები... ხმელი დაილია, ნედლს რომ არ დაერიოთ?!

— ხმელი სადღაა, სულ ჩინჩხვარ-ჩინჩხვარ არის აკრეფილი, ხუთი სოფელი ამ ტყეს შეჰყურებს.

— მერე მე რა ვქნა, — მძიმედ გადმოვიდა ცხენიდან და აპეურებს მიეტანა.

— კარგი, ახლა, გვაპატიე, ტყუილა ვიწვალეთ ორმა კაცმა? — თვალი ჩამიკრა ლექსომ.

— ყველა მაგას გაიძახით, შვილონიასა და, რომელ ერთს და რამდენს გაპატიოთ.

— მაშ ამ ბავშვს რომ სცივა, გათბობა არ უნდა?

მივხვდი, უკანასკნელი იმედიღა ვიყავი და ძალით ისე ავძაგძაგდი, ჩემი კბილების რაკა-რუკი სოფლის ბოლოში ისმოდა.

— გაიგეთ, ხალხო, ქვის გული არც მე მაქვს, მაგრამ, რა ვქნა, აბა, გაიხედე, როგორ ქაჩალი კაცის თავივით მოილოპრა ფერდობები... ამოწმებენ, პასუხს მთხოვენ, — იასონას ხმა მოურბილდა, მხარიღლივ გადაკიდებული თოფი შეისწორა და აპეური ისევ ტაბიკს დააბვია. — ღმერთმა აცხონოს, მამაშენისგან ბევრი სიკეთე მახსოვს და იმის ხათრს სად გავექცე...

იასონა ცხენთან მივიდა, უნაგირის კეხზე ჩამოკიდებული ტყავის ჩანთა გახსნა, თხილი ამოიღო და ჯიბეში ჩამიჩხრიალა.

— მადლობა ტყეში დაგრჩა? — მომაყოლა, როცა უსიტყვოდ გამოვბრუნდი და ცხენს ზურგზე მოექცა. შემრცხვა და ძლივს ჩავილუღლუღე, მადლობთ-მეთქი.

— გამოგვიარე, ძია იასონ!

— პირს რო შუშხავს, ის არ გექნება და...

— გვააქვს, მაშა, მტერსაც ნუ ჰქონია.

— აბა, კარგად იყავით! — ფერდზე მოფერებით წაუტყაპუნა ხელისგული და ცხენი ნაბიჯ-ნაბიჯ წავიდა...

— კარგი კაცია იასონი.

— ჰო, უცებ აფეთქდება, დალანძღავს, გათათხავს ყველას, მაგრამ გული კი მართლა კეთილი აქვს...

როგორც იქნა, სახლსაც მივაღწიეთ. შეშა მივალაგეთ, საქონელი დავაბინავეთ, ულელი დერეფანში, კიბესთან მივაყუდეთ და მაშინღა ვიგრძენით შიმშილი.

ოთახში სითბო და ორომზე მიწყობილი, ახლად გამომცხვარი პურის სურნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი დაგვხვდა. ვიდრე გავთბებოდით, დაფაცურდა ბებიაჩემი, ლობიოს ორთქლიანი ჯამები დაგვიდგა, ლექსოსთვის პირს რო „შუშხავს“, ისიც მოიტანა და: აბა, იქეიფეთ, ჩემო მუშებოო...

ის იყო პური კარგად ჩავაბუქბუქეთ, რომ აბლაკიაანთ სონაც შემოკუნკულდა. იმას ზიზილო, ნანო, ამალია შემოჰყვნენ, შემოურიგდნენ ღუმელს.

მოვთპატიჟეთ. უარეს, — შიმშილით არ გვშია. სამასლაათოდ გესტუმრეთო. თავისთვის რაღაცაზე ფხუკუნებენ, სონა უფრო თავშეკავებით, თან სხვებს ტუქსავს, ჩუმათ, თქვე დასაწყვეტებოო.

— თქვენ რაღა იცით!! — თქვა ბებიაჩემმა.

— ვიცით, მა არ ვიცით!

— ვაი, სირცხვილო! — მკერდი ჩაიმჯიღა ზიზილომ.

— მართლა არაფერი გაგიგია? — ეჭვიანად ჩაეკითხა სონა.

— თუ არ მეტყვით, ვერც გავიგებ... თან სიმინდის გამოფხვნაც მიშველეთ, — ღუმელთან ახლოს მიაჩოჩა სავსე ვედრო ბებიამ.

— მოხსნიან ახლა ჭორების გუდას... მე და შენ გაგვიმარჯოს, — გადაჰკრა და სახედაჯღანულმა ლექსომ პირი მომუწა.

— ნეტა როდის გვიჭორავია? — შეიცხადა ნანომ.

— თქვით ახლა, სული ნუ ამოგვხადეთ.

ატყდა ხელების ჯიკავი, არა შენ თქვი, არა შენაო. მე რათა. ჯერ ზიზილომაო, ზიზილო რა წითელი კოჰი ნახეთ, ამალია ყურისძირში ცხოვრობს და ყველაფერი „ტოჩი-ტოჩად“ იცისო, ახლა ამალიამ შეუბღვირა დანარჩენებს, ნანომაც უარი გვტკიცა და...

— ძაღლი სხვამ მოკლა და მე გადავათრიო? — ტუჩის კიდეები ჩაიწმინდა სონამ.

— ჰო, ჰო, შენ კარგი მოყოლა იცი, — კალთა ჩამოქაჩა ნანომ.

— რა ხატზე გადაცემულებივით ლაპარაკობთ! — გამოფხვნილი სიმინდი კალთიდან ჩანახში ჩაუშვა ბებიაჩემმა.

— მე მაშინაც ვთქვი, ამ საქმიდან არაფერი გამოვა-მეთქი, — დაიწყო სონამ. — ი, საათიც რო წაუღია, იმ ჯანდასაწვავსა?

— მარტო საათი? — ყელი კეკლუცად გადააგდო ზიზილომ. — ფულიცა... კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გარედან დაიძახეს.

— ძაღლი ხსენებაზეო, — კარს უკმაყოფილოდ მიაჩერდა სონა.

ოთახში მათიკო შემოვიდა. ეტყობა, ამდენ ხალხს არ ელოდა. შალმოსხმული, საცოდავად მობუზული ჩამოჯდა.

თითქოს მური წაუსვესო, ეგეთი სახეები გაუხდათ ჩვენს სტუმრებს. გეგონებათ მთელი წელი არ გაუცინიათო, მორიგეობით ამოიხვნეშებენ...

— რა დაგემართათ, წელან მხიარულად კაკანებდით? — გაბრაზდა ლექსო.

— ნუ იცი ხოლმე ეგეთი ლაპარაკი, ვინმეს მართალი უნდა ეგონოს, — ნანომ მზერა მათიკოსკენ გააპარა.

— მე მაშინაც ვთქვიი...

— რას ამოიჩემე, ქალო „ვთქვიი, ვთქვიი“, რა თქვი ასეთი! — შეუტია სონას ბებიაჩემმა, — ამათგან ვერაფერი გავიგე. რაო, შვილო, მათიკო, ნიშანი უკან წაიღო?

— ჰო, მომეჭრა თავი! — სახეზე აიფარა ხელები.

— კარგი, დაწყნარდი... თუ ასეთი გოგო ვერ შეიშნოვა, ჯანდაბამდის გზაც ჰქონია.

— მართლაც, მართლაც... ვინც მეტყვის გათხოვებაზე იფიქრეო, არა...

— ნეტა კარს ვინ გიტალახებს ან შენა, ან ზიზილოს და ან ნანოს, — გაეცინა ლექსოს.

— რამდენს ჩვენ მოვწონდით და ახლაც ვუყვარდეთ, იმდენი სიკეთე თქვენცა და მეცა, — გაწიწმატდა ამალია. — მაგრამ არა. არა და არა!..

— ჰო, ჰო, თქვენი უარით გაბრუნებულები ტყეში ეკიდნენ ჩამომხრჩვლები.

— ვინც არ გააბრუნა, აჰა, რა დაიჰირა? მითხარი რა დაიჰირა? — წამოიქოჩრა ნანო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ვითომ ამის ხელის ნაზანად მაინც ღირდა... მე მაშინაც ვთქვი...

ბებიაჩემმა ისე გადაბღვირა, რომ სონა გაისუსა.

ზის თავჩაღუნული მათიკო და მუხლებზე გადაფენილ შალის ბოლოებს ძენძავს. გული დამეწვა ცოდვით...

ე, მთვრალო ყიამყრალა საიდანღა მოეხეტა?

— სოფლის ამომგდებებო, სულ აქ მოგროვილხართ! — გადახედა ქალებს. — დეიდაჩემო, შენთან ბოდიში — ხელი მოხვია ბებიაჩემს.

— ნეტა რა ამოგიგდე? — გაიბუტა სონა.

— შენა? შენა ხარ „გლავნი" ტარტაროზი.

— ტარტაროზი სახლში გიზის.

— ვინა, დედაჩემი?

— დიახ, დედაშენი!

— შენ მაინც სხვა ხარ, ენით საარყე ქვაბს აადუღებ.

— რა დაგემართა, დიდი და პატარა აღარ იცი? — გაუწყრა ბებიაჩემი.

— ამ გოგოს ცოდვა სულ ამათ კისერზეა, — თითი მოატარა ქალებს და გვერდით მოგვიჯდა.

— ხმა ამოიღე, ჩვენგან რა უნდა, მოგიყვანეთ და თოკით დაგიბით კარზე? — მოესივნენ მათიკოს.

— ჰმ! — მწარედ ჩაეცინა მათიკოს, შალი მოისხა და წავიდა.

— სონა, ახლა რომ გადაბრუნდი და უარობ, ეს საქმე შენ არ წამოიწყე?

— მე რა მექნა, ადამიანო, ნახვისთანავე ერთმანეთზე დაფეთდნენ, — წყრომით მიუგდო ბებიაჩემს.

— ბედი მოგადგაო, კაცო, წაესივნენ ესენი, — მოგვიბრუნდა ყიამყრალა. — ბედი კი არა, სახადია, სახადი... გადლეტილია ერთია. დღედალამ ბაზარში გდია, ყიდულობს და იქვე ყიდის... ამათ კიდევა, შეახვედრეს და შეახვედრეს.. ხან სონასთან იჯდა, ხან ამათთან... დააწიალეს საწყალ გოგოს აქეთ-იქით.. კარგი რო ყოფილიყო, ჩემო ლექსო, თვითონ ხელიდან გაუშვებდნენ? ისე გადაკრუხდნენ, შაშფურს შარვალი რომ ჩააცვა, იმასაც გაჰყვებიან, თუკი ითხოვა რომელიმე...

ამის თქმა იყო და, ისეთი ალიაქოთი ატყდა, ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა.. ჩვენ რას მოგვდექიო, ვიზე ნაკლებნი გგონივართო, თვალი მათიკოსაც გამოსჭყლეტია და იმ არგასახარებელსაცაო...

დავავლე ქუდს ხელი და გარეთ გავვარდი.

●

გული ბოლმით მაქვს სავსე. მათიკო რომ განიცდის იმიტომ, თორემ, სხვებს თავში ქვა უხლიათ. მერე როგორი ლამაზი და კეთილია. იპოვეს ობოლი და დაჩაგრეს. — ამის გაფიქრებამ სულ ცეცხლი წამიკიდა. ტარტაროზი სონა... ამოვიდა ერთ დღეს და ეუბნება ბებიაჩემს:

— რა უნდა გითხრა, ქალო, ვიცი, გაგიხარდებაო,

— თქვი, აბა გამახარეო.

— როგორც იქნა, საქმე გაიჩარხა, დღეს ჩემი კაკოს ამხანაგი ამოვიდა, მათიკოს საათი მოართვა, თავის სამაჯურითა, კიდევ — საკაბე, თავშალი, — თან თითებზე ითვლიდა, რამე არ გამომრჩესო — სახლის ფლოსტები, ჭრელები და ლამაზები...

— მეტი არაფერიო?

— მეტი რა გინდა, ქაა, საათი მოართვა. — გაჰკვირდა სონა. — თანაც ისეთი კი არა წირპლიაანთ რძალს რო აქვს...

აჰა, ეგეც შენი საათი, — საათიც წაუღია, სხვა რამეებიც გაუყოლებია და გადაკარგულა.

მთელი. ამალია-ბამალიები მათიკოს ერთ სიმღერად არ ღირან...

მათიკო თვალებდაწითლებული დამხვდა, ეტყობა, იტირა. ვიცი, მეც ეგრე მაქვს ხოლმე ტირილის შემდეგ. არც ის ამბობს რამეს და არც მე. ამოიოხრა და ამოვიოხრე.

ვანო ჩხიკვაძე
მოთხრობები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შენ რაღა დაგემართა! — საწყლად გამიცინა.

— რა ვიცი... შეშა თუ არა გაქვს, ჩვენ ჩამოვიტანეთ და...

— შეშა კი მაქვს, ზურიკო...

— იასონა შემოგვხვდა. ისეთი დღე გვაყარა... მაინც კარგი კაცია, უცებ აფეთქდება, გაგლანძღავს, გული კი კეთილი აქვს, — გავიმეორე ლექსოს ნათქვამი.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

ორივე ფანჯარას შევყურებთ. ბინდდება, ისევ წვრილად ცრის. ღობესთან, ჩამოშავებული კაკლის ძირში საცოდავად ატუზულა ბოჩოლა.

— მათიკო, აღარ იმღერებ? — შევხედე ლურსმანზე ჩამოკიდებულ გიტარას. — შენნაირად რადიოშიც კი არ მღერიან.

— რა ვიცი, ალბათ ვიმღერებ.

— როცა გაგივლის?

— ჰო, როცა გამივლის.

— ოღონდ ნუ იტირებ და, როცა გავიზრდები უკეთეს საათს გიყიდი.

— მართლა მიყიდი? — ისევ გაეღიმა და მკერდზე მიმიხუტა.

— დედას გეფიცები, ბებიას გეფიცები...

— კარგი, მაშინ აღარ ვიტირებ...

— საათსაც გიყიდი, ბეჭედსაც და საერთოდ... მე შეგირთავ...

— არ მომატყუებ? — ერთმანეთში აერია სიცილ-ტირილი. — საერთოდ, არავის მოატყუებ? — იმეორებს ერთი და იგივეს და კისერში ცხელი, ცხელი ცრემლი ჩამდის...

მოპირდაპირე კედელზე, ფარდაგზე ამოქარგულ ირემს თავი ჩვენკენ მოუბრუნებია და ნაღვლიანად გვიყურებს.

— გაჩერდი, თორემ სადაცაა ირემიც ატირდება.

— ეგ ირემი დედაჩემმა ამოქარგა... — მოიწმინდა ცრემლი. — როცა ძალიან მომენატრება ხოლმე, ირემს ვუმღერი და, ასე მგონია, დედაჩემი მისმენს, — გიტარას მისწვდა.

— ახლაც გენატრება?

— როცა ძალიან გიჭირს, შეიძლება დედა არ მოგენატროს?...

თანდათან ჩამობნელდა. ძლივსღა ვხედავდი გაწუწულ ბოჩოლას, რომელიც თავისი სიმარტოვით თუ საბრალო გამოხედვით ძალიან ჰგავდა სასაფლაოზე მობუზულ კოლას ცოლს, ნარზე შემომჯდარ ბეღურას და მათიკოს...

მათიკო აღარ ტიროდა. მხარზე ჩამოშლილი თმა ცეცხლის შუქზე შავად უბზინავდა. სიმები კვნესოდნენ და მომეჩვენა რომ თვალსევდიან ირემს ცრემლი ჩამოუგორდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ანზორ აბულაშვილი

ანზორ აბულაშვილს 50 წელი შეუსრულდა, „ცისკრის“ რედაქცია, მრავალათასიან მკითხველთან ერთად გულითადად ულოცავს პოეტს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

## მარადიული შუქურა

მარადის — ასჯერ ათას წლებს
ქედმოუხრელი ვივლი მე,
მყავს წინაპრად და ძმად და მწედ
და უქრობ ლამპრად — ტარიელ,
ფრიდონ და ავთანდილი მე.

ავ ტაროსს თუ სცვლის ავდარი
და ქირხლს თუ ჰფარავს თრთვილივე,
ვგრძნობ, — ცისქვეშ ვერსად
გამთბარი,
რა დაღვრემით მჭვრეტს — ტარიელ,
ფრიდონ და ავთანდილი მე.

თითქოს ძნელია მათთვისაც
და იქვე რა ადვილივე
გარდმოსვლა ციურ ხატიდან,
რომ წინ გამიძღვეს — ტარიელ,
ფრიდონ და ავთანდილი მე.

როგორ ცხადია ყოველი,
ნამდვილზე რა ნამდვილივე:
სხივის ღვთისდარის მთოველი
მყავს, მეყოლება — ტარიელ,
ფრიდონ და ავთანდილი მე.

●

ხარ სხივი ნორჩი
ხამი დღის მთვარის,
ჯერეთ რამ ზაკვის ხელარნახლები,
განგებას სურს და ვაი რომ მაინც
მორჩილად კარზე ვერ გეახლები.

ვაი რომ, შავი ვარსკვლავთა გუნდის
სხივთ იდუმალი მამცნობს ბარათი:
ჯერ სიყვარული მომაგო უნდა
და მერე უნდა მომკლა ღალატით.

ვაი რომ, ნისლი ვარსკვლავთა მიწვდის
შენს ცოდვას — შავად მღიმარ
განაჩენს..
მაგრამ მოვნახავ მე სხვაგვარ
სიკვდილს,
განგების ნებას იქნებ გადარჩე.

შარბათის ნაცვლად სამსალას
შევსვამ,
დე, ღამემ დანთქას ნათლის სვეტები.
არას დავეძებ მე სიკვდილს ჩემსას,
მე შენ ცოდვისთვის არ მემეტები.

## სოფლის სასაფლაოზე

ასე ღარიბულ და ტლუ
სოფლის სასაფლაოზეც
რამდენი ცეცხლი.
სინაზე თუ ჭკუა მარხია,
დღეს რომ ხსოვნაშიც
მკრთალ ციაგსაც ველარ გამოსცემს.
ვაგლახ,
უკვალოდ ქრობის მეტი რა მინახია

გაერა სიცოცხლე —
მიჩვეული ტკივილის თმენას.
ბეჩავს
თანდათან გაუხუნდა ყველა ზღაპარი,
უსიხარულოდ გაეცალა
მიწიერ გვემას,
ბევრის ვერ შემძლე,
ღარიბი და მიუსაფარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქნებ უშვილო,
უპატრონო, დაუტირალი,
დაფლული ასე —
რამ ჯვრისა თუ ნიშნის გარეშე.
ამ მკვდრულ სიჩუმეს
ახმიანებს დეკემბრის ქარი,
დეკემბრის სუსხი —
ჭოსისინე და მოთარეშე...

და მხოლოდ ერთსლა,
დიდს ვერაფერს—ვჩურჩულებ იმედს,
იგი იმედი
ხმელს ვერ შეიქმს თუმცალა ნედლად
მაინც ეს ლექსი,
გარდასულნო, ასე მცირედი,
ამიერიდან გულზე გედგათ
მწუხარე ძეგლად.

## ალაზანთან

მიდიხარ ასე და ერთი გზით მიედინები,
სუყველაფერზე გულაყრილი
თუ მინდობილი?
ნუთუ აქამდე არ მოგსვლია გული მცირედზეც?
რად ერთხელ მაინც არ შებრუნდი
და არ მიუხველ
მშობლის უთბილეს კალთის სიგრილეს?
რად ერთხელ მაინც
ტალღა ტალღას არ მიახეთქე
და არ შეიკარ კოპები მწყრალად,
თუნდაც იმიტომ, რომ ცოცხალი ხარ
და არ უთხარი უარი რისხვით —
შენს მოსაწყენ გზას,
დამამცირებელ საუკუნო ერთფეროვნებას?
განა რა არის იმისთანა, —
ვერ შელევიხარ,
ბოლოს და ბოლოს,
სიყვარული ხუნდება ხოლმე...
ეგეც არ იყოს,
უმთავრესი მაინც ის არის:
ათას წელიწადს ნეტარების გზითაც რომ ვლიდე,
უნდა დააგდო,
რაკი ხავსი მასზეც ამოდის.
ხოლო შენ ათას საუკუნეს მიითვლი ალბათ —
მიდიხარ ისე,
თითქოს მართლა წინ მიდიოდე,
თითქოსდა ემაგ შენი უბიდან
ბაყაყის ხმაც არვის გაეგოს,
თითქოს ცადწასულ
ჩვენი მთების ნაჟურის გარდა —
არა გკვებავდეს ამირანის სისხლი და ცრემლი...
...შენ უკვდავებას უნდა ესწრაფვო
და არა ცისქვეშ მარადისად ცოცხლად დარჩენას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სტუმარი

ჩემთვის არ მსურხარ,
ამ ლექსისთვის გიხმობ და გიცდი —
შენ სიხარულო,
ვერცხლისწყალო,
თუნდაც მცირედო,
შემომასხურე, მწველი შხეფი,
მაგ მზისფერ ზვირთის,
შემომიშუქდი ერთი წამით სულში
— იმედო.

გავძელ უშენოდ,
არაფერი მიჭირს, ღმერთმანი,
მიჩვეული ვარ,
ძლივსღა მახსოვს შენი იერი,
მაგრამ მე ახლა სტუმარი მყავს —
ლექსი — ფერმკრთალი,
ასე ცბიერი,
ცისიერი და ნებიერი.

შეცბუნებული მიმზერს იგი,
არაფერს მკითხავს,
ხვდება, არ მიდგა
შენი შუქით სავსე კალათა.
მო, იქნებ, ერთი
სხივჩამდგარი ამომცდეს სიტყვა,
რაა ღიმილი,
სულმა თუ არ ამოანათა.

მო, სიხარულო,
წამით მზერა შემომაშუქე,
მაგრამ კარს მიმტვრევს
გაყინული შენი უარი...
მო, სიხარულო...
მაგრამ იგიც წამოდგა უკვე
და ნაღვლიანი მზერით მტოვებს
ჩემი სტუმარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ჭანტურია

# მოთხრობები

## ვიღაც მოკვდა

საღამო სოფელში. სისხლისფერი მზე სოფლის ბოლოს იკარგება. ჭაობის სუნი და ნესტი. ჩემი საშინელი მტერი — ნესტი. ვარ ჩემთვის ჰამაკში და ვფიქრობ. ჰამაკში ვწევარ, ვირწევი და ვფიქრობ. ძილი თავს მართმევს, მაგრამ მაინც ვფიქრობ. ყველაფერი მავიწყდება. ფოთლების ნაზი შრიალი მაგონებს, რომ ამქვეყნად ვარსებობ. ფოთლები რომ არ ჩურჩულებდნენ, ალბათ ვერც სიჩუმეს შევიგრძნობდი, მაგრამ ფოთლები ჩუმად ესაუბრებიან ერთურთს და ეს ძალიან მსიამოვნებს.

ვფიქრობ ყველაფერზე — ესე იგი, არაფერზე. არავინ მხედავს და მეშინია. მსიამოვნებს და მეშინია.

ვიღაცამ ნაზად ხელი დამადო, მწოლიარემ თავი მოვატრიალე. მერი იყო. ჩემს თვალებს ვერ ვხედავ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მოსიყვარულე თვალებით შევცქერი, თაფლი... რატომღაც თაფლი მახსენდება.

— რა იყო, მერი?

— გადავალ მეზობელთან. ბავშვი გამოაგზავნა, — ცუდად არის.

— რომელი?

— რომელი მეზობელი?

— ჰო!

— დათა!

— კი მაგრამ, რა მოუვიდა?

— დღეს დილით სანადიროდ იყო და ხევში ჩაიჩეხა, ექიმმა თქვა, მოკვდებაო...

— რას მეკითხები, მერი, გადადი.

ჭიშკართან მისულს, ჩემი ხმა დაეწია, კი, მალე გადმოვალო, და ნაბიჯს აუჩქარა.

ჰამაკში მწოლიარემ სიგარეტი ამოვიღე, ძალიან ნელა და ფრთხილად მოვუკიდე. ქარი ქროდა, მაგრამ ალი არ ჩაუქრია. შემდეგ რგოლები გამოვუშვი, რამდენიმე, ერთი-ორი, ვერ გავაძვრინე, ქარია.

აცივდა. სოფლის ბოლოში ჩამწყვდეული მზე თითქმის აღარ მოჩანს. ქარმა კიდევ უფრო დაუბერა. თან მცივა, თან მსიამოვნებს. უფრო, მსიამოვნებს...

მაინც ჰამაკში ჩავტოვე მუთაქა, თავად ოთახში შევედი, ლოგინზე დავწექი, თვალები მტკივა, მაგრამ არ შემიძლია წიგნის გარეშე. გაფაციცებით ვკითხულობ...

როგორ შეიძლება თავმა სხეულის გარეშე იცოცხლოს? თუმც ფანტასტიკაა!..

ჭრიალი შემესმა, თავი წამოვწიე და სუნთქვა შევიკარი... არა, არავინ არის. მომჩვენებია. უაზროდ ვიყურები, ნიკაპი ხელისგულში მაქვს ჩაფლული. შემდეგ კითხვას ვაგრძელებ.

სადღაც ბაყაყი ყიყინებს. ვკითხულობ, ის კი ყიყინებს. შემეშინდა. ჩემი შიში მომწონს და ვნეტარებ. ბაყაყებს ჭრიჭინებმაც აუბეს მხარი. საწყალი პროფესორი, როგორი ამბავია უთავოდ სიცოცხლე. ვაზროვნებ, ესე იგი, ვარსებობ. აი, თუ არსებობ! არა, არ არის სწორი, არსებობა სულ სხვა რამაა. მხრებზე სიცივე მაზის. ეს ჩემი სიცივეა, შინაგანი, თორემ ოთახში არ ცივა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროფესორის თავმა კიდევ რაღაც უნდა თქვას, მაგრამ კივილი აწყვეტინებს. მეზობლის სახლიდან კივილი მოისმის. სიცივე უკვე ყელშიც მიჭერს. ვიმშუშნები. საზარელია კივილი. მეშინია. სასოწარკვეთილი კივილი უკვე მამცნობს, რომ მეზობელი მოკვდა. მეზობელი, რომელსაც მხოლოდ სახით ვიცნობდი. დათა მოკვდა (სმერდიაკოვი, მართლა იყო თუ არა, ნეტავ, კარამაზოვების ძმა, — გამიელვა რატომღაც).

კარი გაიღო. შევხტი. საწოლიდან წამომდგარი კედელს ვეკვრი და აკანკალებული კარს მივჩერებივარ.

— საცოდავი, გარდაიცვალა, — ამბობს მერი და ცარიელ საწოლს შესცქერის. გამოდი, სადა ხარ! ნაძალადევი სითამამით ამბობს. არადა, ვატყობ. ეშინია.

— მასაც ეშინია. ეს აღმოჩენა საოცრად მახარებს. შემდეგ შებრუნდა და უკვე ცრემლიანი თვალებით (ალბათ ცრემლიანით!) მეხვეწება, რომ გამოვიდე. მე კი იქვე ვარ, მის ზურგს უკან. გამოვდივარ სიბნელიდან და მხრებზე ხელს ვხვევ.

შეკრთა. მე დავიხარე და ყელზე ვაკოცე. ტირილი დაიწყო.

— შემეშინდა, ძვირფასო, — მითხრა.

— რატომ? რისი?

მერი მხრებს იჩეჩავს და ცრემლიანი სახით მიღიმის. მე კოცნით ვუშრობ ცრემლს და კიდევ უფრო ვეკრობი. ისიც მეკრობა...

— მშია, — საწყალი ბავშვივით ვამბობ.

მერი ოთახიდან გადის და სამზარეულოდან ტაფაზე კვერცხის შიშხინი მესმის.

მე კვლავ წიგნს ვუჯდები (უფრო სწორად, ვუწვები). აღარც სიცივეს ვგრძნობ მხრებზე და აღარც მეშინია. საწყალი დათა. ისედაც არ მიყვარს ნადირობა და... შემდეგ ერბო-კვერცხს გულიანად შევექცევით.

# ჯადოქარი

არ მეგონა. თუ ჩემს გარდა, სხვასაც შეეძლო ამ პატარა ქალაქში ამის გაკეთება. პატარა, ძალზე სუფთა, მაგრამ წვიმიან ქალაქში. ლონდონში არ ვყოფილვარ, მაგრამ რატომღაც ლონდონის ქუჩებს მაგონებს... „ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად გავხარ ზღვას".

პატარა ქალაქში ძაღლივით ერთგული პატარა გოგო, არაფრის დიდებით გვერდიდან არ მცილდებოდა. პატარა ძაღლივით პატარა გოგო. თვრამეტისა ვარო. არადა, ერთი წელი მაინც ექნებოდა წამატებული. თავის დროზე ცოლი რომ მომეყვანა, ახლა ამხელა ქალიშვილი მეყოლებოდა.

საიდან მივხვდი, რომ სხვასაც შეეძლო ამის გაკეთება? ჩვენ. ჯერ ერთი. ცოტანი ვართ დარჩენილნი, „მეცნიერების და ტექნიკური პროგრესის საუკუნეში" და ვინცა ვართ — ჩუმად ვართ. მეორეც. ამ პატარა ქალაქში საგანგებოდ ჩამოვედი, რომ მშვიდად ვყოფილიყავი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღესაც ის არ მოვიდა...

არა, სვედენბორგი არა. დიდი ხანია მასთან ყოველგვარი ურთიერთობა გავწყვიტე. ეს ბოლო ნახევარი წელიწადი მხოლოდ მარკიზა დე პომპადურს ვნვდებოდი და მასთან მქონდა საუბრები. დილის შვიდია ნახევრიდან რვის ნახევრამდე ველოდით ერთმანეთს. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე ჩვენგანს დაეგვიანოს და აი, იმ დღეს... იმ დღეს საერთოდ არ მოვიდა. დიდხანს ვიჯექი გაშეშებული უაზროდ და უგონოდ. მას არ შეეძლო ეს გაეკეთებინა, რადგან საერთოდ **მათ არ შეუძლიათ ამის გაკეთება.**

მხოლოდ მაშინ, როდესაც წვიმამ იწყო ჩემი ფანჯრის რაფაზე დაპურჭყება,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ის სხვას ჰყავდა გამოძახებული და ის სხვა ამ ქალაქში სახლობდა.

იმდენად თავზარდამცემი იყო ჩემთვის ეს აღმოჩენა, რომ... იმდენად თავზარდამცემი იყო... თან წვიმა მოდიოდა, მომაბეზრებელი, გაუთავებელი და სრულებით არარომანტიკული წვიმა (და საერთოდ, არსებობს ეს „რომანტიკული წვიმა?“) მაშ, ასე, — მარკიზა არ მოდიოდა და გარეთ წვიმდა. ის არც მეორე დღეს გამოჩენილა. აღარ წვიმდა და ვეება მზეც სულელივით იკრიჭებოდა. ახლა კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ ის, ჩემნაირი, ამ ქალაქში იყო, — იყო და მოქმედებდა. ეს გარკვეულ საფრთხეს მიქმნიდა, საერთოდ, ჩვენ თითქმის ყველანი ვიცნობთ და ხელს არ ვუშლით ერთმანეთს... ეს კი უცნობია ვიღაც. უცნობი და საშიში. აი, უკვე მარკიზა წამართვა.

პატარა გოგო ექვს საათზე დამხვდა პარკში. არც წვიმდა და არც მზე იყო. შემატყო, რომ უხასიათოდ ვიყავი, მაგრამ ეყო ზრდილობა და შეკითხვებით არ შემაწუხა. შემდეგ თითო ფინჯანი მაგარი ყავა დავლიეთ. ყავამ კონიაკი მომანდომა და დიდხანს არ გვიფიქრია.

რესტორანში არ იყო ბევრი ხალხი. ბევრი ხალხი ერთი-ორი სათის შემდეგ იქნებოდა. არც ორკესტრი უკრავდა ჯერ... მადლობა ღმერთს! დავსხედით და რატომღაც არ გვალოდინეს. „ორასი გრამი კონიაკი და ერთი ბოთლი შამპანური“, „საჭმელი?“ „არა, მერე ვნახოთ“. „კარგით“. „რამხელა თავი აქვს, არა?“ „ოფიციანტს?“, „ჰო, აბა, ვის“. „რა ვიცი“, არც ისე...“. „შენცა ხარ, რა. აი, რომ მოვა, კარგად დააკვირდი“. „კარგად დავაკვირდები, ისე, შენხელა ქალიშვილი უნდა მყავდეს...“ „რატომ მეუბნები მაგას?“, „ისე, ისე. რა“.

შემდეგ მოიტანეს სასმელი. ჩემდაუნებურად დავაკვირდი — თავი მართლაც დიდი ჰქონდა. „დარწმუნდი?“ „კი, დავრწმუნდი“. „კიდევ კარგი ბი-ძი-ა!“ გამეღიმა. „აი, ასე, ახლა კარგი ხარ“. არ მინდოდა, მაგრამ ჩემდა უნებურად მთლად ყურებამდე ავიხლიჩე ტუჩები. სულ უფრო გადაირია ამაზე, გადმოიხარა და ლოყაზე მაკოცა, მიყვარხარო.

რაღაცა ჩავიბურტყუნე, მეც არ გამიგია, რა. ვერც იმან გაიგო, მაგრამ კარგი, კარგიო. შემდეგ კვლავ ცუდ ხასიათზე დავდექი. ორკესტრმაც დაიწყო დაკვრა და სულ მთლად გამიფუჭდა გუნება. გოგონასაც გადაედო. წრუპავდა შამპანურს და ქვევიდან მიყურებდა. ქვევიდან მიყურებდა და ხმას არ იღებდა. ნახევარი ბოთლი შამპანური რომ დაცალა და მე რომ წვეთი კონიაკი აღარ დამრჩა, მხოლოდ მაშინ ამოვიღე ხმა: „ოფიციანტ, კონიაკი!“ ვიყვირე, მერე ისევ გავჩუმდი.

წინა მაგიდასთან ვიღაცები ისხდნენ. მაგიდის ქვეშ საკმაოდ ლამაზი ფეხები მოჩანდა. რა თქმა უნდა, ქალის ფეხები. ფეხი ფეხზე, ცალი ქოში გახდილი, შემოდებულ ფეხს ოდნავ აქანავებდა. სახეზე, რომ შევხედე — იცინოდა. ლამაზი ქალი იყო. შემდეგ პატარა გოგოს შევხედე. ისიც ლამაზი იყო, მაგრამ პატარა. „ერთი-ორი წელი ალბათ წამატებულიც აქვს“, — გავიფიქრე და კიდევ უფრო მოვიღუშე.

მარკიზა დე პომპადური! ჰქონდა საფრანგეთის მეფეს გემოვნება. და ლამაზ, მაგრამ პატარა გოგონას შევხედე კვლავ (წინა მაგიდასთან იმ ქალს მეორე ქოშიც გაეძრო, ოღონდ ფეხს აღარ აქანავებდა). მარკიზამ იმ პერიოდის ისტორიის ბევრი საიდუმლოებით მოცული ამბავი მიამბო და, საერთოდ, მაგარი ქალი იყო (რა სევდიანი სიტყვაა არა — **იყო?**) ვინ, ნეტავ ვინ წამართვა მისი თავი? ვინ შეცვლის ახლა მას? ბუდა, იგნაციო ლოიოლა თუ სერვანტესი?

რაღაც დავინახე და ცივმა ოფლმა დამასხა. პატარა გოგო შამპანურს რომ სვამდა, ის შამპანური „პომპადური“ იყო. ვეცი ბოთლს, ეტიკეტს ჩავაშტერდი, კი, კი, ნამდვილად „პომპადური“ იყო (არც კი გამეგონა ადრე, თუ ასეთი შამპანური არსებობდა).

— უნგრულია თუ რუმინული, — მითხრა პატარა გოგომ. ახლა კი თავი ვერ შევიკავე და დავუღრიალე; არ გა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანებებ თავს, რა გინდა-მეთქი, თუ რაღაც ამის მსგავსი.

შევცბი. გამოვერკვიე. მთელი რესტორანი მე შემომყურებდა. ის ლამაზფეხება ქალიც.

პატარა გოგონას თვალებში ცრემლი დავუნახე ჩაგუბებული — ნაცემი ძაღლივით შემომყურებდა. **ნუ ნერვიულობ, ხვალ დილიდან კვლავ ივლის შენთან მარკიზა დე პომპადური!** ადგა და გავიდა. ამის მეტი არაფერი უთქვამს ჩემთვის. დიდხანს ვიჯექი რესტორანში გაოცებული. ფული როგორ გადავიხადე და გამოვედი არ მახსოვს.

ამის შემდეგ პატარა გოგონა აღარ მინახავს. ეს იყო და ეს.

# იგი მოდის

თბილისი. ბინდდება. საიდანღაც ქრის ქარი. სადღაც მიდის. შემოდგომა არ არის, მაგრამ ხეებს ფოთლები მაინც სცვივა, ხეებს სცვივა ფოთლები. ფოთლები სცვივა და გაზინტლულ ქვაფენილს ფარავს. გვერდით ქუჩიდან მარტოხელა მოტორის ხმა ისმის.

მას ცხვირწვეტიანი ფეხსაცმელი აცვია. ძველმოდური. შავი. შარვლის ტოტები აკეცილი აქვს ÷ ასეა საჭირო. გრძელი ფეხები. გრძელ ფეხებზე შემოტმასნილი შარვალი უხდება, ფეხების ლაზათს უჩენს. უბე გამობერილი — **ესე იგი, მამაკაცია.** სვიტერი შარვალში აქვს ჩატანიებული. სვიტერზე ირმები დახტიან. ცოტა ზემოთ ქუდიანი მონადირეც გამოჩნდა. კარგი სვიტერია, ლამაზი.

გაუპარსავი ნიკაპი. შავი წინწკლები სულ უფრო და უფრო იწევენ ზევით, მათაც სურთ სუფთა ჰაერი და თავისუფლება. უფრო ზევით ცხვირის ნესტოები და დეფორმირებული ცხვირია, ჩავარდნილი და შეშუპებული თვალები, ნაღვლიანი, ბევრის მნახველი, ბრძნული თვალები...

პაკ-პუკ, პაკ-პუკ. სიჩუმეს არღვევს. მელოდიურად არღვევს სიჩუმეს. ნერვული თითები აქვს —ცოცხალი ხელები... და მას, საერთოდ, სკამთან უცდიან.

უცდის მაღალი, წელში მოხრილი, თმაგაცვენილი, უფრო ხნიერი და უფრო ბრძენი. მისი გაჭირვება არაფერია მოხუცის გაჭირვებასთან შედარებით. მართალია, ცხოვრების მანძილზე კეთილი დღეებიც ახსოვს, მაგრამ უფრო მეტი ცრემლი იყო. მაინც გაძლო, ძლიერი მოხუცია. ნატიფ, ზრდილ, განათლებულ და არცთუ ისე სუსტ მოხუცს ველური ძალა ხშირად ტეხდა წელში, ასე იყო მთელი სიცოცხლე. ახლა ოდნავ არის მოხრილი, მაგრამ თავი მაინც უჭირავს. რაღაცის და ვიღაცის იმედი აქვს. ის იმედი კი მისკენ მოიჩქარის. მოხუცს უყვარს თავისი იმედი. იცის და უყვარს. იცის, რომ მისთვის ბევრს ეწამა იმედი, ბევრი გადაიტანა. ესეც რომ არ ყოფილიყო მაინც ეყვარებოდა, აკი იმედია...

მისი „იმედი" კი მორიგ გზაჯვარედინზე დგას და აქეთ-იქით იხედება, კი, მგონი, აქეთ უნდა წავიდეს.

რამდენი ხანია აქ არ ყოფილა. შეცვლილია და არც არის შეცვლილი აქაურობა. აბსოლუტურად არ არიან შეცვლილნი მხოლოდ პატარა ბიჭები ისევ ისე დარბიან, ამსხვრევენ მინებს, ჩხუბობენ, სასწავლებელში არ დადიან, თამაშობენ... იგივეა დედებისა და ბებიების ყვირილიც, მეეზოვის ჩახრინწული ხმაც და ქუჩის ბოლოში მდგარი წესრიგის დამცველის სახეც.

აბსოლუტურად იგივეა.

თავდაჯერებული კრეტინიც ნაცნობია. დატენილი პორთფელით და ცარიელი თავით სადღაც მიიჩქარის. უკვე გაყიდა ყველაფერი, რისი გაყიდვაც კი შეიძლებოდა. მხოლოდ ერთხელ შეავ-

**გიორგი ჭანტურია ·**
მოთხრობები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლო თვალი გრძელფეხებიანს და გზა გააგრძელა. გრძელფეხებიანი, მართალია, სწრაფად დადის (მას ხომ სკამთან ელოდებიან), მაგრამ მაინც ყველაფრის შემჩნევას ახერხებს, ყველაფერს აკვირდება. ამდენი წლის შემდეგ ხომ პირველად არის ამ ქალაქში, თავის ქალაქში...

ბევრი არაფერი შეცვლილა, სახლები გადაუღებავთ მხოლოდ და... შეამცივნა. იქ ხომ უფრო ციოდა, მაგრამ შეეჩვია. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა. ვერ შეეჩვია დინოზავრი და, ა, ბატონო!... ის კი არა, უნდა ეცოცხლა, აუცილებლად უნდა გადარჩენილიყო და შეეჩვია.

ძალიან დიდხანს, დიდი ხნის განმავლობაში ელოდებოდა ბერიკაცი მას და რა უფლებით უნდა მომკვდარიყო იქ, სიცივეში, ყინვაში...

ზედამხედველთა ამინდივით ცივი სახეები და ჩაყინული თვალები, თოფზე წამოცმული ლაპლაპა ხიშტი, ულაპარაკოდ რომ იცის საქმის გაკეთება... არა, მაინც უნდა გაეძლო, საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა.

მოქეიფენიც იგივენი დარჩენილან. სიმღერ-სიმღერით მიაპობენ ქუჩას და ერთმანეთს ტუჩებით ეწებებიან. მასაც უყვარს ქეიფი, მაგრამ მხოლოდ საქმის შემდეგ. ჯერ არა აქვს უფლება...

პატარა რომ იყო — ფეხი მოიტეხა. მშობლები შიშობდნენ, მაგრამ არ დაკოჭლდა. იქაც მოიტეხა ფეხი. იგივე ფეხი, არ შიშობდნენ, მაგრამ მაინც არ დაკოჭლდა.

...რატომღაც წაიქცა. არაფრისთვის არ წამოუდია ფეხი, მაგრამ მაინც წაიქცა. ვიღაცის ბოროტ თვალებს ხედავს, ეს აფხიზლებს და სასწრაფოდ წამოდგომას იწყებს. არა, რა ჯანდაბამ წააქცია?!

აგერ პარკიც! კი, ამ პარკში ელოდება მოხუცი. რკინის გალავანი არტყია პარკს. ისეთი მაღალია, რომ ჩიტებსაც კი უჭირთ გადაფრენა. პარკში ერთი შესასვლელია. გაურკვეველი ფერის დიდი, ვებერთელა კარები, კარგად აკვირდება და რაღაცას არჩევს — ადრე, ეტყობა, თეთრი ყოფილა, შემდეგ მრავალფეროვნებისთვის სისხლისფრად გადაუღებავთ.

მოხუცი კი დგას სკამთან და ელოდება. თან შიშობს — ხომ შეიძლება, არ შემოუშვან. არა, მოხერხებულია, უსათუოდ შემოვა. კი, კი, უნდა შემოვიდეს...

მუხლებმა უღალატეს, არც მკლავები მოექცნენ პატიოსნად, სუსტად არიან, ყოველი ორგანო ცალკე, თავისთვის ლპება, ეგ რომ არა, გადაახტებოდა ამ გალავანს და გარეთ დახვდებოდა მას, იმედს, სიხარულს, სიყვარულს, პირმშოს, ერთადერთს და შეუცვლელს.

...ახლა კი უნდა იდგეს აქ და ელოდოს. პასიურად უნდა იყოს, მაგრამ მაინც ხომ არის, ხომ არსებობს. ისიც ხომ იცის, რომ არის და რომ არის, დარწმუნებულია ამაში. სჯერა, რომ სულ ცოტა ხანიც, სულ მოკლე დროც და, მას ნახავს, გულში ჩაიკრავს, მამაშვილურ ცრემლში განბანს და ეტყვის:

— სად იყავ, შვილო, აქამდე?

არა, ასე არ ეტყვის, ეს საყვედურივით გამოვა. მოვიდეს და ამას როგორ ეტყვის. აბა, როგორ... რა, რა უნდა უთხრას?

— შვილო... ჩემო ბიჭო, როგორა ხარ...

არა, არც ეს ივარგებს, რაღაც არ არის შესაფერისი. რა უნდა თქვას, ან კი უნდა თქვას საერთოდ რამე? ხომ იცის, რომ ტირილი აუვარდება, ზლუქუნს ატეხს ამხელა კაცი. ამდენი გაძლო, ამდენი მოითმინა. ამდენ ხანს ელოდა, მაგრამ მის დანახვაზე უკვე ველარ შეძლებს თავის შეკავებას და ტირილს დაიწყებს. მერე ტირილი მასაც გადაედება, ტირილი ხომ გადამდებია...

არა, ზუსტად მაინც არ იცის, როგორ შეხვდება და ან კი რა მნიშვნელობა აქვს როგორც შეხვდება. მთავარია, რომ შეხვდება, რომ მოვა და შეხვდება, აი, ეს არის მთავარი. ხოლო, რომ მოვა და შეხვდება, ბერიკაცს ამაში ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შუკო ჯიქია

### წიგნიდან — „ლანდები და ისინი“

დამნახველებმა დაიძახეს
მოდისო, და გამგონებლებმა
მოიხედეს, დაიჯერეს და შეუდგნენ
წრის გახსნას, და იმის
გამოჩენას, რასაც შემოხვეოდნენ.

დიდი სიმაღლიდან
დანარცხებულის გროვას, წესია,
გადაეფაროს რამე სახელდახელოდ,
რომელიც, როგორც ამჯერად,
სასურველია იყოს თეთრი ფერის.

და მნიშვნელობა აქვს აგრეთვე
იმასაც, რომ გადაფარებას ყველა
შეამჩნევს თუ, არავინ შეამჩნევს,
რადგან, უმჯობესია იქმნებოდეს
შთაბეჭდილება, რომ ის, იმთავითვე,
ზევიდანვე მომდევარია მისი
და გროვაზე თავისით
გადაფარებული.

ეგ საერთოდ, ხოლო
რაც შეეხება ამ შემთხვევას, ასე
განვითარდა: მოვიდა რამდენიმე
კაცის თანხლებით, შემდეგ დაიხარა,
საფარველი ასწია ოდნავ, შეიჭვრიტა,
გაკრთა და იწყო წამომართვა.
გაზრდისნაირად, რის შემდეგაც
უკუდგა,
და უკუდგა ისე, როგორც უცაბედად
ზურგიდან ვინმეს მიერ დაქაჩული.

●

ჯერ სიარულს უკლო
და სხვებს საკმაოდ
ჩამორჩა, შემდეგ შედგა.
დაიხარა და მინდორს
ყვავილიააწყვიტა
და ხელი შემოაფარა ისე,
ვით სანთელს ქარში,
და ასე მიიტანა ცხვირთან
და სურნელი შეიყნოსა,
და სახე გადაებადრა,
და თვალები ცისკენ აღავლინა,
და ხმა გამოსცა — ფჰააა...

და შემდეგ რატომღაც
ერთბაშად მოიწყინა,
და თავი ძირს ჩაჰკიდა
და ამოიხვნეშა... თან
დაიძრა, მიდის,
და მიმავალმა ყვავილი
ერთხანს წინაუკმო
ატრიალა, აწვალა,
და ამითი მას ჯერ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფურცლები ჭანუბნია,
ღერო გადაუსრისა,
თავი ჩამოუგდო
და შემდეგ მოისროლა,
და გამოერკვა, ფეხს აუჩქარა
და დანარჩენებს მალე წამოეწია.

●

მოაცილებენ,
და მოვლენ, მოიჩქარიან,
და ცდილობენ მიეტმასნონ,
ახლოს იარონ მასთან,
უთხრან რაიმე, ურჩიონ,
დაარიგონ, მიასწავლონ,
სიტყვა დააბარონ... იგი
ყველას თავს უქნევს, ეთანხმება,
ჰპირდება, აღუთქვამს.

და გამცილებლები შეჩერდნენ,
და ეგონათ გადავცდითო, —
დაიხიეს; ამასობაში
იგი მათ გამოსცდა
და დაგვინახა, შედგა,
შეგვათვალიერა, ხოლო
იმათ ეგონათ უკანმისახედად
შეჩერდაო
და ხელები დასაქნევად შეატოკეს.

●

ქალმა თვალები
ჯერ დახუჭულადვე დაახამხამა
და წამსვე გაახილა, წამოჯდა
და უბიძგა კაცსაც
და კაცმა თქვა — აჰ
და ისიც წამოჯდა,
ხელები მუხლებზე დაიწყო.

უცნობებივით შეხედეს ერთმანეთს,
ხოლო გამორკვევის უმალ —
უხალისოდ,
მოყირჭებულად, რასაც
ზურგის შებრუნება მოსდევს
და ასე კვლავ დაწოლა.

ხოლო ფოთლებმა თრთოლა, ბზინვა
და აქაიქ კაწკაწიც მორთეს,
და შეგრძნებაა რაღაც —
„მოლამუნება“,
რომელიც მოთენთვის შემძლეა
და მიგვაჩნია, რომ
აწ მათი გაღვიძებაც
იქნება უფრო გაცოცხლების მსგავსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ხორგუაშვილი

# შესდექ, სატანავ

(სატირული მოთხრობა)

რბილ სარწეველა სკამზე გადანებივრებულა შეთქვირებული დიაცი, ქალი და რა ქალი, ჯეჯილივით მობიბინე, ავ თვალს რომ არ დაენახვება იმგვარი... ისედაც თვალსაამო სახე-ტანი კიდევ უფრო დაუმშვენებია ხელოვნური სალამაზოებით და შიშველ ანგელოზს დამსგავსებია. სწორედაც რომ მოშიშვლებული ზის, თითქმის დედიშობილა, მოკლე, უმკლავებო შილიფა კაბის ამარა. ფეხი ფეხზე გადაუდვია და მოდების ჟურნალს ათვალიერებს. შორიახლოს უზის თაყვანისმცემელი ქმარი. ისიც ახალგაზრდაა, მაგრამ ნაადრევად გამინდვრებია საქოჩრე. არ გეგონოთ, თავნება მოგვირგვინეს გაებდღვნას ის თმა, ერთ დროს ძურწა ბალახივით რომ აჰყროდა. არა, ეგრე მოსდგამს იმის ჯიშსა. უზის ქმარი და უცხო კაცივით ცნობისმოყვარედ და სიამ-სიხარბით ათვალიერებს საკუთარ თანამეცხედრეს, ვისზეც ამოსდის მზეც და მთვარეც. უჭვრიტინებს და სიამაყე-სიამოვნებით ინაბება, „ჰეი, თქვენ, მედიდურო მამაკაცნო, ულამაზესი ცოლებით რომ მოგაქვთ თავი, ახლა ჩვენკენაც გადმოიხედეთ, ვისა გყავთ ასეთი თვალსაამო ცოლი?“ — სიხარულით კითხულობს გუნებაში.

„არავის!“

„არავის!“

„არავის!“ — ჩაესმის უხილავთა ხმა და კმაყოფილების ღიმილი გადასდის.

„გიხაროდეს!“

„გეამაყებოდეს!“

„მასზე ლოცულობდე!“ — ყურში ჩასჩურჩულებს იგივე ხმა და ქმარსაც სიხარულის ფრთები ესხმება.

დიახ, უხარია, რომ ასეთი ლამაზი ცოლის პატრონია. რატომაც არა. სხვები ამაყობენ მისი ცოლით და თვითონ არ უნდა უხაროდეს? სხვებს უბრმავებს თვალებსა ეს ლამაზი ცოლი და, ქმარმა რომ უჭვრიტინოს, უფრო უპრიანი არ არის? ცოლთან ერთად გავლა, თუნდაც ხელკავიც არ აღირსოს და ზურგშექცევით მიუძღოდეს, ერთ სიცოცხლედ უღირს. თუ ღიმილით დააჯილდოვა, მაშინ ხომ მეორედ დაბადებაა მისთვის. ახლაც მოელის მოწყალებას და წინასწარი მადლიერების გრძნობით შესციცინებს. გული ვერ უჯერებია ცქერითა, ახლად შეუღლებულებივით თრთის და ცმუკავს. გულში სიამაყით იმეორებს სხვის ნათქვამს, ჩიტმა რომ ახარა: ჰო-ჰო-ჰო. რა სახე-ტანი აქვს ამ დალოცვილსა! კაცის თვალ-გულის საამოდ მოვლენილა ამ მზიან ქვეყანაზე, ნეტავი იმას, ვის მკლავზედაც შენ გადანებივრდებიო. უჭვრეტს და ღმერთო შეუნდე, ხანდახან თვალსარიდოებისკენაც გაექცევა ხოლმე მზერა, მაგრამ დიდი სიფრთხილითა და ცოტა შიშითაც უმზერს, რომ თვალი არ წაასწროს თავმომწონე მოგვირგვინემ და ერთხელ კიდევ არ შეაჩვენოს ახირებული საქციელისათვის, რამეთუ ნაწვნევი აქვს გაკაპასებულ-გაცეცხლებულის ვეძა სიტყვის გემო.

ქმარი წამოდგება, ფეხაკრეფით მიუახლოვდება ცოლსა, ზურგს უკან დაუდგება, გული უკანკალებს, საკოც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი უცახცახებს, ჰა, შეჰბედოს, თუ არა. სული წასძლევს, მხრების ზემოდან გადააპარებს წაბზეკილ ტუჩებსა და თრთოლვით მოუცაცუნებს სუნამოიან ყვრიმალზე, აკოცებს და შაქარივით ჩაადნება ყელში. სიამ-სიხარულით ცას მოსწევია. უბედნიერესი კაცია, უმამაცესი ვაჟკაცი, ღმერთად ქცეული ცოლის კოცნა დაიღირსა და მეორედ ამბორისათვის ცმუკავს გამარჯვებული რაინდი.

ცოლი კი, თითქოს არავინ და არაფერი შეხებიაო, მშვიდად ასწევს თავსა, გამოუცნობ ღიმილს დაიმჩნევს და სალოკი თითის წაწკაპუნებით პაპიროსის ნამწვს ჩაბერტყავს ნაცრისფერ საფერფლეში, პირდაღებულ სახედრად რომ გამოუქანდაკებიათ.

— შენც მაკოცე, ზიზი, რა, შენცა! — ყელის გამოწევით ეხვეწება ქმარი.

— რამ გადაგრია?!

— ისეთ ხასიათზე ვარ, საყვარელო, რომ... როგორ გითხრა, აი, აი... თაფლობის თვეში რომ ვიყავი!

— კაკული! — ხმასაც საყვედურით შეფერავს ზიზი, — უკანასკნელად გაფრთხილებ, თაფლობის თვე აღარ მიხსენო!

— რატომ, ძვირფასო?! მაგაზე უკეთესი დრო ხომ არ არსებობს?!

— იმიტომ, რომ ყველაზე უკეთურად მიქციე ეგ დრო.

— რადა, შე გემრიელო, შენა! — მომდგარ ნერწყვს ველარ შეიოკებს და მაინც ამოდ გადაყლაპავს.

— კიდევ კითხულობ?!

— ჰო, კაი... ერთი კოცნა, მხოლოდ ერთი!

ზიზი ცერად გადმოხედავს, ირიბ ღიმილს გადაივლებს ფერუმარილიან სახეზე და ხელის ზურგს მოწყვეტით მიუწკაპუნებს საკოცნელად მომარჯვებულ ლოყაზე, რითაც ერთდროულად საალერსო ვალსაც იხდის და „მომშორდისაც“ეუბნება უხმოდ.

კაკული ამისაც მადლიერია, კალმახივით წასწვდება ზიზის მოშიშვლებულ მკლავს, გულზე მიირქმევს და თავდავიწყებით ეალერსება. მკლავზე ჰკოცნის და ის რბილი ტუჩები აქვს წარმოდგენილი, რომლის ამბორი ერთ სიცოცხლედ უღირს. დიდი ჰკუახერხიანი ვინმეა კაკული. ტყუილად კი არ შეარქვა სიტყვადაურიდალმა მოგვირგვინემ ვირეშმაკა. ჰო, სულ სხვა განზრახვა აქვს. მკლავზე ეფერება და იმდენს იზამს, ტუჩებამდე ააღწევს. ქმარს ეგრე ეოცნებება. ცოლი კი:

— კაკული, ერთხელ კიდევ გაფრთხილებ, უხეში ალერსი მოიშალე, ნაზი კანი მაქვს და მავნედ მოქმედებს ეგ შენი დორბლიანი დრუნჩი.

— მკლავზე გკოცნი, ლოყაზე ხომ არა!

— სულ ერთია, მკლავიც ჩემია, ლოყაც და...

კოცნას დაქიმიტებული ქმარი მკლავზე მოალერსებას კმარულობს, გრძნობას ითრგუნავს. თვალსა და გულს იმცხრალებს. შესაფერის წუთსა და სიტყვას ეძებს იმ სათხოვარისათვის, რა ხანია გულში რომ უტრიალებს

— ზიზი, ჩემო ზიზი! — სიყვარულით დნება კაკული.

— რა გაწუხებს, ჩემო ყოყინ? — თვალებსაც ნაბავს ზიზი.

შინაურულად ყოყინას ეძახის საყვარელ მოგვირგვინეს, მაშინ, როცა გუნებააუმღვრეველია და ახლაც რაკი ასე მიმართა, საქმე კარგად წავა...

— ერთი, მხოლოდ ერთი! — სალოკი თითითაც აჩვენებს ერთიანს მახვეწარი.

— რა ერთი, ხომ არ შეიშალე? — გაკვირვებითა და შეფარული ღიმილით შეხედავს.

— ერთი ბავშვი მაინც ვიყიდოთ, ჩემო სიცოცხლევ, მხოლოდ ერთი!

— აჰა. მეც არა ვთქვი, რაზე ღვლიპავს თვალებსა? ერთი ბავშვი ვიყიდოთო!.. — ამბობს თავისთვის. მერე ქმრისკენ მიიღერებს ყელსა და თვალვიწროდ მიმართავს: — შენ ის გირჩევნია, კრაველის ქურქის ყიდვაზე იფიქრო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ხომ გაქვს, საყვარელო, ქურქიცა და...

— ჰო, ჰო, ჰო, რა კარგი მეხსიერება გქონია!.. რომ მაქვს, ის მოდა მოძველდა უკვე; ქვეყანას აცვია, შე ჩამორჩენილო! ახალი მოდისა მინდა, თანაც ისეთი, რომ მხოლოდ შენს ლამაზ ცოლს ეცვას.

— ეგეც იქნება, საყვარელო!.. ერთხელ კიდევ გემუდარები, მეც მაღირსე მშობლობასა!

— სხვათა შორის, ძალიან დიდი პრეტენზიები გაქვს, გინდა, ლამაზი ცოლიც გყავდეს, ოჯახის ქალიც იყოს, ყოველდღე გემსახუროს, გეფეროს კიდეც და შვილიც გაგიჩინოს, თანაც არაფერი მოგთხოვოს... ასეთ ქალს, მსოფლიო რომ შესძრა, ვერ იშოვი.

კაკული ისევ ციცასავით შესციცინებს თვალებში და ემუდარება:

— ერთი, სანატრელო, მხოლოდ ერთი... ოღონდაც აბორტმახერთან ნუღარ წახვალ და სულს ამოვიღებ და შენ შემოგწირავ!

— ვის რად უნდა შენი სული, შე ხორციელადაც უმაქნისო?! — ამჯერადაც გამოადევნებს შემპარავ ღიმილსა.

კაკული იბნევა. პასუხს ვერ ახერხებს. თავს ჩაქინდრავს და ქეშად გამოხედავს ცოლს, რომელიც მაგრად გამოქაჩავს პაპიროსს, თავს შეიღერებს, ბოლქვებს გაუშვებს და თან ირიბად იმეორებს:

— ჰმ! შვილი... რომელს ინებებ, გოგონას თუ ვაჟსა?!

— ჩემთვის სულ ერთია, ოღონდაც შვილი ერქვას და მამა დამიძახოს! — ანაზდად წამოხტება გახარებული კაკული.

— ამაოდ შეიკუნტრუშე ხბოსავით, — იცინის ცოლი. — შვილს ვერ ეღირსები!

ქმარი ამასაც ხუმრობად მიუთვლის და შეეცდება თავის ნათქვამს მხიარული ფერი მისცეს:

— რას ამბობ, ჭირიმე, კიდევ რომ მშრალზე დამსვა, ხომ თავი მომეჭრა ქვეყანაზე!

— მაშ, შენი ჭკუით, მამაკაცთა უმრავლესობა თავმოჭრილი დადის?

— უარესი არ არის?! ეგეთი კაცუნები სულაც არ უნდა დადიოდნენ დედამიწაზე.

— შენნაირები?! — შეღებილ ტუჩებს პრაწავს ზიზი.

კაკულის ისევ ხალასი ხუმრობა ჰგონია და გულიანად ხითხითებს, ცოლის საამებლად უფრო.

ზიზი კი კილოს იცვლის და განაგრძობს:

— თავი არ მომეჭრასო... რატომ იმაზე არ გეჭრება თავი, გამოფხეკილი ოჯახის პატრონი რომ ხარ და ცოლი ტიტველი დაგყავს, ისიც ამ დროში.

„მთელი ჩემი მამაპაპეული ქონება და ჩემი ნაოფლარი შენ დაგაქვს მაგ შენი დამშვენებული ტანითა და კიდევ უმადური ხარ?“ — ეს პასუხი მხოლოდ გულში თქვა კაკულიმ, ცოლის გასაგონად კი ესლა ამობედა, ისიც მეტისმეტი მოფერებით:

— კაი, ძვირფასო, არა გცხვენია?!

— რაო, რაო, არა გცხვენიაო! მე უნდა მრცხვენოდეს თუ შენა, ყველაფრის ნატრული რომ გამხადე?!

— მაინც რისი, საყვარელო?!

— რისიო?!. ბრილიანტის ბეჭედი რამდენი გაქვს ნაყიდი? — ბრალმდებლის კილოთი შეეკითხება.

— ერთი!

— სირცხვილით როგორ ამბობ მაგას, ხალხს სათვალავი ერევა, იმდენი აქვთ, აღარ იციან სად გაიკეთონ, მე კი... ვისზე ნაკლები ცოლი გყავს...

— ოქროსი ხომ ბევრი გაქვს.

— ცარიელა ოქრო შენ ჩამოიკიდე ცხვირზე, ეგენიც ნახევარზე მეტი სხვასი ნაყიდია, შე საცოდავო! კიდევ კარგი, ზოგჯერ ფულიანი ნათესავ-მეგობრები მაინც მოიღებენ ხოლმე მოწყალებასა, ისიც ჩემიანები, თორემ დედიშობილას მატარებდი ქუჩაში.

ქმარი დუმს.

---

გიორგი ხორგუაშვილი

შესჭექ, სატანავ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოლი კი უფრო გაცხარებული, მარცხენა ხელს გაშლის, მარჯვენას მომუჭავს. მხოლოდ სალოკ თითს გაიშვერს, მუქარით მოკეცავს გაშლილი ხელის ნეკსა და:

— მაგ ერთზე ხომ თხასავით მყავხარ გამოჭერილი, — ახლა არათითსა ჰკეცავს: — პატიოსანი თვლებით მოჭედილი სამაჯური მოგირთმევია?

— პატიოსანი ქმარი მაგას ვერ შეძლებს!

— უკბილო ხუმრობას თავი გაანებე, უკბილო და უთავო შენც მეყოფი... ჩეხური ჭაღი გიყიდია ჭერზე? — ახლა შუათითით მიუთვლის.

— ჩეხურია, მაშ რა? — მაღლა აიხედავს დაეჭვებული.

— ეგეთი სამასხარო კი არა, აი, ისეთი, შენი დირექტორის დარბაზს რომ ამშვენებს...

— ისეთი? არა! — კაკული დამნაშავესავით დახრის თავს.

— „ლუდოვიკო მეთოთხმეტე“ გიყიდია? — სალოკ თითს მიაყოლებს ზიზი.

— არა, ჩვენი ავეჯი გვიდგია! — ულონოდ ამოთქვამს ქმარი.

— ჩვენსაზე სირცხვილით როგორ იღებ ხმას... ახალი „ვოლგა“ გაქვს? — ცერა თითს დაკეცავს ბოლოს და მუშტივით შეეკვრის კიდეც მარცხენა ხელი.

— არა, ძველია, — ხმაჩაქრობით მიუგებს.

— შენსავით, არა?!

— ჰო, ჩემსავით! — უმალვე თანხმდება, მზად არის ეგეც ხუმრობად მიუთვალოს, ოღონდაც...

— საზღვარგარეთ დაგყავარ? — ახლა მეორე თითების მოკეცვით გააგრძელებს თვლას.

— „კარლოვი ვარში“ ხომ დაისვენე, ძვირფასო?

— დასვენებასა და მოგზაურობას შორის დიდი სხვაობაა, თანაც ეგ ჩვენია.

— რუმინეთში ხომ იყავი?

— კიდევ კარგი, ვიზა გამომიგზავნა ნათესავმა, ისიც ჩემიანმა, თორემ რიღათი იტრაბახებდი?!

— იუგოსლავიაში ხომ ბრძანდებოდი საყვარელო!

— იუგოსლავიაც ჩვენია...

— ევროპის გარშემოც ხომ იმოგზაურე „როსიათი“!

— ეგეც ოცდღიანი იყო, თანაც ევროპის გარშემო და არა შიგნით... ისე ვკვდები, რომ არც ინდოეთი მაღირსე, არც ჩინეთი, არც ავსტრალია, არც ამერიკა და იაპონია!.. ადამიანმა სიცოცხლე ისე უნდა დაამთავროს, რომ თითოჯერ მაინც არა ნახოს მსოფლიოს ქვეყნები?

ქმარი მისასადაგებელ სიტყვას ეძებს, ენაც ებმება და აზრიც უდუნდება.

ცოლი კი არ აცდის:

— საკუთარი აგარაკი გაქვს?

— არა! — სულ დაეკარგა ხმა.

— მაშ რაღა ჯანდაბა გატიალია! — შეყოვნდება და კიდევ კითხვებს მიაყრის: ეს თუ გაქვს, ის თუ გიყიდია ჩემთვისო.

ქმარი ენას ველარ ძრავს.

— ასეთი გაფცქვნილ-გალატაკებული ხარ და კიდევ მედიდგულები, გინდა თუ არა, შვილი უნდა გამიჩინოო, სადა გაქვს ნამუსი, შვილს კა არა, სიკვდილს გაგიჩენ. სიკვდილს, რომ ამაღამვე გაგათაოს და შენც მოისვენო და მეცა.

კაკული გაოგნდება, თავბრუ დაეხვევა, ლამის ჭკუაზე შეიშალოს, აღარ იცის, რა ქნას. მოითმინოს, თუ... არა, ეგრე ჭკუამსუბუქი არ გახლავთ, რომ უცებ აბურბურდეს, ღვთის რისხვად დაატყდეს ცოლსაც და თავსაც აუტეხოს რამე. არა, ჭკუათხელობას ვერ დავწამებთ, იგი ხომ მთელს სანათესაოში არის განთქმული თავისი სიდარბაისლითა და ზნეკეთილობით. მრისხანების ჟამსაც არ ავიწყდება, რომ მოფერება უნდა ქალსა, ვითარცა მშვენიერ არსებას. მით უფრო ზიზის, ულამაზეს და უმშვენიერეს ასულს, ვისი ბადალიც ცისქვეშეთში არ დაიარება და კიდევ ერთი რამე უნდა გაითვალისწინოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინდახედულმა ქმარმა: ზიზიმ ხომ უცებ იცის გაავდარებაც და გამოდარებაც. ეხლა რომ ესე მოპირქუშებულია, ადვილი შესაძლებელია, რომ უცებ გამოიცინოს, თვითონაც გაიხაროს და კაკულიც დააჯილდოოს თავისი მოპირმცინარობითა. იმიტომაც ურჩევნია მოთმინება. ნიადაგ ახსოვს მარად გაუხუნარი შეგონება: მოთმინებითა შენითაო...

●

განა ერთხელა და ორჯერ მოუგია ბატონ კაკულის ასეთი მოთმინებითა. აი, თუნდაც იმდღევანდელი ამბავი ავიღოთ. მაშინ უფრო უარესად აშლოდა ნერვები ზიზის. რა თქმა უნდა, ქმრის გამოისობითა. მიუბრუნდა და რაღა არ გახადა: უჭკუო, უცოდინარი, უშნო, უგერგილო, უნიათო, უკაცური, უშოვარი, უპოვნელი, უმარიფათო, ულიმლამო, უპატრონო. რაც კი „უზე“ იწყებოდა და უარყოფითს გამოხატავდა, ყველაფერი აკადრა. ისეთ დღეში ჩააგდო, ლუკმა რომ სჭეროდა, ძალლი არ გამოართმევდა. მაგრამ იობის სიმტკიცე გამოიჩინა კაკულიმ, მოითმინა და დაუფასდა კიდეც.

უცებ რაღაც მოაფიქრდა ზიზის და უცებვე გამოიმზევა. მარტო ის გამომზევება-გაღიმება ულირდა ერთ სიცოცხლედ.

კაკულისაც უმალ გადაეყარა გულზე მოხვეული ჯანღი.

— მოდი აქ, ჩემო ყოყინა! — ისეთი ღიმილით შემზირა ენადათაფლულმა ზიზიმ, როგორც მაშინ, თაფლობის თვეს.

კაკული უმალვე ეახლა.

— როგორ არის, ჩემო ყოყინ, ცოლქმრის ჩხუბზე ნათქვამი?

— ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო! — ფრიადოსან მოსწავლესავით ბეჯითად მიუგო კაკულიმ.

— მარტო მაგ მიხვედრილობისთვის გეკუთვნის ჩემგან ერთი კარგი, ჩვენებური კოცნა. — თან ხალისით წაუშვირა გამობზეკილი ტუჩები და იმჯერადაც ნებაზე მიუშვა საალერსოდ გავეშებული ქმარი.

ახლად შეყვარებულივით თავდავიწყებას მიეცა კაკული, სულაც არ შეუმჩნევია ზიზის მოვიწროვებული თვალები, უცნაური ღიმილის ხაზები რომ ასხმოდა, სულაც ვერ მიმხვდარიყო ან ვის დასცინოდა, ან რაზე დასცინოდა, თავდავიწყებას მიცემული ქმარი მხოლოდ ამას იმეორებდა გუნებაში: ვინც მოითმენს, ის მოიგებსო.

●

დიახ, ახსენდება ეს და მოთმინებას ამჯობინებს კაკული.

ცოლი კი უფრო ენადაწიწაკებით მიმართავს:

— რა გატიალია, შე ჩემი ცოდვით სავსე, რა, რა, რა! რატომ არ იღებ ხმასა?!

არა, ქალბატონო ზიზი, ეგრე ადვილად ვერ გამოიყვან მოთმინებიდან შენს უერთგულეს და უჭკვიანეს მოგვირგვინესა. მეტად ბარაქიანი აქვს მოთმინების ფიალა. ფიალა კი არა, კოკა უნდა ერქვას მისი მოთმინების საწყაოს. ხომ ამდენი ითმინა და ჯერ კიდევ კარგა ნაკლულია ის კოკა, რომელიც ბევრჯერ შველის მთავარი მიზნის განხორციელებაში — ცოლის ცოლად შენარჩუნების დიდ საქმეში, სიმწარის სიტკბოდ ქცევაში. ვერა, ვერ შეურყევთ ნებისყოფას. ეგრე მოთმინებით უნდა ისმინოს ულამაზესი ცოლის სააუგო სიტყვები, ეგ კი არა და, საამურ სიტყვებადაც კი უნდა მიუთვალოს. ცოლი იმსახურებს ამ პატივისცემას. ჰოდა, ითმენს, ითმენს და ითმენს, რა ვუყოთ, რომ შეპასუხებას გაუბედავს, ცოტა წყრომასაც გაურევს ამ სიტყვებში:

— ჰო, კარგი! არაფერი არ მატიალია — არც ქონება, არც გონება... ყველაფერში მართალი ხარ, მე ყველაფერში ვტყუი!

— მაგას საეჭვოდაცა ხდი?

**გიორგი ხორგუაშვილი**

შესდექ, სატანავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, არა, ოღონდაც მომეშვი და აღარც შვილი მინდა, აღარც ცოლი! — ნაძალადევად მოიმხიარულებს თავსა, ეგება ხუმრობად აქციოს ამბავი.

— რაო, რაო, აღარც ცოლი მინდაო? აბა, კარგად გაიმეორე! — გაცხარებით შეარხევს მხრებს ზიზი.

— ჰმ! არა, ნუთუ ვერ მიმიხვდი, რომ გეხუმრები, ჩემო ზიზი? — უფრო იუხვებს ყალბ ღიმილს, ისეთს, დიდი უფროსების წინაშე რომ აფრქვევენ ხოლმე.

— ისეთი ხუმრობა შემირცხვენია, ნახევარი სიმართლე მაინც არ ერიოს!

— ჰო, კაი საყვარელო, მაპატიე, კარგად ვერ მოვზომე სათქმელი. მეც ადამიანი ვარ, რა მოხდა!

— რა მოხდაო?! კიდევ ვერ შეიგენი დანაშაული?!

— შევიგენი, შევიგენი!..

— დაგაგვიანდა... რატომ აქამდე არ შეიგენი, ჯერ მომკალი და მერე მაცოცხლებ? რად მიხსენე ან თაფლობის თვე, ან შვილი, ხომ იცი, რომ ცუდად მოქმედებს ჩემს გულზე?!

— ერთი შეცდომა ბრძენსაც მოუვაო.

— ერთი კი არა, დღეში ასი შეცდომა მოგდის... სულ არა ცდები, რაც შენ ხელში ვარ? სულ შეცდომა არა ხარ თავიდან ბოლომდე?!

კაკულის ახლა კი ამოევსება მოთმინების ფიალა, გული ყელში ამოეჩრება ხუმრობის გარეშე. ვაჟკაცობის გრძნობა იფეთქებს. რატომაც არა. ვისზე ნაკლებია, რომ არ გაბრაზდეს. გულში შეირქმევს გულდედალსა, ესეც ვაჟკაცობის მანიშნებელია, რომ თავის ნაკლს ჩახვდება, სიძულვილი წამოუდუღდება, უწინარესად საკუთარი თავისა, რომ ამდენი ითმინა და ამდენ დამცირებას იტანს, მხოლოდ ახლა კი არა, წლების მანძილზე. მერე ცოლს შეხედავს ვიწრო თვალითა, მორჩა, სამუდამოდ ამოირეცხა გულიდან ზიზის სიყვარული, უნდა საკადრისი მიუზღოს შეურაცხმყოფელ ცოლსა, ვერავინ და ვერარა გადაათქმევინებს ამ გადაწყვეტილებას. გულს ველარ მოულბობს ვეღარც მისი სილამაზე და სიმშვენიერე და ვეღარც მისი ღიმილალერსი, ათასი კოცნაც ათას ფურთხად მოეჩვენება, მორჩა, მთლად უნდა მოსპოს ის სილამაზე, ბოროტების წყაროდ რომ ექცა, უნდა მოსპოს ის ღიმილი, ნებისყოფას რომ უგრეხდა ვაჟკაცს და თავის ნებაზე ათამაშებდა. მორჩა, გათავდა! ამ გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლევინებს თვით სიყვარულის ღმერთიც კი. აჰა, თავი განირისხა შეურაცხყოფილმა კაკულიმ. ძრწოდე, ყველა ანჩხლო ცოლო, ანუ სატანა, ამ მრისხანების წინაშე! ძრწოდე, ყველა შეურაცხმყოფელო დედაკაცო, არარაობად რომ შეგრაცხეს სრულიად სამართლიანადა, ძრწოდე ამ მრისხანე ძალის წინაშე! აჰა, ღვთის რისხვად უნდა იქცეს კაკული, მაგრამ...

ღმერთო ჩემო. რა მოსდის, რა აჩერებს?!

და შეშლილს დამსგავსებულმა კაკულიმ შუბლზედა ითხლიშა აცახცახებული ხელი.

მაგრამ მაინც მოიკრიბა გონება. კვლავ განირისხა თავი, კვლავ გაიმამაცურნა მკლავნი. ეხლა კი ვეღარა და ვერარა შეაჩერებს. რისხვად დაატყდება მლანძღავ ცოლსა: „გამცილდი აქედან, შე...“ — იმასაც მიაძახებს, რითაც კბილს მოსჭრის.

ეს რა კარგი რამე წამოაგონდა კაკულისა. ესლა თუ შეაძაგებს ლამაზ ცოლსა, თორემ ეხლანდელი წყენაც ამ ლამაზი ცოლისაგან, თუნდაც მიწასთან გასწორება, დამცირება და დამჩვარება დაერქვას, ვერა ჰყოფნის ბოლომდე გაბრაზებისათვის.

წამოაგონდება და წამოუცოცხლდება კიდეც ეჭვის ჭია, რომელიც უმოწყალოდ უღრღნის ტვინსა, ულმობლოდ უწიწკნის სულსა და გულსაც. ყველაფერი მიავიწყდება და მხოლოდ ლამაზი ცოლის ერთგულება-ღალატის ფიქრ-ჭიდილი აფორიაქებს.

●

და უცებ აელანდება ის მოენენი, თავის დროზე რომ შეაპარეს ფრთხილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთხილად: შენი ზიზის სილამაზით სხვა უფრო მეტად ხარობსო. მაშინ შეშფოთდა პირველად, მაშინ აეწეწა ფიქრ-ოცნებანი. „ნუთუ“?!

„ნუთუ მართალია ჩემი მახლობლების თუ შორებლების ქარაგმულად თუ პირდაპირ ნათქვამი?! ნუთუ მართლა მიღალატა ჩემმა ზიზიმ!“

დიახ, დიდხანს აწვალებდა ეს კითხვა. ასნაირად აზომ-ჩაზომა ნათქვამი და ნაგულისხმევი, ყველა ჭუჭრუტანიდან ჩაიჭვრიტა მოლანდებულ ამბებში, ჩაიჭვრიტა და იქიდანაც უფრო მეტი ამოეჭვრიტა. იდუმალი ხმაც ამოჰყვა ამოჭვრიტინებას — „ღალატის“ თუ „არ ღალატის“ ხმა. მერე ორად დაეჯგუფა ეს ხმები, შიშით გადაითვალა გონებაში და ღალატის ხმა უფრო მეტი აღმოჩნდა.

„თუ ნამდვილად მღალატობს, ამას ვერ მოვითმენ. ხომ ასე მიყვარდა და მიყვარს, ხომ მას ეკუთვნის ჩემი სიცოცხლის არსიც, მიზანიც და სიხარულიც, მაგრამ არამც და არამც არ ვაპატიებ ღალატს. მოვკლავ, დავახრჩობ, მოვსპობ და მეც თან დავაქვდები. უთუოდ ჩავიდენ ამ გმირობას და ცუდად არ ჩაივლის ეს თავგანწირვა, იგი წამალი გახდება სხვებისათვის. ანდერძს დავაგდებ, რომ იმ თავგანწირვის ადგილას აიგოს ძეგლი, რომელსაც ოქროს ასოებით წააწერება: „შურისძიებამ სძლია სიყვარულს“. ანდა „დიდი სიძულვილი დიდი სიყვარულის გამო“. და ეს თავგანწირვა იქნება ჭკუის სასწავლებელი ყველასათვის. უფროორე ახალგაზრდებისათვის, რომ ველარ გაბედონ ღალატი ველარც შეყვარებულებმა და ველარც ლამაზმა ცოლებმა. ამ თავგანწირვას მიმითვლიან გმირობად, რამეთუ მეც ჩემებურ ზნეობრივ სიკეთეს მოვუტან საზოგადოებას, მეტადრე ჭაბუკებს“.

დაასკვნიდა და უფრო შვებით ამოისუნთქავდა, მაგრამ ისევ ჩაიჭყიტებოდა მოლანდებულ ამბებში, ისევ ამოიჭვრიტებოდნენ ეჭვები, ისევ ამოჰყვებოდნენ ხმანი იდუმალნი, კვლავ გადაითვლიდა და ახლა „არღალატი“ გამოუვიდოდა მეტი.

„არა, ვერ დავიჯერებ, მე არ მიღალატებდა ჩემი სიყვარული — ჩემი ზიზი. კაცს, უფროორე ლამაზი ცოლის პატრონს, დიდი დაფიქრება მართებს. ერთიც ვთქვათ და, დამეჯერებინა ენატანიებისათვის და მომემოქმედებინა ისე, როგორც წეღან ვთქვი გულზე მოსულმა: მომეკლა, დამეხრჩო, მომესპო კრავივით უცოდველო ქალი, ჩემი სიყვარული, მერე?! განა ისტორიამ ცოტა იცის იმის მაგალითი, რომ შურსა და ეჭვს მოუკლავს დიდი ადამიანიც და პატარაც? რაღა შორს წავიდეთ, იაგოსაგან გაგიჟებულმა ოტელომ არ ჩაიდინა უმძიმესი ცოდვა — სიცოცხლეს გამოასალმა დეზდემონაც და მერე თვითონაც არ გაუბედურდა? მარტო ეს მაგალითი უნდა კმაროდეს ჩემნაირი ლამაზი ცოლის პატრონისათვის, რად უნდა მოვუსპო სიცოცხლე ჩემს ზიზის? ზიზი უნდა მოვსპო, ასეთი უჭკნობი სილამაზე? არა და ვერა, ვერ დამაჯერებთ ჩემი ზიზის ღალატში, ჩემო „კეთილო“ მაცნენო.

ვერც ამაზე გაჩერდებოდა მტკიცედ ასევე ჩაიჭვრიტებოდა მოლანდებულ აზრებში.

„ნუთუ?! — ვერა და ვერ მოეშორებინა ეს ავბედითი კითხვა, ძილშიც და ღვიძილშიც რომ ღრღნიდა. ღრღნიდა და მშველელი არა ჩანდა. ისევ საყვარელი ზიზი მოევლინებოდა მხსნელად, მალე გამოიცნობდა ქმრის შეშფოთების მიზეზს, — „ყოყე, ჩემო ყოყე!“ — თავისებურ სურნელებას გამოატანდა ამ მოფერებით ნათქვამს.

კაკულიც შუბლშეკრული მიხედავდა ზიზის, სარკის წინ რომ იდგა და გულმოდგინედ პირიფარეშობდა.

— ვიცქირები სარკეში და ჩვენი პირველი კოცნა მაგონდება... და ისეთ მომხიბლავ ღიმილს გადაივლებდა, როგორც მაშინ, პირველმისნობისას... და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ უბადლო ღიმილით თანდათან მოაქცევდა კაკულის თავისკენ, მკერდზე მიახუტებინებდა თაიგულივით თავსა, გაწეწილ თმას მიმოუშრიალებდა, გულის მახლობლად უბეში სატაცურა თითებს ჩაუსლიკინებდა და სულ გაუფანტავდა ეჭვის ბურუსს.

— ყოყე, ჩემო ყოყე! — დაუფერავდა სახელს. ასე მაშინ მიმართავდა, როცა მეტისმეტად მოფერება სწადდა...

— რა გინდა? — მოთვინიერებული კილოთი მიუგებდა.

— იცი, როგორ მაამებს შენს გულთან ახლოს ყოფნა?!

— როგორ?! — სულ დაუმშვიდდებოდა გუნება კაკულის.

— უსაზღვროდ, ჩემო ყოყე, უსაზღვროდ. მეტადრე მაშინ, როცა მტრედის ბარტყივით აგიფართხალდება ხოლმე ეგ გული.

და ზიზის თმის სურნელება მართლა აუფართხალებდა გულს დაბნეულ კაკულის.

— იმ პირველ კოცნას გაუმარჯოს, იმ პირველ ნეტარებას!.. — წამოიღიღინებდა ზიზი და საკოცნელად გაუშვერდა ბაგეს.

ალმოდებული კაკულიც არ დააყოვნებდა. და მიეცემოდა ნეტარებას.

— ვაჰმე, დილილმე, დილილმე... — ახლა ამას ჩაიღიღინებდა ზიზი, თან თვალებს მინაბავდა და სხვა აგონდებოდა.

— ნეტაი, როდის მეღირსოს... — სიმღერა — ჩურჩულითვე მიუგებდა კაკული და სულ გადაავიწყდებოდა მახლობელ-გულშემატკივართა ქარაგმამინიშნებანიც და უცხო მოენეთა პირდაპირი თქმაც.

„არა და არა. ასეთი მოალერსე ცოლი მე არ მიღალატებს!“ — მტკიცედ ჩაირწმუნებდა გულში მოგვირგვინის სილამაზით გაბრუებული კაკული და სხვათა გასაგონადაც იტყოდა: ჩემი ცოლის აუგად მახსენებელი ჩემი მტერიაო, აღარავინ გამიბედოს ცილისმწამებლური მონაჭორის თქმაო. და მიეცემოდა უსაზღვრო ნეტარებას.

მაშინ ეგრე ნეტარებდა და ეგრე ჩაიწმინდა გუნება ნეტარხსენებულმა კაკულიმ. მერე კი, ვნება რომ დაუცხრა და გონების თვალით აზომ-ჩაზომა გულშემატკივართა ნასაუბრებ-ნაქარაგმევი, მის შედეგად წარმოსახული სურათხატი, ისევ ეჭვით აუფორიაქდა სული, ისევ აეკვიატა მღრღნელი „ნუთუ?!“ ისევ ყველა ჭუჭრუტანიდან იჭვრიტებოდა წარმოსახულ სურათხატში ეჭვის თვალები და იდუმალ ხმებსაც ამოიყოლებდნენ, კვლავ ორად დაუჯგუფდებოდა ეს ხმები „ღალატის“ და „არღალატის“ ხმებად. თვლიდა ხმებს და ვერა თვლიდა. იმიტომ უჭირდა, რომ ცვალებად გუნება-განწყობითა თვლიდა, თუ ზიზისაგან მადლიერ-ნასიამოვნები გახლდათ, „არღალატის“ ხმები მეტი მოსდიოდა, ანუ ყველა ხმა „არღალატის“ ხმად ექცეოდა, თუ ნაწყენ-ნალანძღი იყო, მაშინ „ღალატის“ ხმები გაუმეტდებოდნენ.

ახლა კი...

ახლა ისეა გაბრაზებული, რომ ყველა ხმა „ღალატის“ ხმად ჰქცევია.

ჰოდა, კარგ დროს წამოაგონდა, წამოუტივტივდა გონებაში ის სურათხატი, მაგრამ ეს ერთი ამბავი, ანუ სურათხატი არა ჰყოფნის, ვაითუ ამჯერადაც მომხიბლავად გაუღიმოს ზიზიმ, ხასიათიც შეუცვალოს და გადაწყვეტილებაც, სწორედ მაგიტომ მოიშველიებს მეორე ამბავს, კარგა ხანი რომ აშორებს იმ პირველი ამბიდან, ანუ სურათხატიდან...

გამოხდებოდა ხანი, კიდევ გადაუქარაგმებდნენ გულშემატკივრები, კიდევ შეაპარებდნენ, მიხედე შენს ლამაზ ცოლსო, სხვა ხარობს იმის სიმშვენიერითაო, გადაუქარაგმებდნენ და კვლავ აფორიაქდებოდა კაკული.

„ნუთუ?!“ — ისევ დაუწყებდა ღრღნას ეს კითხვა, ისევ აფორიაქდებოდა. არ იცოდა, რა ექნა. შეშლილივით არატრატებდა თავსა. ამ შემაძრწუნებელი კითხვიდან ხსნას ეძებდა დაფეთე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბული და მიმიხვდებით, რომ მოვლინებოდა ისევ ის, ვინც ამ ყოფაში ჩააგდო. (ყოფის ტირებაც ეს იყო).

— ყოყე! — თავისებური ფერსურნელებას გამოაყოლებდა ალერსით ამონათქვამს.

კაკული თავს დაიფასებდა, პირველსავე დაძახებაზე არ გაიღებდა ხმას.

— ყოყეე! — უფრო დაასუსტებდა ხმას.

კაკული არც ამჯერად ალირსებდა პასუხს.

— ყოყეეე! — ახლა იმაზე მეტ ფერსურნელებას გამოაყოლებდა, რასაც თავად გამოსცემდა ფრანგული სუნამოების წყალობით.

ამჯერად კი ველარ გაუძლებდა ცდუნებას, გულშივე წაიქცევდა სიტყვას და დაძვირებული კილოთი მაინც ამოტყოდა:

— რა გნებავს?

— შენი კარგად ყოფნა, მხოლოდ და მხოლოდ, ჩემო ყოყე!

— ჩემი კარგად ყოფნა რომ გინდოდეს... — თვითონვე შეკრთებოდა ამ ყოყმანის გამო.

— შენი კარგად ყოფნაც მინდა და კიდევ ისიც, ჩვენ რომ ვიცით! — ყელს გადაიღერებდა და ისე გახედავდა თავისებური მომხიბლავი ღიმილით.

— რა ვიცით ჩვენა, რა, რა, რა?! — სიხარულნარევი ნერვულობით ჩაეძიებოდა.

— არაფერი, შენი მათრობელა კოცნა მომაგონდა.

— კიდევ რა მოგაგონდა, რა, რა, რა? — უფრო მეტ სიხარულს გაურევდა კითხვაში.

— კიდევ ამ გულმა იცის.

— მეც ის მტანჯავს, რომ მაგ გულმა, ვგონებ, ბევრი სხვა რამეც იცის, — სათქმელ-საქნელს ხელი აუკრა კაკულიმ.

— რახან ჩემი გულის ზრახვას ახლოს არ იკარებ, ერთ კითხვას მოგცემ და იმისი პასუხის ღირსი მაინც გამხადე.

— რას გვიბრძანებდი? — ხმა შეუკანკალდა ნერვულად იმის გამო უფრო, რომ კარს მომდგარი ბედნიერება განიძევა თავისი დაუფიქრებლობის და ახირების გამო.

— შენ ფრიად ნაკითხი და ცხოვრებაში ჩახედული ბრძანდები, ჩემო ყოყე!

— ასე ვთქვათ, მერე?

— ჰოდა, მიპასუხე, რა ღუპავს შენნაირ ადამიანებს?

— ლამაზი ცოლი.

— ეგ სახიფათო ხუმრობაა. სერიოზულად გეკითხები, რა ღუპავს-მეთქი...

კაკულიმ ყურები ჩამოყარა.

— რა ღუპავს, ჩემო ყოყე, და, შური!

— შური?..

— გამოცანა გერგება, ჩემო ყოყე.

— მერე?

— მერე ის, შინაურსაც და გარეულსაც შურს, ლამაზი ცოლი რომ გყავს და ეგ დაგვღუპავს კიდეც მეც და შენც.

კაკული დაფიქრდა.

— ლამაზი ცოლის პატრონსა ბევრი მოშურნე ჰყავს, ჩემო ყოყე. კაკული უფრო ჩაუღრმავდა ნათქვამს. — მიმიხვდი?

— განა ისეთი ვირისტვინაცა ვარ, რომ ვერ მიგიხვდე?

— არა, ჩემო ყოყე, მაგას ვინა გკადრებს. შენ ისეთი გონიერი და ისეთი მომხიბლავი ხარ, რომ... — კვლავ გამომწვევად შეჰლიმა.

— მერე ჩემგან რა გინდა, ადამიანო? — მოქცევის კილოთი მიმართა.

— ეგ ამ გულმა იცის! — კვლავ მიმოუღელა მკერდი, კვლავ ჩაუცურა თავისი სლიკინა თითები უბეში, ამ გულთან ახლოს ყოფნა მიხარიაო და ალერსით მიუჩურჩულა.

— კი არავინ დაგაეჭვოს! — და ისევ მიუსვ-მოუსვა ბალნიან მკერდზე სატაცურა თითები.

---

გიორგი ხორბუაშვილი

შესდექ, სატანავ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაკული სიამით გაიტვრინა.

— ვაჰმე, დილილმე, დილილმე.

დამტოვე დაბნედილი მე...“ — თრთოლვით ამოიმღერა ზიზიმ.

გაოგნებულ კაკულის ისღა დარჩენია, რომ იმავე ხმით მიემღერებინა:

— „ნეტაი როდის მეღირსოს შენთან წოლა და ძილი მე...“ და მისცემოდა უსაზღვრო ნეტარებას.

— ნეტა, რა არის მისთანა?! — ახლა სხვა სიმღერას წამოიწყებდა გამარჯვებულ-გახარებული ზიზი.

— ჩემ ზიზის ტუჩებისთანა. . . — კვლავ მიუმღერებდა კაკული და კიდევ დააცხრებოდა სიმღერით ნაქებ ტუჩებს.

ზიზიც გაუტვრინდებოდა, ქმარს ეხვეოდა და სხვა ელანდებოდა.

კაკული კი ნეტარებით გამოიბრუჟებოდა და მაშინ გამონელდებოდა, როცა ხელიდან გაუსხლტებოდა გაორებისაგან დაღლილი ცოლი.

და რომ გამოფხიზლდებოდა ნეტარებისაგან მთვრალი კაკული ფიქრით გაირინდებოდა: „ეს რამხელა ჯილდო მარგუნა ბედმა, რა ლამაზი და მოალერსე ცოლი მყავს. ან რას არ მოიგონებენ, გლალატობსო. როგორ იქნება ასე მომეფეროს და მომეალერსოს მოღალატე ცოლი. ვერა და ვერა, ვერ დავიჯერებ. . . ეს მხოლოდ გესლიანი ენების ტარტარია. შურთ, რომ ლამაზი ცოლი მყავს, შურთ შინაურებსაც და გარეულებსაც, შური ასავსავებს ენას, შური. . . ვერა და ვერა, ვერ დამარწმუნებთ ჩემი ზიზის ღალატში“. ძირს შური, მაღლა რწმენა!“ — ლამის ხმამაღლა შეჰყვირა ვნებაგამოუნელებელმა.

●

მაშინ ეგრე დაირწმუნა თავი.

მერე კი, კვლავ გონების თვალით რომ ჩაიჭვრიტა გულშემატკივართა მიერ ნათქვამ-ნაქარაგმევში, ისევ უმოწყალოდ დაუწყო ღრღნა ვერა და ვერმოშორებულმა, „ნუთუმ?!“ იმჯერადაც ორად დაუჯგუფდა ხმანი იდუმალნი — „ღალატისა“ და „არაღალატისა“, იმჯერადაც „ღალატის“ ხმები მოეჭარბნენ.

ახლა კი. . .

ახლა ყველა ხმა „ღალატის“ ხმად ქცევია. გაბრაზებულ-გაცეცხლებულ კაკულისა.

ეს მეორე ამბავი ანუ სურათხატიც მიუწყვილა პირველ ამბავსა და სურათხატსა. მიუწყვილა და უფრო განიმტკიცა იმის რწმენა, რომ მისი მლანძლავ-მთათხავი ცოლი ნამდვილად მოღალატეა. ახლა უფრო თამამად წამოიძახებს ამას და ჩააკმენდინებს კიდეც ენას.

მაგრამ ესეც ეჭკმარისება. ვაითუ, კვლავ თავისებურად გაუღიმოს მაცდურმა ცოლმა, ისე მომხიბლავად და მომაჯადოებლად გაუღიმოს, რომ ამჯერადაც შეურყიოს და შეუცვალოს რწმენა, ისევ გადაიბიროს თავის მხარეზე, არა მარტო გადაიბიროს. . .

ჰოდა, იმიტომაც ჩხრეკს გუნებაში სხვა საბუთებსა, უფრო დამარწმუნებელსა, ჩხრეკს და მიაგნებს კიდეც უფრო უტყუარსა.

და ეხატება ის სურათი, თავის თვალით რომ ნახა, თავისივე სახლში რომ წააწყდა: ცოლს რომ უკოცნიდა ვილაც წარმოსადეგი ვაჟკაცი. წააწყდა და შეცბა, ადგილზე გაქვავდა, ენა დაება. მაშინ იმდენი ზრდილობა კი აღმოაჩნდა, რომ უმალვე არ გადმოანთხია მოწოლილი ბოღმა. არა, კრინტს არ დასძრავდა, სანამ გულდაგულ არ გამოჩხრეკდა სინამდვილის ღადარს. მერე რა, რომ მისთვის უცხო იყო, იქნებ ცოლისთვის მახლობელი გამომდგარიყო, მეგობარ-მახლობელი. რომლისთვისაც მიზეზითა სხვათა და სხვათა გამო კაკულის თვალი არ დაუკრავს ამის მეტად. — კი ეგრეც გამოდგა. ნამდვილად იგულთმისნა ჭკუადამძიმებულმა კაკულიმ.

ქმარი რომ მოულოდნელად წამოაწყდა, ცოლი არ დაბნეულა.

— აი ჩემი ქმარიკოც მოვიდა! — მიახედა თავისი მეგობარი, რომელიც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისე მისცემოდა თავდავიწყებას, რომ ვერც კი გაიგო, როგორ შემობრახუნდა ოჯახის თავი.

მეგობარმა უცებ ანება თავი.

— კაკული, საყვარელო, გაიცანი ჩემი სიყრმის მეგობარი.

კაკულიმ კრიტიკულად ახედ-ჩახედა და გვიან გაუწოდა ხელი და თან შებოხილ-შებზარული ხმა გააყოლა:

— კაკული...

— სანო, — მანაც უსიამოვნო ხმით მიუგო.

და კვლავ უკმაყოფილოდ ახედ-ჩახედეს ერთმანეთს.

ზიზი კი ცდილობდა საამო განწყობაზე მოექცია.

— ბედნიერი დღე გათენდა თქვენთვისაც და უწინარესად ჩემთვის, ბედნიერი, ნამდვილად ბედნიერი...

— გიხარია, ხომ, ქალბატონო ზიზი?

— რატომაც არა, ამდენი ხნის უნახავი მეგობარი გნახე და მერე სად, საკუთარ სახლში. ნამდვილად მაღლა აიწია ჩემი სახლის ჭერმა.

— ჩემთვისაც დიდად სასიამოვნოა.

— რატომაც არა. ჩემი ნახვა და თანაც ჩემი ქმრის გაცნობა.

— აქამდეც უნდა გაგვეცნო ერთმანეთი!

— ჭეშმარიტად, დიდი ხანია უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს, მაგრამ მოხდა ისე, რომ დღეს ვეცნობით პირველად.

— რას იზამ, დროის ბრალია, — თქვა სტუმარმა.

— არა, არა, დროს ნუ აბრალებ, დრო არასოდეს გვაქვს ჭარბად. ჩვენ ისეთი მახლობლები ვართ, რომ დროის პრობლემა ხელს არ უნდა გვიშლიდეს. დროისა კი არა, ჩემი ბრალია, სწორედ რომ ჩემი ბრალია.

— ზოგი მე დამაბრალე, ქალბატონო ზიზი, — თქვა სტუმარმა.

— ზოგიც მე მიწილადეთ! — აჰყვა კაკულიც.

— კაი, ეგრე იყოს, ყველამ გავინაწილოთ დანაშაული... რა კარგია, რომ მოხვედი, როგორ გამეხარდა. მიხარია, რომ ჩემი ქმარი გაგაცანი. „ეს შენ!" — ჯერ ქმარს აკოცა, მალე გამოარიდა ბაგე. „ესეც შენ!" — ახლა მეგობარს მიუშვირა ტუჩები. რა ვუყოთ, რომ ცოტა გვიან განარიდეს ერთმანეთს ტუჩები, დიდი ხნის უნახავები არიან და იქნება ეპატიოთ. — კარგ დროს მოხვედით ერთიც და მეორეც.

— ზიზი! — თვალით ანიშნა კაკულიმ.

— ეხლავე. — და ზიზიმაც უმალვე გამოალაგა შამპანურის ბოთლები, შოკოლადის ფილებიც გამოაყოლა, თვითონვე გახსნა გახარებულმა დიასახლისმა შამპანურის ბოთლი, ლაღუმის მსგავსად აბუთქა და ისე ჩააშიშინა მაღალ ჭიქებში.

ერთმანეთის ნატვრისა და გახარების სადღეგრძელო ითქვა. კაკულისა და სანოს გაცნობისაც მიაყოლეს და სამივე ჭიქა ბოლომდე გამოიცალა.

ცოტა ხნით უნდა დაგტოვოთ, თქვენ ისაუბრეთ, მე სამზარეულოში გამიშვითო, მოიბოდიშა ზიზიმ, მაგრამ მეგობარმა ხელები გაასავსავა, სამსახურში მეჩქარებაო, მიღების დღე და ღალატი არა მჩვევიაო. ასგზის მოიბოდიშა, კაკულიც გადაკოცნა, ცოლიც გადაუკოცნა (რა ვუყოთ, რომ კიდევ გაუგრძელდათ კოცნა) და ისე გამოემშვიდობა, უიმედოდ არ დატოვა მალ-მალე გინახულებთო.

გააცილა სტუმარი და გაოგნდა კაკული.

— ეს რა ხდება ჩემს თავს?! — ასგზის გაიმეორა გუნებაში.

— ყოყე!. — თავისებური ალერსით მიმართა ზიზიმ.

კაკულიმ გვიან მოხედა.

— მოდი აქ, ჩემო საყვარელო!

— აჰა, მოვსულვარ, რა გნებავს?

— დიდი მადლობა უნდა გადაგიხადო!

— რისთვის? — ისევ იმავე ხმით იკითხა.

— გულთბილობისათვის, რომ შენი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეგობარივით მიიღე ჩემი მეგობარი. ხომ იცი, ვინც არის ეგ საამაყო კაცი, შენ რომ ბაქის თვალებით შებღვირე?

— მეც ეგ კითხვა მღრღნის.

— ეგეც სიყვარულის დასტურია... ამაზეც გმადლობთ, რომ ასე გიყვარვარ, უეჭვოსაც რომ საეჭვოს ხდი...

— ვითომ?..

— ვითომ კი არა, ჩემი სიყრმის მეგობარია, ჩვენ ჯგუფური სურათიც გვაქვს გადაღებული, გინდა გაჩვენო? — და მოარბენინებს, — აი, ესაა, მეხუთე კლასის ლლაპები ვართ — ეს არის, ჩემს გვერდით რომ დგას, ხელი რომ გამოუპარებია და ბაბთას მიხსნის, თანაც ეშმაკურად რომ იკრიჭება, კაკული აკვირდება. თავიდანვე ეშმაკი და გონიერი იყო... ეხლაც მთელი ქალაქის თვალია. იცი სად მუშაობს? ცეკავშირის ბაზაში.

— ბაზა დიდია!

— ჰოდა, იმიტომაც [illegible]ს დიდი კაცი... რამდენი წელია არ მინახავს. ეხლაც საქმემ მოიყვანა, თორემ... ივნისში გვისრულდება ათი წელი საშუალო სკოლის დამთავრებისა. ამ საკითხზე შემოგვირბინა, ბანკეტი უნდა გადავიხადოთ:

— მერე, რაღას გაიქცა ფეთიანივით?

— ეჩქარებოდა, ყოყე, ჩემს გარდა, კიდევ ორმოცდაორ კაცთან იყო მისასვლელი. თანაც მიღების დღეა დღეს. მაგასთან, ხომ იცი, ქვეყნის ხალხი მიდის. და, თუ შენი ნებართვით, ჩვენს მეგობრობას განვაახლებთ, ყველაფერში გაგვემართება ხელი. რას ინატრებ, სულო და გულო, რომ ბაზაში არ იყოს... ხომ კარგი იქნება, ასეთ კაცთან სიახლოვე? — გრძელი, შეღებილი წამწამებიც ააწიპწიპა ენად გაკრეფილმა.

— რა ვიცი, აბა?!

— არა გრცხვენია, ყოყე, რომ ეგრე მწყრალი თვალებით მიყურებ?

კაკულიმ დამნაშავესავით დახარა თავი და ესლა ამოისაყვედურა:

— თუ ეგეთი მახლობელია, რატომ აქამდე არ გამაცანი.

— ამაში დამნაშავე ვარ...

— ჰოდა.

— ჰოდა, მაგასაც ახლოს გაგაცნობ, სხვაცა მყავს საამაყო მეგობრები, იმათაც გაგაცნობ, ოღონდაც... შენს გულზეც და მარიფათზეც არის დამოკიდებული.

— მე რაც შემიძლია...

— მოდი აქა, ჩემო ყოყე, მოდი, აგრემც მაგ დაბღვერილ თვალებში დაგენაცვლება შენი ერთგული ზიზი! — ისევ გაუმზიანა გუნება თავისი მომხიბლავი ღიმილით, დათაფლული ენით და მომაჯადოვებელი ქცევა-მოქმედებით.

მაგრამ მერე, კარგად რომ ჩაუკვირდა მდგომარეობას, თავდავიწყებით ჩაკონილი მეგობარი რომ ელანდებოდა, ისევ აეშალა შავი ფიქრები. მარტოობა შეუყვარდა, ღამღამობით, განმარტოვდებოდა აივანზე და ათასგზის შეაბრუნებდა მტანჯავ კითხვას: „ნუთუ?!“

თავს გაიჰამლეტებდა, მასავით ჩაუღრმავდებოდა შე[illegible]ნებელ კითხვას: „ნუთუ?!“ ჰამლეტივით სულის საშფოთად გაიმონოლოგებდა უმძიმეს პრობლემებს, რომელსაც თუნდაც „ღალატი — არღალატის“ პრობლემა დაერქმეოდა.

„ნუთუ?!“ —

ღრმა ამოოხვრას ამოაყოლებს კაკული, ნერვულად გაივლ-გამოივლის, დაკვირვებით შეათვალიერებს რბილ სარწეველა სკამზე გადანებივრებულ ზიზის და მოქანცულის კილოთი მიმართავს:

— ზიზი, ჩემო მშვენიერო ზიზი!

— ამბავი? — გაკვირვებით მიხედავს.

— ჩემი ცოდვა შენს კისერზე იყოს...

ზიზი ისევ გაკვირვებით შეათვალიერებს ქმარს და:

— ამ ბოლო დროს როგორ ბრძანდებით, ჩემო ხელმწიფევ?

— დიდად გმადლობთ, კარგად გახლავართ!

— მინდოდა უკან მომერთმია შენს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიერ ერთი დღის სიყვარულით და სიხარულით ნაბოძები საჩუქარი.

— რადა, ზიზი?

— იმიტომ, რომ შენი ახირებული ეჭვები არც შენ გასვენებს და არც მე...

— ჰაა? მაშ შენ პატიოსანი ქალი ხარ?

— მაგ კითხვით ისეთ შეურაცხყოფას მაყენებ, არასდროს არავის რომ არ დაესიზმრება.

— ლამაზიცა ხარ?

— მაგით რაღა გსურთ ბრძანოთ, ჩემო ხელმწიფევ!

— ის, რაც ბრძენ ჰამლეტს უბრძანებია: პატიოსნებას სილამაზესთან ხელი არ უნდა ჰქონდესო.

— მერე, ოფელიამ რა უპასუხა, თუ იცი?

— ისე მაქვს დაღრღნილი ტვინი, რომ აღარ მახსენდება.

— ისევ მე გაგახსენებ: „სილამაზე პატიოსნებაზე უკეთესს ამხანაგს ვერ იშოვისო“.

— მაშ შენ ლამაზიც ხარ და პატიოსანიც?

— მაგ შეურაცხყოფასაც ამატანინებს შენი სიყვარული.

— ოჰ, ზიზი, რა ხარ!

— მაგდენ ოხვრას მირჩევნია ერთი ჩვენებურად გვეცხონებინა სული.

— არა და არა! — ულონოდ ამოთქვა.

— არა და არაო? — თავისებურად მომხიბლავი ღიმილით მიხედა.

კაკულიმ უცხოსავით ცნობისმოყვარედ აათვალიერ-ჩაათვალიერა მოლიმარი ცოლი და კმაყოფილების ნერწყვი გადაყლაპა.

— მოდი, გამახარე, გენაცვალე! — ხელებიც გაუშალა ზიზიმ.

კაკულიმ თავმომწონედ გაუღიმა.

და ჩაეკონნენ.

წყეულიმც იყოს, ვინც შენზე ცუდი რამ გაივლოს გუნებაში! — ამოიჩურჩურჩულა კაკულიმ.

— ასგზის წყეული, — ჩურჩულითვე მიუგო მოალერსე ზიზიმ, ისევ გაულელა მკერდი, გრძელი თითები ჩაუსლიკინა და მოფერებით უსაყვედურა:

— ნუ ეჭვობ, შენ გენაცვალოს ჩემი სილამაზე და ჩემი სიცოცხლე, მართალია, დიდი ეჭვი დიდმა სიყვარულმა იცის, მაგრამ არ დაგავიწყდეს ეჭვით გაგიჟებული ოტელო და უცოდველი დეზდემონა.

— „ვაჰმე, დილილმე, დილილმე...“ — უფრო მეტი მონდომებით ჩაიჩურჩულ-ჩაიმღერა ზიზიმ:

— „ნეტავი როდის მეღირსოს...“ — ისევ მიუბანა ალერსით გამობრუებულმა ქმარმა.

მაშინ ეგრე იყო, მაგრამ მერე?

„ნუთუ?“ — ხანდახან წამოუცოცხლდებოდა ხოლმე ის ავბედითი კითხვა და ისევ დაასკვნიდა:

„არა, არამც და არამც არ დავიჯერებ ჩემი ზიზის ღალატს, შეიძლება გამირისხდეს, დროებით შემომწყრეს კიდეც, გამთათხოს, გამამჩვაროს, უკანასკნელი მიწოდოს, მაგრამ ბოლოს გამოიდაროს, გულიდან გადაიყაროს ყველაფერი და ისევ ის ზიზი გახდეს, ჩემი ულამაზესი და უერთგულესი ცოლი. ვერა, ყველაფერს დავიჯერებ, მაგრამ ზიზის ღალატს არა და ვერა“!

მაშინ ეგრე დაითრგუნა და სულაც გაიქრო ეჭვი.

ეხლა?!

ეხლა, როცა ასე გათათხულ-გალანძღული და დამჩვარებულია ლამაზი ცოლისაგან, ეხლა სულ სხვანაირი თვალით და გულით უცქერის მას. სულ სხვა გაფაციცებით უსმენს იმ მოენეთა ჩურჩულ-შეგონებებს და ქარაგმა-მინიშნებებს. ითმენს და გულზე ხელს იბაგუნებს.

საბოლოოდ დაასკვნის, რომ იმ ბავშვობისდროინდელი მეგობრის კოცნა კუროსებრი კოცნა იყო და არა მეგობრული ამბორიო, საბოლოოდ დარწმუნდება ცოლის ღალატში და კიდევ უფრო მოემძლავრება სიძულვილი

---

**გიორგი ხორგუაშვილი**

შესდექ, სატანავ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავის თავისაც და წინ მდგომი მოგვირგვინისაც, რომელმაც ასე გალანძღა და გათათხა. ყველაფერს აპატიებს და ღალატს ვერა. როგორ, ვაჟკაცი არ არის! რითია ოტელოზე ნაკლები? უნებლიედ მიედარა შავ რაინდს და გულში ჩაიტირ-ჩაიღიღინებს:

„ოტელო ვარ ეჭვით სავსე,
გესმის, გესმის, დეზდემონა?“

უფრო ღრმად ჩაუფიქრდება თავის შავ ხვედრს და საბოლოოდ დაასკვნის: „არა, ოტელო რა მოსადრეკელია ჩემთან. მე მასზე ათჯერ უფრო შავ დღეში ვარ. ის მხოლოდ ეჭვით იყო უბედური. მე კი ეჭვითაც და... თქმაც კი მიჭირს ბედკრული.

მას კეთილი ნიღბით დამშვენებული ბოროტი სული აეჭვებდა, მე კი ჩემმა ალალმართალმა მახლობლებმა მამცნეს... ოტელო მხოლოდ და მხოლოდ ცხვირსახოცით დაარწმუნეს ყალბი ამბავი რომ იყო გამოკრული შიგა, მე კი ჩემი თვალით მინახავს, როგორ ეალერსებოდა ბავშვობისდროინდელი მეგობარი... ეს რაც მითხრეს და ჩემი თვალით მინახავს. რაც ვერ მითხრეს და არ მინახავს?! ამას დაუმატეთ კიდევ ერთი დიდი უბედურება. გაუთავებელი ლანძღვა და დამცირება იმავე ლამაზი ცოლისაგან, არაერთგზის რომ უღალატია ჩუმ-ჩუმად. ათგზის უბედური ვარ ვენეციელ მავრთან შედარებით და ათგზის მმართებს შურისძიება. რატო ოთხმოცი ათასი თავი არ აბია ჩემი თავისმომჭრელის ტანსა, რომ ოთხმოციათას საათს ვახრჩო შეუსვენებლად. ეგება მაშინ მაინც ვიჯერო გული შურისძიებითა.“

დიახ. ასეთ შავ ფიქრებში ატივტივდება კაკული. გულში ჩაიწურავს ნაღველს და ოტელოს დაემსგავსება ეჭვიანობაში. სიშმაგესა და შურისძიებაში თავს გაიმძვინვარებს, თვალებიდან ცეცხლს დაკვესავს, კბილებს დააკრაჭუნებს. ძარღვებს დაიბერავს, ხელებს აიკანკალებს. ვეფხვის კლანჭებივით მოიკაუჭებს თითებსა და:

— შენ გელის დეზდემონას ხვედრი! — ცახცახით მიმართავს ზიზის, რომელიც სრულიად მშვიდად ისმენს განაჩენს, თავისებურ მომხიბლავ ღიმილს ივლებს სახეზე და შეღებილი წამწამების წიპწიპით შეიცხადებს:

— მეე?!

— ჰო, შენ, ასგზის წყეულო!

— მიზეზი?

— უთვალავი! — ნიშნის მოგებით და გაცეცხლებული მიახლის.

— არა გრცხვენია, ყოყე?! — უფრო დაიტკბობს ენას, უფრო გაიუხვებს ღიმილს, თვალებში მეტ სითბოს ჩაიყენებს და მომხიბლავად მიაშტერდება.

ზიზის ასეთი მზერით, ამ თვალებით და ამ ღიმილით კაკულის გაახსენდება პირველი ხიბლი, პირველი კოცნა, პირველი ალერსი, პირველი თავდავიწყება, უნებლიედ წამოაგონდება თავისი სიტყვები: „ერთ წამსაც ნუ მიცოცხლია უშენოდ!.. უწინ ჯოჯოხეთის კუპრში ჩავვარდე, ვიდრე გიღალატო!“ — და აელანდება მის მკერდზე განაბული ზიზი, ამ სიტყვებს რომ ისმენდა და საპასუხოდ ეჩურჩულებოდა. სხვა, უამესი დღეებიც დაეხატება თაფლობის ჟამისაც და სხვა დროსაც გამორჩეული, დაეხატება და უცებ შეყოვნდება.

— შესდექ, სატანავ! — წამოიყვირებს შეშლილივით.

— ჩემს მიმართ ბრძანებთ მაგ სიტყვებს, ჩემო ყოყე?! — ისევ მომხიბლავად მოეპირმცინარება ზიზი.

— არა, მე მივმართავ სატანას საზოგადოდ, რომელიც ყველა ადამიანში ბინადრობს! — მოგრეხილი ხმით ამბობს კაკული.

ზიზი წამწამებდახრილი იღიმება ფრესკის ანგელოზივით, იღიმება გამოუცნობლად და მრავლისმეტყველად.

„ოჰ, რა მომაჯადოვებელი ხიბლი გაქვს!“ — თრთოლვით იტყვის კაკული თავისთვის. მზად არის ფარ-ხმალი დაყაროს ამ ხიბლის წინაშე, მაგრამ გაახსენდება მწარე დღეები და განსაკუთრებით დღევანდელი ლანძღვა და მაშინდელი ღალატი, თავის თვალით რომ იხილა: და ისევ მოეძალავრება სიძულ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვილი თაკისი თავისაც და ზიზისაც, მოეძალება და ისევ მოივეფხვებს თავსა და ოტელოსავით მტკიცედ შესძახებს:

— შესდექ, სატანავ!

— ვის გულისხმობ, საყვარელო, მაგ სატანაში? — ისევ იფრქვევს მომხიბლავ ღიმილს ზიზი.

— უწინარესად შენ! — ჯიბრით მიახლის.

— არა გრცხვენია, ყოყე?

— არა, მე აღარაფრისა და აღარავისი არ მრცხვენია, იმიტომ, რომ შენ თვითონ არა გრცხვენია დიდი ხანია, აღარც ჩემი და აღარც სხვისი.

ზიზი თვალებიდან ცრემლის კურცხალს გადმოაგდებს.

კაკულის გული შეუჩუყდება და მონანიების ცრემლად მიუთვლის. „ცრემლი ადამიანს წმენდს ცოდვებისაგან, აკეთილშობილებს და ამაღლებს!“ — გაახსენდება ვილაცისაგან გაგონილი. მოკრძალებით მიუახლოვდება, იმის სურვილიც დაებადება, რომ ფრთხილად გადაეხვიოს და ნაზად აკოცოს, რომ არაფერი ავნოს მის ნაზ კანსა; დიახ, გული აუჩუყდება და თავადაც წამოსცვივა ცრემლები, რომლებიც ღია უბეში ჩაეწვეთება ზიზის...

მაგრამ კვლავ გაახსენდება, რომ იმ უბეში სხვასაც უხელავია, გაახსენდება წელანდელი მიწასთან გასწორებაც, ადრინდელი სიმწარეც, უცებ გამოშორდება და შესძახებს:

— ო, არა, არა, მაგ ცრემლებით ვერ მომილბობ გულსა, მაგ ცბიერი თვალებით ვეღარ დამაბამ! — და საბოლოოდ გადაწყვეტს, რომ ანგარიში გაუსწოროს, ოტელოსავით იძიოს შური. ეს გადაწყვეტილება მტკიცეა, ურყევი და უშეღავათო. მას ვეღარ გადაათქმევინებს ვერავინ და ვერავითარი ძალა, თვით სიცოცხლის შემოქმედი და სიყვარულის ღმერთიც კი... ჰოდა, მოივეფხვა და მოიოტელოვა თავი.

„ნეტავი ასი ათასი თავი ებას და ასი ათას საათს მაკვლევინა ეს კახპა დედაკაცი!“ — ამას მხოლოდ თავისთვის იტყვის, ცოლს კი ცრემლნარევად უბრძანებს:

— მოინანიე ცოდვები!

— ჩემი ცოდვა ჩემი სილამაზე და სიკეთეა!..

— კიდევ?

— კიდევ შენი ერთგულება და სიყვარული, ჩემო ყოყე! — კვლავ მომხიბლავი ღიმილით მიმართავს.

— ეს თვალთმაქცობაა!.. — ულონოდ ამოთქვამს.

— მაღლა ღმერთი და ძირს დედამიწაა მოწმე!

— ო, არა, ვეღარ მომიბრუნებ გულსა. ილოცე სიკვდილის წინ!

ზიზი პირჯვარს გადაისახავს და:

— ღმერთო, მიცოცხლე ჩემი ყოყე და გონს მოაგე!

— მე უკვე მოგებული ვარ გონსა.

— ამინ! ამინ! ამინ!

— შედი შენს საძინებელში.

ზიზი მშვიდად შედის.

— დაწექი შენგანვე შეგინებულ და შერყვნილ ტახტზე!

ზიზი ამ ბრძანებასაც აუღელვებლად ასრულებს.

— თქვენ გევედრებით ყველა ძალავ, ყველა ღმერთო და სალოცავო, გული ქვად მიქციოთ, რომ ბოლომდე მივიყვანო განაზრახი, მოვსპო ჩემი თანამეცხედრე — ლამაზი ბოროტება, მოვსპო, რომ აღარ დამადგას რქები, აღარც მამოს და აღარც გამამწაროს. მეც წავიგვარო მისი მშვენიერება და სხვასაც მოვუსპო მისით გახარების წყარო. მოვსპო ისე რომ გახსენებითაც აღარ გამახსენდეს აღარც მისი გამაბრუებელი ღიმილი, აღარც მისი ღალატი და აღარც მისი ლანძღვა-დამცირება, ამასღა გევედრებით მხოლოდ, ყველა ძალავ და ყველა ღმერთო! — პირჯვარს გადაისახავს კაკული, საბოლოოდ მოიოტელოვებს თავსა და დასახრჩობად მიუახლოვდება ტახტზე გულაღმა მწოლიარე თანამეცხედრეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჰა, უნდა ეკეს და წააჩრჩოს, საამ-განზრახვოდ დაიხრება ხელებდატორი-ლი, მაგრამ...

ჰოი საოცრებავ!

გულაღმა მწოლიარე მხარ-მკლავ-მუ-ხლებ მოშიშვლებული ცოლი ერთ-დროულად შეაგებებს მომაჯადოვებელ ღიმილსა და გამახარე ხელებს და გონა-რეული ქმარიც უნებლიედ ჩაეკონება...

ჩაეკონება და ერთბაშად გამოიცვ-ლება. სულიერი ტკივილ-ვნება სიხა-რულ-სიყვარულის ვნებად შეეცვლება. თავდავიწყებას მიეცემა. ეგრე უანგა-რიშოდ ნეტარებს და თავის თავისა თვითონვე უკვირს, როგორ მოხდა ყო-ველივე ეს. ამ ფიქრისთვისაც აღარ ხარჯავს წუთებს, ნეტარებს და სულ წაეშლება დღევანდელი წყენაც და ად-რინდელიც. ამ ნეტარების წუთი სულ გადასწონის ათასობით უამურ დღე-ებს. ნეტარებს და ეჭვის ნატამალიც კი ეშლება გულიდანაც და გონებიდანაც. ნეტარებს და თავს იკიცხავს, რატომ აწყენინა თავის სათაყვანებელ ზიზის ან დღეს და ან სხვა დროს.

— რატომ მიწყრებოდი, ჩემო ყოყე?! — შემოჰღიმის ზიზი.

— კარგი, ნუღარ გამახსენებ! — და თავდავიწყებით ეალერსებოდა.

— ეჭვის ბრალია, ხომ, საყვარელო?!

— კი.

— ეგეც არაფერი, ჩემო სიცოცხლევ, ეჭვი სიყვარულის თანახვედრია! — ღი-მილს არ ილევს ზიზი, თანაც შეჰღიღი-ნებს:

— ახმე, დილილმე, დილილმე,
დამტოვე დაბნედილი მე,
კაბისა ზორტი შემიხსენ,
და პერანგისა ღილი მე.
ნეტაი როდის მეღირსოს
შენთან წოლა და ძილი მე,
თვალ-ქოჩორ გადახატულო,
ტანო ალვისა, ჰირიმე!

შეჰღიღინებს და თან ეფერება მე-ლოტ თავზე ხელის მოსმითა, თვალ-წინ კი ქოჩორიანი ვაჟკაცი უდგას.

— „ნეტაი როდის მეღირსოს“.

შენთან წოლა და ძილი მე... — თრთოლვით მიუმღერებს სიამ-სიხარუ-ლით გაბრუებული ქმარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტონ ჩეხოვი

# თაღლითები

გენერლის ქვრივი მარფა პეტროვნა პეჩონკინა, გლეხები რომ პეჩონჩიხას ეძახიან, აი ის, ათი წელი რომ შეალია ჰომეოპათიის სამსახურს, მაისის ერთ სამშაბათ დღეს ავადმყოფებს იღებს თავის კაბინეტში. მაგიდაზე ჰომეოპათური აფთიაქი, სააფთიაქო დავთარი და სამკურნალო წიგნი ულაგია. კედელზე ჰკიდია ოქროს ჩარჩოებში ჩასმული წერილები მავანი პეტერბურგელი ჰომეოპათისა. მარფა პეტროვნა განთქმულ და, თქვენ წარმოიდგინეთ, დიდ მეცნიერადაც რომ მიიჩნევს. აქვეა მამა არისტარქის პორტრეტიც. გენერლის ქვრივი სწორედ მას უმადლის გადარჩენას: მან აალებინა ხელი დამღუპველ ალოპათიაზე და ჭეშმარიტებას აზიარა. მოსაცდელში ხალხმრავლობაა. უმრავლესობა ტეტია გლეხები არიან. ყველა პაციენტი, გარდა თითოოროლა კაცისა, ფეხშიშველაა, ვინაიდან აყროლებული ჩექმებით გენერლის ქვრივთან შესვლა აკრძალული აქვთ.

მარფა პეტროვნამ უკვე ათი პაციენტი გაისტუმრა და მეთერთმეტეს იძახებს:

გავრილა გრუზდი!

კარი იღება და ოთახში ჩია ტანის სახემოღუშული მოხუცი შემოდის. იღლიაში ქუდი ამოუჩრია. მაგრამ იგი გავრილა გრუზდი კი არა, ზამუხრიშინია, გენერლის ქვრივის მეზობელი, ოდესღაც მდიდარი, ახლა კი გაღატაკებული მებატონე. ზამუხრიშინი ჯოხს კუთხეში აყუდებს, გენერლის ქვრივს უახლოვდება და ხმისამოუღებლად მუხლს იყრის მის წინაშე.

— რას სჩადით! როგორ გეკადრებათ, კუზმა კუზმიჩ! — შეძრწუნებას ვერ ფარავს სახეალეწილი გენერლის ქვრივი, — თუ ღმერთი გწამთ, წამოდექით!

— ვიდრემდის პირში სული მიდგას, არ ავდგები — ამბობს ზამუხრიშინი და თან ხელზე კოცნის. — დაე, ქვეყანამ ნახოს, მუხლმოყრილი რომ ვდგავარ თქვენს წინ, ჩვენო მფარველო ანგელოზო, კაცთა მოდგმის მწყალობელო! დაე, მნახონ!... რომელმაცა რომა, მფარველმა ფერიამ სიცოცხლე მაჩუქა, მაჩვენა გზა ჭეშმარიტებისა და განანათლა ურწმუნოება ჩემი სკეპტიკური, მისი გულისათვის მუხლზე დავდგები კი არა, ცეცხლში ჩავვარდები, მკურნალო ჩვენო სასწაულებრივო, ქვრივ-ოხრების დედავ და პატრონო! მოვრჩი! მკვდრეთით აღვსდექი, ჯადოქარო!

— მე... მე... ძალზე მიხარია... — ლუღლუღებს კმაყოფილებისაგან სახეაჭარხლებული გენერლის ქვრივი. — რა კარგია სალ-სალამათს რომ გხედავთ... დაბრძანდით, გეთაყვა! იმ სამშაბათს ხომ ისე ცუდად იყავით!

— ცუდადო! ისე ვიყავი, გახსენებაც კი მზარავს! — ამბობს ზამუხრიშინი და სკამზე ჯდება. — რევმატიზმმა სული ამომხადა. მთელი რვა წელი ვიტანჯე, მოსვენება არ მქონია... არც დღე და არც ღამე, ჩემო მწყალობელო! ვისთან არ ვიყავი, ექიმებთანაც ვწამლობდი, პროფესორებსაც ვეჩვენე ყაზანში, ათასგვარი ტალახიც ვზილე და წყლებითაც გავიჭყიპე. ყველაფერი ვცადე, მაგრამ რა? ექიმების გადამკიდემ მთელი ქონება გავანიავე. საშველი კი არ დამადგა. ჩემო მშვენიერო ქალბატონო! ეს იყო მხოლოდ, რომ ავადმყოფობა შიგ შემიქციეს. შექცევით კი შემიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციეს, მაგრამ ველარ გამოდევნეს ოჯახქორებმა. ფულის აღება, იცოცხლე, უყვართ არამზადებს, კაცობრიობის საკეთილდღეოდ კი ხელის განძრევა ეზარებათ. გამოგიწერს რომელიმე მკითხავი წამალს. შენ კი უნდა მოსდგე და სვა. ერთი სიტყვით, სულთამხუთავები არიან. თქვენ რომ არა, ჩვენო ანგელოზო, სამარეში ამოვყოფდი თავს! დავბრუნდი სახლში იმ სამშაბათს, დავცქერი თქვენგან მოცემულ მარცვლებს და ვფიქრობ: „აბა რაში გამომადგება? განა ეს ერთი ბეწო ნამცეცები მომირჩენს ამ საშინელ ავადმყოფობას, ასე რომ გაიდგა ფესვი-მეთქი!" — ვამბობ ურწმუნო თომასავით და მეღიმება, მაგრამ როგორც კი ერთი მარცვალი გადავყლაპე, მაშინვე მომიხდა! გულზე ისე მომეშვა, თითქოს თავის დღეში ავად არ ვყოფილიყავი. შემომცქერის ცოლი, თვალები გადმოცვენაზე აქვს და არა სჯერა: „კოლია, ნუთუ ეს შენა ხარ?" — მე ვარ-მეთქი, ვპასუხობ. ჰოდა, დავიჩოქეთ ხატის წინ და თქვენთვის, ჩვენი ანგელოზისათვის, ლოცვა დავიწყეთ: „მიაგე, უფალო, მას ყოველი, რასაც ჩვენ ვგრძნობთ!".

ზამუხრიშინი თვალზე მომდგარ ცრემლებს სახელოთი იწმენდავს, სკამიდან დგება და კვლავ მუხლის მოყრას აპირებს, მაგრამ გენერლის ქვრივი არ ანებებს.

— მე ნუ მიხდით მადლობას! — ამბობს იგი, აი, უკვე მერამდენედ წითლდება მღელვარებისაგან და აღტაცებით შეჰყურებს მამა არისტარქის პორტრეტს. — ნუ მიხდით! მე მხოლოდ მორჩილი იარაღი ვარ. სასწაული მოხდარა. ღმერთმანი! ძირძველი, რვაწლიანი რევმატიზმი ერთმა მარცვალმა როგორ გააქრო!

— მაშინ თქვენ სამი მარცვალი მიბოძეთ. ერთი სადილობისას გადავყლაპე და მაშინვე მომეშვა! მეორე — საღამოს, მესამე კი — მეორე დღეს, — ჰოდა, მას მერე ჩემზე სალსალამათი აღარავინ მეგულება. რამე მაინც წამომტკენოდა! არადა უკვე სასიკვდილოდ ვიყავ გამზადებული, ვაეს მივწერე მოსკოვში, ჩამოდი-მეთქი! ღმერთმა გიწყალობათ სიბრძნე, მკურნალო ჩვენო! ახლა დავდივარ და თავი სამოთხეში მგონია... იმ სამშაბათს, თქვენთან რომ მოვედი, ვკოჭლობდი, ახლა თუგინდ კურდღელს გამოვედევნები... ას წელს ისე ვიცოცხლებ, როგორც დაგიბარებიათ! ეს კია, — გაჭირვება თავბედს მაწყევლინებს. ჯანმრთელი ვარ, მაგრამ რად გინდა ჯანი, თუკი სიღატაკეში გძვრება სული. გაჭირვება ავადმყოფობაზე მეტად მომერია. რაღა შორს წავიდე... ახლა შვრიის დათესვის დროა, მაგრამ რას დათესავ, თესლი თუ არა გაქვს? ბარემაც საყიდელია, მაგრამ... ქვეყანამ იცის, რა ფულის პატრონიცა ვარ...

— შვრიას მე მოგცემთ, კუზმა კუზმიჩ... იჯექით, იჯექით! ისე გამახარეთ, ისეთი დიდი სიამოვნება მომანიჭეთ, რომ თქვენ კი არა, მე უნდა გიხდიდეთ მადლობას!

— სიხარულო ჩვენო! ღმერთო, როგორ შეჰქმენი ასეთი სიკეთე! გიხაროდენ, ქალბატონო, შემყურეს თქვენის კეთილის საქმეებისას. ჩვენ კი, ცოდვილებს, რა გაგვახარებს. პატარა ხალხი ვართ, ჯაბანნი, უსარგებლონი... წვრილფეხობა... აზნაურები მარტო სახელად გვქვია, თორემ შეძლებით რაღა გლეხები და რაღა ჩვენ. ეგ კი არა, უარესადაც ვცხოვრობთ... კაცს რომ ჰკითხო, ქვის სახლები გვაქვს. მაგრამ რა, ესეც მირაჟია და სხვა არაფერი. სახურავიდან წყალი ჩამოდის და იმიტომ, ყავრის საყიდელი ფული კი არ გაგვაჩნია.

— ყავარს მე მოგცემთ, კუზმა კუზმიჩ!

ზამუხრიშინი მარფა პეტროვნას კიდევ თხოვს ძროხას. სარეკომენდაციო ბარათს ინსტიტუტში მოსაწყობი ქალიშვილისათვის... გენერლის ქვრივის სიუხვით შეძრული ბერიკაცი გრძნობებს ვერ უმკლავდება, სლუკუნებს და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყბა გვერდზე ექცევა. მერე ჯიბიდან ცხვირსახოცს იღებს... გენერლის ქვრივი ხედავს, რომ ზამუხრიშინის ჯიბიდან ცხვირსახოცს რაღაც წითელი ქაღალდი მოჰყვება და უხმაუროდ ეცემა იატაკზე.

— უკუნითი უკუნისამდე არ დაგივიწყებთ... — ბუტბუტებს ზამუხრიშინი. — შვილებსაც ვუანდერძებ, რომ ახსოვდეთ, შვილიშვილებსაც... თაობიდან თაობას გადასცემენ თქვენს სახელს... აი, შვილებო, ის ქალი, რომელმაც სიკვდილისაგან მიხსნა-მეთქი, რომელმაც-მეთქი...

გენერლის ქვრივი აცილებს თავის პაციენტს და ერთხანს ცრემლჩამდგარი თვალებით შეჰყურებს მამა არისტარქს. შერმე ალერსით, სასოებით მოავლებს მზერას ათთიაქს, სამკურნალო წიგნს, ანგარიშებს, იმ სავარძელს, რომელშიაც ეს წუთია მის მიერ სიკვდილს გადარჩენილი ადამიანი იჯდა, და თვალში ის ქაღალდი ხვდება, ზამუხრიშინს რომ დაუვარდა. გენერლის ქვრივი იღებს ქაღალდს და ხსნის. ქაღალდში სამი მარცვალია გახვეული, სწორედ ის მარცვლები, გასულ სამშაბათს რომ მისცა ავადმყოფ ბერიკაცს.

— ეს მარცვლები მე არ მივეცი?!.. — საგონებელში ვარდება იგი. — ქაღალდიც რომ იგივეა... არც კი გაუხსნია! მაშ, რაღა დალია? საოცარია, ღმერთმანი... ტყუილს როგორ მკადრებდა!

და გენერლის ქვრივის სულში, პირველად ამ ათი წლის მანძილზე, ეჭვი ისადგურებს... იგი იძახებს დანარჩენ ავადმყოფებს, ესაუბრება მათს სნეულებაზე და ამჩნევს იმას, რასაც ადრე სულაც არ აქცევდა ყურადღებას. ყველა ავადმყოფი ისე იქცევა, თითქო პირი შეუკრავთო — ჯერ ხოტბასასხამენ მათ სასწაულებრივ მხსნელს, აღტაცებას გამოთქვამენ მართა პეტროვნას სამკურნალო განსწავლულობით მოხიბლულნი, ქოქოლას აყრიან ექიმალოპათებს, მერე კი, როცა ხოტბაშესხმულ გენერლის ქვრივს სახე სიამოვნებისაგან ეტკრიცება, თავიანთ გაჭირვებაზე ეწუწუნებიან. რას აღარ სთხოვენ: ერთს სახნავი მიწა სჭირდება, მეორეს — შეშა, მესამეს — პეჩონკინასეულ ტყეში ნადირობის ნებართვა. ზოგს რა და ზოგს რა.

გენერლის ქვრივი შეჰყურებს დიდკეთილ ფიზიონომიას მამა არისტარქისას, რომელმაც ჭეშმარიტება შეაცნობინა და ახალი ჭეშმარიტება ულრღნის სულს. ჭეშმარიტება ავი და სამძიმო...

მზაკვარია ადამიანი!

თარგმნა ზაალ ბოტკოველმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 90 — გალაკტიონ ტაბიძე — 90

## ო, კოსმიურო, ერთადერთო, მძლავრო მუსიკა!

მოგისმენიათ მთვარიანი ღამე?

როგორ წკრიალებენ ვარსკვლავები, როგორ შრიალებენ მთვარის სიზმრები. შენ უკვე ღამის ნაწილი ხარ და მიფრინავ, აღარ გინდა იყოს ის, რაც იყავი. შენ მიდიხარ, მაგრამ ისევ დაბრუნდები — შენ ჩამოჰყვები თოვლსა და წვიმას, გათხოვილი ვარსკვლავის სინათლეს, გადამფრენი წეროების ხმას. შენ დაბრუნდები, რომ მერე გვითხრა:

ერთი მეგობრისთვის უთქვამს: „გამოდი გარეთ, ღამე სიგრილეა, სიწყნარეა, სისუფთავეა... ღამით ვიცხოვროთ, დღისით დავიძინოთ. მე წაგიყვან ქალაქგარეთ, კოჯორში, მანგლისში, წყნეთში. დილით ისევ თბილისში დავბრუნდეთ და მოვისვენოთ!“

„მე არაერთხელ მქონია ფრთები. თავბრუდამხვევი სიმაღლით მქროლი, ლურჯი ტრიალით ბრუნავდნენ მთები და ირყეოდა ლაჟვარდი ბროლი“.

მოგისმენიათ მშობლიური მდინარე?

შენი მდინარე, მარადიული. ამ მარადიულობით საშინლად უცხო და შორეული, მაგრამ მაინც შენი, შენი გამზრდელი, შენი აკვანი, შენს გვერდით მწოლი. ის ტალღებს ხელებივით გიწვდის, თითქოს უნდა, რომ მოგეფეროს, დაგაიმედოს, ჰრილობებზე დაგეფინოს... ვის დუნაი ზრდიდა და ვის სენა, ვის მისისიპი და ვის — იანძი, ვის ვოლგა და ვის — რაინი. „ქვევით, სულ ახლოს რაინი მიედინებოდა... მდინარე ბავშვს ცოცხალ არსებად ეჩვენა. უცნაურ, მაგრამ ყველა მისთვის ცნობილ არსებებზე განუზომლად უფრო ძლიერ არსებად! სად მიდის იგი? რა სურს მას?.. რა ბედნიერებაა, მდინარეს ჰგავდე, იდინო მდელოთა და ტირიფებს შორის, მოციმციმე ქვიშასა და შხრიალა სილაზე და არაფერზე არა ზრუნავდე. არაფერი არ გავიწროვებდეს, თავისუფალი იყო!.. (რ. როლანი — ჟან კრისტოფი).

მას კი რიონი ზრდიდა. დიდი, დაფიქრებული, სევდიანი მდინარე.

ამ მდინარეს დაუსრულებლად ჩამოჰქონდა თოვლიანი მთების მუსიკა და ამირანის სისხლი. ახლა კი პოეტის სულიც შეუერთდა. შეერია და სხვანაირი გახდა.

მოგისმენიათ დაბურული ტყე?

გესმის ბავშვობის შორეული ძახილი — რა გზებს გადმოჰყვა ის ძახილი, რა ქარებმა გადმოიტანეს? აი, ის — ჩემი პირველი სიყვარული, აი, ის — ადგილის დედის ჩურჩული... გლოცავს? გაიმედებს? გიჯავრდება?

პოეტის ერთი ახლობელი იგონებს: „ძალიან უყვარდა ვერის ხიდის ყურესთან, მტკვარსა და კლდეებს შეზრდილი ხეები და ბუჩქები. მახსოვს ერთხელ, ვერის ხიდზე გადავლისას გალაკტიონი მაჩერებს და მეუბნება — ძამიკო გიგლა, ამ ხესაც მოჰრიან, შეხედე რა სილამაზეა, რა მშვენიერებაა... არა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინმეს უნდა დავახატვინო, არ შეიძლება ამ სიმშვენიერის ასე უგზოუკვლოდ გაქრობა“.

„ატმის ხე იდგა, ვით ნაზი ქალი, ვით დედოფალი უცხო მხარეში“. „ვერხვის შრიალი, ამო და უცხო შრიალი გესმის?“. „ოჰ, ეს ფოთლები, ფენილი ქარით, ეს მწუხარე და ნაზი ზმანება, ეს ყვავილები, ეს ცა, მითხარით, არავის თქვენგანს არ ენანება?“.

ტიციან ტაბიძეს დაუწერია: „გალაკტიონ ტაბიძის ლექსი უჩვეულო მოკლე სიტყვებში იშლება, მას აქვს რაღაც ჯადო, რომლითაც სულ უბრალო ფერადები წარმტაცად ბრწყინავენ, უბრალო სიტყვები რიტმულად ქღერენ, თითქოს ფერხულს უვლიან ნიავის ველურ სიახლეში“.

ყოველ დიდ ხელოვანს თან დაჰყვება ხოლმე ეს ჯადო — გრძნეულების ნიშანი და იგი ამ ნიშნით გარდაქმნის, ღებავს, ძველ შინაარსს უცვლის ყოველივეს, ქმნის ახალ მიმართებას. ყოველ ასეთ ახალ სამყაროს თავისი შინაგანი მუსიკა აქვს — ეს მუსიკა არ ისმის, მაგრამ არსებობს, როგორც ჰაერი, ურომლისოდაც ვერ იფრენდნენ ფრინველები.

გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერი: „პოეზიაში არის მუსიკა... არა ნიუანსების (ვერლენი), არა არტიკლების (გერმანელი პოეტები), არამედ ნიჭის, ნიჭის და კიდევ ნიჭის... სიტყვა არც რომანსია, არც სუიტა, არც ოპერა. სიტყვას ჰყავს თავისი კომპოზიტორები, სიტყვა გამოძახილია მხოლოდ სხვა დიდი მუსიკისა, რომლის სახელიც უნდა მოიძებნოს“.

სისხლივით უდგას ის დიდი მუსიკა სვეტიცხოველს, ბაგრატის ცადასროლილ ტაძარს, მეგრულ „ივანანას“, ფიროსმანის ტილოებს, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას. ეს მუსიკა შეერთებულია მთვარის ღვთაების თმებით, შედუღაბებულია ამირანის სისხლით, განათებულია ბრძოლის ველზე აელვებული ხმლის პირებით. ის ყოველივე დიადის და გადამრჩენლის სათავე და დედაა, ეროვნული რწმენის საფუძველია, ჩვენი ხალხის მიერ დაღვრილი ოფლისა და სისხლის საფასურია.

პოეტების უმრავლესობა „პოეტის“ გარდა კიდევ სხვა „რაღაცაა“. ისინი მთელი არსებით ვერ შედიან ცეცხლის მდინარეში, ვერ დგებიან მთვრალი ქარების პირისპირ. ერთი სიტყვით, უმთავრესი მსხვერპლის გარეშე ქმნიან — მათ ლექსებს თავგანწირვა არ სჭირდება.

მეორე მხარეზე კი ე. წ. „დაწყევლილი პოეტებია“, ვისაც უკურნებელი სენივით სჭირს ლექსი. მათ ყველაფერი, რასაც კი ჩვეულებრივი ადამიანური ბედნიერება ჰქვია, თავისი მრისხანე ღვთაების სამსხვერპლოზე მიაქვთ. მათი კარ-მიდამო სიკვდილის კარ-მიდამოს ემეზობლება... ემპედოკლე ეტნას კრატერში ჩაეშვა, ტვინში სისხლჩაქცეული ბოდლერი დაწყევლილი სიკვდილით მოკვდა, გეორგ თრაქლი სიგიჟის კოშმარმა ჩაიხვია. გალაკტიონ ტაბიძე იმ დიდი მუსიკის ფრთებით გაფრინდა ცაში. არა, ზღაპრული ფასკუნჯი ისე არ აგიყვანს მაღლა, თუ შენი ხორცის ნაჭერიც არ ჩაუდე პირში!

ო, კოსმიურო, ერთადერთო, მძლავრო მუსიკა!

**მამუკა წიკლაური**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გალაკტიონის ტყვეობაში

ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას: რუსთაველის შემდეგ არც ერთ პოეტს არ მოუხდენია ისეთი მძლავრი ზეგავლენა მის თანამედროვე და მომდევნო თაობების პოეტების შემოქმედებაზე, როგორიც გალაკტიონ ტაბიძემ. ეს გავლენა დღესაც გრძელდება. გაივლის დრო და ლიტერატურის ისტორიკოსი მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის შეფასებისას დასძენს: მეოცე საუკუნის ქართული პოეზია, ძირითადად, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ტყვეობაში აღმოჩნდა.

ყოვლისმომცველი ჰარმონია გალაკტიონის ლექსისა დააქუცმაცეს, დაინაწილეს სხვა თაობების პოეტებმა და შექმნეს მიკროსამყაროები — განსხვავებული, თავისებური — პოეტური მიკროსამყაროები, რომელთაც მანამდე მთლიანად ფლობდა „უშიშარი ლომი“ („მე უშიშარი ლომი, მოპოვებული მსხვერპლით“...).

არიან პოეტები, რომელთა შემოქმედებაშიც კრიტიკოსები ცალკეულ თვისებებს გამოჰყოფენ და აღნიშნავენ: ეს პოეტი პეიზაჟის ოსტატია, ის კიდევ განსაკუთრებული მუსიკალობით გამოირჩევა, მესამე ღრმად მოაზროვნეა და ა. შ. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ვერცერთ პოეტურ თვისებას ვერ წამოსწევ წინა პლანზე. იგი თანაბრად ფლობს ყველა პოეტურ საიდუმლოს.

მრავალი გამოკვლევა დაიწერა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე, მათ შორის რამდენიმე მეტად საინტერესო. მომავალ ლიტერატურისმცოდნეებს გალაკტიონის შემოქმედებაში ბევრი რამ ექნებათ საკვლევი, საძიებელი, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ: მისი შემოქმედება ბოლომდე „დაზუსტებული“ არასოდეს იქნება. მომავალში, ალბათ ყველაზე საინტერესო თემას აღმოაჩენენ: გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება და მეოცე საუკუნის ქართული პოეზია, რომელშიც ლიტერატურათმცოდნე შეეცდება მოხაზოს რა მასშტაბების და რა სახის გავლენა მოახდინა მისმა შემოქმედებამ მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაზე.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ტყვეობიდან თავის დახსნა ურთულესი საქმეა. მრავალმა ვერ შეძლო. ვინც ვერ შეძლო დღესაც გალაკტიონის ლექსების სუსტ ასლებს აკეთებს. მე მათ არ ვამტყუნებ, მათი ბრალი არაა. გალაკტიონის პოეტური სტიქიის ბრალია, დიახ, სტიქიის. მე ეს სიტყვა შემთხვევით არ გამახსენდა; იგი ზუსტად განსაზღვრავს გალაქტიონის პოეზიის ზებუნებრივ სიძლიერეს, სტიქია — რომელსაც „უშიშარი ლომი“ „თავს დაატეხდა“ მკითხველებს და უპირველეს ყოვლისა კოლეგებს, მანამდე არარსებული სიტყვათა კავშირით, ჯადოსნური წყობილსიტყვაობით.

ცდება ის, ვინც მის შემოქმედებას პერიოდებად ჰყოფს ანდა რომელიმე „იზმს“ უკავშირებს. მის პოეზიაში შეიძლება მივაკვლიოთ ყველა ლიტერატურულ „იზმს“, მაგრამ არა მხოლოდ რომელიმე ერთს. მას გათავისებული ჰქონდა ყველა ლიტერატურული მიმდინარეობის საუკეთესო მიღწევები. იგი არასოდეს ყოფილა მხოლოდ სიმბოლისტი, ფუტურისტი, აკმეისტი, სიურრეალისტი და ა. შ. იგი იმდენად დიდი იყო, რომ რომელიმე ლიტერატურული დაჯგუფების მანიფესტი ვერ დააკმაყოფილებდა, ვერც მათ კინკლაობას აჰყვებოდა.

გალაკტიონის ლექსების ასლის მკეთებლებმა ქართულ პოეზიას ერთფეროვ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნების საშიშროება შეუქმნეს. მრავალი პოეტი ერთ ხმაზე მღეროდა და ის ერთი ხმაც გალაკტიონის იყო. დღესაც, როცა გალაკტიონის დაბადებიდან ოთხმოცდამეათე წელს ვზეიმობთ, მრავალი ქართველი პოეტის გადაუჭრელი პრობლემაა — გალაკტიონის პოეზიის ტყვეობიდან თავის დაღწევა.

დღეს გალაკტიონი ყველაზე პოპულარული პოეტია. ზოგისთვის გალაკტიონზე შექმნილი მითები და ლეგენდები უფრო პოპულარულია, ვიდრე მისი შედევრები. ზოგიერთისთვის გალაკტიონი მხოლოდ სასკოლო ლექსებითაა ცნობილი და იმ ტყუილმართალის ნაზავით, რომელიც მასზე შეთხზეს. რას იზამ, დიდი პიროვნებების ბედი ამგვარია.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შეცნობა, შეგრძნობა მკითხველისგანაც გარკვეულ ნიჭსა და მომზადებას მოითხოვს. მე ამით იმის თქმა არ მსურს, რომ მისი პოეზია გაუგებარია. თუმცა მისი შედევრების სიღრმეებში წვდომა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ნებისმიერი ტექნიკური სიახლის შესწავლა, რადგან ტექნიკური სიახლე ადრე თუ გვიან ძველდება, ჭეშმარიტ პოეზიას კი ყველა დროში ახლებურად კითხულობენ.

გამოუცდელ მკითხველს მის ლექსებში მხოლოდ მუსიკალობა იზიდავს, ყურადღებაც მხოლოდ მუსიკალობაზე გადააქვს, მთავარი, სიღრმისეული კი უსხლტება.

**ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,**
**ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...**
**ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ჰხრის,**
**სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?**

ასეთ ლექსზე სიმღერის დაწერა ნებისმიერ კომპოზიტორს გაუჭირდება. ეს ლექსი პოეტი-კომპოზიტორის მიერ შესრულებული ფანტაზიაა, სიტყვებით შექმნილი მუსიკაა.

გალაკტიონის შეგირდობა ყველა დამწყები პოეტისთვისაა საჭირო. მისი ლექსების ასლების კეთებასაც ვერ ასცდებიან დამწყები პოეტები, მაგრამ ახალი თაობები რაც უფრო დროზე მიხვდებიან, რომ უპირველესად საკუთარ თავს, საკუთარ სათქმელს უნდა მიაგნონ, მით უფრო მეტ სიყვარულს გაამჟღავნებენ დიდი წინაპრისას. თუნდაც იმიტომ, რომ თვითონ გალაკტიონი იღიმებოდა ზოგიერთი მელექსის ნაცოდვილარზე: „თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი“.

ბევრისგან გამიგონია: გალაკტიონის მერე წერა არ ღირს-ო! ასე რომ ეფიქრათ ჩვენს წინაპრებს რუსთაველის მერე სტრიქონი არ უნდა დაეწერა არავის.

ლიტერატურის ისტორიიდან ვიცით რა ხანს იყო ქართული ლექსი რუსთაველის ტყვეობაში. ეს პროცესი ყველაზე დიდხანს გაგრძელდა. იგი ხელოვნურად ვერავინ შეაჩერა. იგი ბუნებრივად უნდა დასრულებულიყო, დასრულდა კიდეც. რაც უფრო შორს მივდივართ რუსთაველი უფრო მაღლდება.

გალაკტიონის ტყვეობიდანაც თავს დააღწევს ქართული ლექსი და ამით გალაკტიონს არაფერი მოაკლდება, პირიქით, იგი უფროდაუფრო ძვირფასი იქნება ჩვენთვის. ჯერ კი ისევ გალაკტიონის მეფობა გრძელდება.

გივი ალხაზიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „დაწერილი სისხლის წვეთით"...

გალაკტიონს 1961 წლის აგვისტოში შევხვდი ჩემს მშობლიურ სოფელში, რომელიც ფშავის მაღალ მთებშია ჩაკარგული და დანარჩენ ქვეყნიერებას ბარე ნახევარი დღის სავალი საცალფეხო ბილიკით უკავშირდება.

მაგრამ აქაური ფშავლები ამას არად აგდებდნენ, უამრავ ხალხურ ლექსსა და ვაჟა-ფშაველას პოემებზე გაზრდილებს სხვა პოეტებზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ.

მოხდა ისე, რომ ჩემი სასკოლო ნივთებისათვის რაიონში წასულ დედაჩემს ერთი ლურჯყდიანი, მოზრდილი ტომიც გამოეყოლებინა. „ჩვენი საუნჯის" სერიით გამოცემული გალაკტიონის ტომი.

მაშინ ცამეტიოდე წლის ყმაწვილი ვიყავი და პოეზია ჩემთვისაც ვაჟა-ფშაველათი იწყებოდა და თავდებოდა, ლექსებსაც ფშაურ კილოზე, მისი წაბაძვით ვწერდი. მაგრამ ამ ლურჯი წიგნის გადაშლისთანავე რაღაც უცხო გრიგალმა წამისუსწრაფესად გამომგლიჯა ხელიდან უკვე შეჩვეულ გოლიათს და სამყაროს დაუსრულებელ ქაოსში გადამისროლა, სადაც ყველაფერი ერთი, დიადი, ლეგენდარული სახელით იყო დამუხტული — გალაკტიონი!

და უნდა ვაღიარო სიმართლე — მთელი ჩემი შემდგომი ცხოვრება ამ უჩვეულო ძალის მაგნიტური წრიდან თავისდაღწევის ცდა იყო, იგი დღესაც არ დასრულებულა და თანაც ვფიქრობ, ამ დღეში მარტო მე არა ვარ.

გალაკტიონმა ერთი ხელისმოსმით არარაობად აქცია სადღაც სულის სიღრმეში მჯდარი პიროვნება, მანამდე, სანამ მას მკრეხელური შეძახილი წამოსცდებოდა: „მე პოეტი ვარ!"

პოეტობა გალაკტიონის შემდგომ ერთობ რთულ საქმედ იქცა.

გალაკტიონი უპირველესად ბრძენი მოძღვარია, რომელთანაც არ შეიძლება წარა-მარა ილიაში რვეულამოჩრილმა იარო, მას მხოლოდ მეჭირვების ჟამს, სულიერი და შემოქმედებითი კრიზისების ჟამს უნდა ეახლო და მოკრძალებით გამოთხოვო ნებართვა —კიდევ ერთხელ შევახედოს თავის არამიწიერ სამყაროში.

არსებობს ბუნების რომელიღაც დაუდგენელი კანონზომიერება, რომლის წყალობითაც ერის კულტურული ყოფიერების წიაღიდან საუკუნეების ინტერვალით, თავისუფლდება გიგანტური ენერგია, რომელმაც უცაბედი ბიძგით ჩვეული რიტმიდან უნდა ამოაგდოს ამ ერის სულიერი ცხოვრების მექანიზმი და არაჩვეულებრივი სისწრაფით გააქანოს წინ —საკაცობრიო კულტურათა გზაჯვარედინისაკენ.

ამ ქროლვაში გზადაგზა ბევრი რამ იცვლება, გადაადგილდება, იმსხვრევა და წარმოიქმნება, დიდი პოეტის მოსვლა უცნობი ცთომილის შემოჭრისავით არღვევს დაკანონებულ გზებსა და ორბიტებს, ერთნი მისი სიდიადის ჩრდილში უჩინარდებიან და დავიწყების წიაღში იშთქმებიან, სხვანი ახალ ორბიტაზე ინაცვლებენ და ახალი სივრცეების ათვისებას ცდილობენ.

გალაკტიონის ცხოვრებისათვის თვალისგადევნებისას ასეთი აზრიც დამბადებია, თითქოს მის პიროვნებაზე გაბატონებული იყო რაღაც დემონური სული, თავადაც რომ არაერთგზის უხსენებია, რომელსაც მთლიანად შეეპყრო მისი არსება და სამყაროს იდუმალ სიმფონიას კარნახობდა, რათა ამ უკანასკნელს იგი ქართულ ენაზე გაეცხადებინა, თანაც პოეტმა არ იცოდა რომელ წუთს რას უკარნახებდნენ.

ხოლო, როცა მისი მპყრობელი დემონი ისვენებდა, გალაკტიონი ჩვეულებ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რივ პოეტს ემსგავსებოდა და წინასწარ მოფიქრებულ საკმაოდ უხეირო ლექსებსაც კი წერდა, მაგრამ საბედნიეროდ დემონს ფხიზელი ძილით ეძინა და მალე იღვიძებდა.

იქნებ ძალზე სუბიექტური აზრია, მაგრამ ჩემთვის პოეტები ორ კატეგორიად იყოფიან, ერთნი, რომელნიც ლექსის წერის ხელოვნებას დაუფლებიან, პროფესიად უქცევიათ იგი, გარკვეული მიზანდასახულება გააჩნიათ და თავს ვალდებულად თვლიან ბოლომდე ემსახურონ არჩეულ პროფესიას, თანაც ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრებით იცხოვრონ.

სხვათათვის პოეზია არსებობის ერთადერთი სახეა და იქიდან ადამიანური სახის გამოცალკევება შეუძლებელია. გალაკტიონი ცხოვრობდა და არსებობდა მხოლოდ და მხოლოდ როგორც პოეტი, თავის სიცოცხლეში სხვა არცრა საქმე მოუწადინებია და დარწმუნებული ვარ არც შეეძლო სხვა რამ ეკეთებინა. იგი მხოლოდ თავისი დემონის იდუმალ ხმას აყურადებდა და თავისდაგასაკვირად ერთხანს, რატომღაც, კაცის სახით დაიარებოდა მიწაზე. თუმცა იცოდა, რომ მიწიერი არ იყო, ამას მის თვალებში კითხულობდნენ ისინი, ვინც ოდესმე შეხვედრია.

ვერა და ვერ შევეგუე იმას, როცა მავანნი და მავანნი დოსტაქრის გულგრილობით ჩხრეკენ, ნეტავი რას უნდა გულისხმობდესო გალაკტიონი „ივლისისფერ ყინვის თასებში" ანდა „ალმაცერ თოვლში" ეს ყველაფერი გონების თვალსაწიერში არ შემოდის. და რაც უნდა შემოდიოდეს. მხოლოდ უფაქიზეს გრძნობას შეუძლია აღიქვას იგი. მეტი ფუნქცია მას არ გააჩნია. განა მომხიბლავი მუსიკის მოსმენისას ვინმეს აზრად მოუვა ჭოგრიტის მომარჯვება — ეგებ ჰაერში მოფარფატე მუსიკალური ბგერები დავინახოო.

არასოდეს შევხვედრივარ გალაკტიონს, მაგრამ კიდეც რომ შევხვედროდი დარწმუნებული ვარ, ვერ გავარჩევდი მის ფიზიკურ აღნაგობას, როგორც სინას მთის მწვერვალზე ამაღლებულ მოსეს არ შეეძლო დაენახა მასთან მოსაუბრე ღმერთის სახე.

მე საოცრად მჯერა გურამ ასათიანის სიტყვებისა „მას ვეღარ სცნობდნენ თავისი უახლოესი ადამიანებიც, რადგან იგი მიუწვდომელი იყო მათი ჩვეულებრივი მხედველობისათვის."

და კიდევ: ხშირად ვცდილობ ამოვიცნო ის არაბუნებრივი მოვლენა, რომლის წყალობითაც ჩვენს პატარა ერს შეეძლო ასეთი კოსმოსური მასშტაბებით მოაზროვნე გიგანტის წარმოშობა. გალაკტიონმა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში თითქოს იმის კომპენსაცია მოახდინა, რაც ჩვენს სამშობლოს გულს აკლდა.

ოცი წელია განუშორებლად დამაქვს თან ძვირფას რელიქვიად ქცეული ის ლურჯყდიანი წიგნი, რომელმაც ოდესღაც პოეზიის უცხო სამყაროს მაზიარა და მუდამ მახსენებს, რომ ლექსების წერა არც ისე ძნელი საქმეა, მაგრამ პოეტად გახდომაა ძალიან, ძალიან ძნელი.

დავით მჭედლური

# „მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურს..."

ის არ მოსულა უეცრად. უჩინარ ლანდად მოსდევდა იგი ერს გაჩენის დღიდან, გზადაგზა ყოველივეს იმახსოვრებდა და თავისთავში იკრებდა. და მერე, როცა მის მთრთოლვარე ხმაში უცებ ამეტყველდა ამდენ ხანს ნათმენი და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაგუბებული ჩვენივე ტკივილი, გავოგნდით და შევცბუნდით, რადგან არ ვიცნობდით იმ ნაწილს საკუთარი სულისა, ამ კაცში რომ გაცხადებულიყო.

ასეთი იყო გალაკტიონის მოსვლა ქართულ პოეზიაში. მასაც რილკესავით თამამად შეეძლო ეთქვა: „მოვედი, რათა დავასრულო სამყაროს სურათი". მის შემოქმედებაში სრულიად ახალი კუთხით გამოჩნდა ქართული სულის მარადისი ბორგვა, ადამიანის შინაგანი სამყაროს ჯერაც მზერადაუკრავი ჰორიზონტები გადაგვეშალა თვალწინ, უსაზღვრო სივრცეები გაიხსნა და განათდა ერთბაშად.

გალაკტიონის სიდიადე და გენიალობა არც მხოლოდ მის ელვარე მეტაფორულ აზროვნებაშია, არც გასაოცარ რიტმში და მუსიკალობაში — ყოველივე ეს და კიდევ მრავალ სხვა კომპონენტს ერთად აღებულს პლუს რაღაც ამოუხსნელი იდუმალება, ქვეყნიერების მიღმიეთში ჭვრეტის უნარი, სიზმარ-ცხადის ერთად მოღვარული მდინარე, პოეტის გულის ყველა ძარღვი რომ აქვს გამოვლილი. გალაკტიონთან სიტყვა, ცალკე აღებული, თვითონვეა ურთულესი ფენომენი, მრავალწახნაგოვანი და შიგნიდან განათებული ძვირფასი თვალი. ხდება სიტყვით მონუსხვა, მოჯადოება. ჩვეულებრივი, ათასგზის გაგონილი სიტყვა სხვა ელვარებას და ელფერს იძენს.

მის პოეზიაში ჩნდება ისეთი თემები, რომლებისთვისაც მანამდე ამ კუთხით არავის შეუხედავს. ხელოვნების, მშვენიერების და ცხოვრებისეული სინამდვილის ურთიერთმიმართება, ან როგორც თვითონ ხსნის რენიეს სიტყვებით: „მოულოდნელი განცვიფრება ვარდისფერისა და შავი ფერის შეხვედრისაგან", ფილოსოფიური, ინტელექტუალური ჭვრეტა და განსჯა სამყაროსი და მასში ადამიანის ბედისა და ადგილის გააზრება.

მისი ლექსის გზა რეალურსა და ირეალურს შორის, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის მიმოდის. მათი მორიგება, მათი თავშეყრის და შეერთების ადგილის პოვნა მხოლოდ ხელოვნებას ძალუძს. სწორედ აქ, ხელოვნებაში ჰყვავიან ის არტისტული ყვავილები, რომლებსაც ძალუძთ გაზიარონ სიდიადეს საკუთარი სულისა და არსებობისა, რომელიც არც სიცოცხლით იწყება და არც სიკვდილით მთავრდება, სადღაც მათ შუაა. ადამიანის სიცოცხლის გამართლება მხოლოდ მისკენ დაუცხრომელ სწრაფვაშია და ამ ძნელ გზაზე მისი წინამძღოლი პოეზია უნდა იყოს. ასეთია გალაკტიონის მრწამსი.

თემატურ-აზრობრივ ნოვატორობასთან ერთად გალაკტიონი ქართული ლექსის დიდი რეფორმატორიცაა. ახალი ვერსიფიკაციული მოდელების დამკვიდრება მოხდა არა ძველი სალექსო ფორმების ნგრევის ნიადაგზე, არამედ ტრადიციული კლასიკური ლექსისა და ხალხური ლექსის ინტონაციების გაღრმავება-გაფართოების გზით. გალაკტიონი ლექსის გარეგნულ არქიტექტონიკას ხშირ შემთხვევაში უცვლელს ტოვებს. მაგრამ სალექსო ტაეპის შიგნით ნამდვილ რევოლუციას ახდენს. ცალკე აღნიშვნის ღირსია გალაკტიონის ზმნა-ავაზასავით მოქნილი, ტევადი, დინამიური.

ის შემოქმედებითად ითვისებდა და ავითარებდა ლიტერატურულ მემკვიდრეობას და ამასთანავე უხვად შეჰქონდა მასში მოულოდნელი ინტონაციები და მოტივები. მისი ლექსი, როგორც ვთქვით, უაღრესად ნოვატორულია, მაგრამ ამავე დროს უხვად ნასაზრდოები ტრადიციით, მისი საუკეთესო მონაპოვრებით. ძნელია მოიძებნოს მეორე ისეთი პოეტი, რომელიც აგრერიგად განსხვავდებოდეს წინამორბედთაგან და იმავე დროს ასე შესისხლხორცებული ჰქონდეს მათი სულიერი მემკვიდრეობა. როგორც შემდეგ თვითონვე იტყვის, მისი პოეზიის საყრდენი და ამოსავალი რუსთაველის რითმის კეთილხმოვნება და მუსიკა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლობა, ბარათაშვილის რიტმი და აზრობრივი სიღრმე, აკაკის ლექსის ლირიზმი და უშუალობაა. აქ, მშობლიურ წიაღში ეძებს იგი თავისი შემოქმედების სათავეებს. მაგრამ არც ევროპელი პოეტების სახელები გაისმის შემთხვევით მის ლექსებში. გალაკტიონის შემოქმედება უფრო დიდ აუდიტორიას გულისხმობს, უფრო ვრცელ გეოგრაფიულ არეალს მოითხოვს.

ის გამუდმებით ეძებს გზებს, რომ იპოვოს „სინამდვილეზე უფრო მეტი სინამდვილე — ჰიპერბოლიური, ზღაპრული". შიგნით, სიღრმეებისაკენ მიიწევს, იქ სულ სხვა, არაამქვეყნიური მზით და ჰარმონიით სავსე სამყარო ეგულება და ჟიუტად მიილტვის მისკენ. მიილტვის, რომ მერე უკანვე დაგვიბრუნდეს ღვთაებრივ ემბაზში განწმენდილი და განბანილი და ჩვენც გვაზიაროს მოკვდავთათვის მიუღწეველი ქვეყნიერების ხილვის მშვენიერებასა და სიდიადეს. მან ამ სამყაროს მიაკვლია და ამ აღმოჩენაში ჰპოვა გადარჩენა. ახლა მართლაც ღმერთია და უფლება აქვს თქვას: „მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურს". უსაზღვრო სივრცეებს ფლობს, ღმერთია, იცის ეს, ცოდვილ მიწაზე შემთხვევით შემოხეტებული ღმერთი და აქედან მოდის მისი მოწყალე და მიმტევებელი „კაძამიკო"...

ურთულეს დროში მოუხდა მას ცხოვრება, ქარტეხილებში და მესთატეხაში ჩოჰყვა, მაგრამ ერთხელ აღიარებული მრწამსისთვის არ უღალატია, ჭეშმარიტ პოეზიას შეეწირა მთლიანად, სულიან-ხორციანად.

**ვახტანგ ხარჩილავა**

# გალაკტიონის სავარჯიშოები

გალაკტიონის სავარჯიშოების შესასრულებლად მეხსიერების წამიერი ძალატია საჭირო. უბრალოდ, კარგად ცნობილი ლექსის რომელიმე სიტყვა ან სტრიქონი უნდა ამოგვივარდეს გონებიდან. ამგვარი პირობა, არა მგონია, ეძნელოს ვინმეს, მითუმეტეს, ახალგაზრდა პოეტებს, რომელთათვისაც განსაკუთრებით სასურველია გალაკტიონის სავარჯიშოებით სარგებლობა.

სიტყვაზე — ერთერთ საყვარელ ლექსს ვიხსენებთ: „გადმოფრენას ეს ყორანი მადათოვზე აპირებს, გაანათებს რესტორანი ტივებიან ნაპირებს. ასე მიდის ეს ზამთარი სიზმარივით მდევარი, ასე რეკავს საზანდარი უქმი, შემაქცევარი, რომ ისმოდეს საიათნოვას..." — აქ ენა გვებორკება. — „...ძველისძველი ჰანგები..." უკვე საკმაოდ გრძელი პაუზა გამოგვივლის, შინაგანი ხმა გვკარნახობს, რომ „ძველისძველი ჰანგები" არ ემთხვევა ბავშვობაში გაზეპირებულ სტრიქონს. იწყება მახსოვრობის რომელიღაც ფენაში ჩამარხული ეპითეტის ძიება, მეორე მხრივ, ჩვეულებრივი შემოქმედებითი სელექცია — მრავალთაგან საუკეთესოს გამორჩევა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამჯერად ზუსტი პასუხი ხელთ გვაქვს — საკმარისია გალაკტიონის კრებულის გადაშლა. ჯერ კი ვმარჩიელობთ: გარდასული ჰანგები, ნაღვლიანი ჰანგები, სევდიანი, ფიქრიანი ჰანგები. გული აღარ გვითმენს, ვფურცლავთ წიგნს და — როგორც მოსალოდნელი იყო — არც ერთი და არც მეორე, ერთადერთი: „რომ ისმოდეს საიათნოვას დ ა ჟ ა ნ გ უ ლ ი ჰანგები, მიეთოვოს, მოეთოვოს კედლებს ფარშავანგები".

რიხიანად დაწყებული: „მაგრამ მე რა ვქნა, მე, ვისაც სული მაქვს დაწეწილი მწარე ქარებით", მოულოდნელმა დაეჭვებამ შეიძლება გაგვაწყვეტინოს—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქნებ მწარე კი არა, ცივი ქარებით? აი, სავარჯიშოც მზადაა. „მაქვს დაწეწილი შმაგი ქარებით“, „მაქვს დაწეწილი ავი ქარებით“, — ყოველ მათგანშია ყალბი ნოტა, რომელიღაც სიმი მოშვებულია, სტრიქონს რომ გალაკტიონისებურ ჟღერადობას აძლევს, ის მარილია გამქრალი. ტექსტი გვიდასტურებს ეჭვების უსაფუძვლობას:

**მაგრამ მე რა ვქნა, მე ვისაც სული**
**მაქვს დაწეწილი მ წ ა რ ე ქარებით.**
**ვინც ალტაცება არ ვიცი სრული**
**არც სიყვარულით, არც მწუხარებით.**

არც — „ქარები ქარებს ნელნელა ცვლიან“, არც — „ქარები ქარებს, თანდათან ცვლიან“, არც — „ქარები ქარებს მალულად ცვლიან“, სწორი პასუხია: „ქარები ქარებს სიცილით ცვლიან“.

არსებობს ბედნიერება, გადაგავიწყდეს სტრიქონი ლექსიდან „მერი“. იმ ადგილას, სადაც „...შავი, სწორი ვერხვები აშრიალებდნენ ფოთლებს ბნელშიანს...“ მერე? „მძიმედ დაჭრილი არწივის ფრთებით“, არა, ასეთი რამ სასაცილოც კია... აა, გაგახსენდა — „როგორც დაჭრილი არწივის ფრთები“. მაგრამ „დაჭრილი არწივი“ რომ ვაჟას ლექსიდანაა? მაშინ — „როგორც ვეება არწივის ფრთები“, „ვით აფრენილი არწივის ფრთები“, ვით გაფრენილი არწივის ფრთები“. ფინიშამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა, მთავარია არ შეგაცბუნოს გრამატიკული ნორმის დარღვევამ (გალაკტიონს ხმოვნის დაკლებისა არ ეშინია, თუ საჭიროა, უმატებს კიდეც: „მოეფინება სამუმად დარბაზს ოვაციის ატორტმანება“), წამიც და ნაცნობი, ფილიგრანული აკორდი გაანათებს დახშულ ლაბირინთს:

**რად აშრიალდა ჩემი ოცნება,**
**როგორც გაფრენილ აწრივის ფრთები?**

არავითარი „ვეება“, „დაჭრილი“, „ამაყი“, მხოლოდ გაფრენა ანიჭებს „ფრინველთა მეფის“ კატეგორიას, მხრების შეფერთხვა, მძიმე-მძიმედ აფართქუნება. თორემ გვინახავს ზოოპარკის არწივიც, ძლივს დაბაჯბაჯებს ცემენტის იატაკზე (ბოდლერის „ალბატროსის“ არ იყოს), უსარგებლო ტვირთად რომ ჰკიდია ზურგზე ფრთები.

სავარჯიშო ამოხსნილია. მთავარი იყო, არ დავკმაყოფილებულიყავით მიახლოებითი პასუხით: „ვით გაფრენილი არწივის ფრთები“. გალაკტიონი გვასწავლის, სმენას გვიწრთობს — „როგორც გაფრენილ არწივის ფრთები“ — აშკარად უფრო მაღალი რეგისტრია. სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკლებით სახელზმნა თითქოს ზმნისკენ გადაიხარა, მეტი პლასტიკურობა შეიძინა. სტრიქონი ორმარცვლიანი სიტყვით იწყება, მახვილი გაფრენილ-ის პირველივე მარცვალზე მოდის, რითაც თვალნათლივ ესმება ხაზი ამ ეპითეტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

რაღა თქმა უნდა, ამგვარი ვარჯიში ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი სქემით ვერ შემოიფარგლება .მისი მეთოდიკა ინდივიდუალური, სუბიექტური ნიშან-თვისებებითაა გაპირობებული. მაგრამ საერთო წესი მაინც არსებობს: იმ საგნებისა და მოვლენების ზუსტი სახელი უნდა გამოვიცნოთ, რომელთა ფარულ, შინაგან არსსაც გვიმხელს პოეტი. გამოვიცნოთ — ე. ი. განვიცადოთ.

**შალიმან შამანაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# რუსთაველი — გალაკტიონი

ამ მოკლე სიტყვის სათაური გალაკტიონის ლექსიდან მოდის.

„ლექსია რუსთაველის და გალაკტიონის...“

რუსთაველიდან მოკიდებული, ქართული ლექსი, გალაკტიონამდე თითქმის ერთ ღარში მოედინება. თითქმის-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ რუსთაველსა და გალაკტიონს შორის დგას დავით გურამიშვილი.

გალაკტიონმა სხვა სადინარი მისცა ქართულ ლექსს. „ლექსია რუსთაველის და გალაკტიონის...“ როგორც თვითონ ამბობს. რუსთაველს კი არ ეჯიბრება ოღონდაც, არამედ გვეუბნება, რუსთაველისგან განსხვავებული ლექსი მე შევქმენიო. ამის დამადასტურებელია მისი დიდტანიანი პოემა „მშვიდობის წიგნი“. ყველაზე მეტი ძალა და ენერგია პოეტმა სწორედ ამ ნაწარმოებს შეალია, უმთავრეს ნაწარმოებს ჩვენი საუკუნისას, და არა მარტო ჩვენი საუკუნისას, არამედ მარადიული საქართველოისას. არც ერთ პოეტს არ შეუქმნია ალბათ იმდენი შედევრი, რამდენიც შექმნა გალაკტიონმა, მაგრამ მისი „მშვიდობის წიგნი“ განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენი ერის ცხოვრებაში. „ვეფხისტყაოსანი“, „დავითიანი“, „მშვიდობის წიგნი“, — აი, ჩემის აზრით, ის სამება — ერთი, რაც ჩვენ მოგვეცა სულის სახად და მარადიული გზის მანათობლად.

ეს უკიდეგანო პოემა, როგორც თავად შემოქმედი გვეუბნება, გალაკტიონს ღმერთმა უკარნახა:

**შენგნით გზავნილმან**
**მან ანგელოსმან,**
**ვითა ყვავილმან**
**ცათა მდელოსმან,**
**რა ჰქნა, რა ჯადოს**
**მიმართა რა დროს...**

ოდესმე მოიცლის „მკითხველი მშვენიერ წიგნის“, დაჯდება და ამ წიგნს ისევე შეისწავლის და შეიყვარებს, როგორც შეისწავლა და შეიყვარა მან „ვეფხისტყაოსანი“ და „დავითიანი“, შეისწავლის და შეიყვარებს წიგნს, რომელიც დროთა განმავლობაში „მსოფლიოს მოივლის“, რადგან შემქმნელი მისი არა მარტო ერთი ვინმე მესხი და მთაწმინდის მკვიდრი არის, არამედ — სივრცეებისა და უკვდავების ბინადარია.

**მურმან ჯგუბურია**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## წერილები

ბორის გუბელიძე

# მშრომელთა ინტერნაციონალური ბრძოლის შესანიშნავი ფურცლები

პროლეტარიატის დიდი ბელადები — კ. მარქსი და ფ. ენგელსი დიდ ყურადღებას აქცევდნენ მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ინტერნაციონალური ერთიანობის საკითხს. პირველად მათ წამოაყენეს და თეორიულად დაასაბუთეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეა. ისინი ჯერ კიდევ „გერმანულ იდეოლოგიაში“ მიუთითებდნენ მუშათა კლასის, ყველა მშრომელის, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო სოლიდარობის სოციალურ-ეკონომიკურ და კლასობრივ ფესვებზე. მართალია „ფორმის მიხედვით, — წერდნენ ისინი, — პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ უწინარეს ყოვლისა ეროვნული ბრძოლაა. თითოეული ქვეყნის პროლეტარიატმა, რასაკვირველია, პირველად თავის საკუთარ ბურჟუაზიას უნდა მოუღოს ბოლო, მაგრამ რადგან კაპიტალი არ ჯერდება მარტო ეროვნული ბაზრის შექმნას და იღვწის მსოფლიო ბაზრის შესაქმნელად, ქმნის კავშირებსა და ბლოკებს სხვა ქვეყნების დასამონებლად, რასაც მოჰყვება ხოლმე კოლონიური იმპერიების შექმნა და სხვა ხალხების და ქვეყნების ეკონომიკური და ეროვნული ჩაგვრა, ამიტომ ასეთ პირობებში თითოეული კაპიტალისტური ქვეყნის პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას საერთაშორისო ხასიათიც აქვს. ამიტომ იყო, რომ პროლეტარიატის დიდი ბელადები წერდნენ: „არც უნგრელი, არც პოლონელი, არც იტალიელი არ იქნება თავისუფალი, სანამ მუშა მონად რჩება“.

მშრომელთა სოლიდარობა ეროვნული მასშტაბით, ინტერნაციონალური კავშირურთიერთობა, მხარდაჭერა საერთაშორისო მასშტაბით, — აი მოქმედების რა ხაზის დაცვას მოითხოვდნენ მარქსი და ენგელსი მუშათა კლასის პარტიებისაგან.

ვ.ი. ლენინი მტკიცედ იცავდა და ახალი ვითარების შესაბამისად ყოველმხრივ ავითარებდა მარქსისტულ მოძღვრებას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შესახებ. მას ღრმად სწამდა, რომ პროლეტარიატის მომავალი მის ინტერნაციონალურ ერთიანობაზე იყო დამოკიდებული, ერთიანობა ეროვნული მასშტაბით, ერთიანობა საერთაშორისო მასშტაბითაც, აი, სად ხედავდა ის პროლეტარიატის ბურჟუაზიაზე გამარჯვების მთავარ პირობას; მით უმეტეს რუსეთში, სადაც მრავალი ერისა და ეროვნების ხალხები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ერთად. ამიტომ იყო, რომ ლენინმა პროლეტარული ინტერნაციონალიზმი დაუდო საფუძვლად პარტიის შექმნას და რევოლუციონერებისაგან მტკიცედ მოითხოვა, ფართო მუშაობა გაეშალათ სხვადასხვა ეროვნების მუშებს შორის მათი შეკავშირების მიზნით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენდნენ რსდმპ ერთ-ერთ უძველეს და მოწინავე რაზმს, ყოველთვის ხელმძღვანელობდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ-ლენინური პრინციპებით და ყველაფერს აკეთებდნენ სხვადასხვა ეროვნების მუშათა შეკავშირებისათვის, ცარიზმის, ბურჟუაზიისა და მემამულეების წინააღმდეგ მათი ერთიანი ძალით გამოსვლისათვის.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ასეთ მოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან საქართველოშიც ცხოვრობდნენ სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლები, მაშასადამე, არსებობდა მრავალეროვანი პროლეტარიატიც. მაგალითად, თბილისში XX ს. დამდეგს რუსი მუშები შეადგენდნენ პროლეტარიატის 15-18%. ფაბრიკებსა და ქარხნებში ქართველ მუშებთან ერთად შრომობდნენ და საქმიანობდნენ სომხები, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების მუშებიც. მრავალეროვნება იგრძნობოდა არა მარტო ქალაქად, არამედ სოფლადაც. მთელ რიგ სოფლებში ქართველ გლეხებთან ერთად ცხოვრობდნენ და მათთან ერთად ეწეოდნენ ჭაპანს სხვა ეროვნების გლეხებიც. ასეთ პირობებში მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობა შეიძლება განვითარებულიყო მხოლოდ ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

ქართველები ამიერკავკასიის სხვა ეროვნების ხალხებთან ერთად ხშირად აწარმოებდნენ ბრძოლას საერთო მტრის წინააღმდეგ. საყოველთაოდ ცნობილია უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველ-სომეხთა გაერთიანებული ბრძოლის ბევრი მაგალითი.

XIX ს. დამლევს და XX საუკუნის დამდეგს, როდესაც ბურჟუაზიის წინააღმდეგ სხვადასხვა ერისა და ეროვნების მშრომელთა გაერთიანებულ ბრძოლაში შეგნებული ელემენტი ჩაერთო სამოღვაწეო ასპარეზზე მარქსისტი რევოლუციონერების გამოსვლით, ინტერნაციონალური ბრძოლის საკითხი ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომლებიც ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე იქმნებოდნენ, იმთავითვე დიდ მუშაობას ეწეოდნენ სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა ურთიერთგაგების, შეკავშირებისა და ერთობლივი მოქმედებისათვის. პირველ ნაბეჭდ პროკლამაციაში, რომელიც 1898 წელს გამოქვეყნდა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები განუმარტავდნენ მუშებს, რომ მათი მოძრაობა სისხლხორცეულად უკავშირდებოდა რუსეთის პროლეტარიატისა და მთელი მშრომელი მასების მოძრაობას.

ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველმა ქართულმა გაზეთმა „ბრძოლამ", თავისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე, დიდი მუშაობა გაშალა ამიერკავკასიის ხალხების ინტერნაციონალური შეკავშირებისათვის. გაზეთი თავის ფურცლებზე მტკიცედ იცავდა პროლეტარიატის ინტერნაციონალური შეკავშირების ლენინურ პრინციპებს, ამხელდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას, მტკიცედ აყენებდა ამიერკავკასიის, მთელი რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის ერთიანი კლასობრივი სოლიდარული ფრონტის შექმნის აუცილებლობას.

„ბრძოლამ", საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავთან დაკავშირებით მოთავსებულ სტატიაში, სასტიკად გააკრიტიკა ცარიზმის კოლონიური, სხვა ერების ჩაგვრისა და დამონების პოლიტიკა, მაგრამ ამასთან ერთად მიუთითა იმ დიდ, პროგრესულ მნიშვნელობაზე, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთებამ გამოიწვია, აქვე მითითებული იყო იმის შესახებაც, რომ საქართველოს მშრომელთა განთავისუფლება სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის პროლეტარიატთან, მშრომელ მასებთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობითა და კონტაქტით.

ყველა გაზეთში თუ ჟურნალში, რომლებიც ამ პერიოდში საქართველოში გამოდიოდა, უდიდესი ყურადღება ექცეოდა ეროვნულ საკითხს. ეს გასაგებიც იყო, რადგან ქართველი ხალხი, რუსეთის იმპერიაში შემავალ სხვა ხალხებთან ერთად, მტკივნეულად განიცდიდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას; ამიტომ ეძებდნენ ხსნას. ეს ძიება მიმდინარეობდა მთელი XIX საუკუნის მანძილზე.

მაგრამ XIX ს. 90-იანი წლებიდან, როდესაც კლასობრივ ძალთა განლაგებაში საზოგადოებრივ ასპარეზზე ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის გამოსვლასთან დაკავშირებით მოხდა არსებითი ხასიათის ძვრები, ეროვნული საკითხის დაყენებაშიც, წინანდელთან შედარებით, ხდება ცვლილება. ბურჟუაზიამ და პროლეტარიატმა, რომლებსაც გაუჩნდათ თავიანთი ინტერესების დამცველი პარტიები, სხვა საკითხებთან ერთად იწყეს ეროვნული საკითხისადმი თავიანთი პოზიციების შემუშავება. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც იმპერიალიზმის ეპოქაში ძალიან მწვავე ხასიათს ღებულობს, თანდათან ივსება სოციალური მოძრაობის შინაარსით. მოვლენათა მსვლელობამ თანდათანობით დააყენა არა მარტო სოციალური ბრძოლის ხელმძღვანელობის, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეობის საკითხიც.

ნაციონალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, აგრეთვე მენშევიკებიც, ამ როლს ბურჟუაზიას აკისრებდნენ. მაგრამ ბურჟუაზია ვერც სოციალური და ვერც ეროვნული მოძრა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ობას მედროშეობას ვერ იკისრებდა, რადგან 1. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული იყო პროლეტარიატი, რომელსაც ჰყავდა თავისი პარტია, ჰქონდა თავისი მოქმედების საბრძოლო პროგრამა და ყოველმხრივ მზად იყო ბოლომდე მიეყვანა დაწყებული მოძრაობა. 2. ბურჟუაზია საერთოდ და ეროვნული ბურჟუაზია განსაკუთრებით, სუსტი იყო. 3. ბურჟუაზიული და პროლეტარული პარტიები თითქმის ერთდროულად გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე. თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ბურჟუაზია თავისი პარტიულ-პოლიტიკური ორგანიზაციით წინ უსწრებდა პროლეტარიატს, საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, „მუშათა კლასმა თავის პარტიულ-პოლიტიკური ორგანიზაციით გადაუსწრო ბურჟუაზიას, ... ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შექმნა, შეიარაღებული მოწინავე მარქსისტული თეორიით, შეურიგებელი ოპორტუნიზმის ყოველგვარ გამოვლინებასთან, გახდა ცარიზმზე რევოლუციური შტურმის მომზადებაში გადამწყვეტი ფაქტორი“. ამიტომ პროლეტარიატმა XX საუკუნის დასაწყისიდან ხელთ იგდო, როგორც სოციალური ასევე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეობა. მუშათა კლასმა, თავისი პარტიის ხელმძღვანელობით, ეროვნული საკითხი, როგორც ზემოთ მიუთითეთ, მჭიდროდ დაუკავშირა სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლას, რუსეთის პროლეტარიატთან და მშრომელ მასებთან ერთიანი ფრონტით საერთო მტრის დამარცხების საკითხს.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ნიშნის ქვეშ ჩატარდა მუშათა პირველი საპირველმაისო დემონსტრაცია თბილისში 1901 წელს. მასში სხვადასხვა ეროვნების 3000-მდე კაცი მონაწილეობდა. რსდმპ თბილისის კომიტეტის პროკლამაციაში, რომელიც სამ ენაზე იყო დაბეჭდილი, საუბარი იყო მუშათა სოლიდარობის, ერთსულოვანი მოქმედების შესახებ. თბილისის მუშათა საპირველმაისო გამოსვლას თვალყურს ადევნებდა მთელი რუსეთი. ლენინურმა „ისკრამ“ მას „მთელი კავკასიისათვის ისტორიულად ღირსშესანიშნავი მოვლენა“ უწოდა. „ამ დღიდან, — წერდა ის, — კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა“.

1902 წლის თებერვალ-მარტში მუშათა მძლავრ გაფიცვას ადგილი ჰქონდა ბათუმში, რომელსაც რსდმპ ბათუმის კომიტეტი ხელმძღვანელობდა. გაფიცვებში მონაწილეობდა მანთაშევის, როტშილდის და სხვა ქარხნების სხვადასხვა ეროვნების მუშები. ადგილობრივმა ხელისუფლებმა დემონსტრანტების წინააღმდეგ ჯარები გამოიყვანეს, რომლებიც არაადამიანურად გაუსწორდნენ მუშებს!

მუშათა გაფიცვები კიდევ უფრო გახშირდა 1903-1904 წლებში. 1905 წლიდან კი ორგანიზებული ხასიათი მიიღო. საქართველოს მუშების ასეთი აქტიური რევოლუციური ბრძოლების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები იყვნენ. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების რევოლუციურმა ლოზუნგებმა, მარქსისტულ-ლენინურ თეორიაზე დაფუძნებულმა პროპაგანდისტულმა მუშაობამ შეადუღაბა მრავალეროვანი საქართველოს მუშათა კლასი, მჭიდროდ დაუკავშირა ისინი ამიერკავკასიის მშრომელებს, რუსეთის პროლეტარიატს.

საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა კლასის ინტერნაციონალური ერთიანობისათვის ძირი რომ გამოეთხარა, ცარიზმი ცდილობდა გამოეყენებინა მისთვის ჩვეული ნაცადი ხერხი, მოეხდინა ერებს შორის შეიარაღებული შეტაკებანი. 1905 წლის თებერვალში მათ მოახერხეს ერთიმეორისათვის დაეჯახებინათ სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა ბაქოში, ხოლო რამდენადმე უფრო გვიან კი — ერევანში, ნახჭევანში და სხვა ქალაქებში.

მეფის მთავრობის მიერ პროვოცირებულ ასეთ სამარცხვინო აქტთან დაკავშირებით საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ჭიათურა) ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გაიმართა საპროტესტო ხასიათის მიტინგები და დემონსტრაციები. რსდმპ თბილისის კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაციები, სადაც გაკიცხული იყო სომეხ-აზერბაიჯანელთა შეტაკების ინიციატორები და ხელშემწყობნი, საუბარი იყო ქართველ, რუს, სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხს შორის ურთიერთგაგების, მეგობრობის განმტკიცებისა და სოლიდარობის შესახებ.

მეფის ხელისუფალნი შეეცადნენ ბაქოს მსგავსი სისხლიანი ამბები გაემეორებინათ თბილისში. მაგრამ საქართველოს ბოლშევიკების მიერ მიღებულმა ენერგიულმა ზომებმა მეფის მთავრობის ეს პროვოკაციული ცდა იმთავითვე ჩაფუშეს. მეფის ხელისუფლების ამ ცდის საპასუხოდ თბილისში 1905 წლის 13 თებერვალს გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართველებმა, სომხებმა, აზერბაიჯანელებმა და რუსებმა.

დემონსტრაციამ ძმობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა. დემონსტრაციის მონაწილეებმა შეჰფიცეს, რომ მხარს დაუჭერდნენ ერთიმეორეს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მუშათა მოძრაობის უშუალო გავლენით საქართველოში, ისევე როგორც მთელი რუსეთის იმპერიაში, წარმატებით ვითარდებოდა გლეხთა რევოლუციური მოძრაობაც.

მარქსიზმის კლასიკოსები ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ მუშათა და გლეხთა რევოლუციურ კავშირს და მიაჩნდათ იგი გადამწყვეტ პირობად სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. „გლეხთა ინტერესები, — წერდა მარქსი, — კი არ ეზუება ბურჟუაზიის ინტერესებს, კაპიტალს ... არამედ ეწინააღმდეგება მას. ამიტომ გლეხობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავის ბუნებრივ მოკავშირეს და ბელადს ჰპოვებს ქალაქის პროლეტარიატში, რომლის ამოცანაა დაამხოს ბურჟუაზიული წყობილება“.

ვ.ი. ლენინის აზრით რუსეთის პირველი რევოლუცია სწორედ იმიტომ დამარცხდა, რომ მუშათა კლასმა ვერ შეძლო მტკიცე კავშირის დამყარება გლეხობასთან. მაგრამ საქართველოში მუშათა და გლეხთა კავშირი შედარებით უფრო მტკიცე იყო. ამის შესახებ წერენ თავიანთ საინტერესო გამოკვლევებში ი. ხუციშვილი, ლ. ებანოიძე, ი. მელქაძე, ი. კაჰარავა, გ. ჯამბურია და სხვ.

რევოლუციური მოძრაობის თავისებურება, როგორც ამის შესახებ სავსებით სწორად მიუთითებენ ამ პერიოდის მკვლევარები, საქართველოში იყო ის, რომ მუშათა და გლეხთა მახები ერთსა და იმავე დროს ჩაებნენ მტერთან ბრძოლაში და ერთნაირი სიმტკიცე, სიმამაცე და თავგანწირვა გამოიჩინეს ამ ბრძოლაში. 900-იანი წლების საქართველოს გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას აშკარად გამოკვეთილი სოციალ-დემოკრატიული სახე ჰქონდა. გლეხობა იბრძოდა არა სტიქიურად, არამედ მუშათა კლასის მხარდამხარ; იგი იბრძოდა არა სხვა ერებისა და ეროვნებების მშრომელთაგან იზოლირებულად, არამედ მათთან ერთად ხელიხელჩაკიდებული, ინტერნაციონალიზმის დროშით; ეს მოძრაობა აყენებდა არა ვიწრო, კუთხურ მოთხოვნებს, არამედ ისეთ საკითხებს, რომელთა გადაჭრა სასიცოცხლო და აუცილებელი იყო რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა კუთხის მშრომელთათვის.

მაგალითად, გურულ გლეხთა მძიმე ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობა, აგრეთვე მოთხოვნებიც, მისი ინტერნაციონალური ხასიათი, მკაფიოდ იყო გადმოცემული სოფელ ბახვის გლეხთა ე. წ. „მანიფესტში“. მაგრამ ის სრულებით არ ატარებდა ვიწრო კუთხურ ხასიათს, პირიქით, იგი მთელი რუსეთის იმპერიაში შემავალ ყველა კუთხის გლეხთა ინტერესებს შეესაბამებოდა. ამის შესახებ თვით მანიფესტშიც კარგად იყო ნათქვამი „ჩვენ — ქართველები, რუსები, სომხები, თათრები — ყველანი ძმები ვართ. ჩვენ ერთმანეთს არ ვეკიდლავებით, დაე ტყუილუბრალოდ ნუ შეეცდება ამას მთავრობა... ჩვენი მოთხოვნები კერძო მოთხოვნები, მარტო ქართული მოთხოვნები როდია, ამას მოითხოვს მთელი რუსეთი“.

ლენინური გაზეთი „ვპერიოდი“ გურიის გლეხთა მოძრაობის შესახებ წერდა: „ეს ჩვეულებრივი გლეხთა აჯანყება კი არ არის, არამედ სავსებით შეგნებული პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც მთლიანად ერწყმის მთელი რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობას“.

მსგავს ამბებს ადგილი ჰქონდა საქართველოში. ამ მიმართებით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სენაკის, ქუთაისის, შორაპნის, გორის მაზრების გლეხები. დამახასიათებელი საქართველოს გლეხთა მოძრაობისათვის ამ დროს იყო ის, რომ ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ქალაქის მშრომელ მოსახლეობასთან, პროლეტარიატთან და მათთან ერთად იბრძოდნენ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. მუშათა და გლეხთა გაერთიანებული კრებები, დემონსტრაციები ხშირად იმართებოდნენ ოზურგეთში, სენაკში, სამტრედიაში, ხონში, ჭიათურაში, საჩხერეში, გორში და სხვ. გამოჩენილი რევოლუციონერის, მშრომელთა ინტერესებისათვის თავდადებული ადამიანის ალ. წულუკიძის დასაფლავება ხონში, გადაიქცა გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად. მასში მონაწილეობდა 10 ათასამდე კაცი. სამგლოვიარო პროცესიის მონაწილეებს თან მიჰქონდათ წითელი დროშები, პოლიტიკური პლაკატები, რომელზედაც ქართულ, რუსულ ენებზე წარწერილი იყო ლოზუნგები „ძირს თვითმპყრობელობა!“ „გაუმარჯოს სოციალიზმს“ და სხვ.

საქართველოს მშრომელთა, როგორც პროლეტარიატის ასევე გლეხობის, ასეთი რევოლუციური აქტივობის, სოციალ-დემოკრატიული შეგნებულობის მაღალი დონე შედეგი იყო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბოლშევიკური ორგანიზაციების დიდი ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობისა, რომლებსაც ისინი ეწეოდნენ თავიანთი დაარსების პირველი დღიდანვე. ბოლშევიკურ ორგანიზაციებს მხედველობის არედან არ რჩებოდათ საქართველოს მშრომელთა სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები, არც ეროვნული ჩაგვრის მძიმე მდგომარეობა, ისიც, რომ საქართველოში ცხოვრობდნენ მრავალი ერისა და ეროვნების მშრომელთა წარმომადგენლები. მოვლენათა სწორი შეფასების საქმეში ისინი ეყრდნობოდნენ ვ. ი. ლენინის შრომებს, მის სახელმძღვანელო მითითებებს, პრაქტიკულ ნაბიჯებს. ამიტომ რევოლუციური მოძრაობაც იმთავითვე სწორ პოზიციაზე დადგა. ამ მოძრაობაში, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ერთდროულად ჩაებნენ მუშები და გლეხები, საქართველოს მრავალეროვანი მშრომელი მასები. ბურჟუაზიამ და მისმა პარტიებმა ვერ შეძლეს გლეხობის თავის მხარეზე გადაბირება. პირიქით იგი მთლიანად სოციალ-დემოკრატიის მხარეზე აღმოჩნდა. გლეხობისათვის ბრძოლა სოციალ-დემოკრატიის ორ ფრთას — ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის წარიმართა. მაგრამ უნდა დავძინოთ, რომ 1905-1907 წლების პერიოდში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში საქართველოს გლეხობა ძირითადში რევოლუციურ პოზიციაზე იდგა. ეს იყო სწორედ რუსეთის პირველი რევოლუციის ერთ-ერთი თავისებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება საქართველოში, რომ ჩვენთან მუშათა და გლეხთა კავშირი, რუსეთის სხვა მხარეებთან შედარებით უფრო მტკიცე იყო.

მუშათა და გლეხთა ეს კავშირ-ურთიერთობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბევრ მხარეს მოიცავდა, სხვადასხვა სახით ხორციელდებოდა. მაგალითად, როდესაც ქუთაისისა და თბილისის უყელა გუბერნიის აჯანყებულ მშრომელ მასებს გაუჭირდა, გურიის რევოლუციური კომიტეტის გადაწყვეტილებით სადგურ ნატანებში წითელრაზმელთა დიდი შენაერთი ჩააყენეს, რომ ხელი შეეშალათ ბათუმიდან ჯარების გადაყვანისათვის, რომლებსაც ევალებოდათ აღნიშნულ გუბერნიებში მშრომელთა რევოლუციური გამოსვლების ჩახშობა. წითელრაზმელებმა ლიანდაგიც კი აყარეს.

მსგავსი ამბები განმეორდა სოხუმის ოლქში დაწყებული აჯანყების დახმარების საქმეში. 1905 წლის დეკემბერში, როდესაც სოხუმის ოლქის მშრომელებმა აჯანყების დროშა ააფრიალეს, მეფის მთავრობამ მისი ჩახშობის მიზნით რუსეთიდან ჯარის ნაწილები გადმოისროლეს. მაგრამ აფხაზეთის აჯანყებული ხალხის დასამარცხებლად საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გურიიდან, იმერეთიდან და სამეგრელოდან გააგზავნეს საუკეთესო რაზმელები, რომლებმაც დიდი დახმარება გაუწიეს მათ მთავრობის ჯარების განადგურების საქმეში. აღნიშნულმა რაზმელებმა, როდესაც შეიტყვეს რომ დახმარებას საჭიროებდა აჯანყებული სოჭელი მშრომელებიც, ადლერიდან სოჭისაკენ გაეშურნენ. მათ სოჭელ მშრომელებთან ერთად დაამარცხეს მთავრობის ჯარები და ყოველნაირად დაეხმარნენ აჯანყებულებს ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება. ეს კი არამარტო კლასობრივი სოლიდარობის, არამედ ინტერნაციონალური ერთიანობის შესანიშნავი მაგალითი იყო.

ინტერნაციონალური სოლიდარობის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს წითელრაზმელთა ჯგუფების გაგზავნა ნოვოროსიისკსა და ტუაფსეში აჯანყებულთა დასახმარებლად. გურიის გლეხთა რევოლუციური კომიტეტის გადაწყვეტილებით ნოვოროსიისკის მუშათა დეპუტატების საბჭოს გაეგზავნა აგრეთვე დიდძალი რაოდენობის ყუმბარებიც. ნოვოროსიისკის საბრძოლო იარაღები გაუგზავნეს აგრეთვე ბათუმელმა მუშებმაც. ნოვოროსიისკში 1905 წლის დეკემბერ-იანვარში აჯანყებულთა მხარდამხარ იბრძოდნენ რ. კალანდაძე, ი. კალანდაძე, ლ. დოლიძე, მ. ლომჯარია, დ. ლორთქიფანიძე და სხვები. ისინი იმ დიდი დამსახურების გამო, რომელიც მათ მეფის ჯარებთან, პოლიციასთან შეიარაღებულ ბრძოლაში მოიპოვეს, აგრეთვე პარტიული ორგანიზაციების სხვა დავალებათა ბრწყინვალე შესრულების გამო, არჩეული იქნენ მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში. საბჭოს ხანმოკლე არსებობის მთელ მანძილზე ისინი უმაღლეს დონეზე ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და რევოლუციისადმი თავდადების მაგალითს იძლეოდნენ.

საქართველოს წარგზავნილები ასევე თავდაუზოგავად იბრძოდნენ ტუაფსესა და ოდესაში.

საქართველოს მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა ინტერნაციონალური დახმარების ხელს უწვდიდნენ ამიერკავკასიის სხვა ერებისა და ეროვნებების მშრომელ ხალხებს. საყოველთაოდ ცნობილია, ის პრინციპული პოზიცია, რომელიც თბილისის, საქართველოს სხვა ქალაქების მუშებმა დაიკავეს ბაქოში მეფის მთავრობის მიერ მოწყობილი თათრებისა და სომხების ხოცვა-ჟლეტასთან დაკავშირებით. ინტერნაციონალიზმი პრაქტიკაში აშკარად გამოჩნდა მაშინ, როდესაც გურიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად მეფის მთავრობამ დაძრა კიევის ოლქიდან გადმოყვანილი 33-ე დივიზია გენერალ-მაიორ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით, გურიის მხარეზე დადგა არა მარტო საქართველოს მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, ამიერკავკასიის მშრომელი ხალხები, არამედ მთელი რუსეთის იმპერიის ჩაგრული მასები, მისი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები. ყველგან იმართებოდა მიტინგები და დემონსტრაციები გურულ გლეხთა მხარდასაჭერად. გურიის ამბებით დაინტერესებული იყო დიდი რუსი მწერალი ლ. ნ. ტოლსტოიც. იგი წერილს უგზავნის თავის მეგობრებს ი. ნაკაშიძეს და მ. ყიფიანს საქართველოში და თხოვს — მიაწოდონ ცნობები გურიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

მ. ყიფიანი იასნაია პოლიანაში პირადად ეწვია დიდ მწერალს და მოუთხრო საყურადღებო ფაქტები გურიის შესახებ. ყოველივე ამის გამო აღფრთოვანებული ლ. ტოლსტოი ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის ი. ნაკაშიძეს: „გმადლობთ იმ საოცარი ცნობისათვის, რომელიც ყიფიანმა მომცა. ძალიან ვწუხვარ, რომ ცოტა ხანს ვესაუბრე ყიფიანს. ის ცნობები, რომლებიც მან გადმოგვცა, ჩემი ფიქრით, ძალიან დიდმნიშვნელოვანია და უეჭველად უნდა გავაცნოთ ხალხს ის დიადი ამბები, რომელიც გურიაში ხდება...

რუსეთის მშრომელი მასების ამ მხარდაჭერამ მათმა ასეთმა საპროტესტო მოძრაობამ, იმხანად, აიძულა მეფისნაცვალი უარი ეთქვა გურიაში სადამსჯელო რაზმის გაგზავნაზე.

ამრიგად, საქართველოს მრავალეროვანი პროლეტარიატი, მშრომელი გლეხობა საქართველოს ბოლშევიკების მიერ გაწეული დიდი მუშაობის შედეგად მტკიცედ დაადგა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის გზას. კლასობრივი სოლიდარობის გრძნობით გამსჭვალულნი, ისინი ამ ბრძოლაში იჩენდნენ მიზნებისა და მოქმედების ერთიანობის სრულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგებას. მათ ამ ბრძოლაში გამოხატულებას პოულობდა მშრომელთა არამარტო სოციალური, არამედ, ეროვნული განთავისუფლებისადმი მისწრაფება.

ბურჟუაზიამ და მისმა პარტიებმა ვერ შეძლეს არა თუ მუშათა კლასის, არამედ გლეხობის უმნიშვნელო ნაწილის თავის გავლენის ქვეშ მოქცევა. არ გასჭრა ბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიების ეროვნულ გრძნობებზე თამაშმა. საქართველოს მშრომელი მასები მტკიცედ დაადგნენ ინტერნაციონალურ გზას. მათ ეროვნული საკითხის გადაწყვეტა მთლიანად დაუკავშირეს სოციალურ რევოლუციას, თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის დამხობას, რომელშიც გადამჭრელი სიტყვა უნდა ეთქვა რუსეთის პროლეტარიატს სხვა ერებისა და ეროვნებების ჩაგრულ მასებთან ერთად. საქართველოს პროლეტარიატი, მშრომელი გლეხობა 1905-1907 წლების რევოლუციაში კლასობრივი და ინტერნაციონალური სოლიდარობის მაგალითს იძლეოდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობამ მშრომელთა ინტერნაციონალური შეკავშირების საქმეში ვ. ი. ლენინის მაღალი შეფასება დაიმსახურა. „ჩვენში და კავკასიაში, — წერდა ის, — ს. დ. ქართველები, სომხები, თათრები, რუსები ათ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, ერთიან ს. დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა. ერთადერთი გადაწყვეტა.“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ბენაშვილი

# პოეტური სულის გამოსხივებანი

40-50-იანი წლების ქართულ პოეზიაში თავისთავადი, ყველასაგან განსხვავებული თემატიკითა და ინტონაციებით არის აღბეჭდილი მუხრან მაჭავარიანის პოეზია.

მისი მაძიებელი სული განცდათა იმ სიახლეებს ამკვიდრებდა, რომელთა ღირსება უფრო მოგვიანებით გახდა ნათელი მკითხველისათვის. ფერწერული სადებავების უბრალო, მაგრამ მკვეთრი და შთამბეჭდავი ხაზმოსმა პოეტური სახეების უნიკალურ გალერეას ჰქმნიდა. იგი მიზნად ისახავდა განწყობილებათა უკიდურეს გამომსახველობას. ეს იყო შემოქმედებითი ცდა ცხოვრების ახლებური ხედვისა და გამოხატვისა. იყო პოეტის ამ უბრალო და გულითად მონოლოგებში ემოციური თრთოლვის იმგვარი გამოსხივება, რომლის დასაბამი ცხოვრების ცოცხალ გამოცდილებას უკავშირდებოდა. ამგვარი დამოკიდებულება იმითაცაა გამოწვეული, რომ ამ ტიპის ლექსებისათვის ნაკლებად იყო ნიშნეული გონებრივი იმპულსების ძალმოსილება, რაციონალური განსჯის პათოსი.

სველია დილა,
დერეფნებში ძროხებს წველიან.
თვალცრემლიანი აივნები მერცხლებს ელიან.
მზემ იდუმალი ნეტარება შემოასვენა.
მშვენიერია.

პოეტის ფიქრთა მეტაფორული ქსოვილი გულწრფელი და საინტერესო წამის მხატვრული აღწერაა. მინიშნებათა თუ პირობითობათა ფერადოვანი ხაზგასმა ვერ ჰფარავს და ალბად არც ცდილა დაეფარა არსებითი ხილვით განპირობებული შეგრძნება. აქ არც თვითმიზნური ასოციაციების მონაცვლეობაა და არც რეალურისა და ირეალურის აღრევა. დროის გულწრფელი შეგრძნება განაპირობებს მის ღირებულებას. მშვენიერი კი სწორედ ის არის, რომ ამ ლექსებში იგრძნობა პოეტის თავისებური მხატვრული აზროვნების ინდივიდუალური მანერა. პოეტური სახე თითქმის ყოველთვის სუბიექტური საწყისით არის განპირობებული და ალბათ ამიტომაცაა იგი განსაკუთრებულად ღირებული. მხატვრული წარმოსახვის მთლიანობა, პოეტის ცხოვრებასთან უშუალო კავშირშია, ზნეობრივი პოზიციები და ცხოვრების წესი განმსაზღვრელი ფაქტორია მის თავისებურებათა შეფასების დროს. საინტერესოა ამასთან დაკავშირებით ა. ბლოკის მოსაზრება:

„ყოველი მწერლის სტილი ისე მჭიდროდაა დაკავშირებული მისი სულის შინაარსთან, რომ გამოცდილ თვალს შეუძლია სტილის მიხედვით დაინახოს სული, ფორმის შესწავლის გზით შეაღწიოს შინაარსის სიღრმეში“.

შემოქმედის პიროვნების განმსაზღვრელ როლზე მეტყველებს აგრეთვე შილერის გოეთესადმი მიწერილი წერილი, რომელშიაც კერძოდ საუბარია იმაზე, რომ „რა თქმა უნდა საგანი რაღაცას უნდა ნიშნავდეს, ისევე როგორც საგანი რაღაცას უნდა წარმოადგენდეს, თუმც საბოლოო ჯამში ყველაფერი ავტორის სულამდე დაიყვანება, ანუ იქამდე, წარმოადგენს თუ არა ესა თუ ის საგანი მისთვის რაიმეს. ჩემი აზრით სიცარიელე ან სისავსე დამოკიდებულია უფრო სუბიექტისაგან, ვიდრე ობიექტისაგან“.

სწორედ ეს ინდივიდუალობა მიჯნავს მუხრან მაჭავარიანის პოეზიას შტამპებისა და სტერეოტიპის „მკვიდრად“ ფესვგადგმული მოდელებისაგან. ნაცნობი საგნები თუ არსებანი, საოცარი ძალით იცვლიან თავიანთ საბოლოო მნიშვნელობას. ისინი განსხვავებული ასპექტებით ეხმიანებიან და სხვაგვარად უკავშირდებიან ერთიმეორეს. სიტყვათა შერწყმის ეს მაგიური ხელოვნება ჩვეულებრივი სიტუაციების პოეტურ რანგში აყვანის საშუალებას იძლევა. ამგვარად ქმნილი პოეტური სამყარო ბევრ საერთოს ავლენს ყოველივე იმასთან, რაც ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ უშუალო განცდის საშუალებით. „შემთხვევის წყალობით“ ნაძერწი სახეები „პოეტურ მდგომარეობას“ განაცდევინებს მკითხველს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კვლავ აასუნთქე
სალამური ტკბილო მამულო!
კვლავ აღმიტაცე
თეთრი ღამის სიანკარეში!
რა იქნებოდა
ეს მინდვრები უსალამუროდ?
ან სალამური —
ამ უსაზღვრო მინდვრის გარეშე?!

იმპრესიონისტული ჩანახატები შემოქმედებითი აღმოჩენების კვალს ატარებენ. პოეტის წარმოსახვაში უეცრად ამოზრდილ კონკრეტულ სილუეტთა ჭვრეტა, შეიცნობა, როგორც სულიერი წიაღის უგულწრფელესი გადახსნის ჟამი. თვით ყველაზე უფრო ჩვეულებრივი ეპიზოდი იძენს ინდივიდუალური თვითგამოსახვის ხატოვან ფორმებს. ისიც აღსანიშნავია, რომ პოეტურ სახეთა მოჩვენებითი ფრაგმენტულობა, წინასწარ გააზრებული ფსიქოლოგიური ხერხია, რომელმაც მკითხველის წარმოსახვას განსაზღვრული სივრცე უნდა მისცეს სააზროვნოდ, ბოლომდე უთქმელი განწყობილების სრულად წარმოსადგენად.

ცა დაწინწკლული კუდმაკრატელათი
მოლოდინს უსაზღვროს განაგრძობს
გელათი...
მერცხალმა ბოლოთი,
ვითარცა მაკრატლით,
ეტიკით მიმოსხლა ციაგნი ბაგრატის.

ან:

ეზო,
დღეა ულიმღამო,
წვიმს...
ვლონდები წვიმის გამო
წვიმს...

სწორედ მკითხველის წარმოსახვამ უნდა იტვირთოს შთაბეჭდილებათა ამ ფრაგმენტების ხაზთა დასრულება. ბუნებრივია, საკუთარი გამოცდილებისა და წარმოდგენების შესაბამისად იაზრებს იგი მას, აზრთა დინების მხოლოდ საკუთარი ვარიაციებიდან მიიღებს დასაბამს პოეტური ხატის კონკრეტული გააზრება. იაპონური ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი ვ. მარკოვა წერს:

„ლირიკული მინიატურის ფორმა პოეტისგან ითხოვდა მკაცრ თვითშემოზღუდვას და იმავ დროს, ანიჭებდა რა ყოველ სიტყვას გარკვეულ წონადობას, შესაძლებლობას იძლეოდა მრავლის თქმისა და უფრო მეტად მკითხველთან იდუმალი ჩურჩულისა. ამით აღვიძებდა მასში შემოქმედებით წარმოსახვას.

იაპონური პოეტიკა ითვალისწინებდა მკითხველის გონების შემხვედრ მოძრაობას. ვითარცა ქამანის შეხება და საპასუხო რხევა სიმისა ერთად ჰბადებენ მუსიკას".

საფუძველი ამგვარი სუგესტიისა პოეტის ინდივიდუალობის ორსახოვნებაა. კერძოდ, ერთსა და იმავე დროს განწყობილებები პირადულ-კონკრეტულნიც არიან და კონკრეტულ-საზოგადონიც, რამეთუ რეალობა მისთვის არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს იზოლირებულ განკერძოებას, ან აბსტრაგირებულ უნივერსალიას.

მუხრან მაჭავარიანის რეალობის განცდა კონკრეტული მოვლენებიდან უშუალოდ არეკლილ ფიქრებს შეერწყა და გონისა და ემოციის ბუნებრივი ხიდით მოსილი დაუბრუნდა (ლექსის სახით) მიწიერ საცხოვრისს (და არა მარადისობის აბსტრაგირებულ სფეროებს). თვით უშუალო ლირიკული ჩანახატები რეალობის ანალოგიური განჭვრეტითაა მკითხველის წინაშე წარმოდგენილი. პოეტს აქვს ერთი უნიკალური ფსიქოლოგიური წვდომით აღბეჭდილი ლექსი.

კაფეში ჩია შემოდის კაცი.
უბეში უზის პატარა ძაღლი.
და ძაღლი პატრონს ისე ჰგავს სახით —
თითქოს პატრონი კენგურუ არის —
საკუთარს ჰყიდის, რომელიც პირმშოს,
თან მუშტარს ეძებს,
თან, ვამჩნევ, შიშობს.
ვაითუ, მართლა გამოჩნდეს ვინმე
და შეაძლიოს
რამდენსაც ითხოვს.

უშუალო შთაბეჭდილების ცოცხალი და ხატოვანი განცდა სიკეთის მოსალოდნელ გამოხხივებად კრისტალდება. ადამიანის არსებაშა მოლივლივე სიქველისა და ბიწიერების ინსტინქტთა ჭიდილი ხედვითი სტრუქტურით სახიერდება და სწორედ ეს ანიჭებს კაეშნით მოსილ სურათს გამომსახველობას. ბუნებრივ უბრალოებას შინაგანი სითბო და ინტიმი შეაქვს არცთუ უმტკივნეულოდ სახილველ გარემოში. პირადი გამოცდილების, ცხოვრებისეული განცდებისა და ესთეტიკური შეგრძნებების ჰარმონიული ერთობლიობით, რაც ბუნებრივია რადიკალურად ემიჯნება „ჩვეულებრივ" ემოციურსა და ინტელექტუალურ განცდებს, „გამოიძერწა" დიდი მხატვრული სიმართლით აღბეჭდილი ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტის ერთი საინტერესო მხარე.

პოეტის უშუალო შთაბეჭდილებანი ხშირად ფსიქოლოგიურ აღმოჩენათა ძიებისაკენ იხრება და ადამიანის ქცევის წესთა იმ იდუმალ იმპულსებს „ელაციცება", რომელნიც ჩვეულებრივი თვალთახედვისათვის ძნელად გასაცნობიერებელი შექმნილა. ლირიკული ინტონაციების „ესთეტიზებულ" ქსოვილშია ათრთოლებული პოეტის ფიქრი, მისი „პიკანტური პოზიცია".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაცმა არ იცის, იცის ჭადარმა —
ხემ და პოეტმა იციან მარტო,
ქალი ქუჩაზე როცა გადარბის, —
რატომ იცინის უმისამართოდ.
კაცმა არ იცის, იცის ღრუბელმა,
ცამ და პოეტმა იციან მარტო.
ქალი წვიმაში რომ ილუმპება, —
რატომ იცინის უმისამართოდ.

ბუნებასთან პოეტის სულიერი სიახლოვე უმაღლესი აზრითაა განპირობებული. ქვეცნობიერის ბუნებაში დანთქმული ნაწილი თითქოს პოეტის ხილვებს ჰმორჩილებს და მის წინაშე „მიშვლდება" შინაგან აზრთა დამფარავი გარსისაგან. ბუნების წიაღთან განდობილი შემოქმედის ლირიკული მონოლოგი ახალი ხარისხით გადაშლის საკუთარ შესაძლებლობებს. იმპრესიონისტულია მთელი რიგი ლექსების განწყობილებათა საფუძველი. მისი მიზანია წამიერად ამოზრდილი სიტყვიერი ერთეულების საშუალებით შექმნას ილუზია სწორედ იმ უჩინარი გამაერთიანებელი ელემენტისა, რომელიც პოეტური მატერიის უკუქცევის კანონის შესაბამისად აზრობრივ „ნამსხვრევებს" აერთიანებს სემანტიკურ ფორმულებად:

მოვარდა სეტყვა. —
თითქო თეთრი
დაირხა თუთა.
  ზარი!
კვლავ ზარი!
დაიძრა „ფოთი"...
ვიღაცა რუსმ.
შეარჩინა დახლიდარს ხურდა, —
ქალს შეაჩეჩა ფანჯარაში სირბილით
                    ბოთლი.

ლექსში ასოციაციათა დარღვეული სტრუქტურით იქსოვება შთაბეჭდილების არსებითი ელემენტი. დროის უმცირესი მონაკვეთის ხილვას ხელეწიფება მოაწესრიგოს და ვიზუალური მხატვრული ნაკვეთებით წარმოადგინოს რეალური ეპიზოდი. პოეტის შთაბეჭდილება სიტუაციათა წამიერი სუნთქვისა და მისი პოეტური ღირებულების დადგენას ცდილობს. ლექსის „სემანტიკური ფუნქცია" ასე უნდა იქნას წარმოდგენილი.

ფრიად საინტერესოა მისი პოეტიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი, კერძოდ, გროტესკული თუ ჟანრული ჩანახატების ორიგინალური ხელოვნება, რომლებშიაც მშვენივრად გამოჩნდა ავტორის მხატვრულ წარმოსახვათა სასურველი დონე. დროის კონკრეტულ განზომილებებში წარმოდგენილი პიკანტური სიტუაციები, პერსონაჟთა უშუალო დიალოგების ფორმით ცხადდება. ცოცხალი და კოლორიტული მეტყველების სტილი, შინაგანი ინტიმის ხასიამოვნო განცდას ჰბადებს. დროისა და სივრცის ნატურალისტური შეგრძნება პოეტს უფლებას აძლევს გააცოცხლოს სიტუაციის პროზაულ გარსში ათრთოლებული, პერსონაჟთა ქცევისა და მეტყველების პლასტიკა. ამგვარი სტილისტიკით შესრულებულ ნიმუშთა შორის განსაკუთრებული მხატვრული სიმართლით გამოირჩევა ლექსი: „მიწურული მეცხრამეტე საუკუნისა, ანუ იმერული ქელეხი". ავტორის ირონიული კომენტარები ლექსის საერთო განწყობილების უკეთ წარმოჩენას უწყობს ხელს და ნათელს ჰფენს პერსონაჟთა ფსიქიკის ჭეშმარიტ „ღირებულებას".

ასწლოვან მუხებში გაშლილია
                    მდიდარი სუფრა
გარდაიცვალა ცნობილი თავადი ფრიდონ!
                    — ჩინებული ალაპია!
ლატაკი აზნაური — კოწია — თავაზიანობს
                    ნამეტანს;
— კარტოფილს არ მიირთმევთ, ქალბატონო
                    აგრაფინა?!
მანდილოსანმა გადმოიღო მცირედი ულუფა —
                    ღიმილით ნაზით...
  მამაკაცები ეწაფებიან უშველებელ ყანწებს...
      კოწია არწივი ბახტრიონის
      აგრაფინა — ვარდი შირაზის,
      ეარშიყებიან ურთიერთს:
      მოდგენ ხასიათზე —
      რალაი გაძლენ.

ადამიანებს თითქოს მოცილებული აქვს ხელოვნური, პირობითი ნიღბები. პირველქმნილი გამომსახველობის რბილი და ნაზი შტრიხები, ფერადოვან სიტუაციას ბუნებრივ განცდასთან აახლოებს. პერსონაჟთა ქცევის სტილი, მათი მეტყველების სტრუქტურა და ინტონაცია მკითხველს მხატვრული ილუზიის სამყაროში აქცევს.

      („ო... ეს კი აღარ ვარგა)
    კოწიამ ყელი მოიღერა სამღერლად
      დაიყინა — ქორწილში ვართო!
      არწმუნებს აგრაფინას:
      — მე... ვარ იადონი...
      და დღეს შენზე ვიწერ ჯვარს,
                    ქორფა ვარდო!

მიუხედავად რეალობის ფიზიკური შეგრძნებისა, არასოდეს იკარგება აზრი იმისა, რომ მკითხველთან თვით პოეტი საუბრობს. პერსონაჟთა ხასიათის თვისებები და ინდივიდუალური ტონალობა, თვით პოეტის პიროვნების, მისი ხედვის გამჭოლი და ზუსტი დაკვირვების ნაყოფია. სწორედ ამ დაკვირვებათა ძალამ ამოზიდა და გააცოცხლა ფრიად საინტერესო და კოლორიტული პლასტი კერძო და საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სწორედ იმგვარი ცხოვრებისა, როგორიც ის იყო, ყოველგვარი მოხაბეზრებელი ერთფეროვნების გარეშე. მკითხველის წინაშეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტის წარმოსახვაში გარდაქმნილი ხინამდვილის დეტალიზებული პანორამა, მხატვრულად გააზრებული სიმართლე.

მერე
წითელი კუბო ორლობით მიაქვთ...
მერე...
საფლავზე ამოდის ია...
მერე
იმ წამს სადაც ბალახია,
ფრიდონ წერეთლის საფლავი ჩქვია...
და
რა თქმა უნდა,
ტირიფიც იქვეა.

პოეტი არც ამ შემთხვევაში ღალატობს მისი სტილისტიკის ისეთ არსებით თვისებას, როგორიც აზრის ლაპიდარობაა. მკითხველის შემოქმედებით აზრს მინდობილი, იგი პოეტური „ანტურაჟის" მხოლოდ ძუნწ კონტურებს იძლევა. მთლიანი და ინდივიდუალური სახით იგი მხოლოდ მკითხველის ცნობიერებაში უნდა განსახიერდეს.

„საბას" ავტორის პოეზიას ძირითადში თითქოს აღწერილობითი ხასიათი აქვს და სუგესტიურია არა შინაგანი სტრუქტურით, არამედ გარეგნული მთლიანობით. შეიძლება ნაწილობრივ ეს ასეც იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თვით ეს მოჩვენებითი აღწერილობა სიტყვათა მყარ და არაესთეტიზებული მნიშვნელობის შეგრძნებასთან უფრო დაკავშირებული, ვიდრე ლექსის სემანტიკური ქსოვილის თანმიმდევრულ და ერთმნიშვნელოვან წყობასთან. პოეტის დიდი ხელოვნებით მიღწეული უბრალოებისა და სისადავის ილუზია შინაგანად რთულ სააზროვნო სისტემას ეფუძნება. მის ლექსებში ლირიკული საწყისი, როგორც პოეზიის უნივერსალური კატეგორია, ინდივიდუალური საწყისებით განპირობებულ ახალ წახნაგებისაკენ მიილტვის. პოეტის კონკრეტულ-პოლისემიური აზროვნების სტილი დღევანდელ ქართულ პოეზიაში საოცარი სიჯიუტით ამკვიდრებს მოვლენათა თუ საგანთა ახლებურ მხატვრულ მნიშვნელობას, მათი სიღრმისეული ბუნების განცდას. (მე, რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს მისი პატრიოტული ლირიკის ვრცელი რკალიც) პოეზიისათვის ამ უჩვეულო მხარეთა აღმოჩენა და მკითხველამდე მიტანა ორაზროვან განწყობილებათა გამოწვევის იმპულსად იქცევა. ერთი ნიმუში ამგვარი ლექსისა:

ეს ჩემგან კია მეტისმეტი თუმცა
სიმკაცრე,
მაგრამ ყოველთვის,
ცნობილია,
არ ხამს ალერსი;
დაღონებული როა კაცი, —
მესმის იმ კაცის!
გაზარებული კაცის, —
არ მესმის!

და კიდევ:

მე მინდა სიკვდილს სიმღერა
წავაფარო, —
ამაოდ ვშვრები...
საფლავებს თვალებივით აზელს
ხასაფლაო
ხორცს
იხვეწებიან ძვლები.

ცხოვრების „ტალღებით განბანილი" პოეტის სულის მრავალწახნაგი ჩვენს თვალთახედვას ახალ-ახალი მხრიდან წარმოესახება ხოლმე. არის შემთხვევა, როდესაც კაეშანს ბავშვობის წლების რომანტიკული განცდა ჰბადებს. ბუნებრივია, რომ პოეტის ფიქრის საგანი განსხვავებული „სხივთა ციაგით" იკრებს სასურველ სახეს, თუმც მიზანი მისი კვლავ სულიერი ზეობის განცდაა:

ბავშვობას რომ იყო
მშობლიურ მხარეში,
იგივე მთებია...
იგივე მინდვრები...
იმდროინდელი სადღაა ხალისი?!
ხალისი სადღაა იმდროინდელი?!

გარდასულის ნისლოვანი საუფლოდან გამოხმობილი წმინდა და არასაგნობრივი არსით აღბეჭდილი ჩვენებები, პოეტის ცნობიერებაში ფერადოვან და ინფანტილურ სურათებად სახიერდება. ანგელოსური უცოდველობის ულევთოდ „მიტოვებული" უთბილესი სამყარო, მხატვრული გრძნობის ჰარმონიული ანეტყველების ერთ ყველაზე მძლავრ იმპულსად ქცეულა. წარმოსახვის ძალისხმევით რესტავრირებული ეპიზოდები, ტკბილად შესაგრძნობ სილამაზეს განაცდევინებს წარსულისაკენ მიდრეკილ შემოქმედს. პასტორალური გარემოს წიაღში დაფარფატებს ბავშვობის ლამაზ სიზმრებს მინდობილი პოეტის სული. „მხოლოდ პოეზიას ხელეწიფება თავისი ზღაპრების მოყოლა" — კიტხის ეს ფიქრი საოცარი ძალით ესადაგება „საბას" ავტორის წარსულთან წილნაყარ მედიტაციებს.

ხბოს აბალახებს პატარა ბავშვი;
უხმოდ ვეძახი: — მუხრან!
ესმის ყოველმხრივ აცეცებს
თვალებს;
ირგვლივ არავინ არ ჩანს.
— მომეჩვენაო! იტყვის, მშვიდდება...
კვლავ დავუძახებ — მუხრან!
თვალებს კვლავ ირგვლივ
მიმოატარებს;

ირგვლივ კვლავ არვინ არ ჩანს
და... საიდანაც ხმა მიეყურა —
გამოიქცევა იქით...

ვინ ვიყავი — რა ვიყავი, —
კოპიტები მიამბობენ: —
მუხრან, ძროხა გადააბი,
დაგენაცვალოს მამიდა!

წარსულისკენ უკანმოხედვა გაურკვეველ სილუეტებს თუ ააფარფატებს მისი გონის წინაშე. მიუსაფარი სული და დაღლილი მზერა ნაწილ-ნაწილ გამოჰკრებს იდუმალი სივრციდან რომანტიკული თრთოლვით სულჩადგმულ საკრალურ სურათებს. ძიების პათოსს ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი ფსიქოლოგიური ფაქტორი განსაზღვრავს. კერძოდ ურყევი რწმენა იმისა, რომ „მაშინ“ და „იქ“ იყო რაღაც საოცნებო მშვენიერი და ჯადოსნური სილამაზის სამყარო.

მივდივარ და მომდევენ გვერდით აკაციები,
ვხედავ იქაც იები, ვხედავ აქაც იები.
ცაო, შენი ბრალია, მიწას რომ არ აჩნია.
ჩემი პატარაობის მკრთალი ნაფეხურები.

წარსულში ჩაძირული ხსოვნიდან სხივმოსილ მოგონებად გამოკრთის უინტიმეს განცდათა ამაღელვებელი სურათები, სწორედ მათში თრთის დროის რეალურ საგნობრიობას ნაზიარები პოეტური მსოფლშეგრძნება. ასოციაციათა გულუბრყვილო ვარიაციას თუ ირეალურისა და რეალურის უსისტემო აღრევას განრიდებული მედიტაციები, უფრო შინაგანად განცდილ გრძნობათა მდინარებას არიან მინდობილნი. ასე „მიუძღვებიან“ ისინი მკითხველს საკუთარი უწმინდესი წიაღისაკენ. ისიც უნდა ითქვას, რომ ხსოვნის ამ დალექილი „ნიუარებიდან“ ძალუმად მოისმის ვნებათაღელვის მძლავრი ხმა. მე ამით ის მინდა ვთქვა, რომ მისი პოეტური ინდივიდუალობისათვის უცხოა კამერული შეზღუდულობა, „ღრმააზროვანი“ განდეგილობის ნიღაბი და საკუთარი სულიერი ცხოვრებით ტკბობის მაცდური განცდა. თვით ისეთი სულის მომწველი თემა, როგორც საკუთარი წარსულია, მისთვის ახლებურ ჟღერადობას იძენს. წამიერ ცრემლს მინდობილ სულში კვლავ და კვლავ შეუნელებლად ფეთქავს დროსა და სივრცესთან მოპაექრე შემოქმედის მძლავრი ხმა. ეს ის ჩვეული პოზიციაა, რომლის მიღწევათა ფონზე დილეტანტად მოსჩანს სიმართლისა და გულწრფელობისაკენ „მიდრეკილი“ არაერთი სიტყვის ოსტატი.

მუხრან მაჭავარიანის, როგორც შემოქმედის ღირსებას წარმოადგენს პოეტური ხმის ორსახოვნება — ხაზგასმული სერიოზული პათოსით განმსჭვალული ერის ჭირისუფალს ენაცვლება გულწრფელი იუმორით, ზოგჯერ კი რომანტიკული ირონიით აღბეჭდილი ანალიტიკოსი. ტომას მანი წერდა: „უნდა დავეთანხმოთ იმ მოსაზრებას, რომ ხელოვანი, თვით ისეთიც კი, რომელიც ხელოვნების ყველაზე ამაღლებულ სფეროებში სახლობს, არასოდეს არ არის აბსოლუტურად სერიოზული ადამიანი, რომ მისთვის მთავარია შთაბეჭდილება, რომელსაც ხნავაზე ახდენს მაღალი თვისების გასართობი, და რომ ტრაგედიას და ფარსს ერთი და იგივე ფესვები აქვთ. მოულოდნელი შემობრუნება, შეცვალა განათებისა გარდაქმნის ერთს მეორედ — ფარსი ფარულად ტრაგიკულად განიმსჭვალება, ხოლო ტრაღედია საბოლოო ჯამში ამაღლებული თინბაზობაა. ხელოვანის სერიოზულობა — ფიქრთ ამშლელი თემაა. იგი შეიძლება ერთგვარ სათაკილოდაც მოგვეჩვენოს. სახელდობრ — რამდენადაც ეჭვქვეშ დგება ხელოვანი ადამიანის ინტელექტუალური სერიოზულობა, ჭეშმარიტებასთან დამოკიდებულების ნამდვილი გულწრფელობა, რამეთუ მისი მხატვრული სერიოზულობა, სახელგანთქმული „სერიოზული თამაში“ — ყველაზე წმინდა, ყველაზე ამაღელვებელი ფორმა ადამიანის სულის სიდიადისა — ეჭვს არ ექვემდებარება... ახალ ჭეშმარიტებათა წვდომა ხელოვანისათვის ნიშნავს შემოქმედებით ძალთა ახალი იმპულსებისა და გამოსახვის ახლებურ შესაძლებლობათა დაბადებას. მას სჯერა მისი, აძლევს მას სერიოზულ მნიშვნელობას, ზუსტად იმდენად რამდენადაც ეს საჭიროა იმისათვის, რომ მიანიჭოს უმაღლესი ხორცშესხმა და ამგვარად მიაღწიოს შემოქმედების მაქსიმალიზმს. ამდენად მისი დამოკიდებულება ძალიან სერიოზულია — სერიოზულია ცრემლებამდე, თუმცა არა ბოლომდე, და ამდენადაც სრულიადაც არაა სერიოზული“...

დიდი გერმანელი მწერლისა და მოაზროვნის განსჯის კონკრეტულ ობიექტად ამ შემთხვევაში გენიალური კომპოზიტორი რიხარდ ვაგნერი ქცეულა. ეს მეტად შორს მიმავალი დაკვირვება ფრიად საინტერესო ფსიქოლოგიურ საფუძველს ქმნის ზოგადად შემოქმედის განწყობილებათა გაორების გასააზრებლად. „საბას“ ავტორის შინაგანი სულიერი სიმკაცრე, მისი არაერთი პოეტური ქმნილებისათვის რომაა დამახასიათებელი, განსხვავებულ ასპექტებსაც ითავსებს.

რა ვუყო ხალხს?! —
რა ვუყო ამ ხალხს?! —
შევაგნებინო როგორ და რითი?! —
ადამიანის თუმც მაზის დამღა, —
იესო ქრისტე ვარ ჭეშმარიტი!

და კიდევ:

ქვეყნად ყველაფერს გაუდის ყავლი
საკმაო საგზალს ვერ იტევს აბგა.
ვით ვალტერ სკოტი, დღეს არა, ხვალე,
საბავშვო მწერლად იქცევა კაფკა.

და ბოლოს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურს ათხოვებ მუხრანს თუკი!
უნდა გითხრა, უილიამ
შენისთანა დრამატურგი! —
ტყუილია!

აქ მოყვანილი პოეტური ნიმუშები განსხვავებული ვარიაციებით წარმოსახავენ „მხატვრული პიკანტურობის" ავტორისეულ შესაძლებლობებს. თვითწარმოდგენის სერიოზული ინტონაცია, საკუთარი პერსონის საკრალიზაციას ლამობს თითქოს. თუმცა ეს მხოლოდ ილუზიაა და შემოქმედის ნიღბებთან დამეგობრების ცდასთანაა დაკავშირებული. ავანსცენაზე მდგარი პოეტი „თვითგანდიდების" მისტერიალურ განცდასთან აზიარებს მისკენ მიღრეკილ მსმენელს. იუმორით შეზავებული მონოლოგი არც სახიობის ესთეტიკურ განცდას კარგავს და არც დეკლამატორის ნიღაბს ამოფარებული პიროვნების ჭეშმარიტ შეგრძნებას. ამ „ორსახოვნებისაგან" მონიჭებული ხიბლი, მხოლოდ მაშინაა გულწრფელი და მნიშვნელოვანი, როდესაც მას ღვთისაგან მომადლებული ნიჭიერებით აღბეჭდილი შემოქმედი ანსახიერებს... მხოლოდ მას გააჩნია უფლება მკითხველთან ამგვარი გაბაასებისა.

პოეტის ლაღი და თავისუფალი განსჯა ანუ საუბრების ჟანრი, თავისებური კომპოზიციური წყობით, მომარჯვებულია გამოხატოს რთულად განტოტვილი, ზოგჯერ კი ექსტრავაგანტური პოეტური აზრის მოძრაობა და მისი თანმხლები სხვადასხვაგვარი ინტონაციები — კაეშნიანი თუ ირონიული, ვნებიანი, ეჭვებით აღსავსე თუ უცილობელი. რა თქმა უნდა, თავისი ფორმით იგი ლირიკული ჟანრია, მაგრამ ეს ლირიკა განსაკუთრებულია. იგი, როგორც ერთხელ აღვნიშნეთ, არ არის შემოზღუდული, არ ემალება სამყაროს, არ ილტვის განმარტოებისაკენ, პირიქით, იგი განსაკუთრებული ძალით ითხოვს რეაქციას, გამოძახილს და ბოლოს დიდსა და დიდ ყურადღებას. ალბათ, სხვანაირად წარმოუდგენელია მისი მრავალი და მრავალი ლექსის შეგრძნება.

ეს გზა, მე ვიცი, საითკენ მიდის...
გაივლის ქარელს...
გაივლის შინდისს...
ხან ხიდზე გადის,
ხან მიდის მინდვრით...
ეს გზა, მე ვიცი, საითკენ მიდის...
შენ გზა მითხარი,
ის გზა რომელიც...
ეს გზა, მეც ვიცი, საითკენ მიდის...

ლირიკული მონოლოგები არ უშლიან ხელს პოეტს, ფიქრთა მდინარების უშუალო მოწმედ გაიხადოს მკითხველი. სხვათაშორის, არც ამაშია არავითარი უხერხულობა, რადგანაც პოეტის თვით ყველაზე უფრო გულითადი და ინტიმური ლირიკა ზოგადმნიშვნელოვანია — ლირიკული გმირის სულიერი სამყარო გადახსნილია და მკითხველისკენაა პროეცირებული.

საინტერესოა, რომ „დიდაქტიკური პოეზიის" ტერმინის მნიშვნელობამ ამ ბოლო დროს ერთგვარი ცვლილება განიცადა. დიდაქტიკური დღეს შეიძლება ნიშნავდეს ინფორმაციის მატარებელს, იმავე დროს ამ ტერმინით ჩვენამდე შეიძლება მოვიდეს ცნება მორალური შეგონებისა. დიდაქტიკური პოეზიის მეორე სახესხვაობის უპირატესობა თანდათანობით აშკარად გამოიკვეთა და იგი მორალურ-ზნეობრივი პათოსით გამსჭვალულ პოეზიად მოგვევლინა, რომელიც ისწრაფვის დაარწმუნოს მკითხველი ავტორის მიერ გამჟღავნებული აზრის სიმართლეში. მასში ორგანულად არის შერწყმული კრიტიკული და პოეტური საწყისები. თუმცა უნდა ითქვას, რომ კრიტიკული ელემენტი საერთოდაა ნიშნეული ხელოვნების ყველა სფეროსათვის (იგი თავისებურადაა მათში გამოვლენილი). ყოველი ნამდვილად დისციპლინირებული შემოქმედება გვერდს ვერ აუვლის მას. იგი ხელოვანის საკუთარ თავთან ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს. ხშირად შინაგანი კრიტიკული განწყობა გარეობიექტურ სამყაროზეა მიმართული. რა საოცარიც არ უნდა იყოს ამგვარ ტენდენციებს ყველაზე უფრო მძლავრად სწორედ ლირიკა ამჟღავნებს. ეს ერთი შეხედვით თითქოს ყველაზე ნაზი და სათუთი ჟანრი პოეზიისა, ლირიკა აშკარად უფრო ძლიერადაა დაკავშირებული კრიტიკულ ელემენტთან, ვიდრე დრამატული თუ თხრობითი ხელოვნება. ყოველივე ეს გამომდინარეობს მისი სუბიექტურობიდან და იმ უშუალობიდან, რითაც სიტყვა ლირიკულ პოეზიაში იქცევა გრძნობების განწყობილებებისა და შეხედულებების მატარებლად (თომას მანი).

ლირიკული პოეზიის ეს მნიშვნელოვანი პრინციპი მუხრან მაჭავარიანის შემოქმედების უმთავრეს ღირსებას წარმოადგენს.

პოეტის პიროვნულ-შემოქმედებითი ბიოგრაფია ერთ მთლიან და განუყოფელ მასალაა შედუღებული, ღრმადა ვარ დარწმუნებული იმაში, რომ იგი თავისი ცხოვრების მანძილზე ძნელად თუ გაარჩევდა საკუთარ ყოფით მე-სა და ლექსებში დრამატიზირებულ სულს — რომელსაც მუხრან მაჭავარიანი ჰქვია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობერტ პეტრიაშვილი

# მონატრებული სამყაროს ძახილი

სოსო პაიჭაძის მოთხრობის „ბაქანი — ბოტანიკური ბაღი“ გმირები კობა და ივლიტა არაფრით არ გამოირჩევიან იმ ადამიანებისაგან, რომელთა შორისაც ისინი ცხოვრობენ. მათი ცხოვრება ძალიან წააგავს ათასობით ჩვენი თანამედროვის ყოფას. მოთხრობაში პერსონაჟთა დახასიათება შეფარულად ხდება. მწერალი მათ შესახებ დროდადრო გვაწვდის ცნობებს, რომელთა საფუძველზედაც შეგვიძლია წარმოვისახოთ კობას და ივლიტას პორტრეტები.

კობა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, რომელიღაც სამმართველოს ერთ-ერთი რიგითი მუშაკი უნდა იყოს. ისიც შეიძლება, რომელიმე კვლევით ინსტიტუტში უმცროს ან უფროს მეცნიერ თანამშრომლად მუშაობდეს. ყველაზე მეტად საფიქრებელია, რომ ის თბილისში ცხოვრობს და მუშაობს. ისე, არც ისაა გამორიცხული ქუთაისში, სოხუმში, ან ბათუმში რომ ცხოვრობდეს და მუშაობდეს. სამუშაო ოთახში რამდენიმე კაცთან ერთად ზის. თანამშრომლებთან საკმაოდ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება აქვს. როგორც მისი მაგიდის „დალაგებული უჯრებიდან“ ჩანს, მოწესრიგებული და კარგი საშემსრულებლო დისციპლინით უნდა გამოირჩეოდეს. რაც შეეხება ცოლ-შვილისადმი დამოკიდებულებას, აქაც ვერაფერს ვერ დავუწუნებთ. კობას ოჯახში იდილიური მყუდროება სუფევს. ოჯახში ყოფნისას „მშვიდ, უდრტვინველ ბედნიერებას“ განიცდის. ცოლ-შვილის მოყვარული მამის ყველა თვისება აქვს. ამ სიყვარულს და მისგან გამოწვეულ თავდაჯერებულ და სავსე ბედნიერებას“ ყველგან და ყოველთვის გრძნობს... მოკლედ, ჩვენ წინაშეა ტიპიური წარმომადგენელი კარგი, კეთილი, ოჯახის მოყვარული ინტელიგენტისა, რომლის ცხოვრების წესი შეიძლება სანიმუშოდაც კი იქნას აღებული.

თითქოს ბედთან არაფერი უნდა ჰქონდეს კობას სამდურავი. არც ემდუროდა სანამ, ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, სამსახურიდან მივლინებაში არ გააგზავნეს პატარა ზღვისპირა ქალაქში პროფტექნიკური სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე ლექციების წასაკითხად. სადაც კობა, თავის მსმენელთა შორის ამოიცნობს ქალს (ივლიტას) ოცი წლის წინათ თორმეტი წლის ბიჭის ბუნდოვანი, მაგრამ ძლიერი გრძნობით რომ უყვარდა... და აი, მის მშვიდ, მყუდრო ცხოვრებაში ყოვლის წამლეკავ სტიქიურ ძალად იჭრება რაღაც „შორეული და ძვირფასი გრძნობა“, რომელმაც „იქ“, იმ „მონატრებულ სამყაროში მიუხმო“. მიუხმო და კობაც მიჰყვა...

ქალი გაიცნო (ბავშვობისდროინდელი ნაცნობობა არ გაუმხელია). დაუახლოვდა და მივლინების დარჩენილი დღეების თავისუფალი დრო მასთან სეირნობაში გაატარა. კობა ხვდება, რომ ქალიც არ არის გულგრილი მისადმი, და რაღაც სასიამოვნო თავდაჯერებულობით ივსება. საკუთარი თავის რწმენა კიდევ უფრო განუმტკიცდა, როცა მივლინების დამთავრების შემდეგ ივლიტა რაღაც სასწრაფო საქმეზე თბილისში გადაფრინდა და ვაჟს დაუბარა, ხვალ პირველი რეისით დავბრუნდებიო. მოთხრობა სწორე იმით იწყება, რომ კობა აეროვაგზალში ზის და მოუთმენლად ელის ივლიტას დაბრუნებას.

დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ კობას ახლადაღორძინებულ ძლიერ გრძნობას რაღაც, ასევე ძლიერი გრძნობა, უწევს მუდმივ წინააღმდეგობას. ეს მეორე გრძნობა არ არის გარედან თავს მოხვეული. კობა კონფლიქტშია საკუთარ თავთან. მთელი არსებით ისწრაფვის ივლიტასაკენ, მაგრამ ამავე დროს, რაღაც უხილავი ძალა განიზიდავს მისგან.

რა უნდა იყოს კობას შინაგანი გაორების საფუძველი? ესაა ის ცენტრალური კითხვა, რომელზე პასუხმაც ნათელი უნდა მოჰფინოს ნაწარმოების ყოველ ეპიზოდს, კობას ქცევას და ბოლოს, უნდა გაიხსნას ავტორის ჩანაფიქრი.

ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს კობას ახლადაღორძინებულ სიყვარულს, უნდა უპირისპირდებოდეს ოჯახისადმი მოვალეობის გრძნობა. თუ ამ თვალსაზრისს მივიღებთ და ნაწარმოებს ამ კუთხით განვიხილავთ, მოთხრობაში ბევრი რამ გაუგებარი დაგვრჩება და მოქმედების ფაქტობრივ განვითარებაზე დაყრდნობით ისეთი დასკვნაც კი შეიძლება გავაკეთოთ, თითქოს მოთხრობის ფინალში ოჯახის მიმართ მოვალეობის გრძნობა იმარჯვებს ქალვაჟის დროებით გატაცებაზე.

ავტორი გრძნობს ამ საშიშროებას და ამიტომ ხაზს უსვამს, რომ „ოჯახი ახლა მოუხელთებლად გამფრინველე, გაუაზრებელი ცნება იყო კობასათვის და ამაზე არც ფიქრობდა, რადგან წარმოუდგენელი იყო სხვა, ნამდვილად არსებული ძალის მეტოქეობა იმ გრძნობასთან, მის გულს რომ ავსებდა“.

მწერალი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ განა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხლებულმა სიყვარულმა კობა სხვა სამყაროში გადაასახლა. შეიძლება ითქვას, ზნეობრივი პრობლემის მიღმა გაიყვანა. ეს ორი გრძნობა სხვადასხვა განზომილებაში არსებობს და ამიტომ არც უპირისპირდება ერთმანეთს.

მაშ, თუ არა ცოლ-შვილისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა, რა უნდა იყოს ქალისაგან განზიდვის მიზეზი, ესოდენ ძლიერ გრძნობას რომ აღუდგა წინ და „დაამარცხა" კიდეც?

მოთხრობაში მთავარია ყოფიერების დაკარგვის და მისი ძიების, ადამიანის შინაგანი თვითგაუცხოების, ორი განსხვავებული სამყაროს ურთიერთშეუთავსებლობის პრობლემა.

რაც შეეხება კობას და ივლიტას წინაშე მდგარ ზნეობრივ პრობლემას, თუ ასეთი რამ საერთოდ დგას მოთხრობაში, მხოლოდ დაქვემდებარებული და იმდენად უმნიშვნელო ადგილი უჭირავს, რომ მასზე ყურადღების გამახვილება, უფრო ჩვენს ცნობიერებაში, კონვენციური პროზის ზეგავლენით ჩამოყალიბებული ინერციით უნდა ხდებოდეს.

მოკლედ, მოთხრობაში ძირითადია დაკარგული ყოფიერების ძიება. შეძლო თუ არა კობამ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „გაეხსენებია საკუთარი თავი და გადაქცეულიყო იმად რაც სინამდვილეში არის, ან რაც ოდესღაც იყო?" საკუთარი თავი კი გაიხსენა (თუმცა აქაც ბოლომდე ველარ ჩაწყვა, ზოგი რამ აღარ ესმის საკუთარი წარსულისა), მაგრამ მეტი ველარ შეძლო და ისევ თავის შეჩვეულ არსებობას დაუბრუნდა. სწორედ ამ „მშობლიურ სამყაროში", იმ პირველხილვაში დაუბრუნებლობის ტკივილით არის გამსჭვალული მოთხრობის ყოველი ფრაზა.

მაშ ასე, რა განიზიდავს კობას ივლიტასაგან? ამ კითხვაზე შეიძლება ერთი სიტყვით ვუპასუხოთ — შიში!

თავის ერთ-ერთ მსმენელში კობამ რომ პირველი სიყვარული ამოიცნო და „შორეულმა, ძვირფასმა გრძნობამ" ძლიერი ძახილით მონატრებულ სამყაროში მიუხმო, კობა ცას ეწია. მაგრამ, ამასთან, რატომღაც შეცბა, თითქოს მთელი მისი არსება ამ ძლიერმა ძახილმა „მოუთმენელი და წინასწარმეტყველური გუმანით შეაკრთო". სიუჟეტის შემდგომი განვითარება, მოთხრობის ყოველი კომპონენტი იმას ემსახურება, რომ დაგვანახოს რა უდევს საფუძვლად ამ „წინასწარმეტყველური გუმანით" ნაგრძნობ შიშს.

კობა, იმ ხუთი დღის განმავლობაში, ივლიტასთან რომ გაატარა, „თავისი განცდებით იყო გაბრუებული... ქალის გრძნობებს არასოდეს დაკვირვებია." ალბათ ამიტომ მოხდა, რომ იმ შინაგანი გუმანით ნაგრძნობი რაღაც უსიამო განცდა აკრთობდა, აცბუნებდა, გულს უწვრილებდა, მაგრამ ყოველივე ეს შიშად მხოლოდ მაშინ გამჟღავნდა, „როცა ქალი აეროდრომზე გააცილა და მთელი საღამო მარტოდმარტომ, სასტუმროს ოთხ კედელში გამოკეტილმა გაატარა, მიხვდა თუ რა სახიფათო თამაშში ჩაება და შეეშინდა".

ავტორი საჭიროდ მიიჩნევს, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნოს, რომ „ეს არც პასუხისმგებლობის შიში იყო, არც გაურკვეველი მომავლისა". როცა მარტოდ დარჩენილმა კობამ იმ ხუთი დღის რეტროსპექტული ანალიზი მოახდინა, „...ერთად გატარებული საღამოები გაახსენდა და გონებაში წვრილად აღადგინა ქალის ყოველი სიტყვა, მონატრებული სილაღით გაცისკროვნებული სახე და თავდავიწყებული, უკანმოუხედავი სითამამე, პირველად იგრძნო საკუთარი თავის შიში."

ეს იყო „სიშიშვლის" შიში. კობა მიხვდა, რომ ივლიტასთან ურთიერთობა მას ნიღაბს აცლიდა. ის რაც ქალის პირველ დანახვისას თავმოყვარეობის სქელ საფარქვეშ გაურკვეველ ეჭვად გაფაჩუნდა, ახლა, კობას რეფლექსური გონების წყალობით, ქერქს-ქერქზე იძრობდა და ცნობიერების შუქზე გამოსვლას ლამობდა. კობა ყოველნაირად ცდილობს, წელებზე ფეხს იდგამს. ეძებს საკუთარ თავში იმ ღირსებას, რომელიც ერთი მხრივ, ქალის ასეთი აღტკინებისა და თავდავიწყების მიზეზად გამოდგებოდა, მეორე მხრივ კი საკუთარ გაშიშვლებულ არსებას შემოსავდა. ამაოა მისი ყოველი ცდა. ცხადად ხედავს, რომ „არაფერი ჰქონდა ისეთი, რასაც მისგან მოელოდნენ, რასაც უნდა გაემაგრებინა ქალის საქციელი და ის უცნობი, ამოუხსნელი ძალა, რამაც ის ოჯახისაკენ მიმავალ გზას ააცდინა და აქ მოიყვანა". მაგრამ კობა, თუ მასში ჩასახლებული გაზულუქებული თავმოყვარეობა, მაინც არ ჰყრის ფარ-ხმალს. ამ გაუთავებელი ეჭვებით შეურაცხყოფილი ძალებს იკრებს და უკანასკნელ ჯავშანს იკეთებს.

ადამიანში არის ისეთი უნარები, ისეთი ძალები, რომელთა არსებობასაც თვითონ ვერც კი წარმოიდგენს, მაგრამ სხვამ შეიძლება აღმოაჩინოს. სწორედ აქ უნდა იყოს მისთვის მიუწვდომელი ქალური საიდუმლო, სწორედ ამით უნდა აიხსნას ივლიტას „აუხსნელი საქციელი" — ფიქრობს კობა. „რაღაც გაურკვეველი, გაუცნობიერებელი საბედისწერო ლტოლვა არა შენდამი, არამედ შენში არსებული და შენთვისვე უცნობი უცხო ძალისადმი, რომელიც მხოლოდ მან, ამ ქალმა აღმოაჩინა და სხვამ ვერავინ, მხოლოდ მან დაისაკუთრა და სხვა არაფერი უნდა შენგან... მას სულ სხვა რაღაც მოსწონს შენში და შენ უნდა გეშინოდეს ამ „რაღაცის" დაკარგვისა, რომელიც თურმე ისე ყოფილა შენში, რომ არც კი იცოდი და მისი თურმე გამაოცებელი აღმოჩენა ახლა ისე თავდაჯერებითა და სიამაყით გავსებს."

ამ აზრს კობა ისე ჩაეჭიდა, როგორც აბობოქრებულ, უკიდეგანო ოკეანეში ჩავარდნილი კაცი მაშველ რგოლს. იგი მიხვდა, რომ ეს იყო უკანასკნელი და ერთადერთი ხსნა, თანაც საკმაოდ საიმედოც, რამდენადაც უკიდურესად თვითკრი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტიკულად განწყობილ ცნობიერებასაც არ შესწევს ამ ჯავშნის გარღვევა.

მხსნელად მოვლენილმა აზრმა წონასწორობა აღუდგინა და დაამშვიდა, მაგრამ ეს სიმშვიდე წუთიერი აღმოჩნდა. სულ მალე იგრძნო, სადღაც შიგნიდან, როგორ წამოვიდა ეჭვი და კვლავ დაეპატრონა მის სულს...

თბილისიდან ივლიტას დაბრუნების შემდეგ კობა და ივლიტა ერთად მიდიან ჯერ რესტორანში, შემდეგ პლაჟზე. იბანავეს... „ბოლოს ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გამოცურეს ნაპირისაკენ...“ ავტორი ოსტატურად გვიჩვენებს, რომ შექმნილ სიტუაციაში ქალ-ვაჟი შინაგანად აბსოლუტურად თავისუფალია და გარემოც ხელს უწყობს, უფრო მეტიც, უბიძგებს ფიზიკური დაახლოებისაკენ. და, სწორედ მაშინ, როცა არავინ და არაფერი ხელს არ უშლიდა მათი ურთიერთობის „ბოლომდე მიყვანას“, კობას სმენას მისწვდა „უნაზესი სათნოებითა და მადლიერებით გამსჭვალული ხმა“, რომელმაც გააგებინა, რომ ივლიტასაც უცვნია, მის გულშიც ყოფილა შენახული ოცი წლის წარსული. (როგორც ქვემოთ ვნახავთ, უფრო სათუთად და მეტის სითბოთი.)

თითქოს ისეთი არაფერი მომხდარა, ის კი არა, კობა პირველად რომ გამოელაპარაკა, მაშინვე აპირებდა გამოცნაურებოდა, გაეხსენებინა ქალისათვის თავი, მაგრამ რატომღაც თავი შეიკავა. მერე კი მოეწონა კიდეც, რომ მათი ურთიერთობა რაღაც საიდუმლოებით იმოსებოდა. თქმა არ უნდა, კობას საქციელი, ზნეობის პოზიციიდან შეფასებული, მთლად მოსაწონი არ იყო. ასეთ დროს კაცი ისეთ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც შაქრის ქურდობაზე წასწრებული ბავშვი. ასე რომ, საიდუმლოს გამჟღავნებას შეიძლებოდა კაცის შერცხვენა გამოეწვია. მაგრამ ის, რაც მას მოჰყვა, (მით უმეტეს, რომ ქალი არაფერს საყვედურობდა) ერთი შეხედვით, ერთობ მოულოდნელი, უჩვეულო და უცნაურია. კობა ქალის „სიტყვების აზრს რომ ჩასწვდა, სისხლი გაეყინა, გაოგნებული მოსცილდა და ძლივს ჰკითხა: რა თქვი?“

თუ მოვიგონებთ და გავითვალისწინებთ კობას იმ მდგომარეობას, იმ შიშსა და ეჭვს საკუთარი თავისადმი, არც თუ ისე უცნაურად და მოულოდნელად მოგვეჩვენება კობას და ივლიტას განშორება ისე, რომ მათ შორის არაფერი „სერიოზული“ არ ხდება.

საქმე ისაა, რომ ქალის სიტყვებმა: „როგორ მიცანი... ჯერ ვიფიქრე შევცდი-მეთქი, ახლა კი მივხვდი, რომ შენც მიცანი...“ კობას გულში მოფათურე ეჭვები რეალობად აქცია. ის აზრიც, კობა რომ თავს იმშვიდებდა, რაღაც მაინც არის ჩემში ისე, რომ მე ვერ ვამჩნევო, უცებ გაყალბდა. ხელიდან გამოეცალა ერთადერთი მაშველი რგოლი აბობოქრებულ ოკეანეში უკანასკნელ იმედად რომ მოევლინა. მისთვის ყოველგვარი ეჭვის გარეშე ცხადი გახდა ის, რასაც აქამდეც ხვდებოდა, მაგრამ არ უმხელდა საკუთარ თავს.

„თურმე ამ ხუთი დღის განმავლობაში არც არსებობდა ქალისათვის! ივლიტა მასთან არც ყოფილა, იმ შორეულ, თორმეტი წლის ბიჭთან მიდიოდა ასეთი თავგანწირული გაბედულობით და კობა მხოლოდ ბიჭისაკენ მიმავალი გზა იყო და მეტი არაფერი... ერთი წუთითაც არ შეჩერებულა იქითკენ მიმავალ გზაზე, რადგან ეს გზა მეტისმეტად ცარიელი და უსახური აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ქალი მოეხიბლა, თუნდაც წუთით დასასვენებლად წაექეზებინა. კობას ძალა არ ეყო, რომ თავის თავში შეეჩერებინა ქალის ეს ჯიუტი, თავდავიწყებული მარში წარსულისაკენ. ეგონა კი, რომ სადღაც, მისი დახარჯული და ცხოვრებით გათელილი სულის ფსკერზე კიდევ იყო რაღაც წინანდელი, რაღაც შენახული ძალა, რომელიც მხოლოდ ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდა თავის გასამჟღავნებლად.“

ქალ-ვაჟის სულის მოძრაობას, რომ უფრო ღრმად, ძირის-ძირობამდე ჩავყვეთ უნდა გავარკვიოთ ასეთი რამ: შეეძლო თუ არა კობას, ასე ვთქვათ, ბოლომდე მიეყვანა საქმე? არ შეეძლო. რატომ? იქნებ ივლიტა გაუწევდა წინააღმდეგობას? მოთხრობის მიხედვით ეს გამორიცხულია.

ივლიტას პორტრეტი ავტორისათვის დამახასიათებელი ძუნწი შტრიხებით არის დახატული. მისი სამსახურებრივი მდგომარეობა მწერალს არ აინტერესებს. მკითხველმა მხოლოდ ის იცის, რომ იგი პროფტექნიკურ სასწავლებელში მუშაობს, რაც თავისთავად არაფერს გვეუბნება ივლიტას პიროვნებაზე. ივლიტა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მშვენიერი ქალი, ბედნიერი დედა და პატიოსანი ცოლია. მიუხედავად ამისა, მის ბედნიერებას ყოველთვის რაღაც აკლდა. რა უნდოდა ივლიტას, რა იყო ის ძალა, რომელმაც ოჯახისაკენ მიმავალ გზას ააცდინა და კობასთან მიიყვანა; (ასეთი რამ კობაში რომ არ არის ეს უკვე ნათელია).

ერთი შეხედვით, კობა და ივლიტა ერთ ტაფაში იწვიან. მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, ჩავეძიებით, დავინახავთ, რომ მათ ერთი საზომით არ უნდა მივუდგეთ.

ივლიტამ პირველივე დღეს „აუდიტორიიდან გამოსულ ლექტორში გულისგამხეთქავი ნეტარებით იცნო ის პატარა... ბიჭი“ და მთელი არსებით იგრძნო, რა ძალით „უხმობდა... მანქანის შუქით განათებულ ეზოში დაფენილი მოლის ხასხასა, არამიწიერი სიმწვანე, რომელიც დღესაც იმ ერთადერთი სიზმარეული ფერით აფერადებს შორეული ზაფხულის დაუვიწყარ ღამეს...“ ღამეს, როცა თორმეტი წლის კობას ბავშვურმა მიფერებამ, ყოვლისამხსნელი და ერთადერთი აზრით შეჰკონა მთელი მისი ბუნდოვანი ვნებები და სურვილები...“ ღამეს, როცა პირველად მისი „ქალურობის აღიარება“ და „ათასგვარი ხმებითა და ფერებით გადახსნილ პირველხილულ სამყაროში გადაიყვანა.“

კობასგან განსხვავებით ივლიტას, როგორც უკვე აღვნიშნე, მუდამ ახსოვდა და „...მთელ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხოვრებაში დამაიმედებელ, შესაძლებელი ბედნიერების მანუგეშებელ განცდად მოჰყვებოდა იმ წამიერი შეხების ნეტარება, შავი დღისათვის გადანახულ ძვირფასი თვალივით იდო გაწბილებული ოცნებების სკივრში და უჩინო სხივით უნათებდა მარადიული მორჩილებით შეტკბობილ ცხოვრებას.“

ავტორის ამ სიტყვების შემდეგ, ცხადია, რომ არაფრით არ შეიძლება კობას და ივლიტას ერთ მაფრაშაში მოქცევა.

კობა მუდამ გაურბის თავის თავს, მას ეშინია საკუთარი თავის წინაშე „გაშიშვლებისა“. ივლიტა, პირიქით, მთელი არსებით აქეთ ისწრაფვის. ქალი თავისი სულიდან და სხეულიდან იშორებდა ყველაფერს, რასაც ამ გადაწყვეტილების აღსრულებაში ხელის შეშლა შეეძლო: ყოყმანს, ეჭვებს, სიმორცხვეს. უკანმოუხედავი სითამამით აღვიძებდა ზნეობრივი მოვალეობებით მიძინებულ ვნებებს და მთლად შიშველი შედიოდა უკვე გადაწყვეტილი მომავლის უჩვეულო საუფლოში.“ კობას ფაქტიურად დავიწყებული ჰქონდა ის შორეული ზაფხული, ის ყოფიერება. ივლიტას კი მარად ახსოვდა და გულის-გულში ინახავდა იმედის სხივით მოკიაფე შორეულ წარსულს. ამიტომაა, რომ ივლიტა არაფერზე უკან არ იხევს. უფრო მეტ მსხვერპლს იღებს ვიდრე კობა. არა მარტო იმ აზრით, რომ ის ქალია, დედაა, არამედ, იმ აზრითაც, რომ ის მზადაა „უცხო“ კაცთან შესცოდოს (მისთვის კობა ბოლომდე „უცხოდ“ დარჩა), ოღონდაც იქ, იმ წმინდა, პირველგაღვიძებულ ვნებების სამყაროში შეაღწიოს. ამიტომ მოხდა, რომ როდესაც ივლიტა მიხვდა, კობასაც ვუცვნივართ, მასში ამას უარყოფითი ემოცია არ გამოუწვევია. პირიქით, იგი „წყნარი, უზენაესი სათნოებითა და მადლიერებით გამსჭვალული ხმით“ ეკითხება — „შენც მიცანი?“ ივლიტა მზადაა ბოლომდე მიჰყვეს კაცის სურვილს. მან უკვე გადალახა ყველა წინაღობა, ასე ვთქვათ, ამოხტა აშ „მარადიული წესრიგითა და სისხლხორცეული პატიოსნებით შებოჭილი ცხოვრებიდან.“

თუ ეს მარადიული წესრიგიდან ამოხტომის სურვილი არ დავინახეთ, ისე გაგვიჭირდება გავიგოთ ივლიტას ქცევა საერთოდ, და კერძოდ, მოთხრობის ფინალში, რატომ შეუჩქვიფდა გული ტკივილნარევი სიამით იმის გახსენებაზე თუ, როგორ იდგა შიშველი უცხო მამაკაცის წინაშე. აქ საქმე გვაქვს საზღვრის დარღვევით გამოწვეულ სიამესთან. თუმცა, თავისი მოქმედება ტკივილსაც აყენებს, რადგანაც რაღაც ისეთი გადალახა, რამაც საკუთარ თავზე მაღლა ახტომა მოითხოვა, იმ ტრადიციებისა და ჩვევების დაძლევა გახდა საჭირო, რომლითაც სხეულის ყოველი ნაწილი ჰქონდა დამუხტული.

ვფიქრობ, ივლიტას პერსონაჟის მოკლე დახასიათებით ცხადი უნდა იყოს, რომ იგი არამც და არამც წინ არ აღუდგებოდა კობასთან ფიზიკურ დაახლოვებას, პირიქით, კობას უეცარმა მოცილებამ რაღაც დიდი ტკივილი მიაყენა „ერთხანს ისევ ისე იწვა, პირდაღმა, მკლავებში თავჩარგული და ნერვიულობისაგან კანკალებდა.“

მაშ რაშია საქმე?

ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხი ისევ კობასთან უნდა ვეძიოთ.

ივლიტაში კობას მხოლოდ ქალი როდი იზიდავს. მისთვის ივლიტა უფრო მეტია ვიდრე ლამაზი ქალი. ეს ისაა, ვინც აზიარა პირველ, ბუნდოვან, ყოვლისწამლეკავ სიყვარულის გრძნობას. თუმცა ეს გრძნობა, ახლა რომ გაუჩნდა ქალის მიმართ, არც ოცი წლის წინანდელ, თორმეტი წლის ბიჭის გაუცნობიერებელ სტიქიურ ლტოლვებზე დაიყვანება. „...რა იყო ეს? სიყვარული? თუ რაღაც სხვა, მის არსებაში მთვლემარე ლტოლვების მეყვსეული გამოფხიზლება იყო მხოლოდ, ისეთივე მძაფრი და წამიერი, როგორც გარდაცვალების პირზე მისული ბერიკაცისაგან მარადისობის ღვთაებრივი შეგრძნება. შვილიშვილის ხილვის ჟამს რომ დაეუფლება? კობამ იგრძნო ამ მარადიულთან ბუნდოვანი სიახლოვე.“

კობა გრძნობს, რომ ერთადერთი, ვისაც შეუძლია მარადისობასთან აზიაროს, ეს ივლიტაა. ვინაიდან მხოლოდ მასთან შეიძლება იქნას მოპოვებული ბავშვობისას განცდილი ის უშუალო. პირველხილვით დანახული რეალობა, რომელშიც გავიდოდა ე. წ. ობიექტური რეალობის მიღმა და თავისი არსების უღრმეს შრეებს შეეხებოდა. როცა გარე სინამდვილის ყოველი ნივთი, მოვლენა, აღარ იქნებოდა მისთვის გულგრილი, ობიექტური სამყაროს ნაწილი და იგრძნობდა, როგორ შეეზარდა და შეესისხლხორცა ეს გარეგანი და შინაგანი ერთმანეთს.

როგორც მწერალი არაერთხელ აღნიშნავს, კობას ჰქონდა იმის განცდა, რომ ის რაღაც „სულ სხვა ცხოვრებაში,“ სხვა „მონატრებულ სამყაროში“ შედიოდა, რის გამოც სულისა და გულის განწმენდილი საზეიმო სევდა და სინანულიც კი ეუფლება. თუ გავიხსენებთ კობას განცდებს, გრძნობებს, ხედვას დავრწმუნდებით ნათქვამის სისწორეში. მაგრამ როგორც თანდათან ირკვევა მხოლოდ კობას ცნობიერებამ, ისიც ნაწილობრივ, შეძლო დროებით დაეძლია ოცი წელი და იმ უეცარ ძლიერ ძახილს „იქ“, „იმ“ მონატრებულ სამყაროში მიჰყოლოდა. როგორც კი დაფიქრების საშუალება მიეცა მაშინვე იგრძნო, რომ მისი არსებისათვის უცხო და შემთხვევითი ძალის ტყვეობაშია მოქცეული და ყოველი ნაბიჯი ამ შეჩვეული, გათავისებული სამყაროდან უდიდესი ტკივილის ფასად უჯდება.

ეს ტკივილი გამოწვეულია, ჯერ ერთი, იმით, რომ ეს „მშვიდი“ , „ჩვეულებრივი“, „კეთილი ყოველდღიურობა“ მისთვის სისხლხორცეული გამხდარა, ამგვარი ყოფიერების შექმნაში საკუთარი ინიციატივაცაა, თვით მასშია ისეთი ადამიანური მოთხოვნილებანი, რომელნიც აუცილებლობით იწვევენ ამ ყოველდღიურობის სამყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როში გადახახლებას. ამიტომ მისი ახლანდელი ყოფიერება მხოლოდ გარედან თავს მოხვეული რამ კი არაა, მის შექმნაში თვითონაც თანამონაწილეობდა და ახლა ისე ორგანულად შეზრდია მთელი თავისი სულითა და სხეულით, რომ მასზე უარის თქმა საკუთარ წარსულზე და ამდენად, საკუთარ თავზე უარის თქმასაც ნიშნავს. მეორე ისაა, რომ ამგვარი „მორიდებულობა“, „გაუბედაობა“, „კეთილგონივრული სიფრთხილე“, რომელიც კობასთვისაა დამახასიათებელი, გამოურჩეველი, შეძენილი მანერებით და ორიგინალობის თამაშით შენიღბულ სტანდარტად ყოფნა“ უფრო უზრუნველყოფილ, უსაფრთხო ცხოვრებას ჰპირდება. არის კიდევ ერთი რამ, რაც კობას უკან უხმობს და მის შეჩვეულ სამყაროს ნათელს ჰფენს. ესაა „იდუმალად ნაცნობი და გულისგულამდე გასაგები სურვილი მარადიული ადამიანური სევდისადმი“, რაც ისევეა „დაკავშირებული ოჯახთან როგორც ყვავილთან მისი სურნელი ან მდინარესთან წყლის ჩხრიალი“.

იმ პირველხილულ სამყაროში კობას დაუბრუნებლობა მხოლოდ მისი სულიერი მდგომარეობით ვერ აიხსნება. კობა ვეღარ უბრუნდება თავის ნამდვილ ყოფიერებას, რადგანაც ამ ორ სამყაროს შორის სიცარიელე ჩამდგარა, პირთამდე სავსე სიცარიელე და არაფრით არ უშვებს კობას დაკარგულ, გაუცხოებულ სამყაროში.

კობა, თავის ბავშვობასთან მოულოდნელმა შეხვედრამ უცებ მიიყვანა ყოფიერების იმგვარ გაგებასთან, რომ „მთელი ეს ოცი წელი იმ ერთი ზაფხულიდან დღემდე უეცრად შეიკუმშა, აზრი დაკარგა, უსახო სიცარიელედ ჩადგა შორეულ ბავშვობასა და დღევანდელ დღეს შორის“. მთელი ოცი წელი „უსახო სიცარიელედ“ იქცა, რადგანაც ავტორის თვალსაზრისით ადამიანისათვის დრო არსებობს მხოლოდ იქ და იმდენად, სადაც და რამდენადაც, რაიმე მნიშვნელოვანი ხდება. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს ოცი წელი სრულიად ცარიელია. პირიქით, იგი აღსავსეა დამქუცმაცებელი, ყოველდღიური, ერთფეროვანი წვრილმანებით. ეს სიცარიელეა მის ჩვევებსა და ქცევებში რომ გასაგნებულა და „გამოურჩეველი“, შეძენილი მანერებით, „ბანალური და ყეყეჩური თვითკმაყოფილებით“ სავსე უპიროვნო არსებად უქცევია. ამიტომაა, რომ ახლა სულ სხვაგვარად განიცდის სამყაროს და ბევრ რამეს ვეღარც კი ხედავს.

ამიტომაა, რომ ივლიტასთან ურთიერთობა მას რაღაც უზარმაზარ ტვირთად აწევს. კი უნდა იმ სამყაროში ყოფნა, მაგრამ მთელი არსებით, სხეულის ყოველი ნაკვთით გრძნობს, რომ ის მისთვის გაუცხოებულა და სიმშვიდე დაკარგული ხსნას გაქცევაში ეძებს. მისთვის მარტოობა ქცეულა ბუნებრივ მდგომარეობად. ვერ იტანს (ძალა აღარ შესწევს) იმ ადამიანთან ყოფნას, ვისთანაც მისი ინტიმური სამყარო იღვიძებს. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ასე უხმობს „უკან შეჩვეული, სისხლხორცეული, სიმშვიდის მაცდუნებელი დაპირებით სასტუმროს მყუდრო, ცარიელი ოთახი თუ პლაჟის უდარდელი თავისუფლება, სადაც ისე მარტო ხარ ვეება, ცხოველური სიზანტით მოზიმზიმე და ჭრელა-ჭრულა მობანავეებით ამოშუშულ ნაპირზე, როგორც შიშველი, უსახო და გლუვი კენჭი გავარვარებულ ხვინჭაში“.

ცხადია, კობა ივლიტასთან ვეღარ დაამყარებს ისეთ ურთიერთობას, რომელიც მთლიანად გამსჭვალავდა მის შინაგან არსებას. მისთვის ივლიტა დარჩა ერთ-ერთ, რიგით გარეგან საგნად, ამიტომ ქალ-ვაჟის ფიზიკური დაახლოვება კობასთვის იქნებოდა ქალის ნივთის სახით დაუფლება. ასეთ რამეს კობა არ იზამს, რადგანაც ეს იქნებოდა იმ „უწმინდესი გრძნობების წაბილწვა“, რომელთა საუფლოში შესასვლელად მართალია კობას ძალა აღარ ეყო, მაგრამ მასში არ ჩამკვდარა იმ მარადიულისადმი მოწიწება, რომელიც კაცთა მოდგმას ათას ტანჯვასა და განუხორციელებელ ოცნებებში გამოუტარებია და თაობიდან-თაობისათვის გადაუცია როგორც უძვირფასესი განძი.

როგორია კობას დამოკიდებულება ამგვარი ფინალისადმი? კმაყოფილია? კი. უკმაყოფილოა? კი. საქმე ისაა, რომ კობა ბოლომდე გაორებული რჩება. მართალია ის ირჩევს იმ ყოფიერებას, რომელიც ყოველდღიური წვრილმანი საზრუნავებითაა სავსე, ირჩევს ოჯახს და ყოველივე იმას, რაც ოჯახთანაა დაკავშირებული, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ კობა მას ანიჭებს უპირატესობას. მისი სულის უღრმეს შრეებში მაინც ფაჩუნობს რაღაც დიდი სურვილი, რომელმაც მოთხრობის ფინალში, როცა სამუდამოდ უნდა დასცილდეს ქალს, ლამის სასოწარკვეთილ შეძახილამდე მიიყვანა: „არ წახვიდე! ...არ წახვიდე! არ დამტოვო აქ. მიშველე რამე! მიშველე!“

ამ ცოტა ხნის წინ სოსო პაიჭაძის შესახებ ითქვა, რომ „იგი „ძნელ“ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება“.

რა თქმა უნდა, „ძნელად“ წერა სოსო პაიჭაძისათვის თვითმიზანი არ არის. მისი მოთხრობების სიძნელე სამყაროს ღრმა ხედვითა და დანახულისა და განცდილის შეძლებისამებრ ზუსტი გადმოცემის მცდელობითაა განპირობებული. სწორედ ძირითადი სათქმელის სირთულით, მისი შინაგანი მოტივის სიღრმით არის განსაზღვრული ნაწარმოების ყოველი ფორმალური კომპონენტი. ამიტომ მოთხრობა კომპოზიციურად დიდი სიმძიმისაგან დაკუმშულ ზამბარას ჰგავს, რომელიც ნაწარმოების ფინალში თითქოს განთავისუფლდება და გაიშლება. „თითქოს“, რადგან მოთხრობა ახლა მკითხველში განაგრძობს „დაკუმშულ ზამბარისებურ“ არსებობას და აღვიძებს „საკუთარი თავის გახსენების“ სურვილს.

„ბაქანი-ბოტანიკური ბაღი“ დიდი ტკივილის კარნახით არის დაწერილი. ეს ტკივილი არ ეკუთვნის მხოლოდ სოსო პაიჭაძეს. ეს არის ყოფიერების ტკივილი, რომელიც ვიღაცას „ირჩევს“ ხოლმე თავისი სატკივარის გასამხელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა აბზიანიძე

# სამი უცნაური კაცი

ზნეობრივი კონფლიქტი, რომელშიც ერთის მხრივ — ღირსებისა და მოვალეობის გრძნობა, ხოლო მეორეს მხრივ — ანგარება და პრაქტიციზმი უპირისპირდებიან ერთმანეთს, უახლესი ქართული პროზის საკვანძო თემად იქცა. ცხადია, რომ ამ თემის მრავალსახოვნების ასახვა მოკრძალებული მოცულობის წერილში — შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც, ჯერჯერობით, მინდა მკითხველის ყურადღება სამად-სამ გმირზე შევაჩერო. რაღა თქმა უნდა, მათი აქ თავმოყრა მთლად შემთხვევითობას არ უნდა მივაწეროთ — რაღაცით გამოირჩევიან სხვათაგან, ემსგავსებიან ერთმანეთს. ჯერჯერობით მათი მსგავსების გარეგნულ ქარგას მივყვეთ — სამივეს ბედი ბუნებისა, თუ ისტორიული ძეგლების დაცვას უკავშირდება; შემდგომ კი, უფრო ღრმა მსგავსებასაც დავინახავთ.

ადათს არ ვუღალატებ და უფროს-უმცროსობის მიხედვით წარმოგიდგენთ ამ სამ „უცნაურ" კაცს: პანტე ჯაავა — სიძველეთა „თვითმარქვია" ქომაგი. სოფლის მასწავლებელი, აწ — პენსიონერი, ნოდარ წულეისკირის მოთხრობის „დავით აღმაშენებლის ქვის" გმირი; მეტყევე ლუკა ჩოხელი, რომლის სახელითაც დასათაურებულია ვაჟა გიგაშვილის მოთხრობა; და ბოლოს ლუკას უმცროსი კოლეგა, ტყის მცველი დათიკო — რევაზ ინანიშვილის ნოველის „ლამაზი ქალის" მთავარი პერსონაჟი.

ზემოდჩამოთვლილ ნაწარმოებებს თუ გადავავლებთ თვალს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ამ სამი „ფანატიკოსისა" და მათი მცირერიცხოვანი ქომაგების სახეები „დადებითი გმირის" ტრივიალური სქემით არ შექმნილა. იმ სქემას ვგულისხმობ, რომლის მიხედვითაც, გმირის დადებითი თვისებები სოციალური აღმასვლისა და ცხოვრებისეული წარმატების უცილობელ გარანტიას წარმოადგენს. აქ სწორედ საპირისპირო შემთხვევასთან გვაქვს საქმე პანტე ჯაავას უკომპრომისო ბუნება მისსავე პედაგოგიურ კარიერას დაუსვამს წერტილს; იმავ მიზეზით წარმოიშვა ტყის გადარჩენილ კორომზე ჯიუტი ლუკა ჩოხელის ყოფნა-არყოფნის საკითხი; იგივე თვისებები, გამჟღავნებული ჭაბუკი დათიკოს პროფესიული და კაცური ღირსების პირველი გამოცდის დროს, თავსატეხად იქცა მისთვის ამ სიტყვის როგორც პირდაპირი, ისე ირიბი მნიშვნელობით და ძნელი არ არის მიხვდეთ, რომ რევაზ ინანიშვილის ნოველის გმირს კიდევ არაერთი იმედგაცრუება ელის, რადგან სიმართლის უშეღავათო გზას ადგას...

ნოდარ წულეისკირის, რევაზ ინანიშვილისა და ვაჟა გიგაშვილის ნაწარმოებებში ერთმანეთს დაუპირისპირდა გარე სამყაროსადმი ორი მიმართება: ერთი, რომელშიც ადამიანსა და ბუნებას შორის, ადამიანსა და წარსულის რეალებს შორის უხილავი შინაგანი ძაფია გაბმული და ამიტომაც ამ ადამიანების მიმართება ბუნებისადმი, თუ ისტორიული გარემოსადმი გარკვეულ ზნეობრივ სისტემას ემორჩილება.

ის ადამიანები, რომლებიც ჩვენს სამ „უცნაურ" კაცს უპირისპირდებიან, თავის მხრივ საკმაოდ განსხვავებულნი არიან: წარმოების ხელმძღვანელებს თავიანთი „ობიექტები" და გეგმები აფიქრებთ; ცოლებს — ოჯახის კეთილდღეობა; სოფლის თავკაცებს — სახნავ-სათესისა და საძოვრის ფართობი; ქალაქელ სტუმრებს — ეგზოტიკური შთაბეჭდილებები და სამონადირეო ნადავლი. თვითოეული ამათგანი რომელიმე ერთი თვისებით, ჩანაფიქრით, თუ უკვე გადადგმული ნაბიჯით უპირისპირდება პანტე ჯაავას, ლუკა ჩოხელს, დათიკოს. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ეს დაპირისპირება მაინც ეპიზოდურია, ურთიერთმსჯავრიც არ არის საბოლოო და გამეტებული. (ერთნიც და მეორენიც, მეტად თუ ნაკლებად, მაინც გრძნობენ ურთიერთპრეტენზიების შინაგან ლოგიკას). მაგრამ ჩვენს „უცნაურ" გმირებს ჭეშმარიტი ანტიპოდებიც ჰყავთ, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ხელშეუხებელი მომხვეჭელები და „თბილ" ადგილებზე მოკალათებული დემაგოგები, რომლებიც ყველა ხერხითა და საშუალებით ცდილობენ დაიბრიყვონ და გააბრიყვონ გარემომო, რაიმე წაჰგლიჯონ ან ამ გარემოთ, ან და „უსასრულოდ მდიდარსა და უხვ" ბუნებას.

რევაზ ინანიშვილის ნოველის გმირი, როგორც მოგახსენეთ, ტყის მცველია. მაგრამ „პასტორალის" პერსონაჟისაგან განსხვავებით მას არ გააჩნია (და ალბათ არც არასდროს არ ექნება) ის „ცხოვრებისეული სიბრძნე", რომლის კარნახითაც ერთ წამში შეიბღალა მოხუცი კაცის ჭაღარა. დათიკო ამ მიწის, ამ მინდვრების, ამ ტყის შვილია. იგი ჯერაც არ მოსცილებია დედა-ბუნების კალთას, ისე ხარბად იწოვს მის სიტკბოს, ისეა გაჟღენთილი მისი სურნე-

ლით. მაგრამ ის „[illegible]ული" ამავე დროს დედ-მიწისის [illegible] კლდეც და მხოლოდ იმიტომ [illegible] არა, რომ [illegible] წყვეული მწერა [illegible] [illegible]ტორობისათვის, [illegible] [illegible] ამ მდინარის შვილია [illegible] [illegible] არ უნდა ყინშივ [illegible] [illegible]ობა. [illegible]ველივე ეს ნოველის შიდა, უხილავ შრეშია მოქცეული. თორემ გარეგნულად გამ-ულავნებული, გაცილებით ნაკლებ პათეტიკური, შეიძლება ითქვას პროზაული სურათი (რევაზ ინა-ნიშვილი ხომ სწორედ ამგვარი თხრობის ოსტა-ტია — გარეგნულ პროზაიზმში შინაგანი ლირიზ-მი დაფარონს): „ფერდიანი რომ ჩაათავა, ცხენს პილიკიდან გადაახვევინა, კბოდეს წაადგა, წამო-ხტა, ცხენს წინ გაუძღვა და კამკამა ფშანზე ჩაი-ყვანა. ცხენი მაშინვე არ დასწაფებია. დათიკომ იცოდა მისი ხასიათი და ლოდზე ჩამოჯდა. ქუდი მოიხადა, წყალს მარჯვენა ხელი ამოუსვა, თმა დაისველა, სახეც მოისრისა... იჯდა და ელიმე-ბოდა. გუშინწინ აქ იყო. იმ კვირასაც. მაინც სადღაც შორეული მოგზაურობიდან მობრუ-ნებულივით უყურებდა ყველაფერს. ეჩვენე-ბოდა, რომ ბუნებაც მასავით ნირვანაში იყო გადასული. ბუნებასაც ტკბილად ელიმებოდა და მის ძარღვებშიც ტკბილად, მომთენთავად მიმოდიოდა სასმელით შემთბარი სისხლი".

რამ უნდა დაარღვიოს ამ უშფოთველი დილის, ამ წარმტაცი გარემოს ჰარმონია? მდი-ნარის პირას გაჩერებულმა მანქანამ, რომლი-დანაც „თავბრუდამხვევი სილამაზის ქალიშვი-ლი" და მისი თანმხლები ვაჟები გადმოდიან? რაღა თქმა უნდა არა. დათიკოსათვის ამ ქალის სილამაზეც, ამ ვაჟების სილაღეც — გარემოს ნაწილია, ამ ჰარმონიის გაგრძელებაა. მაგრამ რევაზ ინანიშვილის გმირის ილუზია მალე იფანტება — თვალის დასატკბობად არ ამო-სულან აქ ქალაქელი სტუმრები: აგერ დინა-მიტმომარჯვებულმა ყმაწვილმაც შესტოპა წყალში...

გარეგნულად თითქოს და „პასტორალის" სი-ტუაცია მეორდება. მაგრამ მოქმედება აქ სწო-რედ საპირისპირო გზით წარიმართება: ტანსაცმლიანად გადაეშვება დათიკო წყალში და ბრაკონიერის პირისპირ მდგარი, იმგვარი დამაჯერებლობით წარმოსთქვამს „არ შეიძ-ლება", იმგვარი სიამაყით — „ტყის მცველი ვარ", — რომ ნელინელ დაეშვება დინამიტიანი ხელი და უცნობი უკან დაიხევს. როდესაც ორ კაცს შორის დათმობა-გატანაზეა საქმე, ხოლო მაყურებლად კი ლამაზი ქალი გვევლი-ნება, არაა საჭირო ღრმა ფსიქოლოგიური წვდომის უნარი, რომ ამგვარ „დუელში" მა-მაკაცური ქიშპობის ელემენტიც გამოიძებნოს. აქაც, რევაზ ინანიშვილის მოთხრობაშიც, აშკა-რად ჩანს, რომ დათიკო, თუმცა კი მაყურებ-ლის გარეშეც ასევე მოიმოქმედებდა, მაგრამ ამჯერად მაინც სხვაგვარად ამაყობს თავის გა-მარჯვებით, ძვირად დაუჯდა ეს გამარჯვება და-თიკოს — მიუხედავად ყველაფრისა [illegible] ის, „ალს რომ იტ-[illegible] ძველად", იმგვარად ლამაზი ქალი და გარეტებით ჩაარტყა კეფაში ქვა... „გაიგე ლა-მაზი ქალისა რამე! გაიგე ლამაზი ქალისა რა-მე!" — ფიქრობს დათიკო; ფიქრობს უბორო-ტოდ, ღვარძლის გარეშე, მისთვის სილამაზე და ავკაცობა ჯერ კიდევ შეუთავსებელი ცნე-ბებია. მხოლოდ დროდადრო, ძალიან რომ ას-ტკივდებოდა კეფა, „ღიმილში სიმწარე გაე-რეოდა" — ამთავრებს თავის ნოველას რე-ვაზ ინანიშვილი.

ამ პატარა ისტორიის ფინალში რევაზ ინა-ნიშვილის პროზისათვის ნიშანდობლივი ბევრი თვისება მოჩანს. მაგრამ რევაზ ინანიშვილის, ისევე როგორც ნოდარ წულეისკირისა და ვაჟა გიგაშვილის ხელწერაზე სხვა დროს ვისაუბ-როთ. იმიტომ კი არა, რომ ეს ნაწარმოებები არ გვაძლევენ მათ მხატვრულ თავისებურებებ-ზე საგანგებო ლაპარაკის უფლებას: მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს, ჩვენს საზოგადოებაში ახალი ზნეობრივი და მოქალაქეობრივი ატ-მოსფეროს დამკვიდრებისათვის ბრძოლისას, მთელი ჩვენი გულისყური ახალი ქართული პროზის ამ ნიმუშებში აღძრულ უაღრესად სა-ჭირბოროტო პრობლემებისადმია მიმართული.

სწორედ იქ, სადაც რევაზ ინანიშვილის მოთხრობაში წერტილი დაისმის, იწყება ვაჟა გიგაშვილის თხრობა: მის გმირს — მრავალნა-ცად მეტყევეს, ლუკა ჩოხელს ბოლომდე აქვს გაცნობიერებული თავისი მოწოდებაც, თავისი სამსახურებრივი, მოქალაქეობრივი და ზნეობ-რივი მოვალეობაც, ის ზნეობრივი იმპულსი, რომელიც ბუნებრივად წარმოიშვება რევაზ ინანიშვილის ახალგაზრდა გმირის ჯერაც შეუბ-ღალავ სულში. ლუკა ჩოხელთან უკვე ზნეობ-რივ კრედოთ გარდასახულა, ბოლომდე გაც-ნობიერებულ და ურყევ ცხოვრებისეულ პრინ-ციპს წარმოადგენს: „...ყველას ხელი გაუმარ-თე, საცა ხელი მიგიწვდება. სიკეთე უკეთე კაცს... მაგრამ რომელია სიკეთე?!... ჩოხელი კაცთმოძულეა? თუ კაცის სიყვარული ის არის, ხელი იმაში გაუმართო, რომ მოსპოს და გადა-ჭამოს ყველაფერი თავის გარდა, არ მინდა ეგეთი კაცის სიყვარული... გაუშვი კაცმოძულე ვიყო..."

ჩოხელისსავე თქმით, ყველა ცდილობს ტყის გადარჩენილი კორომისაგან („მტკვარზე უკანასკნელი ჭალააო" — დასძენს მეტყევე) ერთი „ნაჭერი" მაინც მიისაკუთროს ბულდო-ზერებით მოდგმიია ჭალას მეზობლად მდება-რე „გრესი"; კოლმეურნეობას ნაკვეთი ჭირდე-ბა ხეხილის ჩასაყრელად; მეცხვარეებს — სა-ქოვარი; გეოლოგებს — საძიებო მოედანი; რა-იონის თავკაცებს — თევზსაშენი, სხვა საფიქ-რელიცა აქვს ჩოხელს — ლამლამობით ბრაკო-ნიერები დათარეშობენ ჭალაში; არც ხე-ტყის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუშტრებს ხძინავთ; გათენდება და ახლა ცაშიც შიშით უნდა იცქიროს მეტყევემ — ქარის მიმართულება თუ შეიცვალა, თვითმფრინავიდან გადმოფრქვეული ქიმიკატები სარეველას ნაცვლად ტყეს გადაახმობენ...

ვაჟა გიგაშვილის მოთხრობაში ამ მტკვრის პირა ქალის რამდენიმე მშვენიერ აღწერას იხილავთ და აქვე, განზრახ რა თქმა უნდა, ამ წალკოტთან შეპირისპირებულია ტყეს მობჯენილი მკვდარი მიწის შემზარავი სურათი: „გარემო სხვანაირი გახდა, როგორღაც ნახმარი, დაჩაგრული. არხის პირებზე ნათხარ-ნაგროვი ეტყობოდა. ნათხარ-დაყრილი, ჩანდა ძველი იყო, მაგრამ ვერ მოეშუშებინა მიწას, ხირხალიანი, ქვიანი დარჩენილიყო, მხოლოდ ნარ-ეკალს მოეკიდებინა ზედ ფეხი... მოხრიოკებულ მინდორზე თითო-ოროლა ძეძვის ჯაგილა ჩანდა იქამდე, სადაც ისევ მავთულხლართის ღობე გადიოდა. ზედ ღობეზე იყო მოხერგილი, მოზვინული საწარმოო ნაგვის გროვები, ესენიც ხრჩოლავდნენ. ეტყობა დაწვა უცდიათ და ვერ დაუწვიათ... ამ გროვების გადაღმა იყო წამომართული გრესის უზარმაზარი ბეტონის მასა. მთელ ამ ტერიტორიაზე მოყვითალო ბუღი იდგა, ყველაფერს ფერი ჰქონდა დაკარგული, რადგან ყველაფერზე იყო გადაკრული სხვანაირი მტვრის თხელი ფენა..." — ეს სურათი ვაჟა გიგაშვილის მოთხრობის გმირის, ახალგაზრდა ბიოლოგის, გოგის თვალითაა დანახული. როგორც მოგახსენებთ, ამ სურათს მეორე, სიმბოლიური შრეც აქვს — სულ უფრო და უფრო მომრავლდება ამნაირი მკვდარი მიწა, ლუკა ჩოხელი და მასსავით „უცნაური" ადამიანები რომ არა.

ვაჟა გიგაშვილის მოთხრობაში განსაკუთრებული ყურადღებითაა თვალმიდევნებული, თუ როგორ იცვლება მისი ახალგაზრდა გმირის (გოგი მყავს მხედველობაში) შეფასებები, წარმოდგენები, ასე გასინჯეთ, თვით ცხოვრების ნირიც კი. გოგი — ტიპიური ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტი კაცი, თავდაპირველად ბევრი, მისი გარემოცვისათვის ჩვეული და სტერეოტიპული წარმოდგენებით ჩამოდის „კორდონზე". (მისი აქ ჩამოსვლის მიზეზი ის გახლდათ, რომ ტურების ჩვევები უნდა შეესწავლა და მათ მიერ ტყისათვის მიყენებული ზარალი უნდა შეეფასებინა). თავისი ეს მისია, თავდაპირველად, იოლ, თითქმის გასართობ საქმედ წარმოუდგენია გოგის. აკი ეუბნება კიდეც მეგობარ ქალს: „კი არ ვიღუპები. გინდა სანადიროდ წავსულვარ... რამდენიმე დღე აქ ვიქნები, რამდენიმე აქ. არც სულ ტყეში გდება ვარგა და არც მთლად ქალაქში დალბობა. ერთმანეთით აქვს ორივეს ფასი". გოგი მალე დარწმუნდება, რომ მისი „შეწონასწორებული" ფილოსოფია რეალურ ცხოვრებას არ მიესადაგება; რომ ტყეს გაცილებით უფრო საშიში მტაცებლები ემუქრებიან, ვიდრე „მისი" ტურები; იგი ყოველწამიერად გრძნობს, რომ აქ რაღაც ფარული, განუწყვეტელი ომი მიმდინარეობს. („მართლა ომია, მაგრამ სხვანაირი ომი..." ფიქრობს გოგი). ეს ახალგაზრდა კაციც თავისი ნებით ჩაებმება ამ ომში, ამ ორთაბრძოლაში, რადგან იგრძნობს, რომ ყოველგვარი აზრი დაეკარგება არა თუ მის ამჟამინდელ სამეცნიერო მივლინებას, არამედ მის პროფესიულ არჩევანს, მთელ მის თვითრწმენას, — ახლა, ამ წუთში უკან რომ დაიხიოს და ლუკა ჩოხელს გვერდში რომ არ ამოუდგეს.

ლუკა ჩოხელს და მის თანამოაზრეებს განუზრახავთ საგანგებო მეურვეობას შეაფარიან „მათი" ტყე. ყველა ღონეს ხმარობენ, რომ სახელმწიფო ნაკრძალად გამოცხადდეს ეს მიდამო. უძნელეს და უთანასწორო ბრძოლაშია ჩაბმული ლუკა ჩოხელი, მაგრამ მისი ბიბლიური სახელისათვის შესაფერისი მოთმინებით დგას იგი გადასარჩენი ტყის სადარაჯოზე.

საქართველოს ბუნების ქომაგთა პირველი რესპუბლიკური შეკრების წინა დღეებში, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვილი კაჰარავა წერდა გაზეთ „კომუნისტში": „ნამდვილ მეტყევეს ესმის ტყის ენა, მისი ტკივილი, იგი იოლად არ დათმობს და არც არავის მისცემს უფლებას ხელყოს ტყის მადლი და სიკეთე.

ჩვენდა სამწუხაროდ, ტყეს ყველა როდი ეკიდება ასე. უწყებებში, სამინისტროებში მოკალათებული მავანი და მავანი ხელმძღვანელები ავიწროებენ ტყეებს და მათ ადგილას აგებენ საწარმოებს, აშენებენ ფერმებს, ამუშავებენ კარიერებს. სცოდავენ მგეგმავები, დამამზადებლები, ტყის მჭრელები და მცველები, ადგილობრივი ხელისუფალნი. ვერა, ტყეს ვერ დაიცავს ვერც ერთი და ვერც ათი უწყება-სამინისტრო, ტყე უნდა დაიცვას მთელმა ხალხმა, მთელმა საქართველომ, ყველა ჩვენთაგანის მისდამი უსაზღვრო სიყვარულმა".

— ეს სიტყვები „ლუკა ჩოხელის" ხასიათებისა და სიტუაციების, ამ მოთხრობაში აღძრული პრობლემების იშვიათ ცხოველმყოფელობას ადასტურებენ.

ცნობილი საბჭოთა სოციოლოგის, იგორ კონის მონოგრაფიაში „პიროვნების სოციოლოგია" ხაზგასმულია, თუ როგორ შეიძლება გადაიქცეს კოლექტიური პასუხისმგებლობა — „კოლექტიურ უპასუხისმგებლობად". სწორედ ამგვარ კოლექტიურ უპასუხისმგებლობას უპირისპირდება ლუკა ჩოხელი, ისევე, როგორც მისი სულიერი თანამოძმე პანტე ჯაავა — ნოდარ წულეისკირის მოთხრობის „დავით აღმაშენებლის ქვის" გმირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი „თავის ადგილზე [illegible] მაშინ, როდესაც გრძნობს თავის [illegible]ლობას (თუ კი შეიძლება [illegible] გამოთქმა ციხმართოთ), თავის პიროვნ[illegible]ლობას მისთვის პროფესიულ[illegible] თუ მოქალაქეობრივი სინდისით მიბარებუ[illegible]ქმის გამო. სწორედ ეს რწმენა [illegible]ცეს ლუკა ჩოხელის ხმას, როდე[illegible] ერთ-ერთი თავკაცის მუქარის [illegible]მბობს: „— ვერ მამხსნი!... იმიტომ რო[illegible]ძლება! ჩემი ქალიდან წასვლა არ შეიძლ[illegible]“; იგივ რწმენა ჰკარნახობს პანტე ჯაავას, რომ ძველი სამრეკლოდან ჩამოვარდნილი ქვა არავის დაანებოს, თუნდაც ამისათვის ახლობელი მოიმდუროს, გადაიკიდოს „ძლიერნი ამა სოფლისა“, ხოლო თვით სოფლის თვალში ერთ აბეზარ უცნაურ კაცად გამოჩნდეს. პანტე ჯაავა გრძნობს, რომ მის სოფელს, ოხვამეკარს, კვლავ სჭირდება მასწავლებელი, ოღონდ ამჯერად მან, ყოფილმა ქართულის მასწავლებელმა, თანასოფლელებს ზნეობის გაკვეთილი უნდა მისცეს. მან ერთმა უნდა იტვირთოს ეს ვალი, მან უნდა შეახსენოს „კაი ცხოვრებას“ გამოდევნებულ თანასოფლელებს, რომ მათი ნივთიერი ოცნებებისა და საზრუნავის მიღმა, სხვა, სულიერი ფასეულობები არსებობს. ამ ფასეულობების ნივთიერ გამოხატულებად კი, იგი ძველი სამრეკლოდან ჩამოვარდნილ ლოდს სახავს. ყველანი, პანტეს გარდა, ამ ხავსმოდებულ ლოდში მხოლოდ „მოსაპირკეთებელ მასალას“ ხედავენ; დაინგრევა თუ არა ძველი სამრეკლო, პანტეს თანასოფლელებისათვის სულერთია, — ოხვამეკარს სახელი და დიდება ამ ძეგლით არ ემატება; ხოლო სამრეკლოს თავისთავადი, სიმბოლური ღირებულება რომა აქვს, დროთა უწყვეტ კავშირს რომ განასახიერებს, — ამაზე არც ფიქრობენ. თუ კი პანტესაც, მასწავლებელს, მოძღვარს, ლიბრი გადაეკრო თვალზე, მაშინ ხომ ამაოდ ჩაუვლია წინაპართა ნაშრომს და ნაღვაწს, ამაოდ უშენებიათ ეს ტაძრები და ციხე-კოშკები, ამაოდ დაუღვრიათ სისხლი მათ დასაცავად... თუ კი ეს ისტორიული მეხსიერება წარიხოცა, მაშინ მხოლოდდა დღევანდელი დღით, სადღეისო საჭიროებით, ანგარიშითა და ზომით შეიძლება ცხოვრება, ფონს გასვლა, ადვილადაც გასვლა, რადგან წინაპართა საფლავის ლოდები აღარ უმძიმებენ მხრებს ამგვარად ამჩატებულ ადამიანს.

თუ კი ბუნებასთან სიახლოვე — ადამიანის შინაგანი მთლიანობის ერთ-ერთი საწინდარია (ამაში ჩვენ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს რევაზ ინანიშვილისა და ვაჟა გიგაშვილის მოთხრობების გმირებმა), ამ მთლიანობისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს დროთა უწყვეტი კავშირის შეგრძნებას — ისტორიზმის გრძნობას. პანტე ჯაავას ხასიათის ქვაკუთხედი სწორედ ისტორიზმის უნელებელ ალქმაში უნდა ვეძიოთ. (სიტყვას მოჰყვა, მაგრამ ისიც სიმბოლურია, რომ ნოდარ წულეისკირის მოთხრობაში სწორედ ქვა, ლოდი განასახიერებს მარადიულსა და უცვლელ ფასეულობებს).

ოხვამეკარის სამრეკლოდან ჩამოვარდნილ ქვას ადგილობრივი თქმულება დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირებს. პანტემ სხვაზე უკეთ იცის, რომ ეს თქმულება ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ დაუღალავად ჰყვება, თუ როგორ ასწია დავით აღმაშენებელმა მარტოდმარტომ ეს უზარმაზარი ლოდი, როგორ ჩაამაგრა ოხვამეკარის სამრეკლოს მორღვეულ კედელში. ქართული ენის ლიტერატურის მოხუც მასწავლებელს ჯერ კიდევ სჯერა, რომ თუ მისი ყოფილი მოსწავლეები ირწმუნებენ მის ნაამბობს, მაშინ იგი, პანტე, აღმაშენებლის მედიდურ ლანდს ამოფარებული, უფრო იმედიანად დაიცავს წინაპართა დანატოვარს მტრების ხელყოფისაგან.

მაინც ვინ არიან ეს „მტრები?“ ეგების პანტეს ყოფილი მოსწავლეები, ოხვამეკარის ქვის მოპარვას რომ ცდილობენ, რადგან „ხაზეინის“ ბუხარი უნდა მოაპირკეთონ; ეგების პანტეს ვაჟი — ანდრო, მამამისს რომ არწმუნებს, თითქოს მთელი მისი ოჯახის კეთილდღეობა ამ ქვის მიცემა-არმიცემაზე იყოს დამოკიდებული; ეგების კულტურის განყოფილების გამგე, აღმასკომში მოკალათებული პატარა დემაგოგი — გრიშა ფატელავა, პანტეს რომ უმტკიცებს, — ოხვამეკარი რა კულტურის ძეგლიაო? ეგების პანტეს ცოლი — ნათელა, ქმრის ახირებაში რომ ხედავს ოჯახში გაჩენილ ბზარის მიზეზს. მაინც ვინ? რომელი მათგანი? წარმოიდგინეთ, არავინ ცალკ-ცალკე, მაგრამ ყველანი ერთად კი, მართლაც, პანტეს ნოწინააღმდეგენი არიან. სხვისი წაბაძვით ნელ-ნელ ამოგმანეს მათი სულის ის სარქველი, რომლიდანაც სინდისის, სიმართლის ხმა დაუმახინჯებლად ესმის ადამიანს და ამიტომაც, სრულიად ბუნებრივია, რომ პანტეს საქციელში რაღაც ქვენა მიზეზებს ეძებენ.

ორ ცეცხლს შორის მოქცეული ნათელა პანტეს თავგამოდებაში მხოლოდ მოხუცურ ახირებას ხედავს; მას „არ მოსწონდა ქმრის ასეთი ალტაცება. ყურს არ უგდებდა და იმაზე ფიქრობდა, ბავშვივით ცაში მფრინავი მოხუცი როგორ დაებრუნებინა დედამიწაზე“; ნათელასა და პანტეს პირმშო, ანდრო, ჯერ ფრთაგაუშლელი კარიერისტი, მთელი სამყაროს თავისი ჭუჭრუტანიდან მაცქერალი, მამამისს, რაღა თქმა უნდა, კარიერისტობასა და ანგარებას სწამებს — „ახლა ეს ოხვამეკარი აიჩემე, ამით გინდა სახელი მოიხვეჭო... ვითომ პენსიაზე ვარ, მაგრამ საზოგადო საქმეს მაინც ვაკეთებო, უსასყიდლოდ და უანგაროდ, არა?... იციან, ბატონო, რა საზოგადო მოღვაწეცა ხარ, რა ძეგლებისა და ბუნების მეგობარიც!... ი-ცი-ან-მეთქი. ის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოხვამეკარი რომ შემოაკავე და შიგ შენი ძროხის საბალახო და სადგომი რომ გამართე, ისიც იციან...“; ცოტა უფრო ბუნდოვან დემაგოგიურად, მაგრამ იგივეს უმეორებს პანტეს გრიშა ფეტელავა, „კულტურის ადგილობრივი მესვეური“: „— ვერ მოგცემთ, ვერ მოგცემთო, ასე დაჟინებით რომ გაიძახით, რა უფლების ძალით? სახელმწიფო ქონების მიტაცების ნება თქვენ ვინ მოგცათ? (ეს პანტე „იტაცებს სახელმწიფო ქონებას“! — ამ ვალმა შედავების ლექსიკონს დააკვირდით! — ზ. ა.) ვისი ნებართვით შემოაკავეთ სახელმიწფო მიწა?... ცაცხვის ისტორიას ჩვენ ვერ გავიმეორებთ, ბატონო პანტე, გაფრთხილებთ, ამისათვის არა გვცალია, ბოლოსდაბოლოს ოხვამეკარს თვითონ მოუვლით, თუ ის ქვა მართლა დავით აღმაშენებლის ხელმონაკიდებია მუზეუმში დავდებთ და ის იქნება“.

რაოდენ ურთიერთგანსხვავებულიც არ უნდა იყოს ყველა ის ადამიანი რომელიც პანტეს „კეთილი მრჩევლის“ როლში ენაცვლება ერთმანეთს, არცთუ სასტიკმა ცხოვრებისეულმა გამოცდამ მათი ერთი საერთო თვისებაც გამოავლინა — ჯერაც მონუსხულნი არიან ახალი ფორმაციის ფეოდალის — „დათიკო ვასილევიჩის“ დამთრგუნავი შეგავლენით, ისინი თავის წარმოდგენებს, შეფასებებს, ცხოვრების ნირს, პირველ ყოვლისა სწორედ ამ „დათიკო ვასილევიჩის“ სამყაროს უფარდებენ და არა თავისსავე, შინაგანს, წიგნიდან, სკოლიდან, თუ ოჯახიდან მომდინარე შეხედულებებსა და ზნეობას.

აქ არ შემიძლია არ გავიხსენო გივი გეგეჭკორის ერთი მწარე პოეტური სატირა, ასე რომ ეხმიანება აქ შეკრებილი „უცნაური“ გმირების ომს თავის ანტიპოდებთან. ნიშანდობლივია, რომ ამ ლექსს, რომლიდანაც რამდენიმე სტრიქონი მომყავს, სწორედ „ფეოდალი“

შენ გეზიზღება,
გეზიზღება მთელის არსებით
ის, — ნაქურდალით მდიდარი და სულით
ლატაკი.
ამპარტავანი ფეოდალივით
ცხვირწინ ბექდიან ხელს გიტრიალებს,
ჰრიალებს სიტყვა და იატაკი.
......
სარგებლობს შენი მორიდებით,
გულკეთილობით,
სარგებლობს შენი მოთმინებით,
შენი დუმილით
შენ უფრთხილდები შენს სიმშვიდეს და
მყუდროებსა,
საუბრობ ძვირფას აჩრდილებთან
მედიუმივით,
ო, ამ სიმშვიდის საზღაური იქნება
მკაცრი...

კაცი ურიცხვი და უტიფარი თავს
დაგდგომია.
ხმა ამოიღე,
დამნაშავეს გადაელობე
არ დაიხიო,
არ დაუთმო,
ესეც ომია!...

ამ ომში ერთმანეთს პირისპირ არ შეხვდებიან პანტე და „დათიკო ვასილიჩი“, მაგრამ ცხადზე-ცხადია, რომ ორთაბრძოლა სწორედ მათ შორის მიმდინარეობს, როგორც დავინახეთ, გარეშემონი, პანტეს ახლობლებიც კი, ძლიერს მიტმასნებული მაყურებლები არიან. ნოდარ წულეისკირის მოთხრობაში ისიც კარგად იგრძნობა, რომ უკვე ჩაესვენა „დათიკო ვასილევიჩის“ მზე (აქ ერთი დეტალის მიხედვით, საგანგებო კომენტარი რომც არ გავაკეთო, მკითხველი მიხვდება, როგორი ზნეობრივი გარდატეხის მომენტია აღწერილი აქ ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში), მაგრამ მისი გუშინდელი ყოვლისშემძლეობა ჯერ კიდევ მომნუსხველად მოქმედებს და ბორკავს გარეშემოთა კეთილ ნებას და ზნეობას; უფრო მეტიც — ამ ზნეობის ნაცვლად, სხვა, თავისი მომხვეჭელური ზნეობა უნდა დაამკვიდროს, რომლის მიხედვითაც ქვეყნად ყველაფერი მატერიალური ფასეულობებით განისჯება, ხოლო სულიერი საგანძური გათელილი, გაუფასურებული და გადავიწყებულია.

სალათას ძილი მოერია ავსული „დათიკო ვასილევიჩის“ მიერ ჩაჯადოებულ ადამიანებს. ვერაფერი ვერ აფხიზლებთ — ვერც სიტყვა, ვერც შეგონება, ვერც თავგანწირვის მაგალითი... ყოველივე ეს პრაქტიციზმის უსულო კედელს მიეხლება, მაგრამ ოხვამეკარის სამრეკლოს კედლისაგან განსხვავებით, ერთ ბზარსაც ვერ დაამჩნევს. პრაქტიციზმის ამ რკალში ერთად მოექცნენ პატიოსანიც და უპატიოსნოც, „ურთიერთგამტანის“ ჯაჭვით გადაებნენ და თან ისეთნაირად, რომ ერთერთის წამოწევაც კი, სხვათა სიმშვიდის დარღვევასა და ინტერესების შელახვას ნიშნავს. სხედან ასე — თავთავიანთ ადგილებს, ნაკვეთებს, სავარძლებს ჩაფრენილნი, ჩაბღაუჭებულნი და მალლა აღარც კი იყურებიან, რადგან თვითონვე, თავისსავე ხარბი ნისკარტებით ამოიკორტნეს ის ფრთები, რომლებითაც უნდა ეფრინათ და რომლებიც ასე უშლიდათ საერთო გალიაში ჩახერგილებს.

ერთადერთი, „ბავშვივით ცაში მფრინავი მოხუცი“, — პანტე გამოეცალა ამ „ჯაჭვს“. იქითა მხრიდან, თითქოს პირი შეკრესო, ყველანი ერთხმად ეუბნებიან — ნუ ახირდები, არ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეიძლება დათიკო ვახილიევიჩის წყენინებაო! პანტე კი სწორედ საპირისპიროს ფიქრობს,— დათმობა არ შეიძლებაო! მან მშვენივრად იცის, ვინაა ახირებული, ისიც იცის, რომ ახლა, რადგან დათმობა-გატანაზე მიდგა საქმე, მის გაზულუქებულ მოწინააღმდეგეზე გამარჯვება, მხოლოდ ოხვამეკარის სამრეკლოს აღდგენას კი არ მოასწავებს, არამედ სიკეთისა და პატიოსნების უძლეველობის იმ რწმენის აღდგენასაც, რომელიც ასერიგად გადათელა „დათიკო ვასილიევიჩების" განუკითხავი გამგებლობის ათეულმა წლებმა: მაგრამ თუ პანტე დამარცხდა — ეს დათიკო ვასილევიჩის ყოვლისშემძლეობის, ხოლო პანტეს უილაჯობის, მისი „ფანტაზიორების", მისი ნაქადაგევის უსარგებლობისა და ანაქრონიზმის საუკეთესო დადასტურება იქნება.

ხელოვნება და სინამდვილე ზოგჯერ ისე ეჯაჭვება ერთმანეთს, რომ ძნელია წერტილი დასვა ლიტერატურულ გმირობაზე საუბრისას და მათი ცხოვრებისეული პროტოტიპები არ გაიხსენო. ამგვარ „ფანატიკოსებზე" მოგვითხრო საქართველოს კულტურის ძეგლების დაცვის სამმართველოს უფროსმა, პროფესორმა ირაკლი ციციშვილმა: „საბედნიეროდ, აქ ნახსენებ პანტე ჯაავას ცხოვრებისეული ორეულებიც მოეძებნება: თელავში — მიხეილ ცაკაშვილი, ადიგენში — ანტონ ბოლოთაშვილი, გომბორში — ხარიტონ ციცხვაია. მხოლოდ გულის კარნახით მიიჩნიეს მათ თავისად საერთო საქმე" (ეს ციტატა მომყავს ირ. ციციშვილთან ჩემი საუბრიდან, რომელიც ალმანახ „ზეკარში" გამოქვეყნდა).

როდესაც პანტეს ცხოვრება უმაღლეს დანიშნულებას იძენს, მას სიკვდილიც კი უჩანს მღერად", არც სიმარტოვე აღარ აშინებს — ეს, ჯერ-ერთი, მისი სულიერი ავტონომიის საზღაურია. ხოლო მეორეს მხრივ, პანტეს სიმარტოვეც ხომ მოძღვრის სიმარტოვეა — გარემომთა სულიერ განწმენდაზე, თვალთახედვაზე ზრუნვით აღსავსე... ამ „უცნაურ" კაცს სიმარტოვეც უცნაური აქვს — თავის თავზე რადი ფიქრობს. ათასი უხილავი ძაფით დაკავშირებულია სოფელთან და თვითოეულ ნაბიჯს სწორედ ამ სოფლის სულიერი აღორძინებისათვის დგამს: აი მიდის კიდეც პანტე სახლიდან. მიტოვებულ ეკლესიაში სახლდება, თითქოს თავისი ამ განდეგილობის ჟამს უნდა საბოლოოდ განიწმინდოს და მხოლოდ ამ კათარზისის შემდეგ დაუბრუნოს თავის ადგილს დავით აღმაშენებლის ქვა. (ასე გაათია ღამე ბიბლიურმა იაკობმა, თავმიდებულმა სამსხვერპლოს ქვაზე).

ჩვენ, რაღა თქმა უნდა, ვგრძნობთ, რომ ეს უკვე უბრალო ქმედება კი არ არის, არამედ მისტერიალური აქტია, როომელშიც ქურუმიცა და ზვარაკიც ერთსა და იგივე პიროვნებაში გაერთიანდნენ, ხოლო თვით მსხვერპლშეწირვა გააზრებულია, როგორც გარემომთა მიერ ნებსით, თუ უნებლიეთ ჩადენილ შეცოდებათა გამოსყიდვის საშუალება. ისე რომ, თუ ნოდარ წულეისკირის თხრობის გარეგანი მდინარება პანტეს სიკვდილს შემთხვევითობას მიაწერს (დიახ, პანტემ მეამწეც დაიყოლია, დუღაბიც გაამზადა, ლოდიც მკვიდრად ჩააშენა კედელში და ქაფჩის ბოლო მოსმის დროს მოწყდა კედელს...), — შინაგანი ლოგიკით, პანტეს სიკვდილი — წინასწარ გააზრებული და ჰეროიკული აქტია. მკითხველს ეს გარემოება რომ არ გამორჩეს, მწერალი თვითონვე შეახსენებს თხრობის დასასრულს.

კვდება პანტე ჯაავა და მისი ცხოვრების მრწამსსა და დედააზრს ავლენს უკვე მიმქრალ მზერას უკანასკნელ წამს მოლანდებული სასწაულებრივი ჩვენება: პანტე დიდგორის ველზე ხედავს თავს — დავით აღმაშენებლის მხედრიონს შორის...

შიშისა და ძრწოლის გარეშე კვდება პანტე, რადგან გრძნობს, რომ ღირსია ამ დიდებულ ლანდებს შორის იდგეს — აკი არ უღალატა მათ ხსოვნას, მათ რწმენას, მათ დანატოვარს: „საკვირველი კი იყო, კაცი უპატრონოდ, სოფლის ბოლოს, მინდორში კვდებოდა და პირი კი უცინოდა, სახე გაბადროდა, თითქოს ქორწილში მიდიოდა. ასეთი სიკვდილი თავისით რომ არ მოსულიყო, უნდა გამომეგონა, — ფიქრობდა; სიცოცხლეში ხომ პანტე თავის სიმართლეს ვერ ამტკიცებდა, არ უჯერებდნენ, ეჭვით უცქეროდნენ. ხან ინტრიგანს ეძახდნენ, ხანაც კარიერისტს, ხან რას და ხან [illegible]რას. ასეთი მოულოდნელი სიკვდილით კი ყველაფერს მარჯვედ უარყოფდა და მთავარს დაამტკიცებდა, თითქოს მისი მოღვაწეობის ლოგიკური დასასრული სიკვდილი იყო. თუ სოფელი და ხალხი ვერ ჩაწვდებოდა, ვერ გაიგებდა ამ სიკვდილის აზრს, ანდრი ხომ მიხვდებოდა, ანდრის ხომ მაინც დაუმტკიცებდა თავის სიმართლეს, ხომ უჩვენებდა მაგალითს, შვილიშვილებს ხომ უამბობდნენ დავით აღმაშენებლის ქვის ამბავს!... — ვალმოხდილი, პირნათელი დე გამარჯვებული მიდიოდა იმ ქვეყანას.

როდესაც დღეს სამოცდაათიანი წლების ქართულ პროზაზე ლაპარაკობენ, ერთ მის მთავარ შინაგან თვისებას შენიშნავენ — ჩვენს მწერლობას ეყო მოქალაქეობრივი გამბედაობა, რათა საზოგადოებისათვის მის ფარულ სატკივარზე მიეთითებინა; ეთქვა, თუ როგორ უნდა გაუფრთხილდეს ადამიანი მისი სინდისის სარკეს, როგორ უნდა მოწმინდოს მის ზედაპირს მავანთა და მავანთა გაქონილი თითებით დამჩნეული ლაქები, თუ კი სურს ამ სარკეში ჩაიხედოს და თავისი ჭეშმარიტი სახე დაინახოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად გაწმენდილ (და განწმენდილ) უცთომელ ხარკედ მოევლინა 70-იან წლებში ქართველ მკითხველს ზნეობრივად უკომპრომისო გმირების მთელი წყება. როგორც მოგახსენეთ, ამ გმირთა გალერეიდან სამი „უცნაური" კაცი, იმით გამოვარჩიე, რომ მათი შინაგანი მრწამსი ერთ სფეროში — ბუნებისა და ისტორიული გარემოს დაცვაში გამჟღავნდა.

ბუნებაშიც და ისტორიულ გარემოშიც ჩვენს თვალწინ განუწყვეტელი ორთაბრძოლა მიმდინარეობს. ამ ორთაბრძოლაში დაპირისპირებული ძალებიდან — ერთი მტაცებელი რომაა და მეორე — დამცველი, ეს კარგად ვიცით. მაგრამ მესამე, ნეიტრალური ძალაც არსებობს — მაყურებელი, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, უმრავლესობას წარმოადგენს.

პროფესორი ირაკლი ციციშვილი ზემოთ მოხმობილი საუბრისას გულისტკივილით ჰყვებოდა, როგორაა აჭრელებული მრავალფეროვანი წარწერებით უიშვიათესი ფრესკები, როგორაა წაბილწული მრავალი ისტორიული ძეგლი, როგორ ააფეთქეს უცნობმა განძისმაძიებლებმა თამარისდროინდელი ეკლესია... მაგრამ იქვე მაიმედებელ ნიშნებზეც ითქვა: თვეობით ეხმარებიან სტუდენტური რაზმები არქეოლოგებსა და რესტავრატორებს, არ წყდება ნებაყოფლობითი შენატანები კულტურის ძეგლთა დაცვის ფონდში... ირაკლი ციციშვილმა გაგვაცნო აგრეთვე ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელსაც, ვფიქრობ, უშუალო კავშირი აქვს ჩვენი საუბრის თემასთან. ეს გახლავთ თბილისელი დურგლის ლუკა მუხიგულის წერილი ძეგლების დაცვის სამმართველოსადმი: „მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია და სადაც ხელი მიმიწვდება ყოველთვის ვცდილობ ძეგლი შევაკეთო. მე სკოლაში არ მივლია, ასოები თვითონ მაქვს შესწავლილი, მაგრამ მესმის, რომ ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ ჩვენი სამშობლოს მამა-პაპათაგან შექმნილ ძეგლებს მოვუაროთ და რითაც კი ხელი მიგვიწვდება ჩვენი სახსრებით შევაკეთოთ. მითხარით, სად მივიდე, რომ უფასოდ დაგეხმაროთ ძეგლების აღდგენაში".

შეგონებას მისაბაძი მაგალითიც სჭირდება და მწერლობის გმირებთან ერთად, ჩვენ უნდა გავიცნოთ და დავაფასოთ ლუკა მუხიგულის მსგავსი ადამიანები.

განა ნიშანდობლივი არ არის, რომ მადლიერმა ქართველმა ერმა მთაწმინდის კალთას მიაბარა ანდრია გამრეკელი, თბილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის მთავარი მეტყევე, ადამიანი, რომელმაც მთელი სიცოცხლე შესწირა საქართველოს ბუნების დაცვას, ჩვენ კი (გამოვუტყდეთ ჩვენს თავს) არ გვახსოვს მისი სახელი, ან იქნებ ჩვენმა ყოვლისმცოდნე შვილებმა იციან? რაღა თქმა უნდა, არა. ამგვარი გულმავიწყობის დაძლევის პირველი მაიმედებელი ნიშანი იყო საქართველოს სსრ ბუნების დაცვის კომიტეტისა და საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების მიერ 1979 წელს გამოცემული ბუკლეტი „საქართველოს ბუნების ქომაგები" და მომდევნო წელს ამავე სათაურით გამოცემული ვილი კაჰარავას ბროშურა.

როდესაც ბუნებისადმი მომხმარებლურ მიმართებაზე ვმსჯელობთ, ცხადია, ამ მიმართების წარმომავლობასაც ვუფიქრდებით. ერთ მიზეზზე — ჩვენში კარგა ხანს აღრეულ ზნეობრივ ფასეულობებზე, უკვე მოგახსენეთ; მაგრამ ვგონებ, კიდევ ერთი მიზეზი, ამჯერად უფრო ზოგადი, არსებობს და არ მინდა გამომრჩეს: ჩვენ წამდაუწუმ ვიმეორებდით მიჩურინის ცნობილ დებულებას და არ გვახსენდებოდა ენგელსის სიტყვები: „ზედმეტად ნუ დაგვაიმედებს ბუნებაზე ჩვენი გამარჯვებები თვითოეული ასეთი გამარჯვებისათვის იგი ჩვენ სამაგიეროს გვიხდის. მართალია, ყოველ ამ გამარჯვებას პირველ რიგში სწორედ ის შედეგები მოჰყვა, რომლებსაც ველოდით, მაგრამ შემდგომში ჩნდება სულ სხვა, გაუთვალისწინებელი შედეგები, რომელნიც ძალზედ ხშირად აბათილებენ პირველი შედეგების მნიშვნელობას". ამ სიტყვებთან ერთად ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ გაურკვეველი ზნეობრივი პრინციპები არა მარტო ადამიანთა ურთიერთობისას არსებობს. ბუნებისადმი მიმართებასაც აქვს თავისი, საუკუნეებით დაკანონებული ზნეობრივი კოდექსი (გავიხსენოთ, თუ რაოდენ განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება ამ კოდექსს ადამიანის ვაჟასეული კონცეფციის მიხედვით). ამ კოდექსის დარღვევა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო წვრილმანებით რომ იწყება, ზოგჯერ იმგვარ დანაშაულში გადაიზრდება, რომლის სათავეებზეც ჯერ კიდევ არისტოტელე მიუთითებდა.

თანამედროვე ქართულმა პროზამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ურთიერთკავშირს ადამიანის შინაგან ღირსებასა და მის მოქალაქეობრივ მრწამსს შორის. ჩვენს წერილში ეს პრობლემა ბუნებისა და ისტორიული გარემოს დაცვის ფონზე გვინდოდა წარმოგვეჩინა. ზოგიერთ „გადახვევას" მკითხველი უთუოდ მაპატიებს, რადგან დღეს ამ დიდმნიშვნელოვან თემაზე ლაპარაკი არ შეიძლება იმ რეალური სოციალური კონტექსტის გარეშე, რომელიც ჩვენში და ჩვენს გარშემოც ერთნაირი ძალით მოქმედებს — ეს ჩვენს საზოგადოებაში ჯანსაღი ზნეობრივი ატმოსფეროს დამყარებისათვის შეუნელებელი ბრძოლა გახლავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელოვნება

გივი ბარამიძე

# მზიური ფუნჯის დიდოსტატი

(1832—1883)

„დრო დააფასებს მას ღირსეულად და უკვდავყოფს ჩვენი საუკუნის იმ უდიდეს ადამიანებთან ერთად, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე სიმართლის გამარჯვებას შესწირეს“.

ემილ ზოლა

პარიზის მხატვრულ სამყაროს, იმ დღეს, ელვის სისწრაფით მოედო სენსაციური ამბავი — „განკიცხულთა სალონში“ იმპერატორის მოულოდნელ და უცნაურ სტუმრობაზე. თუმცა, ბევრმა ისიც იცოდა, რომ საამისოდ ყველაფერი წინადღით იყო შემზადებული...

— იმპერატორის მეუღლის კამერჰერმა, გრაფმა ლესეი-მარნესიამ, რომელიც ადრე ედუარდ მანესთან ერთად სწავლობდა აკადემიური მხატვრის — თომა კუტიურის სახელოსნოში, იმპერატორს მოახსენა: — ახლახან გახმაურებული ფერწერული სურათის „ტიუილრის ბაღის“ ავტორმა, თქვენი უდიდებულესობის მიერ დიდსულოვნად ნაწყალობევ დამატებით სალონში, კიდევ უფრო სასკანდალო ტილო გამოფინა და პარიზის მთელი არტისტული საზოგადოება მასზე თქვენს გავლენიან აზრს მოელისო.

და აი, ხელოვნების არცთუ დიდი მცოდნე იმპერატორი ლუი-ნაპოლეონ III, თავისი არანაკლებ უვიცი, მაგრამ გაცილებით პრეტენზიული მეუღლისა და კონსერვატიული სულისკვეთების მინისტრების, აკადემიკოსებისა და ჟურნალისტების თანხლებით დიდხანს კი შეჩერდა მანეს „სასკანდალო“ ტილოსთან, მაგრამ, როგორც ზოგიერთი დამსწრე იხსენებს, ვერ იქნა და ვერ გამოთქვა „საკუთარი გადამწყვეტი აზრი“...

უხერხული დუმილისაგან თავის დაღწევის მიზნით, იმპერატორი ხელმეორედ მიუახლოვდა სურათქვეშა წარწერას და ამჯერად ხმამაღლა ამოიკითხა: ედუარდ მანე. „საუზმე ბუნების წიაღში“. შემდეგ ისევ გვერდით ამოუდგა თავის „ავტორიტეტულ“ მეუღლეს — ეჟენი მონტიხოს, მკერდზე ხელგადაჭდობილი გაქვავდა ნაპოლეონის ჩვეულ პოზაში და ოდნავი „თვალმოჭუტული მზერის“ შაბლონური წესით განაგრძო სურათის „შესწავლა“.

გამკილავ ჟურნალისტებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, რომ დიდებული წინაპრის ამ უბადრუკ შთამომავალს, რომელსაც ვიქტორ ჰიუგომ ირონიულად „ნაპოლეონ მცირე“ შეარქვა, ახლა მეუღლესთან ერთად თავი ხელოვნების ქურუმად წარმოედგინა, მაგრამ, ისინი მაინც მოთმინებით ელოდნენ ფრანგული ხელოვნების ბედის გამგებელთა „გადამწყვეტ აზრს“, რადგან, ყოველ ახალ მხატვრულ მოვლენაზე პრესაში მხოლოდ ამ „აზრის“ მიხედვით უნდა გაშუქებულიყო ყველაფერი.

ახლა კი, იმის გამო რომ, ვერც იმპერატორმა და ვერც მისმა მეუღლემ ვერ შეძლეს ეთქვათ რაიმე საზრიანი, უნებლიედ დაირღვა მათ მიერ ტრადიციად ქცეული „განაჩენის გამოტანის“ ჩვეულებაც. ისინი უმზერდნენ, მაგრამ ვერ აღიქვამდნენ ფორმითა და შინაარსით ნოვატორულ ფერწერულ ნიმუშს, რომლის სხივმფენი შუქი ააშკარავებდა მათ უაზრო და კომიკურად მედიდურ გამომეტყველებას. რაღაც მაგიური ძალით, მთელი ეს დიდი სურათი დაემსგავსა ფართოდ გაღებულ ხარკმელს, საიდანაც გაზაფხულის მაცოცხლებელმა სიომ დაბერა და მშვენიერი ბუნების წიაღიდან თავისუფლად მოაზროვნე ადამიანების ჯანსაღი სულისკვეთებაც შემოიტანა.

ნაპოლეონ III და მისი ამალა სწორედ რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლოს IV და მისი ოჯახობის მსგავსად, უსიცოცხლო ტიკინებივით გამოიყურებოდნენ... ჩარჩოს მიღმა კი ჩქეფდა ნამდვილი სიცოცხლე — მდინარის მახლობლად, მწვანით მოსილ ხეთა ჩრდილში, მდელოზე წამომჯდარი საუზმობდნენ ორი მოდაზე ჩაცმული პარიზელი შამაკაცი და ეს-ესაა წყლიდან ამოსული სრულიად შიშველი ქალი. უკანა პლანზე მოჩანდა წყალში მუხლებამდე ჩამდგარი ნახევრად შიშველი მეორე ქალიც...

მართალია, იმპერატორი წინასწარ გაუფრთხილებიათ: მანეს სურათში ჟან-ჟაკ რუსოს მოძღვრების თანახმად ბუნების კულტის, ადამიანის თავისუფლების, სუვერენობისა და სახასწორუფლებიანობის მქადაგებელი მავნე იდეებიც გამოსჭვივისო, მაგრამ მას არც უნარი ჰქონდა და არც სურვილი ამ იდეების „ამოჩენისა". ამიტომაც, ამ მტანჯველი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, რაღაც კი წაილუღლუღა გაურკვევლად, რაზეც მეუღლემაც თავი დაუკანტურა დასტურის ნიშნად და ისე სწრაფად გადაინაცვლეს სხვა სურათების „შესაფასებლად", რომ საბოლოოდ მაინც ვერავინ მიხვდა — რა იგულისხმებოდა პირველის „წალუღლუღებაში" ან მეორის „დასტურში". იქნებ ეს მათი აღტაცების ნიშანი იყო და მაშინ რაღა ეშველებოდა „პავლენიან აზრთან" დაპირისპირებულ კრიტიკას?

ამიტომაც სდუმდა პრესა, სდუმდა პარიზული ელიტაც, ვიდრე, ისევ ელვისებური სისწრაფით არ მოედო პარიზის მთელ მხატვრულ სამყაროს სარწმუნო ცნობა იმაზე, რომ — ედუარდ მანეს ახალი ტილო „საუზმე ბუნების წიაღში", ანუ „საუზმე მდელოზე", როგორც სახელწოდებითაც გახდა იგი საბოლოოდ ცნობილი, — საიმპერატორო სასახლემ საზოგადოებრივი მორალის შეურაცხმყოფელ ნაწარმოებად გამოაცხადაო.

და კვლავ ზღვა ხალხი მოაწყდა „განკიცხულთა სალონს", ყველას სურდა საკუთარი თვალით ეხილა „მორალის შეურაცხმყოფელი ნაწარმოები", ღვარძლიან ქილიკობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კბილებდალესილი ლაქია კალმოსნები:

„რომელიღაც შიშველი, ქუჩის ქალი უსირცხვილოდ წამომჯდარა მალსტუხიან და ქალაქურ კოსტუმში გამოწყობილ ორ ფრანტს შორის. მათ შესახედაობა აქვთ არდადეგებზე მყოფი მოწაფეებისა, რომლებიც მოზრდილებს ბაძავენ დროსტარებაში, და მე ამაოდ ვცდილობ ამ უხამსი ამოცანის ამოხსნას" (ლ. ეტეხი).

ამგვარი უგვანო ტონი გამოიმუშავა დაქირავებულმა პრესამ, რომლის ფურცლებზეც მდაბალი მხატვრული გემოვნების „მაღალჩინიან დიდებულთა" საამებლად ენას ივარჯიშებდნენ ბელეტრისტების უბადრუკი დილეტანტები. მთელი ამ ფარისევლური ბურჟუაზიული კრიტიკის საპირისპიროდ, სიმართლის თქმა, მხოლოდ ისეთ გაბედულ და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანს თუ შეეძლო, როგორიც იყო მრავალმხრივი ნიჭით მომადლებული ფრანგი მწერალი და ხელოვანი ზაქარი ასტრიუკი, რომელმაც მანე თავისი დროის უდიდეს მხატვრად აღიარა. ამ უდიდეს მხატვარს სისტემატურად ექომაგებოდნენ აგრეთვე: მეორე იმპერიის სულისშემხუთველ ატმოსფეროში მანეზე ადრე „ჯვარცმული" პოეტი შარლ ბოდლერი, რომელიც როგორც დადგინდა, ჩვენდა სასიამოვნოდ, შეხუთე სახუკუნის ქართველი ფილოსოფოსის პეტრე იბერის მოძღვრების უდიდესი თაყვანისმცემელიც ყოფილა; გამოჩენილი სიმბოლისტი პოეტი სტეფან მალარმე: მაშინ ჯერ კიდევ უცნობი, ახალგაზრდა მწერალი და კრიტიკოსი ემილ ზოლა; მანეს თაყვანისმცემელი ახალგაზრდა ნოვატორი მხატვრები, რომლებსაც წილად ხვდათ წარმოჩენილიყვნენ იმპრესიონიზმის კორიფეებად... და კიდევ რამდენიმე პროგრესული მოღვაწე... და მაინც, უნდა ითქვას, რომ მთელი თავისი დიდებული შემოქმედებისა და პიროვნული ღირსების დამცველ ყველაზე დიდ ძალას თვითონ წარმოადგენდა...

მხატვარს სულაც არ გაჰკვირვებია, როცა მას უამბეს „განკიცხულთა სალონში" მომხდარ აურზაურზე. მას უკვე მიღებული ჰქონდა მწარე გამოცდილება, როცა იმავე 1868 წლის თებერვალ-მარტში ლუი მარტინეს გალერეაში გამოფენილი თოთხმეტი სურათიდან ერთ-ერთი პირველი დიდი ტილო „მუსიკა ტიუილრის ბაღში" აღშფოთებულმა ბურჟუებმა კინაღამ გაანადგურეს ხელჯოხებითა და ქოლგებით. მანემ მაშინ ამ სურათით გაამჟღავნა, რომ იგი ტრადიციული აკადემიური ფერწერის კანონების უგულებელყოფას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ საკუთარი წვლილის შეტანას მათ განვითარებაში.

— დაე იცინონ რამდენიც სურდეთ, ისინი დასცინოდნენ ჟერიკოსაც, დელაკრუასაც და კურბესაც, მაგრამ მათი ჭეშმარიტი შემფასებელი დროა. დრო მიუზღავს ყველას თავისასო, — ღიმილით უთქვამს მხატვარს თავისი მეგობრის ანტონენ პრუსტისათვის და ჩვეული გატაცებით შედგომია ახალ ტილოზე მუშაობას... მალე ეს ახალი ტილოც დაამთავრა და უწოდა „ოლიმპია" — სურათის შექმნა მხატვარს შთააგონა ზაქარი ასტრიუკის პოემამ — „კუნძულთა ასული".

ყველაფერი ეს იმ ერთ 1868 წელს მოხდა. მანეს ცხოვრებაში ეს წელი გარდა აურზაურებისა, მისი ბედნიერების წელიც გამოდგა. 28 ოქტომბერს მან ჰოლანდიის პატარა ქალაქ ბალტ-ბომელში იქორწინა სიუზანა ლენხოფზე,

გივი ბარამიძე
მზიური ფუნჯის დიდოსტატი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომლის მუსიკალური (პიანისტის) ნიჭი ფრანც ლისტსაც დაუფასებია...

მისი ცხოვრების ეს მშვენიერი მეგობარი — სიუზანა ლეინჰოფი რომ არა, მანეს, — ამ ტიტანური შემართების „მხიარული მებრძოლსაც“ კი, — როგორც მას მოსწრებულად უწოდა რენუარმა, — უთუოდ გაუჭირდებოდა მუდმივ წინააღმდეგობებთან შერკინება და მით უმეტეს მათი დაძლევა...

ცხადია, თავის მხრივ დიდად მადლიერი მხატვარი, რამდენადაც შეეძლო ყოველთვის იმას ცდილობდა, როგორმე აეცილებინა მეუღლისათვის ყოველგვარი უსიამოვნება, არ მოეკლო სიყვარული და პატივისცემა.

სწორედ მეუღლისათვის მოსალოდნელი ახალი უსიამოვნების თავიდან არიდების მიზნით ქორწინების პირველ წელიწადს თავი შეიკავა და სალონში გამოსაფენად აღარ გაგზავნა ზემოთ ხსენებული „ოლიმპია“. წინასწარ გრძნობდა როგორი სავალალო რეზონანსსიც ექნებოდა ამ ახალ ნაწარმოებს და ერთხანს მაინც რომ შეენარჩუნებინა ოჯახური სიმყუდროვე, ამჯობინა ამჯერად სალონში, მისი აზრით უფრო წარმატების მომტანი ტილოები — „გარდაცვლილი ქრისტე ანგელოსებით (პიეტა)“ და „ხარების ბრძოლის ეპიზოდი“ გამოეფინა. სამწუხაროდ, მაშინ (1864 წლის აპრილს) არც ამ ტილოებმა გაუმართლეს იმედი. მხოლოდ ერთმა, რეალისტური ხელოვნების თავგამოდებულმა ქომაგმა — ტეოფილ ტორემ გაბედა მათი დადებითად შეფასება. საერთოდ კი იმდენად უმართებულოდ და ულმობლად გააკრიტიკეს მხატვრის ახალი ნამუშევრები, რომ გაგულისებულმა მანემ საკუთარი ხელით გაანადგურა „ხარების ბრძოლის ეპიზოდი“ (შემორჩა მხოლოდ ფრაგმენტი „მკვდარი ტორერო“), და მეორე სურათსაც უთუოდ იგივე ბედი ეწეოდა სიუზანას რომ არ ეხსნა.

ერთი წლის შემდეგ, ასევე სიუზანასა და ბოდლერის დაჟინებული მოთხოვნით, როგორც იქნა, გადაწყვიტა სალონში გამოეფინა თავისი „ოლიმპია“ და აღსრულდა კიდეც მისი წინათგრძნობა მოსალოდნელი დიდი უსიამოვნებისა...

უმალ გახმაურებული „ოლიმპიას“ სანახავად კვლავინდებურად ზღვა ხალხი მოაწყდა სალონს. პოლიციაც ვეღარ აკავებდა სურათისაკენ მუქარით წაწეულ ბრბოს, სურათის დაზიანებაზე მეტად, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების შიშით, სალონის მესვეურებმა ბრძანეს „ოლიმპია“ რაც შეიძლებოდა მაღლა დაეკიდათ, რათა მას გასანადგურებლად ვეღარ მიწვდომოდნენ გამძვინვარებული ბურჟუები.

ყოველივე ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მხატვარმა გაბედა და სალონურ სტანდარტებზე აღზრდილ მაყურებელს „ამაღლებულის“ იდეალით წარუდგინა დაბალი წრიდან გამოსული ქალიშვილი, თანაც ისევ წარსულის დიდოსტატთა ფერწერული ნაწარმოებებიდან, კერძოდ — ჯორჯონეს „მძინარე ვენერადან“ და ტიციანის „ვენერა ურბინელიდან“ ნასესხები და ახალი შინაარსით შევსებული კომპოზიციით.

რამდენადმე ეტიუდური ხასიათის ამ სურათში, პარიზელებმა ადვილად შენიშნეს, რომ კომპეზურ პოზაში წარმოსახული ეს სიფრიფანა ქალიშვილი, სულაც არ ჰგავდა ოდითგანვე აფროდიტედ თუ ვენერად წოდებულ სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთს. მათ შეეძლოთ მსგავსი გრიზეტები ხშირად ენახათ სამკერვალოებში, სხვადასხვა საწარმოებსა და ატელიეებში, დღისით რომ თავაუღებლივ მუშაობდნენ ლუკმა პურისათვის, საღამოს კი, მიუხედავად დაღლილ-დაქანცულობისა, — მხრებზე სათუთად შემოხვეული გაცრეცილი შალით, მეგობრისაგან ნათხოვი მოდური ქუდითა და ფსკერგაცვეთილი ფეხსაცმელებით მიეშურებოდნენ გულისწორთან პაემანზე ან გვიანღამემდე ცეკვავდნენ ბალ-მასკარადებზე. მათდა გასახარად ხომ, იმ გარეგნული აყვავების ზენიტში მყოფ მეორე იმპერიის დროისათვის უხვად იყო სხვადასხვა გასართობები...

ასე რომ, მანემ უფრო ახლოს გააცნო მაყურებელს მანამდე მხოლოდ შორიდან თვალმოკრული მათივე თანამედროვე ქალიშვილი. სწორედ ამან აღაშფოთა ისინიც. „ოლიმპია“ ვერც ადრინდელი ცნობილი მხატვრების მიერ გაიდეალებული „ვენერების“ მემკვიდრედ შეიცნეს და ვერც იმ მიწიერ კურტიზან ქალად აღიქვეს, ვინც აბატი პრევოს — მანონ ლესკოს, ბალზაკის — ესთერისა თუ დიუმა-შვილის — მარგარიტა გოტიეს მსგავსად, მთელი ჟინმორეული პარიზის დამატყვევებელ ლამაზმანების სახელი დაიმკვიდრა.

იგი შეუნიღბავი, პირდაპირი და უშუალოა, იგი თავისი ბუნებით ვერასოდეს გარდაიქმნება „სხეულით მაცდუნებელ“ იმ ზნედაცემულ არსებად, რომლის სრულყოფილი ფერწერული პორტრეტიც წარმოსახა თავის ჟანრული ხასიათის სურათში („ნანა“), რამდენიმე წლის შემდეგ თვითონ მანემ, ხოლო კიდევ უფრო გვიან ემილ ზოლამ თავის რომანში „ნანა“ ლიტერატურულ გმირად აქცია.

არა, „ოლიმპია“ სინამდვილეში არც ერთი მათგანის პროტოტიპად არ გამოდგება და არც არავის პაროდირებას ახდენს. ეს მდაბიო წარმოშობისა და არცთუ კლასიკური სილამაზის ქალიშვილი, თავი რომ ღირსეულად უჭირავს, ლალი ბუნების ჭეშმარიტი შვილის ნებიერებით ინარჩუნებს ოლიმპიურ სიმშვიდეს. მის თამამ და ოდნავ მიბნედილ გამოხედვაში გამოსჭვივის შინაგანად ფარული სუსტი სქესის სისადავე.

ცხადია, პოლ სეზანს რომ უთქვამს: — „ოლიმპიათი“ ფერწერის ისტორიაში ახალი ეპოქა იწყებაო, უთუოდ სურათის ამ ახლებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად გააზრებული შინაარსისათვის შესატყვის ფერწერული ამოცანის ორიგინალური გადაწყვეტას მაღალმხატვრულ დონეზე გულისხმობდა და მართებულად უპირისპირდებოდა ეზელ ზოლას, რომელსაც „ოლიმპია“ შედევრად მხოლოდ წმინდა ფერწერული თვალსაზრისით მიაჩნდა.

მანე უკვე სერიოზულად ფიქრობს ფორმისა და შინაარსის ერთიანობაზე. კომპოზიციაში საზეიმო და ამავე დროს მშვიდ განწყობილებას ჰარმონიულად ერწყმის ის შინაგანად მძაფრი სხარტი და გარეგნულად მკაცრი, არტახებში მოქცეული რიტმიკა. ოლიმპიას მთელი ფიგურა, ახლოდან რომ თითქოს ერთ სიბრტყეზე, ერთ მოვერცხლისფერო ცივ გამაში წარმოგვიდგება, განსაზღვრული პანძილიდან ვარდისფერო-ქარვისფერ თბილ ტონით იკვეთება რელიეფურად (განსაკუთრებით მუქი ფონიდან მკვეთრად გამოყოფილი სახე) და მისი მოქნილი კონტურული ხაზებიც ალიქმებიან მსუბუქი მუსიკალური ჟღერადობით. სინათლის წყაროდ აქ თვით ოლიმპია გვევლინება და თავის გარემოშიც თვითონვე ჰფენს შუქს.

საწოლი მთელი თავისი ატრიბუტებით ამ შემთხვევაში პოსტამენტის მაგივრად გვევლინება. მასზე კი გაცოცხლებულ ქანდაკებასავით წარმოჩინდება დედოფლური კდემამოსილებით შუქფენილი მდაბიო ქალიშვილის ხალხური უბრალოება.

ერთი შეხედვით მხატვარი თითქოს ფერწერის კანონების საწინააღმდეგოდ მოქმედებს, მაგრამ სინამდვილეში მაინც ახერხებს მუქი ფონისაგან გამოყოს მსახური ზანგი ქალის ასეთივე სიმძლავრის მუქი სახე და ოლიმპიას ფეხებთან ტრადიციული კუპიდონის ნაცვლად მდგარი კუდაპრეხილი შავი კატა, რომელსაც თავისი მეტყველი პლასტიკით ერთგვარი დინამიკურობაც შეაქვს სურათში. საწოლის მარცხენა მხარეს კი, უნებლიედ შეკეცილი ზეწრის ქვევიდან სამკუთხოვნად გამომზირალი ქვეშაგებლის მოწითალო ზედაპირი ასეთივე ფერის ყველა ელემენტთან თანაფარდობით ძლევს საკმაოდ ფართოდ გაფენილ ცივ ტონებს და სურათსაც მეტ ცხოველმყოფელობას ანიჭებს...

თქმა არ უნდა, მანეს არც მისი უმცროსი კოლეგის, შემდგომში „პარიზელი ქალის სილამაზის თავისებური ტიპის“ შემქმნელის, რენუარის გამკილავი აზრი ესიამოვნებოდა, „ოლიმპიასთან“ დაკავშირებით რომ უთქვამს: — რაც მართალია, მართალია, მანე დიდებული ფერმწერია, მაგრამ ქალების ხატვა კი არ შეუძლია. აბა, რომელი მამაკაცი მოისურვებს ოლიმპიასთან დაძინებასო. მაგრამ მხატვარმა ეს მაინც ხუმრობად მიიღო და ღიმილიც კი შეაგება... მისთვის უფრო მძიმე ასატანი იყო საზოგადოების გამკილავი აზრის მოსმენა. აკი ამის გამო წერდა ბოდლერს: „...ვისურვებდი რომ თქვენ აქ ყოფილიყავით. სალანძღავ სიტყვებს სეტყვასავით მაყრიან. მინდოდა გამეგო თქვენი აზრი ჩემს სურათებზე, რამდენადაც ჩვენა დამიხშო ამ ყიჟინმა და ნათლად ვხედავ მხოლოდ ერთს, რომ ვიღაცა მართალი არაა...“. ბოდლერს არ დაუყოვნებია თავისი გულწრფელი და გამამხნევებელი პასუხი, თან მისგან დამოუკიდებლად იმაზეც წუხდა — მანეს უბრწყინვალესი მონაცემები აქვს და უბედურად ვიგრძნობდი თავს სიმამაცემ რომ უმტყუნოსო (ბოდლერის წერილი პოლ მერისადმი, 1865 წლის 24 მაისი).

სამწუხაროდ, ბოდლერის საუკეთესო შეხედულება მანეზე არ გადაედო საზოგადოებას, მაგრამ, საბედნიეროდ, არც მისი შიში გამართლდა. მანესათვის სიმამაცეს არასოდეს უმტყუნია და თუ იმ წელს, აგვისტოში ესპანეთში გაემგზავრა, ეს იმიტომ კი არა, რომ ვინმეს გაექცა, მას სურდა თავისი დიდი ხნის ოცნება აესრულებინა და ახალი ძალებიც მოეკრიბა შემდგომი შეტევების მოსაგერიებლად. ესეც არ იყოს, იქ მშვიდ გარემოცვაში, სათაყვანებელი მხატვრების სამყაროში, შეიძლებოდა უფრო დადინჯებით, თვითკრიტიკულად გადაევლო თვალი ეხლანდელ შფოთიანად განვლილი თავისი შემოქმედებითი გზისათვის და სათანადო დასკვნებიც გამოეტანა...

წარსულის გახსენებამ ედუარდ მანე კიდევ უფრო დაარწმუნა თავის სიმართლეში, ხოლო ესპანელ დიდოსტატების — ველასკესის, ელ გრეკოს, გოიას... მშვენიერების სამყაროსთან შეხვედრამ იგი ახალი შემოქმედებითი შთაგონებებით აღავსო.

ამ პერიოდისათვის შემთხვევითი არაა მისი დაინტერესება ჰამლეტის პრობლემითაც. იგი 1865 წელს ამთავრებს „ფილიბერ რუვერის პორტრეტს ჰამლეტის როლში“, რომელსაც 1865 წელს, „ოლიმპიას“ სავალალო შედეგით დაშინებულმა სალონის ჟიურიმ, მანეს მეორე სურათთან („ფლეიტაზე დამკვრელი“) ერთად სრული უნდობლობა გამოუცხადა და საერთოდ აღარ დაუყენებია საკითხი მათი გამოფენაზე გატანის შესახებ.

მანე ჰამლეტთან უთუოდ ბევრ რამეში პოულობდა საერთოს, კერძოდ კი იმაში, რომ ჰამლეტი — ეს ზნეობრივად მაღალი, წმინდა და კეთილშობილი ჭაბუკი მამაცურად უპირისპირდებოდა ბნელი სურვილებით შეპყრობილ, პირადი ფუფუნებისა და ბედნიერების მოპოვების მიზნით ყოველგვარი სისაძაგლის ჩამდენ გაბატონებულთა უმრავლესობას. ფარისევლების საშინელ გარემოცვაში იგი თითქმის მარტოა და ზნედაცემულებს აწყობთ მისი „შეშლილად“ გამოცხადება, რათა სრულიად უგულებელყონ მისი სამართლიანი ბრძოლის სალი საფუძველი.

---

ბიჟი ბარამიძე

## მზიური ფუნჯის დიდოსტატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰამლეტის სახეს მანე შემდეგაც დაუბრუნდა, როცა მან შექმნა „ფორის პორტრეტი ჰამლეტის როლში", ოღონდ ამჯერად სულ სხვა ინტერპრეტაციით წარმოსახავს მას. ჯერ ერთი, მსახიობი ფორი სახით საოცრად ჰგავს მანეს, მეორეც, იგი უკვე გააქტიურებულ, საბრძოლველად მზადმყოფ, დაშნაშემართულ ჰამლეტს განასახიერებს და არც ეს უნდა მივიჩნიოთ შემთხვევითად. ეს თვით „მხიარული მებრძოლი" (რენუარი) ედუარდ მანეა, რომელიც ყოველთვის მზადაა ჰამლეტისეული შემართებით გაუმკლავდეს სიყალბესა და ბოროტებას.

ბუნებას იგი გარეგნულადაც მომხიბვლელი მხატვრის იერით დაეჯილდოებინა. მისი მნახველი თურმე პირველივე შეხვედრისთანავე იტყოდა — ეს კაცი ზედმიწევნით თავისი პროცესიისათვის არის დაბადებული და მისი შთაგონებული და სათნო იერიც იმაზე მეტყველებს, რომ მხატვრის შრომა მისთვის უდიდესი სიხარულის მომნიჭებელიაო.

მართალია, ზოგიერთი მოშურნე ან ჯგუფს „მანეს ბანდას" უწოდებდა, მაგრამ ეს სულაც არ ამცირებდა ამ ჭეშმარიტი ხელოვანის დიდ გავლენას ახალგაზრდა მხატვრებზე, რომლებიც მოხიბლულნი იყვნენ მისი ნოვატორული ძიებებით. თავის მხრივ მანესაც ბევრი რამ ჰქონდა საერთო ახალგაზრდა მხატვრებთან. იგი ადრე, საკმაოდ დიდხანს წერდა არა ღია ცის ქვეშ — ნატურიდან, არამედ სახელოსნოში. არ იყო გატაცებული რთულ და ცვალებად ატმოსფეროში სხვადასხვა განათებების, ვალერიების, ფერების ვიბრაციების გადმოცემით, არ მიმართავდა დანაწევრებულ ფართო მონასმებს. მათთან დაახლოების შემდეგ კი ყოველივე ამან მკვეთრად იჩინა თავი მის ფერწერულ ნამუშევრებში. ერთია რომ იმპრესიონისტების საყვარელი ჟანრი — პეიზაჟი განსაკუთრებულად დიდ ადგილს არ იკავებდა მანეს შემოქმედებაში, თუმცა, ამ მხრივაც შექმნილი აქვს მას არაერთი პირველხარისხოვანი ტილო („გემი", „კერსეჟი" და „ალაბამის ბრძოლა",„ზღვის ხედი წყნარ ამინდში", „მეთევზეთა ნავი", „ნავში", „არჟანტეი", „ვენეციის დიდი არხი" და სხვ). აგრეთვე ნატურმორტებიც და მაინც, იგი უფრო ფიგურულ კომპოზიციებსა და პორტრეტებზე მუშაობას ამჯობინებდა. ადამიანის მხატვრული სახე მისი მთავარი ყურადღების საგანი იყო. ადამიანებზე მახვილმა დაკვირვებამ იხსნა იგი პირობითი შტამპებისაგან და შეაქმნევინა თანამედროვეთა რეალისტური პორტრეტები: „ბოდლერის სატრფო", „ზოლას პორტრეტი", „სტეფან მალარმე", „ბერტა მორიზო", „როშფორი", ანტონენ პრუსტი", „ზოლას მეუღლე" და სხვ. რომლებშიც ნათლად გამომჟღავნდა ფერწერის ოსტატობაც და ღრმა ფსიქოლოგიური დახასიათების უნარიც. დროთა ვითარებაში იგი სულ უფრო დიდხანს მუშაობდა ხოლმე პორტრეტებზე პიროვნების სულიერი სამყაროს ზუსტი ასახვის მიზნით, მაგრამ საინტერესოა ისიც, რომ ადრინდელ ეტაპზედაც საოცარი ძალით აზერხებდა ხოლმე თავის რამდენიმე ესკიზურ პორტრეტებში დამახასიათებლის ჩვენებას. ასეთია, მაგალითად, ერთ სეანსში შექმნილი პორტრეტი „ბოდლერის სატრფო" (1862), სადაც მხატვარი, როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით გადმოგვცემს ჟანა დიუვალის სულიერ და გარეგნულ პორტრეტს.

„ემილ ზოლას პორტრეტში" (1868), რომელშიც დიდი სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით წარმოსახა გასაჭირის ჟამს მისი ერთგული ქომაგი და ჯერ კიდევ უცნობი ახალგაზრდა მწერალი, მანემ ისეთი საგნობრივი გარემო შექმნა, რომელიც მიგვანიშნებს, როგორც ზოლას, ასევე თვით მხატვრის ინტერესებსა და სინამდვილისადმი დამოკიდებულებაზე. მაგიდაზე მიმობნეულ წიგნებს შორის მოჩანს ის ბროშურაც, ზოლამ რომ გამოაქვეყნა მანეს დასაცავად, ხოლო კედელზე კიდია „ოლიმპიას" რეპროდუქცია და ორი იაპონური გრავიურა, რომელიც ასევე ზოლას და მანეს ერთობლივი გატაცების საგნებზე მეტყველებენ.

„ნინა დე კალიასის პორტრეტში" (1874) კი, რომელზეც ბერტა მორიზომ თქვა: — ეს ფერწერის ის სასწაულია, რომელიც ლუვრში უნდა დაიკიდოსო, ფონად განფენილი სხვადასხვა ფორმის მარაოების კოლექცია თავისი იაპონური წარმოშობით, იმხანად იაპონური ხელოვნების ფართო აღიარებაზეც მეტყველებს და თვით ნინა დე კალიასის — პარიზის ერთ-ერთი განთქმული სალონის ამ მშვენიერი მესვეურის ანტიკონფორმისტულ სამყაროზეც.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგ ფერმწერთაგან განსხვავებით, კურბესთან ერთად მანემ განსაკუთრებული ინტერესი გამოავლინა ნატურმორტისადმი. მისი ნატურმორტები ყოველთვის გამოირჩევიან მდიდარი ფაქტურით, საგნობრივი დახასიათებით, ზედმეტობისაგან განტვირთვით, შესრულების ვირტუოზულობითა და ემოციური შთამბეჭდაობით. 1875 წლიდან და განსაკუთრებით სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, იმპრესიონისტული მანერით ქმნის ყვავილების მრავალრიცხოვან სერიას და გულწრფელი შთაგონების სიწმინდით ალბეჭდავს მათ მთრთოლვარე სიცოცხლეს.

სხვადასხვა დროს ევროპის ქვეყნებში მოგზაურობისას მანემ საფუძვლიანად შეისწავლა იტალიური, ჰოლანდიური, ესპანური კლასიკური ხელოვნება და ღრმად გაიზიარა საკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარი თვალთახედვით. თავისებურად ითვისებდა რა კლასიკურ ტრადიციებს, იგი არა მარტო სალონური სიყალბის წინააღმდეგ იბრძოდა, არამედ სალონში გამოფენის უფლებების მოსაპოვებლადაც. ამავე მიზეზით არ მიუღია მონაწილეობა მისი თაყვანისმცემელი იმპრესიონისტების არც ერთ გამოფენაზე. პირიქით, თავის მხრივ იმპრესიონისტებსაც მოუწოდებდა პრინციპულად ებრძოლათ თავიანთი უფლებების სწორედ სალონში დამკვიდრებისათვის.

აღნიშნავენ რომ მანეს რეალიზმს არ ჰქონდა კურბეს რეალიზმის სოციალური და ოპოზიციური პოლიტიკური სიღრმე, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს საერთოდ გულგრილად უყურებდა თავისი დროის სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს. შემთხვევით როდი დაინტერესდა იგი ისეთი თემებით, როგორიცაა: მრეცხავი, ძველმანების შემგროვებელი, მათხოვარი, ქუჩის მომღერალი, ლუდის ჩამომრიგებელი, სამოქალაქო ომი, იმპერატორ მაქსიმილიანეს დახვრეტა, ქვისმთლელები მონიეს ქუჩაზე, კომუნარების დახვრეტა და სხვ. პარიზის კომუნისადმი მისი დიდი სიმპატიების დასტურად ისიც საკმარისია, თუ როგორი გატაცებით ცდილობდა აესახა ყოფილი ლიდერი კომუნარის ანრი როშფორის გადასახლებიდან გაქცევის სცენა, რაც, მართალია, ავადმყოფობის გამო ვერ განახორციელა, მაგრამ, სამაგიეროდ მოასწრო შეექმნა როშფორის პორტრეტი (1881), რომელმაც 1881 წლის სალონის გამოფენაზე მეორე ხარისხის მედალიც კი დაიმსახურა, მაგრამ, რამდენადაც ჟიურის არ შეეძლო ყოფილი კომუნარის ლიდერის პორტრეტისათვის ჯილდო გაეცა, ოფიციალურად იგი მიაკუთვნეს იმავე სალონში გამოფენილ მანეს მეორე სურათს — „ლომებზე მონადირეს“.

მანეს ოცნება იყო აგრეთვე განეხორციელებინა მემანქანისა და ცეცხლფარეშის შრომის ამსახველი სურათი. ჟ. ჟანიო იხსენებს მანეს აღტაცებას: „რა შესანიშნავი სანახაობაა ამ ადამიანების შრომა! როგორი ამტანიანობაა, როგორი თავდაჭერა! ეს ჯოჯოხეთური ხელობაა! აი ისინი — თანამედროვე გმირები! როგორც კი გამოვკეთდები აუცილებლად დავწერ მათი შრომის ამსახველ სურათს“ შეუდგა კიდეც მუშაობას, მაგრამ, ისევ ავადმყოფობამ შეუშალა ხელი.

მანე ევროპაში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ერთმანეთის გვერდით მოთავსებული წმინდა ფერების ჰარმონიას მიაგნო. ბოლოს თითქმის აღარ იყენებდა ნახევარტონებს. მისი ფერწერა ტილოდან ტილომდე სულ უფრო ცოცხალი, მზიური, ნათელი ხდებოდა. თანამედროვე სინამდვილეს იგი ასახავდა თავისი განუმეორებელი ფერწერული მხატვრული სახეებითა და ხასიათებით. ასე შეიქმნა მისი დიდებული ტილოები: „საუზმე სახელოსნოში“ (1868 წ.), „ნანა“ (1877 წ.), „ბამუა ლატუილის სასაუზმეში“ (1879 წ.) „აივანი“ (1868 წ.),.. და განსაკუთრებით ბოლოშედევრი „ბარი „ფოლი-ბერჟერში“ (1881-82 წ.), რომელშიც მხატვრული დასრულებულობის მანისეული პრინციპით, რეალისტურად, ფსიქოლოგიური სიღრმით აისახა ერთი დამახასიათებელი ეპიზოდი თანამედროვე პარიზის ცხოვრებიდან.

1883 წლის 30 აპრილს სიკვდილის სარეცელზე მყოფმა 51 წლის ედუარდ მანემ ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი ქვეყნად მშვენიერების დამკვიდრებისათვის მსხვერპლად შეწირულ საკუთარ ცხოვრებას და მარადისობასთან შერწყმის უკანასკნელ წამს გამოსამშვიდობებლად მაგრად ჩასჭიდა ხელი ერთგულ მეგობარსა და თანამეგზურს — სიუზანა ლენხოფს. შემდეგ კი თავის მიმქრალ სახეზე ჩვეულებრივზე უფრო მკვეთრად გამოხატული, იდუმალებით მოცული ღიმილით უკვდავების იმ ზღურბლს მიადგა, საიდანაც მისი ჭეშმარიტი არსებობის ყველაზე დიდი მზიური სამყარო იწყებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცოტა რამ „ცისკრის" ახალგაზრდა ავტორებზე

ომარ თურმანაული დაიბადა 1959 წელს, დუშეთის რაიონის სოფ. ხილიანში.

1976 წელს დაამთავრა მაღაროსკარის საშუალო სკოლა, სწავლობდა თბილისის ცეკავშირის კოოპერაციულ ტექნიკუმში, 1978 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა თბილისის ერთ-ერთ რკინა-ბეტონის ქარხანაში. ამჟამად მუშაობს ალმანახ „საუნჯის" რედაქციაში. მისი ლექსები პირველად ჩვენს ჟურნალში ქვეყნდება.

●

შუქო ჯიქია დაიბადა 1948 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხში.

იბეჭდება 1971 წლიდან. გამოცემული აქვს ლექსების კრებული „ბედი".

როზარტ პეტრიაშვილი დაიბადა 1945 წელს სამხ. ოსეთის ავ. ოლქის დაბა ზნაურში. 1975 წელს დაამთავრა თსუ ფილოსოფიის ფაკულტეტი. ამჟამად მუშაობს სკკპ ცკ-სთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში უფროს მეცნიერ-მუშაკად. აქვეყნებს წერილებს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში.

●

გიორგი (გია) ჭანტურია დაიბადა 1959 წელს. დაამთავრა თბილისის № 1 საშუალო სკოლა 1976 წელს. ამჟამად სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტის V კურსზე.

მისი ორი მოთხრობა დაიბეჭდა უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერლების ჟურნალში „პირველი სხივი" (1981 წლის № 15).

„ცისკარში" იბეჭდება პირველად.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-48-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 20. 09. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 9. 11. 82 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11, სააღრ.-საგ თაბახი 15.85. შეკვ. № 2245. უე 00784. ტირაჟი 52.000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6 51/193

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76286

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ*

**«ЦИСКАРИ»**

**ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ**